კვირის პალიტრა

გზა +8

№9 (351) 1/III-7/III.2007.

ფასი 60 თეთრი

18 წლის თანაცხოვრების შემდეგ ქართველ წყვილს 3 ტყუპი შეეძინა...

„...კრიმინალი ხომ არ ჩაგვიდენია. ოჯახი შევქმენით!“

ვის ჰგავს ანასტასია ხაჩიძე

ქართველები სექსიდან რეკორდების ფლობენ

ანუ ორგაზმის იმიტაცია და პოტენციადაქვეითებული მამაკაცები

ბედი კაცისა

ქართველი ჯარისკაცის ჯოჯოხეთური ცყვეობის ათასი დღე

ფულის წვიმა „გზავნილებში“

საბა SABA

კანდელაკის ქ.65 0160 თბილისი. საქართველო. (+995 32) 38 44 54 www.saba.ge E.mail: sabaco@caucasus.net

№9 (351)
1 - 7 მარტი, 2007 წ.
ფასი 60 თეთრი

ქსელში გასვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი დასრულდა

ამჯერად ჩვენი ონლაინ-რომანის ბოლო ნაწილს გთავაზობთ. მიუხედავად იმ-ისა, რომ მას სათაურად – „შეაბი.ge პარალელურ სამ-ყაროში“ აქვს, მკითხველები „ზურასა და ნატალის რო-მანს“ უწოდებდნენ. ვიცი, ბევრ თქვენგანს დასწყდე-ბა გული.

მომდევნო ნომრიდან კი შეგიძლიათ, ახალი რეა-ლური რომანი – „სიცოცხლემისჯილი“ წაიკითხ-ოთ „ვზის“ ფურცლებზე და მის გმირს, ზაზა ჩუთ-ლაშვილს უგულშემატკივროთ. მერწმუნეთ, მას გაც-ილებით მეტად სჭირდება თქვენი მხარდაჭერა, ვი-დრე წინა რომანის გმირებს...

14

სვაროვსკის მინიროიალი და ქაქის 300-სერიანი ზღაპარი

ხუთოთახიან ბინაში თაკო, ჯონი, პატარა ირმა და ვეებე-რთელა ნაგაზი – 6 წლის ბაგუ ცხოვრობენ. ძალლი ამ ოჯახის სრულფასოვანი წევრია. მათ ბინაში შესვლისას, პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, დედა-შვი-ლის ულამაზესი პორტრეტებია.

21

რამ გაახსენა საყვარელი დავით ზურაბიშვილს?

– თბილისში სად მდებარეობს ჭავჭავაძის ქუჩა?

– (*იცინის*).

– რაგომ იცინით?

– გინდათ, დამაბნიოთ? ჭავჭავა-ძის ქუჩა მთაწმინდაზე მდებარეო-ბს. ბევრს პროსპექტში ეშლება და ამბობს – ვაკეშიო.

26

„არ მომიპარავს, მიპოვნია...“

„რამდენიმე წელი რუსეთ-ში ვცხოვრობდით. ერთხელ, როცა ბავშვი სკოლაში მიმყავ-და, მან ყვირილი აგესა, ციდან „ფულები“ მოფრინავსო! მაღ-ლიდან კუპიურები მართლაც ცვიოდა.“

31

■ მინიატურები
მფრინავი ხალიჩა გამიგია, მაგრამ სახურავი?! 3
■ მრავალქამიერ!
18-წლიანი ლოდინის შემდეგ 3 ტყუპის დაბადებით გამოწვეული სიხარული 4
■ რეპორტაჟი
პატარები მიუსაფარ ბავშვთა სახლიდან 5
■ ერთი კითხვა 8
■ დაიჯესტი 9
■ დიდი ქალბატონი
შეხედეთ ვარსკვლავს!.. 10
■ ბედნიერების ფორმულა
„...ერთად კრიმინალი ხომ არ ჩაგვიდენია, ოჯახი შევქმენით!“ 12
■ რეალური
შეაბი.ge პარალელურ სამყაროში 14
■ კრიმინალი
✓ ცოლ-ქმარი არასრულწლოვანის მოტაცებისთვის გაასამართლეს 16
✓ დაკითხვის ოქმები არაადამიანური წამებისა და მკვლელობის საზარელ დეტალებს აღწერს 17
■ გემოვნება
უვიტრინო ბუფეტი, სვაროვსკის მინიროიალი, პოეტი ბაბუის ექსპრომტები კედელზე 21
■ ანტიდეპრესანტი 24
■ საზოგადოება
„ბევრი შვილი ახლა სასჯელია, უნინ ბედნიერება იყო“... 24
■ ერუდიტი
...რამ გაახსენა საყვარელი დავით ზურაბიშვილს? 26

თეთრი სიკვდილი

– ხმა ამოიღე, ახვარო!

– ცუდად ვარ, ლაპარაკი არ შემი-ძლია, – შიშით ჩაილაპარაკა ბიბილუ-რმა.

– შენთან მოსვლამდე, ექიმს ვესაუ-ბრე. სუსტად მართლაც ხარ, მაგრამ არა იმდენად, რომ ლაპარაკი ვერ შეძლო!..

ბიბილურმა ისევ დუმილი ამჯობინა.

– როგორ გგონია, როგორ და რისთვის მოხვდი აქ, საერთოდ, როგორ დარჩი ცოცხალი და ვისგან გიცავენ ის ბიჭები? – ცივად განაგრძო ნიკამ.

– არ ვიცი, – გაჭირვებით ამოღერღა ბიბილურ-მა.

– შენ რა, ხომ არ გგონია, რომ სამმართველოს ბალანსზე დაგსვეს ან მესხმა გიქირავა ეს პალატა?..

62

■ სახე
„ძუნწი და ორპირი მამაკაცი
ჩემი რჩეული ვერ გახდება“... 28
■ სასიძო
დიტოს სიმღერებით დატანჯული ლექტორები
და „ნეოროზიანი“ ფანები 29
გზავნილები
„არ მომიპარავს, მიპოვნია“... 31
■ საკითხავი ქალებისთვის
რამდენიმე წუთში 10 წლით
გაახალგაზრდავებული სახის კანი 35
■ ჯანმრთელობა 37
■ ავანტიურისტები
გამოჩენილი ჰაკერი
— კომპიუტერული ტექნოლოგიის გენიოსი 38
■ ტაიამ-აუტი 40
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. ნოკაუტი (გაგრძელება) 42
■ პლუს-მინუსი
ქართველები სექსუალური
რევოლუციის ზღვარზე... 46
■ თინეიჯერული პონტები
სამხედრო ფორმაში
გამოწყობილი სასიდედრო 49
■ თარიღი
„დავბერებულვარ, წლები წასულან“... 52
■ ვარსკვლავები
✓ ნათელმხილველი სკარლეტ იოჰანსონი 54
✓ უღირსი „ოსკაროსნები“ 55
■ ნამდვილი ამბავი
მწეველი სიდედრი და მფრინავი პეპლები! 57
■ ბედი კაცისა
ფაშისტების ტყვეობაგამოვლილი
ქართველი ჯარისკაცი... 58
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 62
■ ბომონდური მოზაიკა 68
■ ავტო 70
■ პოროსკოპი 71
■ მესიჯომანია 72
■ ტესტი 78
■ სკანვორდი 79
■ ...და ბოლოს 80

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

ქართველები სექსუალური რევოლუციის ზღვარზე...

„თეატრიდან რომ გამოვედი, ერთი ჯოჯონა დამხვდა, სპექტაკლით აღფრთოვანებული იყო, მილოცავდა, მადლობას მიხდიდა. მერე მითხრა — იცით, მე ანორგაზმიას განვიცდი და სულ არ ვიცოდი, რომ მას ასე ჰქვია, ეს დღეს თქვენგან გავიგეო.“

46

სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სასიდედრო

„სიდედრი, შურა იყო ჩვენი შეუღლების სასტიკი წინააღმდეგი. ამბობდა: სასიძოდ 2 პროფესორი მეძლევა და ეს რად მინდაო?!“

49

როგორ გავიახალგაზრდაოთ სახის კანი

კანის გასაახალგაზრდავებლად, ის გაიწმინდეთ რძით და რამდენიმე ხნის მანძილზე არ ჩამოიბანოთ...

კარგია, თუ სახეს ალოეს წვენით გაიწმენდთ. 15-20 სეანსის შემდეგ, შედეგს აუცილებლად მიიღებთ.

35

— რამდენი გინდა?
— ეს იყო მისი პირველი კითხვა.
— შენ ვერ ჩაეგევი.
— უპასუხა მაიამ.
— რა შემატყვე ასეთი? — გაიკვირვა კლიენტმა.
— მანქანაზე გეტყობა, — მიახალა მაიამ.
— რამდენი გინდა, მაინც, აღარ იტყვი? — არ დაუთმო კლიენტმა.
— ვისთვის როგორ... — ცივად უპასუხა მაიამ. მოკლედ, მაგრად არ დაევასა. — გითხარი, შემეშვი, რა!
— რა, არ დაგევასე? — პირდაპირ ჰკითხა ტიპმა.
— ეგ რა შუაშია?! აბა, გადაიხდი შენ ორმოცდაათ დოლარს?

42

ჭერის ახდა „წლისთავზე" ვიცით ქართველებმა და ჯერ „ორმოციც" არ გასულა ანუ მფრინავი ხალხისა გამიგია, მაგრამ სახურავი?!

ქართველ კაცს სიამაყე არასოდეს აკლდა. შეეძლო, მიწურში ან ხუხულაში ეცხოვრა, მაგრამ ჭიშკარს აუცილებლად დიდს და ლამაზს წამოჭიმავდა, რომ გამვლელს კარგი წარმოდგენა შეჰქმნოდა ჭიშკრის მიღმა მცხოვრებ ოჯახზე. რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს თვისება არც დღეს დაგვიკარგავს და ქვეყანაში ჩამოსული ტურისტი თუ ბიზნესმენი პირველსავე შთაბეჭდილების ტყვე რომ გამხდარიყო, სუპერთანამედროვე აეროპორტის აშენება გადავწყვიტეთ.

გადავწყვიტეთ და მსურველიც უამრავი უცხოური კომპანია აღმოჩნდა, რომელიც მას საკუთარი სახსრებით ააშენებდა და რამდენიმე წლით, არენდითაც აიღებდა. ჩვენც საუკეთესო ავარჩიეთ და ჩვენი ქვეყნის „ჭიშკრის" ანუ თბილისის „სახელმწიფო" აეროპორტის ბედი თურქულ კომპანიას მივანდვეთ (თურქები ხომ ოდითგანვე ცნობილნი იყვნენ საქართველოში, როგორც აღმშენებლობა-გალამაზების დიდოსტატები).

დათქმულ ვადაში დაასრულეს სამუშაო და წითელი ლენტების გაჭრის მოყვარულმა ჩვენმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ, სიამოვნებით გააწკარუნა მაკრატელი, რითაც მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ჩვენი გულის და ქვეყნის „ჭიშკარი" ღიაა მდიდარი ინვესტორებისთვის. მაგრამ ბუნებამ გვიმუხთლა და სწორედ იმ დროს, როცა „ფულების" წვიმა უნდა წამოსულიყო, ჩვეულებრივი თბილისური წვიმა წამოვიდა და...

ყოჩაღ, ძმაო! აი, რას ნიშნავს პროფესიონალიზმი! მართალია, აეროპორტში წვიმა ჩამოვიდა, მაგრამ როგორი მომზადებულები დახვდნენ და რა ოპერატიულობით შეულაგეს ტაშტები და ვედროები?! კომენტარიც შესაშური გაკეთდა: ვიცოდით, რომ წყალი ჩამოვიდოდა, არ გვქონდა გადახურვა დასრულებული, მაგრამ მაინც გავხსენითო... ვაუკაცობაც ეგ არის, მაინც რომ გავხსენით. მთავარი ხომ ლენტის გაჭრა და გახსნა იყო. ამიტომ შეგვეძლო, საერთოდ, არც აგვეშენებინა და პირდაპირ გაგვეხსნა.

თქვე დალოცვილებო, რაც იმ თანამედროვე სახურავებს რეკლამა უკეთდება და ფულიც ბლომად დაგიჯდებოდათ, რატომ იწვალეთ ამდენი?! გასული საუკუნის დასაწყისშია აშენებული ბებიაჩემის სახლი სოფელში და შროშის კრამიტითაა დახურული, მაგრამ წვეთი წყალი არ გაჰპარვია ჯერ. იაფიც დაგიჯდებოდათ და არც სირცხვილს ვჭამდით სოფელ-ქვეყანაზე. კარგი, ბატონო, ამაზე გავიცინეთ, დავიჯერეთ, რომ სპეციალურად მოწყობილი კურიოზი იყო, ვენეციის ეფექტი შევქმენით და ა.შ. მაგრამ კიდევ რამდენიმე დღეში რომ გავიგე, აეროპორტს ქარმა ჭერი ახადაო, ლამის თავი ამეხადა. ეს სადაური წესია, ხალხო?! ჭერის ახდა „წლისთაზე" ვიცით ქართველებმა და ჯერ „ორმოციც" არ გასულა, რა დროს ჭერის ახდა იყო?!

ალბათ, ესეც შეგნებულად მოწყობილი ეფექტი იყო და სუპერთანამედროვე აეროპორტის კიდევ ერთი ფუნქციაა, უცებ „კაბრიოლეტად" გადაკეთება, მაგრამ ამდენი თუნუქის ფურცელი, უფრო გასაგებად — „ეიშტის ლისტი" რომ რიფინ-რიფინით ტრიალებდა ჰაერში, რომელიმე უცხოელს რომ დასცემოდა, „ეფექტი და აღიარება" მერე გენახათ თქვენ!..

არა, მე მესმის, რა თქმა უნდა, ესეც ინვესტორების ჯიბეზე გათვლილი სვლაა, რომ თავი შევაცოდოთ და „ფულების" ხარჯვა აეროპორტიდანვე დაიწყონ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ამ ფულს მთლად ექიმებში არ დახარჯავენ. აეროპორტში თვითმფრინავი უნდა დაფრინავდეს და არა — სახურავი... ამას თავი დავანებოთ, ჩვენს თავზეც ვიფიქროთ: ჩვენი სამთავრობო დელეგაციები წარამარა დაფრინავენ საზღვარგარეთ. ჰოდა, მათი არყოფნის დროს ისეთი ქარი რომ ამოვარდეს, სახურავს კი არა, მთელ აეროპორტს რომ წაიღებს (რაც აღარც უნდა გაგვიკვირდეს), ხომ აებნევათ გზა-კვალი, ვეღარ მოაგნებენ თბილისს და შეიძლება, უმთავრობოდ დავრჩეთ — უი, უი, უი!!!

ამიტომ, ჯობდა, ყველაფერი საკუთარი ძალებით გაგვეკეთებინა. ეფექტი და ეგზოტიკა თუ გინდათ, მეტალოკერამიკით კი არა, საერთოდ, ისლით გადახურეთ ის აეროპორტი, გასათბობად შუაცეცხლი დაანთეთ, ესკალატორის ნაცვლად ნალიის კიბე ააყუდეთ, დარბაზი ჭრაქით გაანათეთ, რითაც ნამდვილ ძველკოლხურ ეფექტს მიიღებთ და ინვესტორ-ტურისტების ნაკადი მერე ნახეთ თქვენ!..

P.S. — *ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ერთი ცუდი ამბავი აეროპორტიდან.*

— რა მოხდა, ისევ მოწვიმა და წყალი ჩამოვიდა?

— არა, უარესი!

— რა, ისევ ქარი ამოვარდა და სახურავი მოგლიჯა?!

— არა, უარესი.

— აბა, რა მოხდა, აღარ იტყვი?!

— შენობაში ბელურაა შეფრენილი, დაანგრია იქაურობა!..

პროვოკატორი

ოჯახში ბავშვის დაბადება რომ უდიდესი სიხარულია, ამაში, ალბათ, არავინ შემედავება. თუ ერთის ნაცვლად, ტყუპი ჩნდება, სიხარული ორმაგდება, მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა 3 ჩვილი ერთად იბადება და თანაც, 18-წლიანი ლოდინის შემდეგ?! ასეთი სასწაული 23 იანვარს ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მოხდა. საკეისრო კვეთის შედეგად, ქვეყანას გიორგი, მარიამი და ნინო მოევლინნენ. მშობლებს — შმაგი და ქეთი კვიჟინაძეებს ემოციების სიტყვებით გადმოცემა უჭირთ — ჯერ კიდევ შოკში ვართო, — ამბობენ და წყალობისთვის უფალს მადლობას სწირავენ. მათ „დიდ ოჯახში“ სტუმრად ვეწვიეთ.

18-წლიანი ლოდინის შემდეგ 3 ტყუპის დაბადებით გამოწვეული სიხარული

„პატარძალმა სახლში სითბო შემოიტანა“...

თამუნა კვინიკაძე

— შმაგი და ქეთი, გილოცავთ 3 ტყუპის დაბადებას. როგორც ვიცი, თქვენ ამ დღეს 18 წლის მანძილზე ელოდით.

ქეთი:

— მადლობა უფალს! ეს ნამდვილად ღვთის საჩუქარია.

შმაგი:

— ქეთი 19 წლის წინ გავიცანი. შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთი დანახვისთანავე შეგვიყვარდა და 20 წლის ასაკში დავქორწინდით. იმ დღიდან, ერთად მოვდივართ. სრული ბედნიერებისთვის შვილები გვაკლდა და 23 იანვარს ღმერთმა ერთის ნაცვლად, 3 პატარა გვაჩუქა. 2 დღეა, რაც ისინი სახლში მოვიყვანეთ, ვუვლით, მათზე ვზრუნავთ და ენით აუწერელ სიხარულს განვიცდით. ორივენი ჯერ კიდევ შოკში ვართ.

— ალბათ გაგიკვირდათ, როდესაც გაიგეთ, რომ სამი ტყუპი უნდა შეგძენოდათ, არა?

ქეთი:

— დიახ. ექოსკოპიაზე პირველად რომ მივედი, მითხრეს, ტყუპი არისო, მეორედ მისვლაზე კი მაცნობეს — 3 გულის ძგერა ისმისო.

— ალბათ, ეს ის სიტყვები იყო, რომელსაც წლების მანძილზე ყველაზე მეტად ნატრობდით. რა განიცადეთ იმ დროს?

— სიხარულისგან ავტირდი. მინდოდა, რომ რაიმე მეთქვა, მაგრამ ვერ ვლაპარაკობდი.

შმაგი:

— ის, რასაც იმ წუთში განვიცდიდი, შეუძლებელია, სიტყვებით გადმოგცეთ.

— ქეთი, ფეხმძიმობისას ალბათ, ექიმების განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდით, არა?

— არა, ჩვეულებრივი ორსულობის პერიოდი მქონდა. ოღონდ, ბოლო ერთი თვე, რომ არ გადავტვირთულიყავი, წოლითი რეჟიმი დამინიშნეს, მშობიარობამდე 2 კვირით ადრე კი, კლინიკაში დავწექი, შესაძლო გართულებები თავიდან რომ ამეცილებინა.

— მშობიარობის პროცესმა როგორ ჩაიარა?

— მძიმედ ვიყავი. საკეისრო კვეთა გამიკეთეს, ცოტა გართულებებიც იყო, მაგრამ ღვთის წყალობით, ახლა მე და ჩემი შვილები კარგად ვართ.

— როგორი იყო პატარების წონა?

— გიორგი 2 კილო დაიბადა, მარიამი 1900 გ, ხოლო ყველაზე პატარა, ნინო — 1600-ს იწონიდა. სამივენი რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს და გარკვეული დროის მანძილზე, ინკუბატორში იყვნენ.

შმაგი:

— რეანიმაციის განყოფილება გადატვირთული იყო, იქ 25 ახალშობილი იმყოფებოდა. ჩვენს პატარებს, სამივეს სასუნთქი აპარატი დასჭირდათ. აღმოჩნდა, რომ კლინიკას 2 აპარატის მეტი არ ჰქონდა. არც სხვა კლინიკებში იყო, რომ მოგვეტანა. შემდეგ, დახმარებისთვის ქალბატონ სანდრა რულოვსთან დარეკეს. ნახევარ საათში მოვიდა კლინიკაში, აპარატიც მოგვიტანა და პატარებიც ინახულა. შემდეგ კი, ის აპარატი კლინიკას საჩუქრად გადასცა.

— 3 პატარის დაბადება იშვიათი მოვლენაა, სხვა არავინ დაინტერესებულა თქვენი პატარებით? არ დაგხმარებიან?

— დახმარება არც არავისთვის გვითხოვია. სიმართლე გითხრათ, მეგონა, ქალაქის მერია ან ჯანდაცვის ორგანოები მეტ ყურადღებას გამოიჩენდნენ. მატერიალურ დახმარებაზე კი არ მაქვს ლაპარაკი — უბრალოდ, ჩვენი მდგომარეობით რომ დაინტერესებულიყვნენ... გიგი უგულავა ძალიან ყურადღებიანი პიროვნებაა, მის მიმართ სიმპათიით ვარ განწყობილი, მაგრამ როგორც ჩანს, გამორჩა...

— ორი დღეა, რაც პატარები კლინიკიდან გამოიყვანეთ. როგორ გრძნობენ თავს ახალ გარემოში?

— ღვთის წყალობით, კარგად არიან. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ პიროვნებას, ვინც ჩვენი შვილების ჯანმრთელობაზე იზრუნა. მიმაჩნია, რომ ჩვენს ექიმებს პროფესიონალიზმი არ აკლიათ, უბრალოდ, ზოგჯერ მათ სამუშაო პირობები არ უწყობთ ხელს. მაგალითად, პატარებს დასჭირდათ მედიკამენტი, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული საერთოდ არ იყო. ამის შესახებ ექიმისგან წინასწარ ვიყავი გაფრთხილებული და საფრანგეთიდან გამოვიწერე. იმ პრეპარატმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი შვილების გამოჯანმრთელებაში. რატომ არ უნდა იყოს ასეთი მნიშვნელოვანი წამალი რეგისტრირებული?!

— იმაზე, რომ ტყუპი ნაყოფის ჩასახვაში გენეტიკა დიდ როლს

გიორგი 2 კილო დაიბადა, მარიამი 1900 გ, ხოლო ყველაზე პაგარა, ნინო – 1600-ს იწონიდა

ასრულებს, მეცნიერები აღარ დავობენ. თქვენს შემთხვევაშიც გენებმა ხომ არ იჩინა თავი?

ქეთი:

— ჩემი მხრიდან — არა, მაგრამ როგორც ჩანს, მამის გენმა იმძლავრა.

შმაგი:

— დედის მხრიდან მყავს ტყუპი ბიძაშვილი. საერთოდ, სანათესაოში 3 ოჯახს ჰყავს ტყუპი.

— პატარების ერთმანეთისგან გარჩევა ხომ არ გიჭირთ?

ქეთი:

— არა, ერთმანეთისგან განსხვავებულები არიან.

შმაგი:

— პატარები ქეთის უფრო ჰგვანან.

— ჯერ ხომ არ მოგინათლავთ?

— როგორც უკვე გითხარით, 23 იანვარს დაიბადნენ. 25-ში კი, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა. იმ ღამესვე, 12 საათზე კლინიკაში მოძღვარი მივიყვანე და მოვნათლეთ. ვგრძნობდი, რომ მათ ყველაზე მეტად ღმერთის დახმარება სჭირდებოდათ.

— ქეთი, ყველა ქალისთვის დედობა შინაგანი მოთხოვნილებაა. რას გრძნობდით იმ 18 წლის მანძილზე, რაც შვილი არ გიჩნდებოდათ?

— თავიდან, ძალიან არ ვნერვიულობდი. იმის იმედი, რომ შვილი აუცილებლად მეყოლებოდა, არასოდეს დამიკარგავს. მაგრამ წლები რომ გავიდა, შემეშინდა. თავი თითქოს მარტოსულად ვიგრძენი.

შმაგი:

— აქ რაღაც პატარა ცხოვრებისეული მომენტებიც იყო... დაქორწინების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება ნულიდან დავიწყეთ. გვინდოდა, ჩვენს შვილებს გამზადებული ჰქონდათ ყველაფერი და ამასობაში, წლებიც გაგვექცა.

ქეთი:

— რაღაც პერიოდის მერე მივხვდით, რომ ერთმანეთის სიყვარულით დავიღალეთ. ბოლო ხანს, როგორც არასდროს, ისე მოგვინდა ეს სიყვარული შვილებისთვის გაგვეზიარებინა. ახლა კი, ძალიან ბედნიერები ვართ. მათ სახლში სითბო შემოიტანეს.

შმაგი:

— სტატისტიკური მონაცემები უნდა მოვიძიო: მგონი, პირველი წყვილი ვართ, ვისაც 18 წლის შემდეგ 3 ტყუპი შეეძინა.

ქეთი:

— და ახლა დიდი ოჯახი გვაქვს. დედობა საოცარი განცდაა. მას ამ ქვეყანაზე არაფერი შეედრება.

სანამ ბედნიერი მშობლები თავიანთი პატარების ამბებს მიყვებოდნენ, ჩვილებს ეძინათ. ერთი სული მქონდა, მათ როდის ვნახავდი და არ გაიღვიძეს-მეთქი? — წამდაუწუმ ვკითხულობდი, მაგრამ პატარები ისეთი ძილისგუდები აღმოჩნდნენ, მიუხედავად ძიძის მცდელობისა, ისინი ფოტოების გადასაღებადაც კი ვერ გააღვიძეს. მხოლოდ მარიამმა გამოგვხედა ერთხელ, შეგვათვალიერა და იმწამსვე ძილს დაუბრუნდა. ასე რომ, ბავშვების გაცნობა ვერ მოვახერხე. მათ დედიკოს კი 3 მარტი მივულოცე, ბედნიერი დედობა ვუსურვე და დიდი ოჯახი უსაზღვროდ ბედნიერმა დავტოვე.

ახლა კი ორიოდე სიტყვით მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ ამოუხსნელი იმ ფენომენის შესახებ, რასაც დედის წიაღში 3 და მეტი სიცოცხლის ჩასახვა ჰქვია.

ამ სასწაულის ამოხსნას ექიმები და მკვლევარები დიდი ხანია, ცდილობენ. ყველაზე უტყუარ ფაქტორად, რომელიც ტყუპი ნაყოფის ჩასახვას უწყობს ხელს, გენეტიკა მიიჩნიათ. მეცნიერთა ერთი ნაწილი კი ვარაუდობს, რომ ტყუპის ჩასახვას ცხოველური ცილებით მდიდარი საკვების მიღება უწყობს ხელს. შესაბამისად, ვეგეტარიანელ ქალბატონებს ტყუპის გაჩენის ნაკლები შანსი აქვთ. არიან მეცნიერები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ტყუპი მეტწილად, ხანდაზმულ მშობიარეებს უჩნდებათ — მათ, ვინც შვილის გაჩენას 35 წლის ზემოთ გადაწყვეტს. მიუხედავად ფაქტების და თეორიების სიმრავლისა, კითხვა — რა დგას ამ სასწაულის მიღმა? — მეცნიერული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია.

ფენომენი, რომელსაც ტყუპის დაბადება ჰქვია, მთელ მსოფლიოში დღითი დღე ხშირდება. სხვადასხვა გამოთვლით, ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 80 მილიონი ტყუპი ცხოვრობს. ერთდროულად დაბადებული ბავშვების ყველაზე დიდი რაოდენობა 11-ია, ხოლო ერთდროულად დაბადებული და გადარჩენილი ჩვილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 6. სტატისტიკის თანახმად, ყოველ 85-ე მშობიარეზე ტყუპი მოდის. შედარებით იშვიათია 3 ჩვილის ერთად დაბადება — ყოველ 130-ე მშობიარეზე 1 შემთხვევა. ხოლო 4 ტყუპის დაბადება, 2 მილიონი შემთხვევიდან ერთხელ ხდება.

დაბოლოს, ყველა დედას ვულოცავთ დედის დღეს, ხოლო ყველა ქართულ ოჯახს — იმ სიხარულის განცდას, რომელიც დღეს კვიუინაძეების ოჯახში სუფევს. ■

„რა მოხდება, ერთი წუთით დედაჩემი რომ იყო?..“

პატარები მიუხაფარ ბავშვთა სახლიდან

ნათია ქივიძე

გახშირდა ისეთი ფაქტი, როდესაც დედა საკუთარ პირმშოს ნაგვის ურნაში ან ძიძის ანაბარად ტოვებს და თვითონ უჩინარდება. მიუხედავად მატერიალური თუ სხვა სახის გაჭირვებისა, მაინც ძნელია, გაუგო ისეთ დედას, რომელიც თავისი სულისა და სხეულის ნაწილს იმ დიდი სევდისთვის იმეტებს, რომელიც მისგან მიტოვებული ბავშვის თვალებს ერთი წამითაც არ შორდება...

3 მარტს ქართველები დედის დღეს აღვნიშნავთ, ამიტომ გადავწყვიტე, დიღმის მასივში მდებარე, მიუსაფარ ბავშვთა თბილისის პირველ სახლს ვწვეოდი და იქ მცხოვრები პატარების ოცნებებსა და დარდს ვზიარებოდი. სახლის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო ყანდარელმა იმთავითვე გამაფრთხილა — მიუხედავად იმისა, რომ აქ მყოფ თითქმის ყველა ბავშვს ჰყავს დედა, ამ საკითხს მაინც საკმაოდ მტკივნეულად ეკიდებიან, ამიტომ მათთან ურთიერთობისას, ხშირად, ფსიქოლოგებს მივმართავთ და ძალიან გთხოვთ, ძალზე ფრთხილად ელაპარაკოთ და ტკივილი არ მიაყენოთო...

დედის სითბოს დანატრებული ბავშვები ოთახში შესვლისთანავე გარს შემომეხვივნენ და ისე, რომ ჩემი ვინაობა არც კი იცოდნენ, მოფერება დამიწყეს. მაშინვე გული ამიჩუყდა, მათთან ჩავიმუხლე და გასაუბრება ვცადე. ჩემი პირველი ახალშეძენილი მეგობარი, პატარა მარი გახლდათ, რომელიც გაუჩერებლად მეტიტინებოდა და თან, სახეზე მეფერებოდა. 2 წუთში მიამბო, რომ თურმე, სამი ძმა ჰყავს, ორი მათგანი, მარისთან ერთად, ამავე სახლში ცხოვრობს, ერთი კი — დედასთან არის:

— იცი, გუშინ დედამ შინ წამიყვანა. აი, ეს ჯინსის ლამაზი „იუბკა“ და „ზედა“ მიყიდა. ჩვენს სანახავად, ძალიან ხშირად — არა, მაგრამ მაინც ხშირად მოდის ხოლმე. გვარად მეზვრიშვილი ვარ... გუშინ აქ სტუმრები ყოფილან და მათ მიერ მოტანილი საჩუქრები არ შემხვდა. ცოტა მეწყინა.

ამ დროს კიდევ ერთი პატარა გოგონა მოგვიახლოვდა, რომელსაც მარიმ რატომღაც, რვეული ჩაარტყა თავში, თვითონ კი გვერდით ოთახში შევარდა და კარი მოაჯახუნა. სამწუხაროდ, მისი საქციელის მიზეზი ვერ გავიგე. მინდოდა, შევყოლოდი და განაწყენების მიზეზი მეკითხა, მაგრამ წინ ერთი ბიჭი გადამიდგა, ხელი ჩამავლო და... მაკოცა. თან, მაშინვე ლაპარ-

ეილოცავთ დედის დღეს!

აკი დაიწყო:

— მე რამაზი მქვია. 8 წლის ვარ და ძილის წინ, იცი, რაზე ვფიქრობ ხოლმე? ამქვეყნად ყველაზე მეტად ავტომატი მინდა მქონდეს. სათამაშო ავტომატი, რომელიც ისვრის. არ შეგიძლია, მაჩუქო?

— რა თქმა უნდა. აუცილებლად გაჩუქებ, — გულწრფელად დავპირდი რამაზს.

— როდის? მე ხვალაც მცალია და ზეგაც. ხომ მოხვალ აუცილებლად?!

— ზუსტად არ ვიცი, როდის მოვალ, მაგრამ გპირდები, რომ სათამაშო ავტომატი ძალიან მალე გექნება, — დაბეჯითებით გავუმეორე დანაპირები.

— არ მომატყუო, რა! ძალიან მალე მომიტანე, გეხვეწები. ჩემთან დედა კი მოდის ხოლმე, მაგრამ მას ძალიან უჭირს და აბა, ავტომატს როგორ მიყიდის?.. გინდა, გაჩვენო, როგორ ვჩხუბობ? — პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარი, რომ იქვე მდგომ ბიჭს დაეჭიდა და წააქცია. მათი გაშველება ვცადე, მაგრამ მასწავლებლის ჩარევის გარეშე ვერაფერს გავხდი. როგორც იქნა,



ეს ორი ბიჭუნა ერთმანეთს დავაშორეთ. რამაზი ისევ მე მომიბრუნდა და განაგრძო:

— იცი, სკოლიდან „შატალოზე“ მივდივართ ხოლმე. გავრბივართ გარეთ და ქუჩაში ვსეირნობთ. მაშინ ვჩხუბობთ ხოლმე ხშირად. მიყვარს ჩხუბი, ძლიერი ვარ და იმიტომ. შენ გგონია, მე ქუჩაში ვარ?.. არა, დედაჩემი მივლის. ახლა აქ დროებით ვცხოვრობ, თორემ მერე, როცა შეყვარებული მეყოლება, ცოლად მოვიყვან. დედაჩემსაც ჩემს სახლში წავიყვან, რომ ქუჩაში არ დარჩეს, ცოდოა... — შეყვარებულის ხსენებამ სხვა ბავშვების ყურადღებაც მიიქცია. რამდენიმე მათგანი ჩვენთან მოვარდა და ათასნაირ სახელს მეუბნებოდნენ — ჩემს შეყვარებულს ეს ჰქვია და ჩემსას — ესო. ერთმა ბიჭმა ვერაფრით გაარკვია, აბა უყვარდა თუ მარიკა. ვკითხე: ბოლოს და ბოლოს, რომელია შენი შეყვარებული-მეთქი? დამამშვიდა: რა ვიცი, ერთ დღეს ერთი მიყვარს და მეორე დღეს — მეორე, როცა გავიზრდები, რომელიც უფრო მეტად მეყვარება, იმას მოვიყვან ცოლადო. ამასობაში, ერთი გოგონას ცნობისმოყვარე თვალებს წავაწყდი, რომელიც ჩემთან მოსვლას ვერ ბედავდა. მივედი და გამოველაპარაკე.

დედის სითბოს დანატრებული ბავშვები ოთახში შესვლისთანავე გარს შემომეხვივნენ და ისე, რომ ჩემი ვინაობა არც კი იცოდნენ, მოფერება დამიწყეს

— მე ეთუნა მქვია. არ გეგონოს, რომ დედა არ მყავს. როგორ არ მყავს?! უბრალოდ, ახლა მამა ციხეშია, დედას კი ძალიან უჭირს და მე როგორ შემინახავს?.. დღეს უნდა მოსულიყო დედაჩემი, მაგრამ მგონი, ვერ მოიცალა და სხვა დროს მოვა. იცი, უფროსი ძმაც მყავს. მას უკვე ცოლი და პატარა შვილი ჰყავს. მამა ციხიდან რომ გამოვა, მერე მეც წამიყვანენ სახლში და ყველა ერთად, ბედნიერად ვიცხოვრებთ. აი, ნახე ეს თოჯინები. გუშინ სტუმრებმა მოგვიტანეს. აქედან არც ერთი არ არის ჩემი შვილი. მე არ მინდა დედობა. ექიმი მინდა გამოვიდე.

— რატომღაც მგონია, რომ შენგან ძალიან კარგი ექიმი გამოვა. დედაშენი პროფესიით ვინ არის?

— არავინ. ქირით ცხოვრობს.

— ალბათ, დიასახლისია, — დავასკვენი.

როგორც ჩანს, ბავშვებმა სიტყვა „დიასახლისის“ მნიშვნელობა არ იცოდნენ: ერთი ბიჭუნა მოვარდა და ეთუნას დაცინვა დაუწყო, დედა დიასახლისი გყოლიაო. ეთოს ცრემლები მოერია და იმ ბიჭს თავში თავისი ახალი თოჯინა უთავაზა. შევეცადე, ბავშვებისთვის ამეხსნა, რომ „დიასახლისი“ ცუდი სიტყვა არ იყო და მათ ვუთხარი: ასე ისეთ ქალს ეძახიან, რომელსაც სამსახური არ აქვს, შინ არის და ოჯახს უვლის, კერძებს ამზადებს-მეთქი.

— გამოდის, რომ ეთოს დედა მოსამსახურე ყოფილა, — ახარხარდა ის ბიჭი.

— დედაშენია მოსამსახურე, — დაუბრუნა ეთომ პასუხი და მე მომიბრუნდა: — ძალიან კარგი დედიკო მყავს და მინდა, სულ მასთან ვცხოვრობდე. აღარ მინდა ამ სახლში ყოფნა.

მისი დამშვიდება ვცადე და ვუთხარი, რომ მისი დედიკო, როგორც კი მოახერხებდა, მაშინვე წაიყვანდა შინ და მთელი ცხოვრება ერთად იქნებოდნენ. ეთომ



გამიღიმა და მითხრა: იცი, მე არასოდეს გამოვალ დედაო... — გული დამწყდა...

კედელთან მდგომი ბიჭუნასკენ გადავინაცვლე, რომელიც შორიდან მორცხვი ღიმილით გვადევნებდა თვალყურს. მას გიორგი ჰქვია.

— გიორგი, რაზე ოცნებობ ყველაზე მატად? — ვკითხე. ბიჭმა დაიმორცხვა და პასუხისგან თავი შეიკავა. ვუთხარი: ოღონდ მითხარი, რაზე ოცნებობ და გპირდები, ამას საიდუმლოდ შევინახავ-მეთქი.

— მაშინ ყურში, სხვებმა რომ არ გაიგონ, ისე გეტყვი, — შემითანხმდა. მისკენ დავიხარე და სულგანაბული ველოდი, რას მეტყოდა.

— როცა დასაძინებლად წწვები, სულ იმაზე ოცნებობ, რომ დაბადების დღეზე ვინმემ ძალიან დიდი, სანთლებიანი ტორტი მომიტანოს.

— როდის გაქვს დაბადების დღე?

— 3 აპრილს 9 წლის ვხდები. — უეცრად თვალები გაუნათდა და მკითხა: შენ შეგიძლია, ეს ოცნება ამისრულო? — ცოტა დავიბენი, მაგრამ ოცნების ასრულებას მაინც შევპირდი. ამან უფრო მეტად გაათამამა და საუბარი განაგრძო:

— კიდევ, იცი, რა მინდა ყველაზე მეტად? სახლში, დედასთან წასვლა. აღარ შემიძლია აქ ცხოვრება, დიდი ბიჭები სულ მეჩხუბებიან და მცემენ.

— რატომ გცემენ? მათ რაიმეს უშავებ?

— რა ვიცი, ჩემი გვარი არ მოსწონთ და მაგაზე მეჩხუბებიან.

— ასეთი რა გვარი გაქვს?

— ისეთი არაფერი, ნიგოსიანი ვარ, მაგრამ ამის გამო ჩხუბი შეიძლება? შენც ხომ ხედავ, აქ ყველა ჩხუბობს. — სევდიანი მზერა მოავლო ოთახს. რამდენიმე ბავშვი მართლაც, კინკლაობდა... გიორგიმ საუბარი განაგრძო: — დედასთან ერთად კი იმიტომ არ ვცხოვრობ, რომ სახლი არ გვაქვს. ოდესმე, დედა თუ იყიდის სახლს, მერე მეც წამიყვანს და სულ ერთად ვიქნებით. — თვალებში იმედის სხივი ჩაუდგა...

იქვე, სკამზე კიდევ ერთი ბიჭი იყო ჩამომჯდარი, რომელიც ჩვენს საუბარს ჩუმად უსმენდა. რატომღაც, ის ბიჭუნა ყველაზე სერიოზული მომეჩვენა. მასაც გიორგი რქმევია. როცა შეამჩნია, რომ ყურადღება მასზე გადავიტანე, მაშინვე მკითხა — შენ ვინ ხარო?

— ჟურნალისტი ვარ. იცი, ეს რას ნიშნავს?

— კი, როგორ არა! ბავშვებს სურათებს რომ უღებს, — ამაყად მიპასუხა და თან, ცალი თვალი ჩვენი ჟურნალის ფოტოგრაფისკენ გააპარა, რომელიც ბავშვებს ფოტოებს უღებდა.

— არა, მაგას ფოტოკორესპონდენტი ჰქვია. ჟურნალისტი კი, სტატიებს წერს.

— უინტერესო პროფესია გქონია. წერა არ გეზარება? — ამრეზით მკითხა და გამშორდა.

ჯერ კიდევ გიორგის ნათქვამზე ვფიქრობდი, როცა ჩემთან ისევ რამაზი მოვიდა. მასთან ერთად, პატარა ბიჭუნაც იყო, რომელიც გამეცნო — ლევანი მქვიაო. ხელი ჩამოვართვი და ჩემი სახელი ვუთხარი.

— შენ შვილები გყავს? — მკითხა ლევანმა.

— არა, ჯერ არ მყავს.

— მერე, რას ელოდები? აიყვანე შვილი, — მითხრა დამრიგებლური ტონით.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ გათხოვილი არ ვარ, ქმარი არ მყავს და შვილების აყვანის უფლებას არ მომცემენ.

— დედაჩემს კიდევ, ჰყავს ქმარი — მამაჩემი, — ნიშნის მოგებით მიპასუხა პატარამ.

— შვილის აყვანა რომ გადავწყვიტო, შენ იქნები ჩემი შვილი? — დავსვი კითხვა და მერე მივხვდი, რომ არაკორექტული იყო...

— არა. მე უკვე მყავს დედა და მის გარდა, არავინ მჭირდება. შენი შვილი რატომ უნდა ვიყო?! დედაჩემი ამქვეყნად საუკეთესოა! — ამაყად მიპასუხა და ჩემთან საუბრის სურვილი დაკარგა.

ამ დროს სხვა ბავშვები შემომეხვივნენ და მთხოვეს — შენი ტელეფონის ნომერი დაგვიტოვე, დაგირეკავთ ხოლმეო. ვიდრე მათთვის ჩემს ნომერს ვწერდი, რამაზი გვერდით მედგა, ხელი ჰქონდა ჩემზე გადახვეული და ჩემს საქმიანობას დიდი ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს. ოთახში კიდევ ერთი გოგონა შემოვიდა; როგორც ჩანს, გაკვეთილებიდან დაბრუნდა, რადგან მხრებიდან ჩანთა ჩამოიღო. ჩემ გარშემო ამდენი ბავშვი რომ დაინახა, ჩემი ვინაობით დაინტერესდა. რამაზმა ამაყად უპასუხა: ეს ჩემი დედიკოა! ხომ ლამაზი დედა მყავსო?!. თვალები ცრემლით ამევსო. დაბნეულმა შევხედე ბავშვს. მან თბილად გამიღიმა და მკითხა: რა მოხდა, ერთი წუთით დედაჩემი რომ იყო, ხომ არ გეწყინებაო? პასუხი ვერ გავეცი, სამაგიეროდ, რამაზი არ დაიბნა, ჩამეხუტა და მაგრად მაკოცა... არ მინდოდა, ბავშვებს ჩემი აღელვება შეემჩნიათ, ამიტომ იქიდან წამოსვლა გადავწყვიტე. ამ ფაქტმა არც ერთი მათგანი არ აღაფრთოვანა. პირიქით, ერთხმად გამომიცხადეს — ახლა თუ წახვალ, ყველას გვეწყინებაო. ბოდიში მოვუხადე და წასასვლელად მოვემზადე. ყველამ სათითაოდ გადამკოცნა. მარიც გამოვიდა გვერდით ოთახიდან, ეშმაკური თვალებით შემომხედა და მითხრა: იმ ოთახში ვდიასახლისობდი, ვგვიდი და შენთვის ვეღარ მოვიცალეო. ჩემ მიმართ განსაკუთრებულ სითბოს ისევ რამაზი იჩენდა. კართან მისულს მთხოვა: უფლება მომეცი, ეზოს ჭიშკრამდე გაგაცილოო. თავზე ხელი გადავუსვი და ვუთხარი: გარეთ ცივა და ჯობს, ოთახში დარჩე-მეთქი. ჩემს სიტყვებს მაინც არ დაემორჩილა და ოთახის კარი გავაღეთ თუ არა, გარეთ გაქცევა სცადა. დავიჭირე და ვთხოვე, ოთახში დაბრუნებულიყო. ხელი ჩაიქნია და ნაღვლიანი სახით უკან შებრუნდა. ეზოში გამოსულმა, ვერ მოვითმინე და იმ ოთახისკენ გავიხედე. ბავშვებს უკვე დავვიწყებოდი, მხოლოდ რამაზი იდგა სარკმელთან, სახე მინაზე მიეჭყლიტა და ხელს მიქნევდა.

ბავშვთა სახლი ძალზე დათრგუნვილმა დავტოვე. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ მათ დანაპირებს აუცილებლად შევუსრულებდი და შინისკენ გავეშურე...

„ვშიშობ, ასეთმა ქმედებებმა აფხაზების საპასუხო აგრესია არ გამოიწვიოს“

— როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე „ქართველ ახალგაზრდა პატრიოტთა“ ჯგუფი გამოჩნდა, რომელიც დიდი აქტიურობით გამოირჩევა და ცნობილი აფხაზების სახლების დაწვასაც აბრალებენ. რა ინფორმაცია გაქვთ ამის თაობაზე და თქვენი აზრით, ამას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს?

მამუკა არეშიძე, *ექსპერტი კავკასიის საკითხებში:*

— ამ სახლების დაწვასთან დაკავშირებით, საზოგადოებას სწორი ინფორმაცია არა აქვს. შემიძლია ვთქვა, რომ მათ ცნობილი აფხაზების სახლები კი არ დაწვეს, არამედ იმ ადამიანების, რომლებიც აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობენ. გადამწვარი სახლების მფლობელების, ე.წ. დაზარალებულების უმეტესობა ქართველია. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა გადამწვარი სახლის პატრონი ეროვნებით აფხაზი აღმოჩნდა. ვერ ვიტყვი, რომ ამ სახლების გადაწვას მასობრივი ხასიათი აქვს — სულ სამი თუ ოთხი შემთხვევა იყო. თანაც, ეს ფაქტები მთელი აფხაზეთის კი არა, მხოლოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე მოხდა. ჩემი აზრით, ეს ხალხის აღშფოთების გამომხატველია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება პარტიზანული მოძრაობის აღდგენა, რისი წინააღმდეგიც არიან არა მხოლოდ აფხაზური მხარე, არამედ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მონაწილე ყველა მხარე, მათ შორის — დასავლეთის მეგობარი ქვეყნებიც. მათ, ვინც ეს ჩაიდინეს, ალბათ, პროტესტის ასეთი ფორმა აირჩიეს. ის ადამიანები, რომლებიც აფხაზებთან თანამშრომლობენ და ფულისთვის, ანგარების მიზნით, იქაური ქართველების შევიწროებაზე თვალს ხუჭავენ, რასაკვირველია, გაკიცხვისა და დასჯის ღირსნი არიან. მაგრამ ვშიშობ, რომ ასეთმა ქმედებებმა აფხაზების მხრიდან იმაზე დიდი საპასუხო აგრესია არ გამოიწვიოს, ვიდრე ახლა არსებობს, თანაც — ვითომ სამართლებლივ ჩარჩოებშია მოქცეული. რეზიუმეს სახით შემიძლია ვთქვა — ასეთი საქციელი საკმაოდ სახიფათო და საშიშია, რადგან არჩევნების წინა დღეებში უშიშროების ზომები საკმაოდ გაძლიერებულია და შესაძლოა, რაიმე ექსცესებს ჰქონდეს ადგილი, რაც თავისთავად, ძალზე ცუდია ჩვენთვის. ■

მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია CNN-ის კითხვებს პირდაპირ ეთერში უპასუხა

საქართველოს პრეზიდენტმა ბრიუსელიდან პირდაპირი ჩართვისას, ტელეკომპანია CNN-ის კითხვებს უპასუხა. მან ნატოში საქართველოს ინტეგრაციაზე, რუსეთთან ურთიერთობებზე, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებზე, აგრეთვე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ილაპარაკა. „ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას საქართველო დაჩქარებული ტემპით ცდილობს. ქვეყანა სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპითა და კორუფციის ძალზე დაბალი მაჩვენებლებითაა შემდგარი ამ გზაზე“, — აღნიშნა პრეზიდენტმა. მისი თქმით, საქართველო, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობის წყალობით ინვესტორებისთვის მიმზიდველია. „ეკონომიკური აღმშენებლობა იმ პირობებში მიმდინარეობს, როდესაც რუსეთის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციებია დაწესებული“, — აღნიშნა სააკაშვილმა. მისი თქმით, რუსეთს შეუძლია, დადებითი როლი შეასრულოს საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარებაში. ■

ცხინვალის რეგიონში 20-მილიონიანი ინვესტიცია განხორციელდება

საქართველოს მთავრობის მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განსახორციელებელ გეგმებს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ამბიციური უწოდა. მისი თქმით, ცხინვალის რეგიონში საქართველოს მთავრობა 20 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. ამ თანხით მომავალ ზამთარამდე, მოხდება ღიახვის ხეობის ყველა სოფლის გაზიფიცირება, აღდგება წყალგაყვანილობის სისტემა, რის შედეგადაც წყალი მიეწოდება არა მხოლოდ ხეობის სოფლებს, არამედ ქალაქ ცხინვალსაც.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მიმდინარეობს განათლების ობიექტებისა და სპორტული ობიექტების განახლება; თამარაშენში გაიხსნება გასართობი ცენტრი. პრემიერმა ყურადღება გაამახვილა გზების რეაბილიტაციაზეც. ■

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოსკოვში ალექსი II-ის მიწვევით მიემგზავრება



— როგორც ცნობილია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მოსკოვში მიემგზავრება და ის იქნება პირველი ადამიანი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუარესების შემდეგ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის დედაქალაქს ესტუმრება. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ ვიზიტისა და დაგეგმილი მოლაპარაკებების შესახებ?

ზურაბ ცხოვრებაძე, *საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი:*

— უკვე რამდენიმე წელია, რაც მოსკოვში მართლმადიდებლური ენციკლოპედია გამოდის. მის პრეზენტაციაზე, მიღებული პრაქტიკის თანახმად, იმ ქვეყნის ეკლესიის მეთაურს იწვევენ, რომელსაც ესა თუ ის ტომი ეძღვნება. ამჟამად გამოვიდა X ტომი, რომელიც საქართველოს ისტორიისა და ეკლესიისთვისაა დათმობილი. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის პატრიარქმა, ალექსი -მ მიიწვია საქართველოს ეკლესიის მეთაური, უწმინდესი და უნეტარესი ილია . რუსეთის ელჩთან შეხვედრის დროს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია -მ განაცხადა, რომ მხოლოდ პირდაპირი რეისის შემთხვევაში განხორციელდებოდა ეს ვიზიტი. შესაბამისად, პირველ მარტს, სპეციალური პირდაპირი რეისით პატრიარქი მოსკოვს გაემგზავრება და ვფიქრობთ, რომ იგი იქნება მოსკოვსა და თბილისს შორის პირდაპირი მიმოსვლის აღდგენის ხელშემწყობი... წიგნის პრეზენტაცია დაგეგმილია 2 მარტისთვის. 4 მარტს კი აღესრულება ერთობლივი წირვა კრემლის მიძინების ტაძარში. ქართულ დიასპორასთან შეხვედრა შედგება წმინდა გიორგის ქართულ ტაძარში და საქართველოს საელჩოში. ვიმედოვნებთ, ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ბოლო პერიოდში ქართული დიასპორის ირგვლივ შექმნილი პრობლემების მოგვარებასა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. დელეგაციაში, კათოლიკოს-პატრიარქს თან გაჰყვებიან ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები. აქვე გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს დაგეგმილია აგრეთვე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია -ის ვიზიტი არაბულ ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც ამ ქვეყნებთან საქართველოს კულტურული ურთიერთობების გაფართოებას შეუწყობს ხელს. ■

მოამზადა ნათია ქევიძემ
რუბრიკაში გამოყენებულია სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაცია

ჯორჯ ბუშს ნებისმიერ წუთს შეუძლია, საქართველოს 3,5 ათასი დოლარი მოსთხოვოს

იუწყება სააგენტო Новости-Грузия, — თუ რა თქმა უნდა, ამერიკის პრეზიდენტს ამის სურვილი გაუჩნდება. საქმე ისაა, რომ 6 ათასი ლარი (ანუ დაახლოებით 3,5 ათასი დოლარი) ბუშს, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოს — „წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენის“ მფლობელს ეკუთვნის. ეს ორდენი ამერიკის პრეზიდენტს საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა 2005 წლის 10 მაისს პირადად გადასცა. 2006 წლის 28 აგვისტოს კი, „წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი“, რომელიც „საქართველოსთვის მიღწეულ გამარჯვებებში განსაკუთრებული წვლილისთვის“ გაიცემა, ამერიკელ სენატორ ჯონ მაქკეინსაც გადაეცა...

დაიწყება თუ არა „ბირთვული ზამთარი“?

ჯერ კიდევ ოცი წლის წინ გაჩნდა თეორია, რომლის მიხედვითაც, ზესახელმწიფოებს შორის ბირთვული იარაღის გამოყენებით ომის დაწყების შემთხვევაში, „ბირთვული ზამთარი“ დაიწყებოდა. ამჟამად კი, კლიმატის მოდელირებისა და ბუნებრივ კატასტროფებთან (მაგალითად, ვულკანურ ამოფრქვევებთან) შეჯერების ბევრად უფრო სრულყოფილი საშუალებები გვიჩვენებს, რომ პლანეტის მასშტაბის უბედურების გამოწვევა, რეგიონულ კონფლიქტებსაც კი შეუძლია. — იუწყება ფრანგული გაზეთი Nature. მსოფლიო კლიმატი შეიძლება, ათწლეულობით შეიცვალოს, თუ ნებისმიერი ორი სახელმწიფო ერთმანეთს თუნდაც 100 ხიროსიმის (15 ვილტონის) სიმძლავრის ატომური მუხტის მეშვეობით მიაყენებს დარტყმას. აფეთქების შედეგად, მილიონობით ტონა ჭვარტლი ჰაერში თორმეტ კილომეტრ სიმაღლეზე მაინც ავა, ატმოსფეროში გაიფანტება და ერთი თვის განმავლობაში დედამიწას მთლიანად დაფარავს.

„კლიმატის გლობალური შეცვლა კაცობრიობის ისტორიაში უპრეცენდენტო იქნება, — გვიხსნის ამერიკის ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის კლიმატოლოგი ალან რობოკი. — და ამისთვის პლანეტის ამჟამინდელი ბირთვული არსენალის 0,03%-ის გამოყენებაც სრულიად საკმარისი იქნება. შედეგად, იმაზე მეტადაც კი აცივდება, ვიდრე ეს მცირე გამყინვარების პერიოდში იყო“...

რაზე მოილაპარაკეს ვალტერ შტაინმაიერმა და ზურაბ ნოღაიდელმა... გაჭედილ ლიფტში?

ახლახან, საქართველოში ვიზიტით მყოფი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ შტაინმაიერი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სახელმწიფო კანცელარიის ერთ-ერთ ლიფტში გაიჭედნენ. Интерфакс-ის ცნობით, გერმანელი მინისტრი მომხდარის გამო ოდნავაც კი არ შეშფოთებულა და როგორც ჟურნალისტებს მოგვიანებით თავად განუცხადა, გაჭედილ ლიფტში „კონფლიქტების დარეგულირების საკითხების განხილვაც“ კი მოასწრო.

გერმანელ მინისტრსა და ქართველ პრემიერს გაუმართავ ლიფტში ხუთ წუთზე მეტის გატარება მოუხდათ. თავად ლიფტი კი, რომელიც უკვე 30 წელია ექსპლუატაციაშია, გერმანიაში ყოფილა დამზადებული.

ლონდონში სუპერმეჩეთს აღარ აშენებენ

The Sunday Telegraph-ის ცნობით, დიდი ბრიტანეთის მთავრობა უარს ამბობს პროექტზე, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც, ქვეყნის დედაქალაქში უნდა აშენებულიყო მთელ ბრიტანეთში ყველაზე დიდი მეჩეთი, რომელიც თითქმის 70 ათას მლოცველს დაიტევდა. მეჩეთის აგებაზე 300 მილიონი ევრო უნდა დახარჯულიყო და მას, პროექტის ავტორების იდეით, ოლიმპიადაზე ისლამური ქვეყნებიდან ჩამოსული სპორტსმენებისა და გულშემატკივრების სულიერი და კულტურული ცენტრის როლი უნდა შეესრულებინა.

აღნიშნული მეჩეთის პროექტის უკან, მუსულმანური დაჯგუფება — „თაბლიჰი ჯამაათი“ დგას, რომელსაც საფრანგეთის უშიშროების სამსახურებმა „ფუნდამენტალიზმის ვესტიბიული“ უწოდეს. გასული წლის 7 ივლისს ლონდონში განხორციელებული ტერაქტების სერიის ორგანიზატორ თვითმკვლელ-ტერორისტთაგან ორი სწორედ იმ მეჩეთში დადიოდა, რომელსაც „თაბლიჰი ჯამაათი“ მფარველობს.

სუპერმეჩეთის პროექტის გაყინვის ოფიციალურ მიზეზად შეიძლება, მოუხერხებელი ადგილმდებარეობა და აგრეთვე, ადგილობრივ მცხოვრებთა უკმაყოფილებაც ჩაითვალოს. ვესტჰემის რაიონში (სადაც მეჩეთი უნდა აშენებულიყო) მცხოვრებმა 3 ათასმა მუსლიმანმა უკვე მოაწერა ხელი პეტიციას, რომელიც მოუწოდებს, არ დაუშვან იმ მეჩეთის მშენებლობა, „რომელიც ისლამის ერთ-ერთ ფრთას მიეკუთვნება და ყველა მუსლიმანის სალოცავ ადგილად ვერაფრით იქცევა...“

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 19

გთავაზობთ წონაში დაკლების მარტივ და ეფექტურ მეთოდს

- წონაში დაკლება შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე თვეში 6-12კგ.
- წონაში მომატება თვეში 4-6კგ.
- მულტიკომპლექსური ვიტამინები მოზრდილებისათვის სიმაღლეში ზრდა-განვითარებისთვის შედეგები გარანტირებულია.

ნუ გვლოდიებთ ლაპარაკით ახლოვე

☎ 893-34-34-59; 61-00-14; 94-18-29 იკითხეთ ქ-ნი ლია

უეცხელმა ვაჩსკვლავს!..

სიყვარული, რომელსაც ნიჭიერება მართავს

არსებობს ასეთი მოსაზრება: ქალი საქართველოში გაფეტიშებულია. ქალი, რომლის მხრებზეც დგას ოჯახი. ამ ოჯახზე კი — სახელმწიფო. ნახეთ, რამხელა ტვირთი, პასუხისმგებლობაა!..

ახლა ვიცი, რაზეც ვისაუბრებთ, დედის (ქალთა) დღესთან დაკავშირებით, მედეა ჩახავასთან — ბუმბერაზ მსახიობთან, რომელიც ერთხელ ავიდა კვარცხლბეკზე და დარჩა! დიდ ქალბატონთან, რომელმაც შეძლო, თავიდან აეცილებინა შური... არ გახდა „ქვა და რკინა", არ დაკარგა მოყვასზე ზრუნვის, ფიქრის უნარი... ყველაფერს აქვს ახსნა: ქართველ ერს მედეა ჩახავასგან არასდროს მოუსმენია ყალბი ნოტი, ამიტომაც, წარმოსახვითი კვარცხლბეკი და ქვაზე ამოტვიფრული ხილული ვარსკვლავი, რომელიც მას ერგო წილად, კანონზომიერია. აქ ყველაფერი ღვთის ნებითაა. ეს, სიყვარულის ამბავია — სიყვარულის, რომელსაც ნიჭიერება მართავს...

„დიდო ქალბატონო!" — ასე მინდა მივმართო, მაგრამ ის ისეთი უშუალოა, ვერ ვაძლევ საკუთარ თავს უფლებას, თეატრალურად მოვიქცე...

ლია ცუცქირიძე

— ქალბატონო მედეა, როდის იგრძენით პირველად, რომ ზემდგომარეობაში ხართ?..

— არა, ეს არასდროს მიგრძნია...

— არც მაშინ, როდესაც თქვენი სახელობის ვარსკვლავი „აკაშკაშდა"?

— საფეხურებზე სვლის განცდაც არ გამჩენია. არ მიფიქრია, რომ რაღაც სიმაღლეს ვიპყრობდი. თუმცა, ყოველთვის ვგრძნობდი — გამიმართლა იმით, რომ საყვარელ საქმეს ვემსახურებოდი და ამ საქმით ადამიანების დაინტერესება შევძელი. ეს თავისთავად მოხდა. უეცრად აღმოვჩნდი ყურადღების ცენტრში. მერე ეს დროში უსასრულოდ გაიწელა და აი, აქამდეც მოვედი. ერთადერთი, რასაც ყოველთვის ვგრძნობდი, ეს ადამიანების სიყვარული იყო. თუ ეს იგულისხმება ზესვლაში... ეს უფრო საჩუქარი იყო, ჩემი მაყურებლისგან...

ეს ხელოვნების ქალაქი იყო. ყველა ქართველი ხომ ცოტათი ხელოვანია!.. (თამარ სხირგლაძესთან ერთად, სპექტაკლში „აქ, ამ სავანეში")

— სრულიად საქართველომ იცის, რომ მედეა ჩახავა საკმაოდ თავმდაბალი ადამიანია. მე ქართველი ქალის სახედ აგირჩიეთ, თქვენ კი მეუბნებით, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ხართ...

— ეს არასდროს გამიანალიზებია, თუმცა, ზემოდან გადმოხედვის სურვილიც არასდროს გამჩენია.

— არ იყო ამის აუცილებლობა: თქვენ ისედაც იყავით მიბაძვისა და სიყვარულის ობიექტი.

— სიყვარული... ერთი შეხედვით, პაწაწინა, გაცვეთილი სიტყვა, მაგრამ რამხელა დატვირთვა აქვს! რა საოცარ შინაარსს ატარებს! ის მამოძრავებელი ღერძია ადამიანურ ურთიერთობებში. მხოლოდ მაშინ ფიქრობ ადამიანებზე, როცა ამ გრძნობით სულდგმულობ...

— მაგრამ ამბობენ, რომ სიყვარულიც კვდება, როდესაც ადამიანს უნარი აღარ შესწევს, სულიერებაზე იზრუნოს...

— გაჭირვებამ და მხოლოდ მატერიალურ პრობლემებზე ზრუნვის აუცილებლობამ, მთავარი წაართვა სულდგმულთ — საქმის სიყვარულით კეთების, სხვებზე სიყვარულით ფიქრის უნარი...

— გეთანხმებით, რომ საქართველო საკმაოდ დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ის პირველყოფილი ადამიანის მსგავსად, საკვების მაძიებელ არსებად გადაიქცა...

— მესმის, რომ ერთბაშად არ შეიძლება, ყველაფერი გამოსწორდეს, მაგრამ საოცრად მწყდება გული იმაზე, რომ უფრო მეტს ვკარგავთ, ვიდრე ვიძენთ. რას რის ხარჯზე ვიმკით — ამაზე არავინ ფიქრობს. ცხოვრება ასეთია — გარკვეულ დანაკარგს ყოველთვის უნდა შეეგუო, მაგრამ რაღაც არჩევანის საშუალება მაინც უნდა გქონდეს. უნდა შეგვეძლოს, იმას ვუპატრონოთ, რაზეც ახალი უნდა აღმოცენდეს.

— მავანნი მართავენ და საკუთარ თავს უფლებას აძლევენ, ფამილარულ ტონალობაში გააბიაბრუონ ყოველივე წმინდა... ალბათ, ამას გულისხმობდით.

— იცით, კარგად მესმის ჟურნალისტის სწრაფვა, გამოიძიოს ესა თუ ის ამბავი, მაგრამ ყველაფრის უფლება არავის აქვს. რობერტ სტურუაზე ვლაპარაკობ. მე რომ ვმჯდარიყავი იქ, იმ მაგიდასთან *(ქ-ნი მედეა ერთ-ერთ ტელეგადაცემას გულისხმობს. — ავტ.)* და ჩემთვის ეკითხათ — რას გულისხმობდა რობიკო, როცა ამბობდა ამას და ამასო? — ვუპასუხებდი, რომ არ არის საჭირო, შოუ მოვაწყოთ ყველაფრისგან. რატომ, რისთვის? ეს რას მოგვცემს? ჯერ ერთი, რა დააშავა სტურუამ, თუ ეჭვი შეეპარა რაღაცაში; იმით, რომ გული შესტკივა, რომ ფიქრობს?.. რატომ მაძლევ უფლებას, რომ მე „ის" გავასამართლო? თუ რაიმე გაინტერესებს, ჰკითხე თავად მას!.. და მოიშორეთ ეს პროკურორის მანტია! თქვენ ხომ იცით, რომ ყველა იმდენს იგებს, რამდენიც შეუძლია?!.

— ქალბატონო მედეა, თბილისი ქალაქია, რომელიც ახლა მკვდრეთით აღდგომას ლამობს. ქალაქი, სადაც ერთ დროს მართლაც იყო თუნდაც თავისებური ბედნიერება. თქვენ ამ ბედნიერებასთან ნაზიარები ბრძანდებით...

— რობიკომ თქვა შესანიშნავად — რომ ეს ხელოვნების ქალაქი იყო. ყველა ქართველი ხომ ცოტათი ხელოვანია!.. არ მინდა სხვის ფუნქციებში შეჭრა, მაგრამ არც ის მინდა, რომ ჩემი ერის სახე — თოფით ხელშემართული ქართველი იყოს... იცით, რატომ? არ მინდა, რომ ჩემი ერი გამუდმებით იქნევდეს ხმალს. ჩემი ხალხი ლაღი, მოაზროვნე, შეძლებისდაგვარად უზრუნველი მინდა ვნახო ისევ. რამდენჯერ დავამტკიცეთ, რომ კაცობრიობისთვის სიკეთის მოტანა შეგვიძლია! ყველა სფეროში: ხელოვნებაში, მედიცინაში — ყველგან... ნუ ჩამითრევთ, ბატონო, პოლიტიკაში, მომეცით საშუალება, რომ ჩემს ქვეყანასა და კაცობრიობას მეცნიერისა თუ ხელოვნის ნიჭით ვემსახურო... მითხარით, რატომ უნდა გადაუწყვიტოს რობერტ სტურუას ვიღაც ჩინოვნიკმა ბედი? ნუთუ ეს დასაშვებია?! გონება ჩლუნგდება, როდესაც მას ტრენაჟი არა აქვს... და თუ არ მომცემ უფლებას, რომ ვიაზროვნო, ჩემს ტვინს ატროფია დაემართება...

— თქვენ ბევრს ფიქრობთ და მოქმედებთ კიდეც... ის ორი სპექტაკლი, თქვენი მონაწილეობით, რომლის ხილვის ბედნიერებაც ქართველ მაყურებელს „სამეფო უბნის თეატრში" და „თეატრალურ სარდაფში" აქვს, ამის თქმის საფუძველს მაძლევს. მედეა ჩახავა აქტიურია და არ აძლევს თავს უფლებას, მოეშ-

ვას. ეს ქართველი ქალის ერთ-ერთი გასაოცარი თვისებაა: საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოხატვის უნარი.

— ახლა მგონია, იმათი რიგებისკენ მიბიძგებთ, რომლებსაც საკუთარი თავის მაქებარნი ჰქვიათ, მაგრამ ფაქტი მინდა აღვნიშნო მხოლოდ: მე პირველი მსახიობი ქალი ვარ, რომელმაც თავის დროზე, სტალინური პრემია მიიღო. ამას არასდროს ვუკეთებდი აფიშირებას, მით უმეტეს, რომ მაშინ ეს პრემია ვერიკო ანჯაფარიძეს არ ჰქონდა. არა, ამას მაშინ როგორ განვაცხადებდი?! მაგრამ ახლა მომინდა მეთქვა... რა ბედნიერები ვიყავით მაშინ! ვერიკო, სესილია, ხორავა, ვასაძე... რა ვიცი, ყველანი ერთად და — საყვარელი საქმისთვის თავდადებულნი...

— ერთად იყავით სცენაზე, მაყურებლით სავსე დარბაზთან შერწყმულნი, სადაც შემოქმედებითი ცეცხლი და პუბლიკის ოვაცია არასდროს იყო თავშეკავებული...

— ახლა საოცრად მიკვირს — ომის დროსაც კი, როდესაც შიმშილი და სიბნელე, შიში და გაუთავებელი წუხილი მოსავალზე მოსვენებას არ გვაძლევდა, თეატრი სავსე იყო მაყურებლით. ქუჩები ჩაბნელებული იყო, მაგრამ ამას არავინ არაფრად დაგიდევდათ... ალბათ, არის პერიოდები, როდესაც ადამიანები სხვა რაღაცებით ინტერესდებიან, მაგალითად — შოუთი... თუმცა, ასეთ დროს, სულიერი შიმშილი აუცილებლად დგება. ვინც თეატრში მოდის, მას ადამიანის ფსიქოლოგია აინტერესებს. თეატრი მოვალეა, მაყურებელი მარტო ათლეტური სხეულებით კი არ გააოცოს, არამედ პერსონაჟის შინაგანი სამყაროც დაანახვოს და ამით, საკუთარ სულში ჩაახედოს. გრძნობების, ფიქრების, ტკივილის, სიხარულის გაზიარებაა თეატრის მთავარი ფუნქცია.

— აი, ჩვენ ვსაუბრობთ თეატრსა და პოლიტიკაზე... ყველაფერი ირგვლივ უხილავი ძაფით მძივად არის აკინძული და თუ ძაფი გაწყდა, თუ დაირღვა ჰარმონია მძივის ორ წყებას შორის, არაფერი დარჩება ხელჩასაჭიდი. მძივი ჭრელია, მაგრამ ეს არის სწორედ ჰარმონია... ადამიანს უამრავი მოვალეობა აკისრია და მათ შორის ისეთიც, რაც სრულიადაც არ გახლავთ, ერთი შეხედვით, ამაღლებული. მარტივად რომ ვთქვა, ადამიანი ჭუჭყს პირდაპირ მნშვნელობითაც ებრძვის და გადატანითითაც. რა დღეშია ხელოვანი ქალი ასეთ დროს? ქალი, ხელოვანი, დიასახლისი... ეს მტანჯველი რუტინაა თუ — სიამოვნება?

— ვერ ვიტყოდი, რომ დიასახლისობა მძიმე ხვედრია. რა თქმა უნდა, არ არის საჭირო, საკუთარ თავს გადაახტე და იმდენი აკეთო, რამდენიც შენს ძალ-ღონეს აღემატება. მაგრამ არც ის მგონია მართებული, ჯან-ღონით სავსე ქალბატონმა ტელეეთერში განაცხადოს, რომ მან საოჯახო საქმისა არაფერი იცის. არ არსებობს „არ ვიცი“, არსებობს — „არ მინდა“! — და საკუთარ თავს ვაძლევ უფლებას, არ ვიზრუნო ოჯახზე, არ ვიზრუნო შვილებზე... გესმით, ეს რა განცხადებაა?! მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ოჯახში ყოველთვის იყო დამხმარე ქალი, ჩვენც, ოჯახის წევრებიც საოცრად აქტიურები ვიყავით. ასეა დღემდე. ტრადიციულად, ჩვენი ოჯახის ქალები, გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩაბმულები, არაჩვეულებრივ კერძებსაც ამზადებენ და საერთოდ, ნიჭიერი დიასახლისები არიან. მეტსაც გეტყვით — ეს ერთგვარად, ჩემი შემოქმედების გაგრძელება იყო. მე არასოდეს ვიცი, რა „შემადგენლობით“ ვამზადებ ამა თუ იმ კერძს. ალბათ, ამიტომაც მიუწევს ჩემს 17 შთამომავალს — შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს — ჩემი სამზარეულოსკენ გული. იქ მათ ყოველთვის განსაკუთრებული, განსხვავებული სასუსნავი ელოდება...

— აი, თქვენ ამბობთ, რომ განსხვავებულად ამზადებთ კერძებს და ამას ოჯახის წევრები და მეგობრები ერთხმად აღნიშნავენ. რას ამბობს გენიალური რეჟისორი თემურ ჩხეიძე, როდესაც სპექტაკლში დედის ახალ სახეს ხედავს?

— აი, ეს არის დედაჩემი... — ეს ის ფრაზაა, რომელიც თემურისგან ხშირად მესმის.

— ეს სიამაყით ნათქვამი ფრაზაა, რომელიც ასე შემიძლია გადმოვთარგმნო: მედეა ჩახავა იმდენად გულწრფელია სცენაზე, რომ ყოველ სპექტაკლს თავიდან თამაშობს.

— მსიამოვნებს ხოლმე, რა თქმა უნდა, ეს შეფასება, მაგრამ ეს ბუნებრივად ხდება.

— ბუნებრივია ისიც, რომ სამზარეულოშიც და სცენაზეც ახალი ადამიანი ჩნდება და შენ გვერდით იმკვიდრებს ადგილს...

— იცით, რა გამახსენდა? ერთხელ თეატრიდან სახლში რომ დავბრუნდი, დედაჩემი სამზარეულოში სადილს ამზადებდა... შუადღეა და სადილი გვიანდება. არადა, მამაკაცებს ველოდებით — მამას და ჩემს მეუღლეს. მაკა პატარაა და მიხედვა სჭირდება. დედა, — მივმართე დედაჩემს, — შენ მაკას მიხედე, მე დავამთავრებ სადილს. მან შემომხედა და იკითხა: რა, აღარა ვარ საჭირო?!. ახლა, როდესაც ჩემთვისაც დადგა კითხვა — რა, აღარა ვარ საჭირო?! — ეს თემა უფრო მტკივნეული გახდა. მაგრამ ალბათ, ამ ნათქვამში — შენ დაისვენე და მე გავაკეთებ, — უფრო მეტი ზრუნვაა, ვიდრე იგნორირება. ეს ბედნიერებაა და თავისებური

მძივი ჭრელია, მაგრამ ეს არის სწორედ ჰარმონია...

შემცვლელი აუცილებლად მოდის. ღმერთმა დაგვიფაროს, ასე რომ არ მოხდეს!
(შვილიშვილთან – დათა თავაძესთან ერთად)

ცხოვრების კანონიც... ასეა სცენაზეც: ახალი, შემცვლელი აუცილებლად მოდის. ღმერთმა დაგვიფაროს, ასე რომ არ მოხდეს!

— მგონია, რომ თქვენ არასდროს გიგრძნიათ შური ადამიანებისგან...

— არა, არასოდეს! ეს გულწრფელად შემიძლია ვთქვა. ამას აქვს ალბათ, ახსნა. არასდროს არ უნდა ეცადო, რომ თავი განკერძო, სხვებისგან გამოირჩე. თუ ასე არ მოიქცევი, აუცილებლად დაგპოტნიან. და კიდევ: რასაც აკეთებ, სიხარულით უნდა გააკეთო. მე ყველაფერი მახარებდა — სამსახური, ოჯახში ტრიალი, მეგობრები. ეს სიხარული კი, სიყვარულისგან მოდის.

...სიყვარული კი — უფლისაგან, რომელიც გვმართავს... თქვენი თვალით ნახეთ, როგორ მართავს ნიჭიერება და სიყვარული ამ დიდ ქალბატონს სცენაზე. მედეა ჩახავა „სამეფო უბნის თეატრში“ და „თეატრალურ სარდაფში“, ორი სპექტაკლით — „აქ, ამ სავანეში“ და „შთამომავლობა“ — გელით. შეხედეთ ვარსკვლავს!..

■

„...ჯრიმინალი ხომ არ გაგვიღენია, ოჯახი შევქმენით!“

რატომ დააყენა მურა ხაჩიძემ ხათუნა ჟორდანიასთან თავისი „პალაჟენია“...

ამ ორი ადამიანის სიყვარული ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. მათი პატარა შვილი უკვე 7 თვის არის და დღითი დღე აოცებს მშობლებს ახალ-ახალი სიურპრიზებით... ისე მოხდა, რომ პატარა ანასტასიას მამა — ზურა ხაჩიძე დღესდღეობით პროფესიულ ძიებაშია, ახალ გზებს ეძებს, რადგანაც ფაქტობრივად, უმუშევარი დარჩა: როგორც იცით, ცოტა ხნის წინ, ჯგუფმა („ქუჩის ბიჭები“), რომლის ლიდერიც ის გახლდათ, არსებობა შეწყვიტა, დაიშალა. რაც შეეხება ანასტასიას დედას — ხათუნა ჟორდანიას, მან მეორე შვილის გაჩენის შემდეგ, იმდენად შეიფერა დედისა და დიასახლისის სტატუსი, რომ სახლიდან გარეთ გასვლა აღარ სურს...

ლალი ფაცია

— ხათუნა, რა სიახლეა შენს ცხოვრებაში?

— ძირითადად, პატარა ანასტასიას აღზრდით ვარ დაკავებული. ის, რაც ნინისთვის არ გამიკეთებია, რატომღაც ისე მოხდა, რომ ანასტასიას ვუკეთებ.

— რას გულისხმობ?

— ნინი პატარა რომ მყავდა, ვცდილობდი, საკუთარი თავისთვის რაც შეიძლება მეტი დრო დამეთმო: მინდოდა, რომ მისთვის მალე მეჭმია, დამეძინებინა ან დედაჩემისთვის დამეტოვებინა და მეგობრებთან გავქცეულიყავი. დილით ადრე გაღვიძება მიჭირდა. ამიტომ, ნინის გაზრდა, ძირითადად, დედაჩემისთვის მქონდა გადაბარებული... ახლა არც დაღლა მაწუხებს, არც დილით ადრე გაღვიძება მიჭირს. პირიქით, პატარის მოვლა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ვცდილობ, სახლიდან საერთოდ არ გავიდე, რომ ანასტასიასთან უფრო მეტხანს ვიყო. ეტყობა, ახლა ჩემს ცხოვრებაში ის ეტაპია, როცა ჩემთვის ბედნიერებაა ბავშვების მოვლა და აღზრდა.

— დამხმარე არავინ გყავს?

— მყავს დამხმარე ადამიანი, ძიძა, მაგრამ მხოლოდ მასზე არ მაქვს პატარის მოვლა მინდობილი. ძიძა ჩვენთან დილის 10 საათიდან საღამოს 7-მდეა, მერე მარტოს მიწევს ბავშვთან დარჩენა; ეს ყველაზე რთული პერიოდია. ვისაც პატარა ჰყავს, მიხვდება, რასაც ვგულისხმობ. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მეხმარებიან ზურა და ნინიც.

— ისე, მშვენიერ ფორმაში ხარ...

— ვერ დაგეთანხმები. დიდი სურვილი მაქვს, ვიყო კარგ ფორმაში, მაგრამ საკუთარი თავისთვის ჯერ ვერ მოვიცალე, რომ თავს შესაფერისად მოვუარო. საჭიროა ვარჯიში, მასაჟი, სირბილი, პარალელურად — დიეტაც. ჯერჯერობით, ეს არ გამომდის. ვოცნებობ იმაზე, როდის დავიბრუნებ ჩემს სასურველ ფორმას...

— რამდენი კილოგრამის დაკლება გინდა?

— ჩემს ტრადიციულ წონასთან შედარებით, 15-20 კილოთი მეტი ვარ.

— აღნიშნე, რომ ზურა მეხმარება პატარის გაზრდაშიო. კონკრეტულად, რას გულისხმობ?

— ის აკეთებს ყველაფერს: დაწყებული პამპერსის გამოცვლიდან, დამთავრებული ღამით ადგომით და თუ ბავშვი ტირის, მისი დაწყნარებით. საჭმელს უმზადებს, აჭმევს, აძინებს...

— ვის ჰგავს პატარა?

— მგონი, ცოტა-ცოტა — ყველას... ნინის ბავშვობასაც ამსგავსებენ. ჩემს უმცროს ძმისშვილსაც. ზურას მაშინ ჰგავს, როცა ქუდს მოვხდი...

— მართალია, ნინი უკვე დიდია იმისთვის, რომ იეჭვიანოს, მაგრამ ფარულად მაინც ხომ არ გამოუმღავნებია ეჭვიანობა, რადგან დღესდღეობით ყურადღების ცენტრში ანასტასიაა?

— თავიდან მეგონა, რომ მაინც იეჭვიანებდა. როდესაც პატარას ვეფერები, ლოყას მიშვერს, რომ მასაც ვაკოცო... ხომ აღვნიშნე, რომ ბავშვის აღზრდაში მეხმარება. თავიდან, ორი თვის მანძილზე, ახლოს არავის გვაკარებდა, თვითონ უკეთებდა ყველაფერს. მაგალითად, კვირა დღეს, როდესაც ძიძა არ გვყავს სახლში, საქმეს თანაბრად ვაკეთებთ — ეს იქნება სადილის მომზადება, სარეცხის გარეცხვა, სახლის დალაგება თუ ანასტასიას მოვლა.

— რომელ კლასშია ნინი და რას აპირებს?

— მეათეში. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ აქვს, რა პროფესიას აირჩევს. იურიდიულ ფაკულტეტზეც უნდა, რომ ჩაბაროს და სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტზეც. ვნახოთ, რას იზამს.

— სიმღერას აღარ აპირებს? რაღაც, დიდი ხანია ახალი ნამუშევარი არ ჩაუწერია...

— სამი ახალი სიმღერა გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით, მის ჩაწერას თავი ვერ მოვაბით. ესეც პატარა ანასტასიას ბრალია. გაზაფხულზე, ალბათ, განვაახლებთ მუშაობას.

— ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ დაშლასთან დაკავშირებით რაიმე კომენტარს ხომ არ გააკეთებდით?

— ჯგუფმა თავისი არსებობის მანძილზე, სერიოზული გზა განვლო. ბევრ რთულ პერიოდს გაუძლო. თითოეულ წევრს სერიოზული შრომა აქვს ჩადებული. მონდომება არ დაუკლიათ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჯგუფი იქამდე მივიდა, რომ დღესდღეობით აღარ არსებობს, დაიშალა. გურამიკოს საზღვარგარეთ წასვლა მოუხდა, რომ რამენაირად საარსებო მინიმუმი იშოვოს. ეს ყველაფერი გულდასაწყვეტია. ვოცნებობ ისეთ პერიოდზე, როდესაც მომღერლებს, მუსიკოსებს, შემოქმედებს შრომა დაუფასდებათ და თავის სარჩენად ელემენტარული შემოსავალი ექნებათ.

— შენი აზრით, მათ ყველაფერი სცადეს? რესურსები ბოლომდე ამოწურეს?

— რაც არ უნდა უკმაყოფილო ვიყო, დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში, ბევრი კარგი რამ კეთდება და ვერაფრით ავყვები იმ ადამიანებს, რომლებსაც არასდროს არაფერი მოსწონთ. ძალიანაც მომწონს განათებული თბილისი, გაკეთებული გზები, მაგრამ *(აქ საუბარში ზურა ხაჩიძე ჩაერთო. — ავტ.)*...

ზურა:

— „ბარიგებს“ რომ იჭერენ, არ მოგწონს?

ხათუნა:

— ეგეც მომწონს... ეტყობა, ახლა ის პერიოდია, როდესაც სიმღერამ ჩვენში

ცოტა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ქართველი მომღერლებიც ამ წნეხში იძულებით მოყვნენ.

ზურა:

— აბსოლუტურად ყველა რესურსი მოვიძიეთ და გამოვიყენეთ. სულ ვცდილობდით, რომ მოქმედი, აქტიური შემოქმედებითი ჯგუფის სტატუსი შეგვენარჩუნებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ენთუზიაზმზე მუშაობა ველარ შევძელით, ელემენტარული საარსებო წყარო აღარ გვქონდა. ვერც საკუთარ თავს ვინახავდით და არც შემოქმედებისთვის გვქონდა საჭირო თანხები: სიმღერის ჩასაწერად, კლიპის გადასაღებად. სახსრების გარეშე ეს საქმე წინ ვერ მიდის... საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი მომღერლების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ ბევრი კლუბი დაიხურა. სხვა პრიორიტეტები გაჩნდა და ეს გარკვეული თვალსაზრისით, ბუნებრივიც არის: ქვეყანა, რომელიც შენდება, ცხადია, შოუბიზნესისთვის ველარ იცლის.

— რა გეგმები გაქვს პირადად შენ?

— მე იურიდიული განათლება მაქვს, ბოლო დროს იურიდიულ ლიტერატურას მივუბრუნდი. ვკითხულობ და ნასწავლს საფუძვლიანად ვიხსენებ. ასე რომ, ახლა სწავლა-განათლებით ვარ დაკავებული, რომ ჩემი პროფესიით დავიწყო მუშაობა.

— კონკრეტულად, რის გაკეთებას აპირებ?

— სამართალმცოდნე ვარ. ადვოკატად სამოქალაქო სამართალში მუშაობა არ მინდა. უფრო, კერძო ფირმაში ვიმუშავებდი.

— ეი. შენი თავი იურისტის ამპლუაში წარმოგიდგენია?

— დიახ.

— უკვე დასძლიე შენს თავში სცენიდან ჩამოცილებით გამოწვეული განცდები?

— კი, რადგან განაწყენებული ვარ. მთავარი ის არის, რომ დღეს არავის სჭირდება ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“, რომელმაც 13 წელი იარსება. ახლა მინდა ვიმუშაო, დავაგროვო ფული, ვიყიდო სტუდია, სამონტაჟო და იქნებ ოდესმე, ჯგუფი ისევ შევიკრიბოთ.

— ეი. თქვენ დაბრუნდებით?..

— იმიტომ წავედით, რომ დაბრუნდეთ!..

— კარგი, საუბრის თემა შევცვალოთ: მითხარი, რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც შვილი შეგეძინა?

— შვილი ყველაზე დიდი და ნათელი წერტილია ჩემს ცხოვრებაში. ბედნიერებაა, რომ მამა ვარ და შვილი მყავს. მე და ანასტასია ერთად დავსეირნობთ კუს ტბაზე, ერთად ვსწავლობთ ახალ-ახალ სიტყვებს და ვვითარდებით. როგორც შემიძლია, ისე ვარ ჩართული მის აღზრდაში.

— ნამდვილი ოჯახის კაცი ხარ, არა?

— ასეა.

— ხათუნას რა დროს უთმობ?

— როგორც კი მოვნახავთ თავისუფალ დროს, მივდივართ რესტორანში, ბარში...

— ამას წინათ, სადღაც წავიკითხე, თურმე, 14 თებერვალს, შენ და ხათუნას ერთ-ერთ კლუბში ერთმანეთისთვის სიყვარული აგიხსნიათ. მართალია?

ხათუნა *(ზურას პასუხის გაცემას ასწრებს):*

— ეტყობა, ჟურნალისტს ჩვენთვის „ბზკენა“ უნდოდა და თავისებურად „იხუმრა“... ამ ბოლო დროს, უფრო ხშირად, ზურა მიხსნის სიყვარულს, ვიდრე მე — მას. იმ ჟურნალისტს კი ვუპასუხებ, იყოს პირიქითაც — მე რომ ავუხსნა მეტჯერ სიყვარული, ეს მეც მირჩევნია, მაგრამ მნიშვნელობა არა აქვს, ამ საქმეში ვინ უფრო იაქტიურებს.

— თქვენ შორის ასაკობრივი ზღვარი რომ არსებობს, ეს არანაირ დისკომფორტს არ გიქმნით? ცოტა ხნის წინ, ამ თემაზე სასაუბროდ ერთ-ერთ გადაცემაში ორივე ერთად იყავით მიწვეული.

ხათუნა:

— რაც შეეხება ამ თემას — ეს უკვე მოძველებული მგონია; ვფიქრობ, რომ ჩვენზე ლაპარაკით ხალხი უკვე დაიღალა. როდესაც ზურას ცოლად გავყევი, დისკომფორტი მხოლოდ პრესის ფურცლებმა მაგრძნობინა... შეგუებული ვარ იმას, რომ ჩვენ შორის არის ასაკობრივი სხვაობა და ამას ვერაფერი შეცვლის.

ზურა:

— როდესაც დაქორწინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი რამ ნაფიქრი გაქვს. ახლა, როცა ჩვენ უკვე ოჯახი ვართ, ნაკლებად მანერვიულებს, სოციოლოგიურ გამოკითხვაში ჩემი ოჯახის რეიტინგი როგორი იქნება. ღმერთმა დალოცოს ყველა ოჯახი, რომელიც სიყვარულით იქმნება! მნიშვნელობა არა აქვს, წყვილს შორის ვინ იქნება უფროსი — ქალი თუ კაცი. მთავარი — სიყვარული, ურთიერთპატივისცემაა. თუკი წყვილი ერთად თავს კარგად გრძნობს, ოჯახში ნორმალური სიტუაციაა, ჯანსაღი თაობა იზრდება. რა მოხდა, მე და ხათუნას კრიმინალი ხომ არ ჩაგვიდენია?! ოჯახი შევქმენით. ახლა ამაზე, ვისაც უნდა, ცუდი თქვას და რაც უნდა, ის ილაპარაკოს. მე ეს ქალი მიყვარს და ამიტომაც მოვიყვანე!

— ზურა, თუ გახსოვს, პირველად როგორ აუხსენი სიყვარული?

— ბათუმში ვიყავით, კონცერტი გვქონდა სტადიონზე — „ქუჩის ბიჭები“ და ნინი დუეტს ვმღეროდით. სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდით, ბარი იყო. იქ შევიპატიჟე, ყავა მივირთვით და სანამ ნომერში ავაცილებდი, სიყვარული ავუხსენი.

— ხათუნა, ორიგინალურად გამოუვიდა სიყვარულის ახსნა?

— მიყვარხარო, — არ უთქვამს, უბრალოდ მაგრძნობინა, რომ ჩემგან რაღაც უნდოდა (იცინიან). ქალი ვარ და მესიამოვნა, მაგრამ მაშინ მისი ეს სიტყვები სერიოზულად არ აღმიქვამს. გულში გამეცინა. თუმცა, ყველაფერი როგორც დამთავრდა, კი ხედავთ.

— ხათუნა, ზურა თავისი ხასიათით ჭეშმარიტი ქართველი მამაკაცია?

— თავიდან ბოლომდე ქართველი მამაკაცია. არის ოჯახის თავი. უნდა, რომ მის სიტყვას ფასი ჰქონდეს.

— ზურა, ხათუნა სიმართლეს ამბობს?

— თვითმიზანი არ არის, რომ ოჯახში პირველი მე ვიყო, მაგრამ საერთოდ, ქალი თავისი ბუნებით, შინაგანად, სუსტი არსებაა, რაც არ უნდა ყოჩაღი და ძლიერი იყოს, მაინც უჭირს გადაწყვეტილების მიღება, ცოტა სიღრმე, სიბრძნე, სიძლიერე აკლია. ოჯახში რიგი საკითხები საბოლოოდ, მაინც მამაკაცის გადასაწყვეტია. ქალმა შეიძლება მოგაწოდოს იდეები, მამაკაცმა კი, ის ისე უნდა გაფილტრო, ჩამოაყალიბო, რომ გარკვეულ გზაზე დააყენო — ანუ მოწოდებულს სათანადო რეალიზება უნდა გაუკეთო.

— ხათუნა, ზურა პრეტენზიულია?

— ძალიან და თან, მომთხოვნიც არის. როგორც კი დავქორწინდით, თავისი პოზიციები, „პალაჟენია“ დააყენა.

— ამისთვის მზად იყავი?

— ვიყავი, რადგან სრულფასოვან ოჯახში

ანასტასიას რომ ვეუერები, ლოყას ნინიც მიშვერს, რომ მასაც ვაკოცო...

გავიზარდე, სადაც მამა — მამა იყო, დედა — დედა, ძმა კიდევ — ძმა... სხვათა შორის, მომწონს, როდესაც მამაკაცი ოჯახში მომთხოვნია.

— თქვენი „ბედნიერების ფორმულა“ მითხარით...

ხათუნა:

— ზურას + ხათუნა + ანასტასია + ნინი = ბედნიერებას!..

ზურა:

— აქამდე მე ცოლისა და ქმრის — ანუ ჩვენს ურთიერთობაზე ვლაპარაკობდი; ჩვენ კიდევ გვაყვს ნინი და ყველანი ერთად, რაღაც შევსებულად ვგრძნობთ თავს.

— ზურა, ხათუნა თუ გემორჩილება?

ხათუნა *(ასწრებს პასუხის გაცემას):*

— მაქვს მცდელობები, რომ არ დავემორჩილო, მაგრამ „რქებს“ მაჭრიან და მაჭრიან...

ზურა:

— ხათუნას ყველაზე მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჟორდანიაა... თუკი გაიცნობთ ვინმეს, გვარად ჟორდანიას, წინასწარ გეტყვით, რომ ისინი ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. მათ გვარზე წინ არავის აყენებენ. არადა, ვეუბნები — დროა შეიცვალო-მეთქი: თუ ადრე ჟორდანიებს

შეიძლებოდა, თოხზე სამუშაოდ ყანაში ვთქვათ, გლეხი ხაჩიძე ჰყოლოდათ, ახლა ხაჩიძეს შეიძლება, რომ სახლში დიასახლისად ჟორდანია ჰყავდეს. თან, ხათუნა მშვენიერი დიასახლისია — რეცხავს, საჭმელს ამზადებს, ალაგებს... მე ძალიანაც მეამაყება, რომ გლეხი ვარ. პატიოსანი ხალხის ოჯახში ვარ დაბადებულ-აღზრდილი.

— დაბოლოს, ამერიკაში გურამიკოსთან წასვლას ხომ არ აპირებთ?

— არ არის გამორიცხული. გურამს წაღებული აქვს ჩვენი მუსიკალური ვიდეო თუ აუდიომასალა. თუმცა ძნელია, იქ ვინმეს კონკურენცია გაუწიო: იქ კლუბებში ისეთი მომღერლები, მუსკოსები გამოდიან, როგორიც მაგალითად, ჯემი როქუაის ბენდში უკრავენ. თუ ვინმე ჩვენით დაინტერესდება, შეიძლება წავიყვანოთ ჩვენი ოჯახები და წავიდეთ. მაგრამ წინასწარ გეტყვით, რომ უცხოეთში დიდი ხნით ყოფნა და ცხოვრება გამიჭირდება...

■

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

— ქსელში დაწყებული სიყვარულის ამბავი მაგრძელებებით

დასაწყისი იხ. №35-52('06) - 8('07)

ამჯერად ჩვენი ონლაინ-რომანის ბოლო ნაწილს გთავაზობთ. მიუხედავად იმისა, რომ მას სათაურად — „შეაბი.ge პარალელურ სამყაროში“ აქვს, მკითხველები „ზურასა და ნატალის რომანს“ უწოდებდნენ. ვიცი, ბევრ თქვენგანს დასწყდება გული. რაღა დაგიმალოთ და — მეც. მაგრამ ოდესღაც ხომ უნდა დასრულებულიყო!.. ნატას ჩამოსვლის შემდეგ, როდესაც მათ ცხოვრებაში რაიმე შეიცვლება, ამის შესახებ აუცილებლად გაცნობებთ.

ამ დღეებში გორიდან 90 წლის ქალბატონმა დამირეკა და ჩვენი რომანის გმირებს მოესიყვარულა; ზურა, ნატა, ნინო და ირაკლი გორში სტუმრად დაპატიჟა. იმედია, ეს სტუმრობაც შედგება და ამის შესახებაც მოგიყვებით.

მომდევნო ნომრიდან კი შეგიძლიათ, ახალი რეალური რომანი — „სიცოცხლემისჯილი“ წაიკითხოთ „გზის“ ფურცლებზე და მის გმირს, ზაზა ჩუთლაშვილს უგულშემატკივროთ. მერწმუნეთ, მას გაცილებით მეტად სჭირდება თქვენი მხარდაჭერა, ვიდრე წინა რომანის გმირებს...

ახლა კი, ჯერ მკითხველების მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გაგაცნობთ.

მარი ჯაფარიძე

„აუ, მარი, რა კარგი ვინმეა ზურა, რა!.. არა, ნატალიც ხომ კარგია, მაგრამ ზურა სულ სხვაა... ახლა ვიცი, ნატალისთან ბაჩო გაიჩითება. „სანტაც“ მაგან გამოუგზავნა და ცოლობას სთხოვს. ბაჩოს მინდა ვუთხრა, რომ დაგვიანდა... ნატალი და ზურა, აუცილებლად ერთად იქნებიან. სვანი გოგო“.

„მარი, ამ რომანს პირველსავე დღიდან ვკითხულობ და ნატას ვგულშემატკივრობდი, მაგრამ ახლა ძალიან „გაბლატავდა“. დაიღალა ვითომ, რომანის კითხვით. მაშინ ხომ კარგი იყავი, როცა მისი ამბის ქვეყნისთვის მოდება განიზრახე... ახლა შუა გზაზე, დაიღალა ქალი!.. კეთილი ინებოს და დაწყებული საქმე ბოლომდე მიგაყვანინოს. სოფო“.

„ზურა და ნატა ძალიან მომწონს, მაგრამ როცა ვფიქრობ, რომ შესაძლოა, ჩემი ქმარიც აღმოჩნდეს მსგავს სიტუაციაში, მაშინ ვცოფდები... მაგრამ ნატ, შენ მაინც მიყვარხარ...“

„ნატა ძალიან მაგარია და მაგრად მიყვარს. მასწავლოს, როგორ შევაბა ზურასნაირი ტიპი. „გზა“ ძალიან მაგარია. მარი“.

„ახლა დავამთავრე ბოლო ნაწილის კითხვა. ისეთი გულისფანცქალით ვკითხულობდი, რომ თვალზე ცრემლიც კი მომადგა. ორივე ძალიან მიყვარს და ბედნიერებას ვუსურვებ. შენც ბედნიერი იყავი, მარი, იმიტომ, რომ იმსახურებ, ოღონდ, მართლა... გკოცნით და მიყვარხართ. მიკა“.

„რა დამთხვევაა: მეც ზურასავით, აპრილის ბოლო კვირას ველი საყვარელი ადამიანის ჩამოსვლას. მთელი ზამთრის განმავლობაში ამ რომანმა გადამატანინა ჩემი უსაშველო მოლოდინი. თითქოს ისე აღარ მაწვალებდა მარტოობის განცდა. თქვენ არ იცით, როგორ დამეხმარეთ. მადლობა, მარი, შენ და „გზას“. ზურა, აპრილამდე რაღა დარჩა? მედეა“.

„მარი, რომანის ბედნიერ ფინალთან ერთად, იქნებ, მისი გმირების სურათებიც დაბეჭდოთ? დარწმუნებული ვარ, ყველას ძალიან უნდა მათი ნახვა. ზურას კი ვეტყვი, რომ ძალიან რომანტიკულია. ამიტომაც გიუდება ნატალი მასზე. მიყვარხართ. ფახუცანა“.

„აუ, მარი, რა ცუდ გუნებაზე დამაყენე!.. 9 დღე როგორ გაძლეს ნატამ და ზურამ ერთმანეთის გარეშე? ნატა, ეგოისტი ყოფილხარ. ეგ ბავშვი მარტო შენი არ არის. ისე, ზურას არ დამითმობ?..“

„ნატა, ძალიან კარგ ადგილზე ხარ, მანდ, ამერიკაში. დარჩი სონასთან. ზურა კი მე დამითმე. მარი, ზურას ნომერი მომეცი, რაა...“

„ძალიან მაგარი გოგოა ნატალი. რა გინდათ, ქალებო? მე, როგორც მამაკაცი, ახლა ჩემს აზრს გეტყვით. ნატალის ვერავინ გაამტყუნებს. ის ძალიან კარგი გოგოა. თქვენ, მისი ოპონენტები, უბრალოდ, შურით სკდებით. არც ერთი თქვენგანი არ იტყოდა უარს ზურასნაირ კაცზე. ასე რომ, ნუ ატ...“

„საქმე ისაა, რომ ამ ძალიან მაგარმა რომანმა მე საყვარელი ადამიანი დამაკარგვინა. ვაღიარებ, რომ ძალიან მაგარი ამბავია, ძალიან მაგრად დაწერილი, რომელიც აგერ, უკვე რამდენიმე თვეა, ჩვენ თვალწინ ვითარდება. ჰოდა, რაც მეტი დრო გავიდა, მით მეტად მივხვდი, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი. მე განათხოვარი ქალი ვარ და უკვე 3 წელია, მეგობარი მამაკაცი მყავს. ფული, ქონება და თანამდებობა არც მას აკლია, მაგრამ ზურასნაირი ნამდვილად ვერ არის. ზურასთან შედარებამ მისი ბევრი უარყოფითი თვისება დამანახვა. სწორედ ამის გამო, ხშირად ვკამათობდით და საბოლოოდ, 2 კვირის წინ დავშორდით. აი, ასე... კარგად“.

ახლა კი ამბავს მივუბრუნდეთ, რომელიც წინა ნომერში იქ შევწყვიტეთ, როდესაც ნატალის თოვლის ბაბუამ ზურას გამოგზავნილი საჩუქარი მიუტანა და მალე კარზე ვიღაცამ ზარი დარეკა.

— გაუღე, ნატ, გაუღე, მოვიდა, — პირველი ელენე წამოხტა ფეხზე. მე კარის გაღებას არ ვჩქარობდი. დაბნეული ვიყავი და ვცდილობდი, აზრი მომეკრიბა და გული საგულეში ჩამდგარიყო. ვიდრე კართან მივიდოდი, ვიღაცამ საკეტს გასაღები გარედან მოარგო და გადაატრიალა. კარი გაიღო და ზურა გამოჩნდა. ჯერ გარედან შემოიხედა, მერე დერეფანში შემოვიდა. შევეგებე. მომეხვია და გულში ჩამიკრა. ლოყა თავზე დამადო და მკლავები ისე მომიჭირა, რომ სუნთქვა შემეკრა. მერე დაიხარა და ტუჩები ყურთან მომიტანა.

— მარტო ხარ? — ჩამჩურჩულა და თან, ცხელი ტუჩები ლოყაზე მომადო.

— არა, ელენეა, — ჩურჩულით ვუთხარი მეც. მერე თვალებში შევხედე და ქვემოდან შევცინე.

— ისევ გიყვარვარ? — მკითხა ზურამ.

— ისევ ვგიჟდები. — საერთოდ აღარ მახსოვდა, რომ მასზე გაბრაზებული ვიყავი.

— მეც! — მითხრა, ხელი გადამხვია და ლამის იღლიაში ამოჩრილი შემიყვანა ოთახში. ძლივს დავიძვრინე თავი მისი მკლავისგან. თმა გამჩეჩოდა და ყალყზე მედგა. ელენემ რომ დამინახა, სიცილი აუტყდა.

— გამარჯობა, გილოცავთ, მრავალს დაესწარით, — ხელი გაუწოდა ზურამ ელენეს. — თუ არ ვცდები, თქვენ ელენე უნდა იყოთ.

— დიახ, ელენე ვარ... თქვენც გილოცავთ, — სიცილ-სიცილით შეაგება ხელი ელენიკომ.

— ნატ, სადარბაზოში რაღაც დამრჩა, შემოიტანე, — მომიბრუნდა ზურა. იქ მოზრდილი ცელოფანის პარკი იდო, რომელშიც ათასგვარი ტკბილეული და სასმელი იდო. პარკი ძლივს მივათრიე მაგიდასთან და ამოლაგება დავიწყე.

— აბა, რას დალევთ? — იკითხა ზურამ, ფუთაში ჩაყო ხელი და კონიაკის ბოთლი ამიღო. — ნატას კონიაკი უყვარს, ხომ, ნატ?

— კი, მაგრამ ახლა ვერ დავლევ, — ვიუარე მე.

— ისე დალევ, რომ მზე მაღლა იქნება...

— მზე მაღლა დილით იქნება და მეც დილით დავლევ... — ყალბად გავჯიუტდი, რადგან ვიცოდი, რომ ზურასთან უარის თქმა არ გამივიდოდა.

— მოდი, მომიჯექი გვერდით, — დივანზე დაატყაპუნა ხელი ზურამ. მის ბრძანებას დავემორჩილე. — ამ ჭიქით იმ ახალი წლის ღამეს გაუმარჯოს, როცა მე ნატას ხელი ვთხოვე, არ მახსოვს მერამდენედ და როგორც იქნა, მისგან დადებითი პასუხი მივიღე.

— საიდან მოიტანე, რომ თანახმა ვარ?

— ნატა, ნუ მაბრაზებ... 2007 წელი ჩვენი შეუღლების წელი იქნება და ჩვენი „გასამებისაც“.

— ეგ რას ნიშნავს? — შევიშმუშნე, ვითომ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

— ეგ იმას ნიშნავს, რომ მე და შენ პატარა ბიჭი ან გოგო გვეყოლება და „გავსამდებით“...

— ოოო, ეგ მაგარი სადღეგრძელოა... — აიტაცა ელენემ მისი ნათქვამი და ჭიქას წამოავლო ხელი.

— გაგვიმარჯოს! — ვთქვი ხმადაბლა და კონიაკი ოდნავ მოვსვი, მაგრამ ზურამ თავი არ დამანება, ვიდრე ჭიქა ბოლომდე არ გამოვცალე.

მესამე სადღეგრძელოზე მივხვდი, რომ სასმელი მომეკიდა და დალევაზე სასტიკი უარი განვაცხადე. ამ დროს ჩემმა მობილურმა დარეკა. ნომერს დავხედე, ნინო იყო.

— ბატონო! — ვუპასუხე, ავდექი და სამზარეულოში გავედი.

— გილოცავ, ნატალი! გძინავს? — „გილოცავ, გილოცავ!“ — ტელეფონში ჩაყვიროდა ირაკლიც.

— არა, არ მძინავს, სტუმრები მყავს...

— მე და ირაკლის გვინდა მოსვლა. ვინ არიან შენთან?

— მოდით, რა, აუცილებლად მოდით... — გამიხარდა, ჩემთან სტუმრობას რომ აპირებდნენ.

— ალბათ, შინაურები იქნებიან, ხომ? — ნინო ცდილობდა, დაეზუსტებინა ჩემი სტუმრების ვინაობა.

— მოდი და ნახავ, — განგებ არ ვაკმაყოფილებდი მის ინტერესს.

— კარგი, 20 წუთში მოვალთ.

ნინომ ყველაფერი იცოდა, რაც ჩემსა და ზურას შორის მოხდა. იმ დღეებში, როდესაც მე და მისი ძმა არ ვკონტაქტობდით, ის თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩემთან. მამშვიდებდა, მეუბნებოდა — ზურა აუცილებლად დაგიბრუნდებაო. ახალი ამბავი ჯერ არ იცოდა და ახლა ზურას დანახვა ძალიან გააკვირვებდა. როდესაც ოთახში შევბრუნდი, ზურას ეჭვიან მზერას გადავაწყდი. ალბათ, ინტერესით კვდებოდა, ვის ველაპარაკებოდი. მე ისეთი სახე მივიღე, ვითომ ვერ მივხვდი და ჩემს ადგილს დავუბრუნდი.

— უარი ხომ არ უთხარი სტუმრებს მოსვლაზე? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— არა, რატომ უნდა მეთქვა უარი? ცოტა ხანში მოვლენ.

— მე წავალ, — აიწურა ელენე. ზურა ეხვეწა, დარჩენილიყო, მაგრამ ვერ გადაათქმევინა, ამიტომაც ტაქსი გამოიძახა და ელენე გააცილა. ეზოდან გაყინული ამოვიდა, ოთახში ხელების ფშვნეტით შემოვიდა. მე სამზარეულოში ვიყავი და კერძს ვაცხელებდი, რომ სტუმრებისთვის ცხელ-ცხელი მიმერთმია. ზურაც იქ შემოვიდა, თავისკენ შემატრიალა და ჩამეხუტა. გამეცინა, რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ სწორედ ასე მოიქცეოდა. კარგა ხანს ვეფერებოდით ერთმანეთს. მისი კოცნისა და მოფერების სურვილს კი ვერ ვიკმაყოფილებდი. „ნატალი, მიყვარხარ... ნატალი, ჩემი სიცოცხლე ხარ... ჩემი ცხოვრება... ჩემი პატარა... ჩემი ვნებათაღელვა... ჩემი სულელი... როგორ გნატრობდი... როგორ მსურდი... როგორ მაკლდი...“ — ჩურჩულებდა ზურა და ამით მეტად მაგიჟებდა. ლამის კერძი დავწვი.

— დამაცადე, ხანძარი არ გავაჩინოთ...

— რა დროს სტუმრებია ახლა? მოდი, ვითომ შინ არ ვართ... მარტო მე და შენ ვიყოთ, რა�ა...

— ისეთი ხალხი უნდა მოვიდეს, რომ ეგ ტყუილი არ გაგვივა, — გამეცინა მის წინადადებაზე.

— ვინ არიან ასეთი? შენი და და სიძე ხომ არა? — მკითხა თუ არა, კარზე ბრახუნი გაისმა.

— გააღე და ნახავ, ვინც არიან.

— მიდი, შენ გააღე, მე ხომ ჯერ სიძე არ ვარ? — თქვა და სარკეში ჩაიხედა. როგორც ჩანს, კარგი შთაბეჭდილების მოხდენა უნდოდა. ამასობაში, კიდევ ერთხელ დააკაკუნეს.

— გააღე, ცუდი არაფერი იფიქრონ... — შეწუხდა ზურა.

— ნატალი, გააღე, ჩვენ ვართ! — მოისმა გარედან ნინოს ხმა.

— ერთი ამას უყურე! ნინო ყოფილა... — შვებით ამოისუნთქა ზურამ და კარისკენ წავიდა.

— ვა, ზურა? — არცთუ ისე გაიკვირვა ნინომ და და-ძმა ერთმანეთს გადაეხვია. მერე ნინო ჩემკენ წამოვიდა, ხოლო ზურამ და ირაკლიმ ერთმანეთს მიულოცეს ახალი წელი და ზურა მას „ზალაში“ შეუძღვა.

— გოგო, როგორ მოხვდა აქ ეს „აბდალა“? — შეთქმულივით მკითხა ნინომ. მე მარჯვენა ხელი გავუწოდე, რომლის არათითზეც ზურას ნაჩუქარი ბეჭედი მეკეთა.

— ვაუუ! — აღფრთოვანდა ნინო და ლოყაზე მაკოცა. მერე, ცხელი კერძით სავსე თეფში ჩამომართვა და ორივენი ოთახში გავედით. დავჯექი თუ არა, თავი ცუდად ვიგრძენი და ძალზე სწრაფად გამოვედი ოთახიდან. აბაზანაში შევედი და უნიტაზში თავით ჩავეყუდე. გული მერეოდა და თავს საშინლად ვგრძნობდი. უეცრად, შუბლზე ვიღაცის ხელის შეხება ვიგრძენი. მივხვდი, ნინო იყო. როგორც იქნა, წელში გავიმართე და ცივი წყლის ონკანი მოვუშვი. კბილები გავიხეხე, პირიც დავიბანე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნინო უხმოდ მადევნებდა თვალს. იქიდან სამზარეულოში გავედი. გამომყვა.

გაგრძელება იხ. გვ. 66.

ცოლ-ქმარი არასრულწლოვნის მოტაცებისთვის გაასამართლეს

ბრალდების თანახმად, ეს მათ ფულის გამოძალვის მიზნით ჩაიდინეს

ეს ფაქტი თბილისში, ნაძალადევის რაიონში მოხდა. 11 წლის ნიკო, რომელიც მთელი დღის განმავლობაში, შინ დედასა და თავის უმცროს ძმასთან ერთად იმყოფებოდა, ნაშუადღევს, უეცრად გაუჩინარდა. დედას ბავშვი თვალთახედვის არიდან დაეკარგა და ეს მაშინ მოხდა, როცა ის შვილებთან ერთად, სულ რამდენიმე წუთით, კორპუსის წინ მდებარე ეზოში ჩავიდა. როგორც ჩანს, გამტაცებლები დიდი ხანი ჩასაფრებულები იყვნენ და პირველივე ხელსაყრელი მომენტი გამოიყენეს. ბავშვი რომ ვერსად იპოვა, თავზარდაცემულმა დედამ ჯერ ქმარს, შემდეგ კი, პოლიციასაც დაურეკა... შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს მან შემზარავ დანაშაულში ეჭვმიტანილებიც დაუსახელა...

მეგი ცანავა

ბრალდების თანახმად, ბოროტმოქმედებმა ბავშვი ფულის გამოძალვის მიზნით, წინასწარ ჩაფიქრებული გეგმის თანახმად მოიტაცეს. თუმცა, ეს ფაქტი ყველას აოცებდა, რადგან გუგეშაშვილების ოჯახი საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა და მათდამი გამტაცებელთა ინტერესს ვერაფრით ხსნიდნენ. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ბოროტმოქმედები, მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ, ოჯახს 2.000 დოლარის გადახდას სთხოვდნენ.

„ახლობლებმა და მეზობლებმა უკვე ფულის შეგროვებაც კი დაიწყეს. რა თქმა უნდა, ბავშვის გამოსახსნელად ყველაფერს გავიღებდით, მაგრამ საქმეში ჩართული სამართალდამცველები გვთხოვდნენ, მათი მითითებების თანახმად გვემოქმედა“, — აღნიშნა დაკითხვისას დაზარალებულმა. მანვე თქვა, რომ გამტაცებლები მას მობილურ ტელეფონზე ჯერ კიდევ შემთხვევის ადგილზე პოლიციის მისვლამდე დაუკავშირდნენ. მან ერთ-ერთი მათგანი ხმაზე კარგად იცნო და ამიტომაც სამართალდამცველებისთვის ეჭვმიტანილების დასახელება შეძლო.

ამ საშინელ დანაშაულში ეჭვმიტანილები კი — არც მეტი, არც ნაკლები — წლების მანძილზე, დაზარალებულ ოჯახთან საკმაოდ დაახლოებული ცოლ-ქმარი — ავთო და ირმა ხვინგიები აღმოჩნდნენ. კრიმინალური წარსული არც ერთ მათგანს არ ჰქონია და არც რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ყოფილან ოდესმე შემჩნეულნი, მაგრამ გამოძიებას, ის, რომ აღნიშნული დანაშაული სწორედ მათ ჩაიდინეს, სადავოდ არ გაუხდია. ბრალდების მხარემ მათ, ანგარების მიზნით, კარგად გათვლილ და ორგანიზებულ დანაშაულსა და არასრულწლოვნის მიმართ გამოჩენილ ძალადობასა და საშიშ მუქარაში დასდო ბრალი.

წაყენებულ ბრალდებაში ცოლ-ქმარმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მართალია, მათ ბავშვის მოტაცება აღიარეს, მაგრამ მის მიმართ ძალადობა და მუქარა კატეგორიულად უარყვეს. ბრალდებულთა დაკითხვის ოქმებით, ისევე, როგორც საქმის მასალებში არსებული, რამდენიმე მოწმის ჩვენებით ირკვევა, რომ გუგეშაშვილებისა და ხვინგიების ოჯახებს შორის დავა და შუღლი წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა. ამის მიზეზი, აღნიშნული ჩვენებების მიხედვით, ფული იყო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ვალებში ჩავარდნილმა ვაჟა გუგეშაშვილმა ხელის მონაცვლება გადაწყვიტა და ფულის სასესხებლად თავის ძველ ნაცნობს — ავთო ხვინგიას მიმართა. ხვინგიას, რომელიც ვაჭრობით არჩენდა ოჯახს, იმ დროისთვის ეს თანხა სრულად აღმოაჩნდა სახლში და გუგეშაშვილს ასესხა. მაგრამ შეთანხმდნენ, რომ ვალი პროცენტიანი იქნებოდა. ამ პირობას გუგეშაშვილი, როგორც ბრალდებული ჩვენებაში წერს, უყოყმანოდ დათანხმდა და ამ დახმარებისთვის მას დიდი მადლობაც გადაუხადა.

პირველი ორი თვის მანძილზე, ბრალდებულების თქმით, გუგეშაშვილებმა მევალეებისთვის სესხად აღებული თანხის 20 პროცენტის მიცემა შეძლეს, მაგრამ ამის შემდეგ, ფულის გადახდა შეწყვიტეს, თავს ხელმოკლეობით იმართლებდნენ და ხვინგიებს მომავალში ყველაფრის ერთად გადახდას ჰპირდებოდნენ. *„რაც დრო გადიოდა, მით უფრო არიდებდნენ ჩვენთან კონტაქტს თავს. ტელეფონზე არ გვპასუხობდნენ, სახლში ვაკითხავდით და კარს არ გვიღებდნენ. ფაქტი იყო, რომ გვემალებოდნენ. ფული იმ პერიოდში, ჩვენც ძალიან გვჭირდებოდა, რადგან ჩემს მამამთილს თავის ტვინზე კეთილთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. ოპერაცია დაუყოვნებლივ უნდა გაეკეთებინა, რადგან ექიმების თქმით, დიდი იყო შანსი, მდგომარეობა ძალიან მალე გაუარესებოდა და სასიკვდილო შედეგამდეც მივსულიყავით. მის სამკურნალოდ და საოპერაციოდ საკმარისი ფული არ გვქონდა და რადგანაც გუგეშაშვილებმა ვალი არ დაგვიბრუნეს, იძულებულები გავხდით, ჩვენც სესხი აგვეღო. ჩემი ქმარი რამდენჯერმე შეხვდა ვაჟა გუგეშაშვილს და ვალის დაბრუნება კატეგორიულად მოსთხოვა, არაერთხელ გადაუვადა კიდეც, მაგრამ ამით ვერაფერს გავხდით“,* — წერს ჩვენებაში ბრალდებული **ირმა ხვინგია**.

ბრალდების მიხედვით, განაწყენებულსა და გაღიზიანებულ ხვინგიებს საშიში დანაშაულის ჩადენის იდეა დაებადათ. გუგეშაშვილებისგან ფულის ამოღება, მათი არასრულწლოვანი შვილის მოტაცების გზით გადაწყვიტეს. გამოძიების მასალების მიხედვით, ასეთი განზრახვა პირველად, ქმარს გაუჩნდა. დანაშაულის ჩადენის იდეა ავთო ხვინგიას ცხელ გულზე დაებადა თუ დიდი ხანია, ეს აზრი აჰკვიატებოდა, საქმის მასალებში დაზუსტებული არ გახლავთ, მაგრამ ის კი აღნიშნულია, რომ როცა განზრახვა ცოლს გაანდო, მისგან წინააღმდეგობას არ შეხვედრია, პირიქით, ქალმა ქმრის წინადადება უყოყმანოდ მიიღო და როგორც ჩანს, დანაშაულის გეგმაზეც აქტიურად დაიწყო ფიქრი.

ცოლ-ქმარმა მოილაპარაკა და შესაფერისი მომენტის შერჩევას შეუდგა. დრო და ადგილი შეარჩიეს და რადგან ოჯახის წევრების ასავალ-დასავალი კარგად იცოდნენ, იქვე, კორპუსთან ახლოს, საკუთარი ავტომანქანით ჩასაფრდნენ. ავთო ხვინგიამ ჩვენებაში აღიარა, რომ მათ დილიდან მოუხდათ ლოდინი. როცა ბავშვებთან ერთად მიმავალ გუგეშაშვილის ცოლს მოჰკრა თვალი, მოახერხა და მისთვის შეუმჩნევლად, ნიკოს დაუძახა, ბავშვს მიუახლოვდა, პირზე ხელი ააფარა და მანქანაში ჩასვა. დედამ, რომელსაც ეგონა, რომ უფროსი ვაჟი უკან მიჰყვებოდა, მისკენ მიიხედა; რომ ვერ დაინახა, ეზოში მისი ძებნა და შვილის სახელის ძახილი დაიწყო. იმ დროისთვის, გამტაცებელთა მანქანა კარგა ხნის მიფარებული იყო თვალს.

დაახლოებით ერთ საათში, ხატია გუგეშაშვილს მობილურ ტელეფონზე დაურეკეს. *„უცხო ნომერი იყო. მაშინვე ვუპასუხე, რა თქმა უნდა. ჯერ მამაკაცის ხმა გაისმა. ალოო, — მითხრა და ამის შემდეგ, ბავშვი დამელაპარაკა. მითხრა — დედა, მეუბნებიან, ფულს რომ მოიტან, მაშინ გაგიშვებთო. ამის შემდეგ, კავშირი გაწყდა. „ალო“-ს გაგონებისთანავე მეცნო ავთო ხვინგიას ხმა და ამის შესახებ პოლიციელებსაც ვუთხარი“,* — წერს დაზარალებული. მისი თქმით, ბავშვს ნერვიულობა არ ეტყობოდა, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, მასზე ძალადობასა და საშიშ მუქარას ჰქონია ადგილი.

გამოძიების მასალების თანახმად, გამტაცებლებმა ბავშვი გლდანის რაიონში მდებარე, ვაჟა ხვინგიას მამიდის კუთვნილ, წლების მანძილზე დაკეტილ ბინაში მიიყვანეს. დედის მობილურზე მას განმეორებით დაარეკვინეს და ათქმევინეს, რომ სანამ ფულს არ გადაიხდიდნენ, მას არ გაათავისუფლებდნენ. ბავშვს დაასახელებინეს თანხაც — 2.000 დოლარი და ადგილიც — მეტროს სადგურ „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია, სადაც, როგორც ბრალდებულები ამბობენ, მას ავთო ხვინგია შეხვდებოდა. თუმცა, როგორც დაზარალებული ამბობს, იმის თაობაზე, თუ ვინ შეხვდებოდა, მისთვის ბავშვს არ უთქვამს, გამტაცებლებს კი არც დალაპარაკებია.

სამართალდამცველებმა ეჭვმიტანილთა ადგილსამყოფელს იმავე ღამეს მიაგნეს და გატაცებული ბავშვის გათავისუფლებაც შეძლეს. ნიკო გუგეშაშვილის სხეულზე ძალადობის ნიშნები არ დაფიქსირებულა, თუმცა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, გამტაცებელთა მხრიდან ძალადობისა და მუქარის შესახებ ბავშვმა დაკითხვისას აღნიშნა. ამას დღემდე კატეგორიულად ეწინააღმდეგება, ამჟამად უკვე მსჯავრდებულების მხარე. ცოლ-ქმარი ხვინგია ამბობს, რომ საქმეში მტკიცებულება ძალადობის შესახებ არ მოიპოვება, თავად ნიკო გუგეშაშვილი

MK

კი ვერ აზუსტებს, კონკრეტულად რა ძალადობას ჰქონდა მის მიმართ ადგილი. მათივე თქმით, მათ ბავშვისთვის ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა გეგმაში არ ჰქონიათ. „მას კარგად ვექცეოდით. არ დაგვიშინებია, პირიქით — ვეუბნებოდით, რომ სახლში ძალიან მალე წავიყვანდით. შემდეგ მას ტკბილეულობაც ვუყიდეთ...“ — წერს ჩვენებაში ვაჟა ხვინგია. სასამართლო პროცესზე სახლში დაბრუნების შესახებ დაპირებები და ტკბილეულობის ყიდვის ფაქტი თავად ნიკო გუგემაშვილმაც დაადასტურა, თუმცა, ბრალდების მხარის აზრით, ყოველივე ეს, განსასჯელთა მიერ ჩადენილ დანაშაულს არ ამსუბუქებდა. დაზარალებულისა და ბრალდების მხარეებმა კანონის მთელი სიმკაცრით მათი დასჯა მოითხოვეს. განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა სასამართლომ:

მართალია, ხვინგიები არასრულწლოვნისთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთაში დამნაშავეებად ცნეს, მაგრამ გამორიცხეს მძევლის მიმართ ძალადობის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ დაკავებულებს თან არანაირი იარაღი არ აღმოაჩნდათ. იარაღის არსებობას უარყოფს თავად გატაცებული, ნიკო გუგეშაშვილიც. როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო პალატის წევრებმა მიიჩნიეს, რომ მსჯავრდებული ცოლ-ქმარი სასჯელის ნაწილში ერთგვარ ლმობიერებას იმსახურებდა. როგორც მოსამართლეებმა აღნიშნეს, გაითვალისწინეს მათი წარსული და ისიც, რომ გამოძიებისთვის თავი არ აურიდებიათ, პირიქით — მათ აღიარეს ჩადენილი დანაშაული და ის სასამართლო პროცესზე საჯაროდ მოინანიეს კიდეც. ყოველივე ეს, სასამართლომ საკმარისად ჩათვალა სასჯელის შესამსუბუქებლად. დამნაშავეებად ცნობილ ცოლ-ქმარს 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ■

ტაკისხვის ოჯმეში არაადამიანური წამების საზარელ დეტალებს აღწერს

„რომ ნდომოდათ, ამ საქმეს გახსნიდნენ, მაგრამ მაშინ საშინელ სინამდვილეს აეხდებოდა ფარდა...“

ბანდიტიზმის, არაერთი ყაჩაღური თავდასხმის, ძარცვის, ქურდობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის სამკაციანი ყაჩაღური დაჯგუფება გასასამართლეს. ბრალდებებს შორის ყველაზე შემზარავი, ხონის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ჩადენილი დანაშაული აღმოჩნდა. გამოძიების მიერ წარმოდგენილი მასალები მკვლელობის სადისტურ, არაადამიანური წამების საზარელ დეტალებს აღწერს. კიდევ უფრო შოკის მომგვრელია დაზარალებული მხარის წარმომადგენელთა შორის გავრცელებული ვერსია, რომელიც ოჯახში გადამალულ დიდძალ და ძვირფას განძს და დაზარალებულთათვის მანამდე ყველაზე საიმედო ადამიანების საშინელ დანაშაულთან კავშირს ეხება...

ეს ოჯახი საღამოობით კარს არავის უღებდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი მეზობელი — დიტო ონიანის (გვარები შეცვლილია) ოჯახი. ისინი ერთმანეთს ენათესავებოდნენ, ახლობლობდნენ და ბაწაძეებიც მათ ყველაფერში ნდობას უცხადებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ბაწაძეები არა მარტო სოფელში, არამედ მთელ რაიონში ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახად ითვლებოდა. როგორც ჩანს, მათი ქონების ამბავმა კრიმინალების ყურამდეც მიაღწია.

„...ის პერიოდი ჩვენს რაიონში ძალიან დაძაბული აღმოჩნდა. ერთი კვირის განმავლობაში, შეიარაღებულმა ყაჩაღურმა ბანდამ ზედიზედ სამი ოჯახი დააყაჩაღა. არც ერთი საქმე არ გახსნილა. ვვარაუდობთ, რომ დანაშაულები ერთი და იმავე ბანდის მიერაა ჩადენილი. ბანდიტები ნიღბებით იყვნენ, თუმცა გამოძიებას მაინც უამრავი მტკიცებულება ჰქონდა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. შემთხვევის ადგილზე ტყვიის მასრები, ნაფეხურები, სხვადასხვა ნივთიდან კი, თითის ანაბეჭდებიც აიღეს. გამოძიებას რომ ნდომოდა, ამ საქმეს უთუოდ გახსნიდა, მაგრამ მაშინ საშინელ სინამდვილეს აეხდებოდა ფარდა. როგორც ჩანს, საქმის შედეგით დაინტერესებული პირი მრავლად იყო პოლიციასა და პროკურატურაში. ხალხი იმასაც ამბობდა, ერთ-ერთი ბოროტმოქმედი და ბანდის აქტიური წევრი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ბაწაძეების დაყაჩაღებასა და ოჯახის უფროსის სადისტურ მკვლელობაში, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ახლო ნათესავი აღმოჩნდა და საქმე ამიტომაც ჩაფარცხესო...“ — აღნიშნავს დაზარალებულის ერთ-ერთი მეზობელი — **ოთარ სანოძე.**

მომხდარი ამბიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, შს სამინისტროს თანამშრომლებმა სამკაციანი ყაჩაღური ჯგუფი სპეცოპერაციის შედეგად აიყვანეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ეს ჯგუფი და მასთან კავშირში მყოფი, გამოძიებით დაუდგენელი კიდევ რამდენიმე კრიმინალი, ზემოთ აღნიშნულ სადისტურ დანაშაულში უშუალოდ მონაწილეობდნენ. ბრალდების მხარე ჯგუფის წევრებს, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულისთვის წარსულში მრავალჯერ იყვნენ ნასამართლევი, აღნიშნული ყაჩაღობის გარდა, კიდევ ათამდე ეპიზოდში სდებდა ბრალს, მათ შორის უმეტესობა, ავტომანქანების გატაცებას უკავშირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ დაკავებულმა პირებმა წარდგენილ ბრალდებებში მხოლოდ ნაწილობრივ ცნეს თავი დამნაშავედ. ავტომანქანების გატაცებაში მონაწილეობა აღიარეს, მაგრამ რაც შეეხება ბაწაძეების დაყაჩაღებასა და მკვლელობის ფაქტს, — ამ დანაშაულში ბრალი კატეგორიულად უარყვეს. სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ ყოფილან და ამ ოჯახის შესახებ არასდროს არაფერი სმენიათ. რაც შეეხება მათი ინტერესების დამცველ ადვოკატებს, ისინი აცხადებდნენ, რომ განსასჯელებს საქმის წინასწარი გამოძიების პერიოდში მომხდარი, გაუხსნელი საქმეებიც მიაწერეს...

დაზარალებულის ჩვენებიდან:

„...ამ უბედურებამდე ზუსტად ხუთი დღით ადრე, სახლში ჩვენი სიძე მოვიდა და მე და ჩემს მეუღლეს დაგვიბარა, ფრთხილად და ყურადღებით იყავით, სახლში უხცო არავინ შემოუშვათ, კარი არავის გაუღოთო. საერთოდ, ყოველთვის ვფრთხილობდით, რადგან ბოლო პერიოდში, რაიონში, ქურდობებმა და ყაჩაღობებმა შესამჩნევად იმატა. მოსახლეობა დაშინებული იყო და ბუნებრივია, ჩვენც გავაასკეცეთ ყურადღება. ამან არ გვიშველა. როგორც ჩანს, ყველაფერი ბედისწერა იყო და ამ უბედურებას თავიდან ვერაფრით ავიცილებდით... სახლის ეზოს ქვის, საკმაოდ მაღალი გალავანი აკრავს, ჭიშკარიც მუდამ კარგად იყო დაცული. საქმე ის გახლავთ, რომ ძალიან პატარა ეზო გვაქვს და ჭიშკართან, სახლში შესასვლელი კარიც ახლოსაა. სწორედ ამის გამო, ჩემმა მეუღლემ კარსაც დაუმონტაჟა გარედან გისოსები. გვიან საღამოს ვკეტავდით ხოლმე სახლში ყველა შესასვლელს, რადგან მოხუცები მარტო ვცხოვრობდით და გვეშინოდა...“

მეზობლის — დიტო ონიანის ჩვენებიდან:

„...ჩვენი სახლი ბაწაძეების გვერდით დგას, ეზოები ერთმანეთს ესაზღვრება... იმ საღამოს ყველანი შინ ვიყავით: მე, ჩემი მეუღლე, ვაჟიშვილი, რძალი და ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი. ზამთარი იყო, თებერვლის მიწურული, ძალიან ცივოდა და თოვდა კიდეც. საღამოს, დაახლოებით 9 საათი იქნებოდა და უკვე გვარიანად გახლდათ შებინდებული. ყველანი პირველი სართულის მისაღებ ოთახში ვისხედით და ტელევიზორს ვუყურებდით, ჩემი რძალი კი ბავშვებს საჭმელს უმზადებდა. უეცრად, ეზოდან ხმაური მოგვესმა, ჩემმა ვაჟმა, გიამ მითხრა — მგონი, ვიღაცა მოვიდაო. წამოდგომა და გარეთ გახედვაც ვერ მოვასწარით, რომ მოულოდნელად კარში მაღალი, შავნიღბიანი ახალგაზრდა მამაკაცი შემოვარდა და დაგვიყვირა — ხმა არ ამოიღოთ და არ გაინძრეთო! ორ წამში მას მეორე შემოჰყვა, მერე — მესამე, მეოთხე... სულ ექვსნი იყვნენ. უფრო ზუსტად, ექვსნი — სახლში, მისაღებ ოთახში შემოვიდნენ, მაგრამ გარეთ ვინ და რამდენი ელოდებოდათ, არ ვიცი. თითოეულ მათგანს ხელში ცეცხლსასროლი იარაღი ეჭირა, ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები, მხოლოდ ერთს დავუნახე პისტოლეტი... ისინი თვალის დახამხამებაში მიცვივდნენ ქალებს და ბავშვებს. ბავშვებს

პირზე ხელი ააფარეს, ჩემს მეუღლეს და რძალს კი ხელები უკან შეუკრეს და პირში რაღაც ჩვრები ჩასჩარეს. ამ მომენტში ჩემს შვილს თავზე ერთი ავტომატიანი ადგა და იარაღის ლულას პირდაპირ თავში უმიზნებდა. ჩემთან კი ის იდგა, ვინც პირველად შემოვიდა ოთახში. იარაღს მიმიზნებდა. ეს ყველაფერი რაღაც წამებში მოხდა, ისე, რომ აზრზე მოსვლა და იმის გაცნობიერება, თუ რა ხდებოდა, ოჯახის ვერც ერთმა წევრმა ვერ შეძელით. ალბათ ამიტომაც, ხმა არც ერთს არ ამოგვიღია, არც ქალებს და ბავშვებს უკივლიათ, ვიდრე ბანდიტები მათ პირებს აუკრავდნენ. გაოგნებულები და დადუმებულები ვუყურებდით ყაჩაღებს... ეს წამიერად მოხდა. როცა გავიაზრე, რაც ხდებოდა, იმასაც მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. ვინც თავზე მადგა, იმან მითხრა — იცოდე, ამათ ყველას შენ თვალწინ დავცხრილავთ, თუ იმას არ გააკეთებ, რასაც გეტყვითო... ყაჩაღებს ჩვენთვის არც ფული მოუთხოვიათ და არც ოქრო. მაგრამ ის, რაც ჩვენი ოჯახისგან უნდოდათ, ნამდვილი საშინელება იყო. ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი და მერჩივნა, ყველაფერი მიმეცა მათთვის, რაც მებადა, ოღონდაც თავი დაენებებინათ. იმ თავდამსხმელმა, რომელიც იარაღს მიმიზნებდა, მითხრა — წინ გაგვიძეხი და ბაწაძეებს კარი გააღებინე, რაც გინდა, მოიფიქრეო. როცა ვუთხარი, რომ ამას ვერაფრით შევძლებდი, იმან, რომელიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა და თან, ჩემს ვაჟს ადგა თავზე, მომაძახა — რასაც გეუბნება, გააკეთე, თორემ ტვინს გავასხმევინებო, — და გიაზე მიმითითა. იმავე წამს მას იარაღის ლულა ჩასჩარა პირში. ეს რომ დავინახე, თვალთ დამიბნელდა, მაგრამ არ ვიცი, რაღაცნაირად მოვთოკე თავი, რადგან ვხვდებოდი, რომ ნებისმიერ წინააღმდეგობას, დაუმორჩილებლობას ან ყურადღების მოდუნებას, შეიძლებოდა, წარმოუდგენელ უბედურებამდე მივეყვანე... ცხადი იყო, რომ სხვა გზა არ მქონდა. ყველაზე მეტად კი, შვილიშვილების ბედი მაწუხებდა — ბავშვებს ფერი არ ედოთ და ძალიან იყვნენ შეშინებულები. მინდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გაშორებოდნენ ჩემს სახლს ბანდიტები. მაშინ ვუთხარი მათ, რომ ბაწაძეებს დავუძახებდი... მათ ეზოსთან რომ მივედით, თავდამსხმელები ისე დადგნენ, რომ ბაწაძეები მათ დანახვას, გარეთაც რომ გამოეხედათ, ვერ შეძლებდნენ. თუმცა, ის ნიღბიანი არ მომშორებია. ჭიშკართან რომ ვიდექი და გენადი ბაწაძეს ვუძახდი, მას ავტომატის ლულა ჩემს ზურგზე ჰქონდა მოდებული. სახლიდან ოთხნი გამომყვნენ, ორი შეიარაღებული თავდამსხმელი კი იქვე, ჩემი ოჯახის დანარჩენ წევრებთან დარჩნენ. სახლიდან გამოგვყვა ის ბანდიტიც, რომელმაც ჩემს შვილს პირში იარაღის ლულა ჩაუდო, მაგრამ მისი ადგილი სხვა ბოროტმოქმედმა დაიკავა, მეორე ავტომატიანი ბანდიტი ბავშვებსა და ქალებს სდარაჯობდა. გენომ (გენადი ბაწაძე) გამოიხედა. ჩემს ზურგს უკან მდგომი თავდამსხმელი მკარნახობდა — უთხარი, რომ შვილიშვილისთვის დამწვრობის მალამო გინდა და კარს გააღებსო. გენოს მეუღლე — მარგო სხვადასხვა სამკურნალო წამალს ამზადებდა ბალახეულით, განსაკუთრებით კი დამწვრობის მალამოთი ჰქონდა მთელ რაიონში სახელი განთქმული. როგორც ჩანს, ბოროტმოქმედებმა ეს ძალიან კარგად იცოდნენ. იმ მომენტში ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია, მხოლოდ მოგვიანებით, როცა დეტალები აღვიდგინე და ყველაფერი გავაანალიზე, მივხვდი, რომ ბანდიტებს ან ზედმიწევნით კარგად ჰქონდათ მოძიებული ინფორმაცია ამ ოჯახზე, ან მათ შორის ერია ისეთი ვინმე, რომელმაც ბაწაძეების შესახებ ბევრი რამ იცოდა...

გენოს ვუთხარი, რაც მიკარნახეს. მასაც ეჭვი არ შეჰპარვია. მოიცა, ახლავეო — დამიძახა და შინ შებრუნდა. რამდენიმე წამში გამოვიდა გასაღებით და ჭიშკარიც გააღო... მაშინვე მივარდა მას ერთ-ერთი ბანდიტი, რომელიც, როგორც ჩანს, სწორედ გენოს გამოჩენას ელოდა, კისერში სწვდა მას და წაიყვანა. დანარჩენები სახლში შეცვივდნენ, მეც შიგნით შემათრიეს... დიასახლისმა ერთი შეკივლა, მაგრამ მაშინვე გააჩუმეს. ამასობაში, იმ ბანდიტმა ეზოდან ხელებგაკავებული გენოც შემოიყვანა სახლში. ყველას იარაღს გვიმიზნებდნენ. ერთმა გადაულაპარაკა მეორეს — ამას რა ვუყოთო? — და ჩემზე ანიშნა. — იქ წაიყვანე, შენ მიხედეო, — უპასუხა. ამის შემდეგ, იქიდან ჩემს სახლში დამაბრუნეს. თან ერთი თავდამსხმელი მომყვებოდა. სამივენი თავზე გვადგნენ და იარაღის მუქარით განძრევის საშუალებას არ გვაძლევდნენ...“

დაზარალებულის — მარგო ბაწაძის ჩვენებიდან:

„...ქარიშხალივით გადაუარეს იქაურობას, ყველაფერი გადმოყარეს, კარადების უჯრები გადმოაპირქვავეს, ლოგინები აყარეს, სავარძლები და დივანი აყირავეს და დანებით სულ დაფატრეს. ძალიან აგრესიულად იქცეოდნენ, იმის მიუხედავად, რომ მე და ჩემი მეუღლე არ ვეწინააღმდეგებოდით. პირიქით, გენო ეუბნებოდა მათ — რაც გინდათ, წაიღეთ, ოღონდ ნუ გაგვანადგურებთ და მოგვსპობთო. მაშინ ერთი მიუტრიალდა და ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვა. ჩემმა მეუღლემ საკუთარი ხელით გამოუტანა მათ ძვირფასი სამკაულები და 400-მდე ლარი. მეტი ფული ჩვენ არ გვქონდა. ისიც ჰენსიებითა და დროდადრო ჩემი ქალიშვილის მიერ მოცემული მცირე თანხებით იყო თვეების მანძილზე დაგროვილი. სიცილი დააყარეს ჩემს ქმარს — ეს კი არა, შენ რომ იცი, ის ფული გამომიტანეო. გენო იფიცებდა, მეტი კაპიკი არ გამაჩნია, ეს არის, რაც მაქვსო. დაუწყეს ცემა და წამება. ჩემ თვალწინ წიხლებით შედგნენ ჩემს ქმარს და ურტყეს. ამის ყურება არ შემეძლო, ვცდილობდი, მეკივლა და იმ ბანდიტს, რომელიც მე მაკავებდა, გავუძალიანდი. შევეცადე, მისგან თავი დამეხსნა, მაგრამ ეს რომ იგრძნო, ხელი მკრა ძლიერად, იატაკზე დამაგდო, ზემოდან ლეიბები დამაყარა და ფეხებით შემდგა. ვგრძნობდი, რომ მარტო ერთი კი არა, რამდენიმე დადიოდა ზემოდან ამ ლეიბებზე, ხან მახტებოდნენ, ხან წიხლებს მირტყამდნენ და თან მაგინებდნენ. საშინელ ტკივილს ვიტანდი, ვგრძნობდი, როგორ დამელეწა მთელი სხეული, კივილი არ შემეძლო. გონება დავკარგე. როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ მოვკვდი, რადგან ამის შემდეგ ჩემი წამება აღარ გაუგრძელებიათ...“

სამაგიეროდ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ბოროტმოქმედებმა ოჯახის უფროსისთვის მოიცალეს. ცხადი იყო, რომ ყაჩაღური ჯგუფი კონკრეტული მიზნით გახლდათ ბაწაძეებთან მისული. ჯგუფის წევრებს ამ ოჯახში დიდი რაოდენობით ფული და ოქრო ეგულებოდათ. უფრო მეტიც, საქმის მასალებიდან გამომდინარე, ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ სახლში დიდი თანხა ნამდვილად ინახებოდა. ამიტომაც მოსთხოვეს გენო ბაწაძეს ეჩვენებინა მათთვის, თუ სად ჰქონდა სამალავი ან დამონტაჟებული სეიფი. დაზარალებულის თქმით, არც თავად და არც მისმა მეუღლემ ამ სამალავისა და მასში არსებული ფულის შესახებ არაფერი იცოდნენ და სიკვდილის პირამდე მისულები თავდამსხმელებს, საკუთარი სიცოცხლის გამოსახსნელად, ვერაფერს ეუბნებოდნენ. ამით კიდევ უფრო გაღიზიანებულმა და გამხეცებულმა ბანდიტებმა თავიანთი აგრესია გაასამმაგეს და საბოლოოდ, წარმოუდგენელ სადიზმამდე მივიდნენ... არაადამიანური ცემისა და წამების შემდეგ, ისედაც ცოცხალ-მკვდარი გენო ბაწაძე სასტუმრო ოთახში გაათრიეს და ოთახის შუაგულში დადგმულ დიდ, მრგვალ მაგიდაზე გულალმა დააწვინეს. დაგრეხილი ზეწრებით ის მაგიდას დააკრეს. შემდეგ იქვე მდგარი შუშიანი კარადიდან, ჭიქები და სასმელები გამოიღეს. როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით ირკვევა, ბოროტმოქმედები ბაწაძის წამების პარალელურად, კონიაკსა და შამპანურს მიირთმევდნენ. ოჯახის უფროსისგან დამაკმაყოფილებელ პასუხს რომ ვერ იღებდნენ, სასტიკად სცემდნენ მას, რათა როგორმე ეიძულებინათ, თანხის ადგილსამყოფელი დაესახელებინა. წამებისას ბაწაძეს ტანსაცმელი შემოახიეს, გააშიშვლეს, შემდეგ, პირში ჩვარი ჩასჩარეს და ცელოფანის პარკს ცეცხლი წაუკიდეს. გამდნარი ცელოფანის წვეთებს ისინი ბაწაძეს ჭიპში აწვეთებდნენ...

გამხეცებული ბოროტმოქმედები სასურველ შედეგამდე ვერც ამ საზარელმა ქმედებამ მიიყვანა. როცა დარწმუნდნენ იმაში, რომ ოჯახის უფროსისგან თანხას ვერ მიიღებდნენ, შამპანურის ბოთლი გადაამტვრიეს და ბოთლის ნახევარი ბაწაძეს პირდაპირ თავში ჩაარჭვეს... ბაწაძე ადგილზევე გარდაიცვალა...

თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილი დატოვეს. სახლიდან თან წაიღეს ის ფული და ძვირფასეულობა, რაც მათ აწ გარდაცვლილმა საკუთარი ხელით გადასცა. თანამზრახველებისგან ნიშნის მიღებისთანავე, ონიანების სახლი დატოვეს ჯგუფის დანარჩენმა წევრებმაც. საბედნიეროდ, იქ მათ სისხლი არ დაუღვრიათ. თუმცა, ოჯახის წევრებს განძრევის საშუალება არც მათი წასვლის შემდეგ მიეცათ, რადგან ბოროტმოქმედებმა ყველა მათგანი ხელფეხშეკრული და პირაკრული დატოვეს...

თუ რა მოხდა ლოჯიის გვერდით მდებარე სასტუმრო ოთახში, გონს მოსულმა

მარგო ბაწაძემ არ იცოდა. მას ხმები აღარ ესმოდა და ჩათვალა, რომ სახლში აღარავინ იყო. პირველი, რაც შეშინებულმა მოხუცმა თავზე დაყრილი ლეიბებიდან გამოძრომის შემდეგ გააკეთა, მეზობლებისთვის დაძახება იყო. როგორც თავად წერს ჩვენებაში, იგი ხოხვა-ხოხვით გავიდა სახლიდან, ისე, რომ სასტუმრო ოთახში არ შეუხედავს და ქმარი არ მოუკითხავს. როგორც თავად ახსნა, ჯერ კიდევ ეშინოდა ზედმეტი ხმაური აეტეხა, რადგან ბოლომდე დარწმუნებული იმაში, რომ ბანდიტებმა იქაურობა დატოვეს, არ იყო. ამის შიშით, არც ეზოში გასულს უკივლია. როგორც იქნა, ონიანების სახლამდე მიაღწია და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ყვირილი — მიშველეთო!

ონიანებისგან რომ არავინ გამოეხმაურა, მათ სახლში შევიდა, იქ კი გაკოჭილი და პირაკრული ოჯახის წევრები დახვდნენ.

„... მე თვითონ გავუხსენი ხელები დიტო ონიანს. მან კი დანარჩენები ახსნა. მიშველეთ-მეთქი ვტიროდი და ვკიოდი. მათ სხვა მეზობლებს დაუძახეს, შემდეგ პოლიციასაც დაუკავშირდნენ. ჩემს სახლში შესვლას ერიდებოდნენ, მაგრამ ქმრის ბედი მაინტერესებდა და გაჩერება არ შემეძლო. მე არ მიშვებდნენ. მეზობელი მამაკაცები შევიდნენ. ჩემი მეუღლე სასტუმრო ოთახში უნახავთ მოკლული და სასტიკად ნაწამები. რომ შევედით, იატაკზე უკვე სისხლის ტბა იდგა, გენოს გვამი მაგიდაზე იყო გაკრული და იქიდან იწრიტებოდა სისხლისგანო...“ — წერს **დაზარალებული**.

ონიანების ოჯახის საშიში თავგადასავალი მან მოგვიანებით შეიტყო. *„ჭიშკრიდან რომ ძახილის ხმა მოგვესმა, გარეთ გენომ გაიხედა. გასაღებისთვის რომ შემობრუნდა, მითხრა, დიტოს შვილიშვილი დამწვარაო და მაშინვე გარეთ გავარდა...“* — თქვა დაკითხვისას **დაზარალებულმა**. აქვე აღნიშნა, რომ თავდამსხმელების მიერ მოთხოვნილი ფულისა და ოქროს შესახებ მოგვიანებით შეიტყო. როგორც აღმოჩნდა, დიდი რაოდენობით თანხა და ძვირფასეულობა ბაწაძეების სახლში მართლაც ინახებოდა, მაგრამ ისე, რომ ამის შესახებ მოხუც ცოლქმარს წარმოდგენაც არ ჰქონდა. თანხა სახლში მათ ბიზნესმენ სიძეს მიუტანია და თვითონებურად დაუმალავს სასტუმრო ოთახში დაკიდებულ დიდ ჭაღში... ყოველივე ეს მოკლულის სიძემ მომხდარი ფაქტის შემდეგ გააცხადა. ამის თაობაზე ქმრის ნაამბობი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მოკლულის ქალიშვილმაც დააფიქსირა...

სამკაციანი ყაჩაღური დაჯგუფება — მალხაზ გედენიძის, გიორგი წერეთლისა და შალვა ბაკურაძის შემადგენლობით, სასამართლოს წინაშე მრავალეპიზოდიანი ბრალდებით წარდგა, მაგრამ აღნიშნულ ყაჩაღობასა და მკვლელობაში მონაწილეობა, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, მათ არ დაუდასტურდათ. დაზარალებულთა ნათესავებს შორის გავრცელებული ვერსიით, ნამდვილი დამნაშავეების ვინაობა უკვე მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე თვეში გაირკვა, მაგრამ არ გახმაურდა, რადგან დანაშაულის ერთ-ერთი, უშუალო მონაწილე მათივე ახლო ნათესავი აღმოჩნდა... ■

რა „ღირს“ ქვეყნის პირველი პირი?

ახლახან, იტალიის პრემიერ-მინისტრმა რომანო პროდიმ პატარა სენსაცია მოაწყო — ხელფასი 30%-ით შეიმცირა. საერთოდ, პროდი თავმდაბალი ადამიანია და რომ არა ჟურნალისტები, რომლებმაც გულდასმით წაიკითხეს იტალიის მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილი ქვეყნის ბიუჯეტის პროექტი, პრემიერ-მინისტრის მიერ „გაღებული მსხვერპლის“ შესახებ ცოტა ვინმე თუ შეიტყობდა. ასე იყო თუ ისე, წელს რომანო პროდი 156 ათას დოლარს აიღებს, გაისად კი, მისი ხელფასი 47 ათასით შემცირდება. რაც შეეხება სხვა ქვეყნების პირველი პირების შრომის ანაზღაურებას, შემდეგნაირად გამოიყურება:

დასაწყისი იხ. გვ. 9

მდიდრები

ტრადიციულად მიიჩნევა, რომ მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებიანი სახელმწიფოს მეთაური ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტია. 2001 წლის 1-ელი იანვრიდან მისი ხელფასი წელიწადში 400 ათას დოლარს შეადგენს. ამაში არ შედის სხვადასხვა ბონუსი — ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების კომპენსაციები (მთლიანობაში — 150 ათასი დოლარი), სამთავრობო ხარჯები (19 ათასი დოლარი) და რაღა თქმა უნდა, თეთრ სახლში უფასოდ ცხოვრება.



რომანო პროდი

სინამდვილეში, ყველაზე დიდი ხელფასები სინგაპურის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს აქვთ. ამ ქვეყანაში კითხვაზე — რატომ უნდა გადავუხადოთ იმათ, ვის ხელშიც ისედაც მთელი ძალაუფლებაა თავმოყრილი? — პასუხი ნაპოვნი აქვთ: ჩინოვნიკების ხელფასები სინგაპურში კორუფციასთან ბრძოლის ყველაზე ქმედითი და შედეგიანი ხერხია. პრემიერი ლი სიან ლუნი წელიწადში 1 მილიონი დოლარამდე იღებს. ამაში რა თქმა უნდა, არ შედის ბონუსები, რომლებიც სახელმწიფოს კიდევ 2 მილიონი დოლარი უჯდება. ბევრად უფრო ნაკლები უფლებამოსილების მქონე — პრეზიდენტი სელაპან რამა ნათანი ნახევარი მილიონი დოლარით ნაკლებს იღებს, თუმცა, მისი ბონუსების პაკეტიც საკმაოდ დიდია. დაბოლოს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სინგაპურის რესპუბლიკის კანონებით, ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირები პენსიაზე გასვლის შემდეგ, საბაზო ხელფასის დიდ ნაწილს ინარჩუნებენ.

საერთოდ, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის ხელფასი ამ სახელმწიფოს სიმდიდრესა თუ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკის უფლებამოსილებათა მოცულობაზე დამოკიდებული სულაც არ არის. როცა ევროკავშირში იმის გარკვევა დაიწყეს, თუ კავშირში შემავალ სახელმწიფოთა მეთაურთაგან ყველაზე დიდ ხელფასს ვინ იღებდა, რეკორდსმენი ირლანდიის პრეზიდენტი — მერი მაკალიზი აღმოჩნდა. „ამ ქალბატონს ბევრად ნაკლები უფლება-მოვალეობა აქვს, ვიდრე ინგლისის დედოფალს, — ამბობს დუბლინელი სოციოლოგი მაიკლ მაკენა, — მაგრამ ვფიქრობ, აქ საქმე ჩვენს ხასიათს ეხება. ირლანდიელები ზედმეტად ამაყნი ვართ საიმისოდ, რომ ჩვენი ქვეყნის მეთაური სხვებზე ნაკლებს იღებდეს“. ეს სიამაყე ირლანდიის სახელმწიფოს, თვეში 22.834 ევრო უჯდება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი კი, თვეში 20.558 ევროს იღებს.

ყველაზე მაღალანაზღაურებიან სახელმწიფო მეთაურთა რიგს, რა თქმა უნდა, იაპონიისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებიც განეკუთვნებიან. იაპონიის პრემიერი წელიწადში 400 ათას ევრომდე იღებს, ბრიტანეთისა კი — 185.771 ევროს. ტონი ბლერის ხელფასი ორი ნაწილისგან შედგება. ესენია: პარლამენტის წევრის საბაზო ხელფასი (59.686 ევრომდე) და ჯამაგირი (126.085 ევრო), რომელიც მას, როგორც ხაზინის პირველ ლორდს ეკუთვნის.

ვიქტორ იუშჩენკო

ღარიბები

დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობისგან განსხვავებით, ავტორიტარულ სახელმწიფოებში პირველ პირთა ხელფასის საკითხი საერთოდ არ დგას — ანუ ასეთი რამ იქ ან საერთოდ არ არსებობს, ანდა ისეთივე ნომინალურია, როგორიც, ვთქვათ, Apple Computers-ის მეთაურის — სტივ ჯობსის ხელფასი. ჯობსი წელიწადში ერთადერთ (!) დოლარს იმავე კომპანიის გაძღოლის საფასურად იღებს, რომელსაც თავადვე ფლობს.

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებიან პრეზიდენტად ალბათ, თურქმენეთის აწ გარდაცვლილი ლიდერი, საფარმურატ ნიაზოვი უნდა მიგვეჩნია. მაგრამ თურქმენეთის ვერც ერთი ოფიციალური წარმომადგენელი ვერაფრით გეტყოდათ, თუ კონკრეტულად რამდენს იღებდა მათი ქვეყნის სამუდამო პრეზიდენტი. ჟურნალისტების მონაცემებით კი, ნიაზოვის ოფიციალური ხელფასი თვეში სულ რაღაც 900 დოლარს შეადგენდა. თუმცა, თავის რეალურ შემოსავლებს თურქმენბაში თითქმის არასდროს მალავდა. მაგალითად, სახელმწიფო-კომერციული „პრეზიდენტბანკის“ შექმნის შესახებ გაცემულ მის განკარგულებაში ნათქვამია, რომ ბანკის საწესდებო კაპიტალი (60 მილიონი დოლარი) პრეზიდენტის პირად სახსრებს წარმოადგენდა. თვით ყველაზე ელემენტარული გამოთვლებით კი, ისიც დგინდება, რომ თვეში 900-დოლარიანი ხელფასის მქონე თურქმენბაშს ბანკის გასახსნელად საჭირო თანხის მოსაგროვებლად, თითქმის 5600 წელი უნდა ემუშავა.

ალექსანდრ ლუკაშენკო

უფრო ნაკლებს — თვეში 300 დოლარს იღებს ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო. თუმცა, მთლად ზუსტი არც ეს მონაცემია. თავად პრეზიდენტის თქმით, მან არ იცის, რამდენს იღებს, რადგან თავის ხელფასს, საქველმოქმედო მიზნებს თუ არ ჩავთვლით, თითქმის არაფერში ხარჯავს. ბრიტანეთის კვლევითი ორგანიზაცია The Hay Group-ის მონაცემებით, ლუკაშენკოს ხელფასი თვეში დაახლოებით 2,3 ათას დოლარს შეადგენს და ამდენად, დსთ-ის სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე დაბალანაზღაურებიან პრეზიდენტად მიიჩნევა.

ამავე ბრიტანული ორგანიზაციის მკვლევარების აზრით, ყველაზე მაღალ ანაზღაურებას (თვეში 6,5 ათას დოლარს) უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო იღებს. რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის ხელფასმა კი, 2006 წელს თვეში 6,2 ათასი დოლარი შეადგინა. ამასთან, ოფიციალურად გამოუქვეყნებელი მონაცემების მიხედვით, 2004 წლის მანძილზე პუტინმა პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან 2 მილიონ 545 ათასი მანეთი და 77 კაპიკი ანუ თვეში დაახლოებით 7,5 ათასი დოლარი მიიღო.

ფიდელ კასტრო

ნაკლებანაზღაურებიან სახელმწიფო მეთაურებს შორის, ცალკე აღნიშვნის ღირსია კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო. უმეტესი დემოკრატიული და ნახევრად დემოკრატიული ქვეყნების ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, ფიდელ კასტროს ხელფასსა და ქონებაზე ოფიციალური ინფორმაცია საერთოდ არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ჟურნალ Forbes-ის მონაცემებით, იგი მსოფლიოს ყველაზე მდიდარ მმართველთა რიგში შედის. ჟურნალის ექსპერტები კასტროს ქონებას 900 მილიონ ევროდ აფასებენ. მათი თქმით, სწორედ კასტრო იღებს იმ თანხებს, რომლებსაც მრავალი სახელმწიფო კომპანია და ორგანიზაცია, მათ შორის — Gimex-ის ვალუტის მაღაზიათა ქსელი, წამლებისა და მაღალხარისხოვანი ვაქცინების ცნობილი მწარმოებელი კომპანია — Medicuba გამოიმუშავებენ. ამერიკის ხელისუფალთა მონაცემებით, რევოლუციური კუბის ლიდერის კიდევ ერთი შემოსავლის წყაროს, ნარკოტიკებით ვაჭრობა წარმოადგენს.

„სახელმწიფო ლიდერები ყველაზე ნაკლებს იქ იღებენ, სადაც ბევრად მეტის აღება უნდა შეეძლოთ, — აცხადებს ლონდონელი ექსპერტი ჯონ კაუფმანი. — თუ, ვთქვათ, სახელმწიფოს მეთაური ხელფასის სახით 10 ათასი დოლარს იღებს, მისი ხელმოწერა კი, მილიონები ღირს, მაშინ კორუფციისთვის მართლაც რომ ფენომენალური შესაძლებლობები ჩნდება“. ალბათ, სწორედ ეს გაითვალისწინეს რიგი საქველმოქმედო და სამართალდამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, როცა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებიანი ლიდერის — საქართველოს პრეზიდენტის დახმარება გადაწყვიტეს. „ვარდების რევოლუციიდან“ სულ ცოტა ხანში, გაეროსა და ფილანთროპ ჯორჯ სოროსის თანადგომით შეიქმნა განვითარებისა და რეფორმების ქართული ფონდი. მის ამოცანებში, სხვა მრავალთან ერთად, ქართველი ჩინოვნიკებისთვის ფულად კმაყოფაზე აყვანაც შედიოდა. ფონდის წარმომადგენლები მაშინ ამას ქვეყანაში, სადაც მანამდე პრეზიდენტის ხელფასი თვეში 200 დოლარამდე იყო, კორუფციასთან ბრძოლის აუცილებლობით ხსნიდნენ. აღნიშნული ფონდის წყალობით, საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი საგრძნობლად გაიზარდა და ახლა, ადგილობრივი ჟურნალისტების მონაცემებით, თვეში 3 ათას დოლარს შეადგენს.


ილჰამ ალიევი

უანგარონი

რომანო პროდი საკუთარი ხელფასის შემცირების ინიციატორი პირველი სახელმწიფო ლიდერი როდი გახლავთ. მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წინამორბედს, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი წარმოადგენს. შარშან დეკემბერში ქვეყნის პარლამენტმა (თავად ალიევის რეკომენდაციით) პრეზიდენტის ხელფასი 19,5 ათასიდან 16,5 ათას დოლარამდე შეამცირა. თანაც, ეს იმის მიუხედავადაც მოხდა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ხელფასი წარსულში უკვე რამდენჯერმე იყო შემცირებული.

სულ ახლახან კი, პრეზიდენტის ახალი ხელფასის შესახებ ბოლივიის ლიდერმა — ევო მორალისმაც გამოაცხადა. მან ხელფასი გაინახევრა და ის ახლა თვეში 1.800 დოლარს შეადგენს. ექსპერტებმა უკვე განაცხადეს, რომ ეს ქვეყანაში კორუფციის მკვეთრ ზრდას გამოიწვევს, რადგან დარჩენილი ჩინოვნიკების ხელფასებიც ავტომატურად შემცირდა. საქმე ისაა, რომ ბოლივიის კანონებით პრეზიდენტზე დიდი ხელფასი არც ერთ ჩინოვნიკს არ უნდა ჰქონდეს.

„Коммерсантъ-власть“

მიხეილ სააკაშვილი

უვიცჩინო პუფეტი, სვაჩოვსკის მინიჩოიაღი, პოეტი პაპუის ექსპროფტეპი კედელზე

და ეპქის 300-სეზონიანი ბლაპაჩი თეთრეუცლიან კუბლელზე

თაკო ჩარკვიანი და ჯონი გიგანი 12 წლის წინ შეუღლდნენ. ჯვარი 29 ივლისს, ერეკლეს ეკლესიაში დაიწერეს და ცხადია, საზეიმო სუფრაც გააწყვეს. თაკოს თეთრი „კაბა-კოსტიუმი“ ეცვა. მისი მეჯვარე დათო მაღრაძეა. ყველა ეკითხებოდა: რატომ გოგონა არ შეარჩიე, ხელისმომკიდედო?.. ოთხი წელი ახალდაქორწინებულები თაკოს მამის — ჯანსუღ ჩარკვიანის სახლში ცხოვრობდნენ. მათი შვილიც იქ გაჩნდა. მერე, ბინის ყიდვაც გადაწყვიტეს. ადგილის შერჩევაზე დიდხანს არ უფიქრიათ. უნდოდათ, დოლიძეზე დასახლებულიყვნენ, სადაც თაკოს ძმა — მამუკა ცხოვრობს. იქვე ახლოს ცხოვრობენ ბატონი ჯანსუღი და ქალბატონი ირმაც.

თამარის ეკლესიის სიღრმეში, რკინის ჭიშკრის მიღმა მდგარ სახლში მეორე სართული ახლა ბიწაძეებსა და გიგანებს უკავიათ. მათი აივნები ერთმანეთს ესაზღვრება. ურიგო როდია, პარლამენტის თავმჯდომარის მეზობლობა, თუნდაც, იმის გამო, რომ სახლს დაცვა ჰყავს და უსაფრთხოება გარანტირებულია.

ლელა ჭანკოტაძე

ხუთოთახიან ბინაში თაკო, ჯონი, პატარა ირმა და ვეებერთელა ნაგაზი — 6 წლის ბაგუ ცხოვრობენ. ძაღლი ამ ოჯახის სრულფასოვანი წევრია. მათ ბინაში შესვლისას, პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, დედა-შვილის ულამაზესი პორტრეტებია, რომლებიც ნანა გერასიმოვას ფუნჯს ეკუთვნის. მხატვარი თაკოს მეგობარია და მისი ხასიათი, ბუნება კარგად აქვს შესწავლილი. თაკოს მიაჩნია, რომ პორტრეტი ამიტომაც გამოვიდა შთამბეჭდავი. მეორე ნახატი — „პატარა ირმა გიგანი“ — მხატვარს თავის კატალოგში აქვს შეტანილი.

ბინის დათვალიერებას ირმას სამუშაო ოთახით (არ გაგიკვირდეთ) ვიწყებთ. მოგვიანებით, მის სათამაშო ოთახსაც ვესტუმრებით. სამუშაო ოთახის მთავარი ატრიბუტი როიალია. თავის დროზე, თაკოს უყიდეს მშობლებმა, მაშინ, როცა ის მეოთხე კლასის მოსწავლე იყო. ახლა ის მისი შვილის საკუთრებაა. საზოგადოება ამ ოჯახის შესახებ ინტერესს უმიზეზოდ როდი იჩენს — აქ ნორჩი ვირტუოზი — ირმა გიგანი იზრდება. უკვე გადაწყვეტილია, თუ რა გზას გაჰყვება და ისიც ნათელია, რომ მას ბრწყინვალე მომავალი ელის. სულ ახლახან CNN-მა მოამზადა ფილმი „ქართველი გოგონა ირმა გიგანი“. მის სანახავად, ოჯახი უზარმაზარი ტელევიზორთან შეიკრიბა.

თაკო ჩარკვიანი:

— მუშკას (ასე ეძახის მოფერებით თაკო თავის გოგონას. — ავტ.) კონცერტებს ამ ოთახში ვუყურებთ. ამიტომაც შევიძინეთ დიდი ტელევიზორი, ხმის აპარატურა და რბილი სამეული. ეს ყველაფერი როიალთან განვათავსეთ და შემოქმედებითი ატმოსფერო შევქმენით. კედლებზე ირმას აფიშები კიდია. პირველად, მისი პირველი კონცერტის მაუწყებელი აფიშა გავაკარით. ამას მოჰყვა მოსკოვის კონცერტის აფიშა. ირმას ცხოვრებაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი კონცერტი იქნება. 7 წლის ასაკში მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში არავის დაუკრავს, ერთადერთი, ნორჩი მუსიკოსი, ჟენია კისინი გახლდათ, რომელიც მაშინ 12 წლის იყო.

შავი როიალი „პეტროფი“, რომელსაც საუკეთესო ყღერადობა აქვს, ირმას სამუშაო ოთახში ერთადერთი როიალი როდია. პატარა როიალს, რომელიც ირმას თოჯინებს შორის დგას, ძალიან უცნაური ამბავი უკავშირდება. ის თაკოს ერთმა ქალბატონმა აჩუქა, ირმას დაბადების აღსანიშნავად. იმ ქალბატონს კარგად არც იცნობდა, მისგან საჩუქარი გაუკვირდა კიდეც. მით უმეტეს — როიალი, მოხდა ისე, რომ ეს საჩუქარი ბედნიერების მომტანი აღმოჩნდა: პატარამ დიდი მუსიკალური მონაცემები გამოამჟღავნა... ახლა როიალი თილისმასავით დგას ულამაზეს ბულზე. მეორე როიალიც ულამაზესია. ავსტრიის საელჩომ „შერატონ-მეტეხი პალასში“ ირმას სოლო კონცერტი გაუმართა და კონცერტის შემდეგ, სვაროვსკის არაჩვეულებრივი მინიროიალი, ვიოლინოს გასაღები, სათამაშოები, ჩაიდანი და პაწაწინა ჭიქები აჩუქა. მესამე როიალი დიდ შავ როიალზე დგას. ის ბაბუისა და ბებიის ნაჩუქარია.

თაკო:

— ვცდილობ, მუშკას საჩუქრებს ამ ოთახში მოვუყარო თავი. თოჯინა მოსკ-

სასტუმრო ოთახის ავეჯი ჩემი და ჯონის შენაძენია

ამ ბინაში საკმაოდ სოლიდური თანხა გადავიხადეთ

ოვის კონცერტის შემდეგ იქაურმა ნიჭიერმა პიანისტმა — თეა გრიგალაშვილმა აჩუქა; მეორე თოჯინა, ყვავილებთან ერთად კი, — იუნესკოს წარმომადგენელმა. პატარა მედალიონი ჭავჭავაძეების საგვარეულო ნივთია. ის მერაბ და მანანა კოკოჩაშვილებმა უსახსოვრეს მუშკას პირველი კონცერტის შემდეგ. ძაღლი წარწერით — Velcome — მუშკას საყვარელი სუვენირია. ასევე, გოგი ოჩიაურის ნამუშევარი, რომელზეც გამოსახული ქალიც, ლელა ოჩიაურს მაგონებს. აქვეა პატრიარქის ფოტოპორტრეტი. მეორე ვიტრინაში დევს გრან-პრი, რომლითაც მუშკა ბოლონიის (იტალია) მეორე საერთაშორისო კონკურსზე დააჯილდოეს. დანარჩენი, დედაჩემის სახლიდან წამოღებული ძველი ნივთებია. ზოგიერთი გატეხილიცაა, მაგრამ ვერ ველევი. აქვეა ჩემი ბებიის — თამარ ფხაკაძის ნაქონი ვერცხლის სურები. ერთი ვიტრინა ჩვენი ნაყიდია, მეორე — დედაჩემის სახლიდან გადმოვიტანეთ. რძისფერი ტყავის სამეული ჩემი და ჯონის შენაძენია.

— ფარდა ძალიან ორიგინალურია, ვისი გაკეთებულია?

— ეს უცნაური ფარდა ხელნაკეთია, ჩემი მეგობრის გაკეთებულია. ის მხატვარია და საოცრად ლამაზ ფარდებს კერავს. მასალად გამოყენებულია ჩვეულებრივი ბიაზი, არშიები და მაქმანები. საერთოდ, მიყვარს ხელნაკეთი ნივთები. აბაჟურიც, რომელიც ასე ამშვენებს ინტერიერს, საქართველოშია გაკეთებული. ამ ოთახში ყველა ნივთს თავისი პატარა ისტორია აქვს. ვერ ველევი ძველ ნივთებს. მგონია, როცა გარშემო სულიერება იკარგება, უფრო მეტად გენატრება ყველაფერი ქართული, ძველი, რაც შენს წარსულს უკავშირდება. მიყვარს ნახატები, რომლებმაც უნდა დაფაროს ცარიელი, თეთრი, უსახური კედლები. არ სჯობია, ლამაზი ნახატით ოთახში საოცარი განწყობილება შევქმნათ?!

სურათების თვალიერებით სასტუმრო ოთახში გადავდივართ. იქ ჯემალ ხუციშვილის, ტიტე შეყილაძის, ქეთი მატაბელის, ციალა კანდელაკის, გიკა მირზაშვილის ნახატებია. ცნობილი პორტრეტისტის, ციალა კანდელაკის მიერ შესრულებული, თაკოს პორტრეტი რამდენიმე ალბომსა და წიგნშიც კი მოხვდა. ქეთი მატაბელი თაკოს უსაყვარლესი მხატვარია. ამიტომ, მისი ნახატი მამუკამ დას დაბადების დღეზე აჩუქა.

თაკო:

— ტიტე, მამის მეგობარია, ბატონი ჯემალი კი, ჩემი უახლოესი მეგობრის — თეოს მამაა. საერთოდ, ეს ყველაფერი მამის სამეგობროდან მოდის. მახსოვს, დიმა ერისთავი ხატავდა ჩემს პორტრეტს. მაშინ ბატონ დიმასა და თენგიზ მირზაშვილს სახელოსნო ერთად ჰქონდათ. ძალიან პატარა ვიყავი, როცა მამას იმ სახელოსნოში დავყავდი. ბატონი დიმა ჩემს პორტრეტს მელანში აკეთებდა. თან სამივე სასმელს წრუპავდა...

— თქვენ ბინა სარემონტოა. რატომ? თქვენ ხომ რემონტისთვის საჭირო თანხა ყოველთვის გექნებოდათ?

— ამ ბინაში საკმაოდ სოლიდური თანხა გადავიხადეთ. იაფი შენაძენი ნამვილად არ ყოფილა; თუმცა დღევანდელ ფასებთან შედარებაც არ შეიძლება. ევრორემონტის გაკეთება რატომღაც, არ მოვინდომე. მოგეხსენებათ, როგორ ატმოსფეროშიც იზრდები, ის კოდივით ყველგან მიგყვება. ალბათ, ამის გამოა, რომ სურვილიც არასდროს გამჩენია, ევრორემონტიანი ბინა მქონოდა. ჩვენს სახლში ძირითადად, ნახატი, წიგნი და ნოტებია. მათთვის კარადა და თაროები აუცილებლად საჭიროა... ასე რომ, რემონტის შემდეგაც, ძველებურ სტილს შევინარჩუნებთ. კარ-ფანჯარა ნამდვილად უნდა გამოვცვალოთ. სხვანაირად აღარ შეიძლება. ბინა, მართლაც რომ სარემონტოა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ბინა უნდა დავიგირავოთ ან დროებით დედ-მამასთან გადავიდეთ. გეფიცებით, ამისთვის არ გვცალია. მუშკა დღეში 6 საათს მეცადინეობს, იმხელა პროგრამა აქვს შესასრულებელი. რემონტის გამო, მას ხელი შეეშლება.

რემონტის შემდეგაც, ძველებურ სტილს შევინარჩუნებთ

— ავეჯი ვისი გემოვნებით შეირჩა?

— სასტუმრო ოთახის ავეჯი ჩემი და ჯონის შენაძენია. ვეძებდით დიდ მაგიდას, რადგან სულ სტუმრები გვყავდა და ვერ ვეტეოდით. ერთ-ერთ მაღაზიაში აღმოვაჩინეთ ეს მაგიდა, მას შევუხამეთ ბუფეტი, რომელიც მომეწონა, რადგან დახურულია: ვერ ვიტან, ჭურჭელი რომ ჩანს. მიმაჩნია, რომ ჭურჭელს აქვს ერთადერთი დანიშნულება: დადო მაგიდაზე და ჭამის პროცესი გაილამაზო. ჩემი მშობლების თაობა ოქრო-ვერცხლზე გაგიჟებული არ ყოფილა. შესაბამისად, ბებიისგან დარჩენილი ჭურჭლით იშლებოდა სუფრა. მოგვიანებით გავიგე, რომ ზოგიერთი, კუზნეცოვის ყოფილა, ზოგი — უფრო ძვირფასიც. დედას აზრად არ მოუვიდოდა, რომ ცალკე გამოეყო ვიტრინის ჭურჭელი. ადამიანი ნივთის მონა არ უნდა იყოს. ბედნიერება ის არის, რომ ქმარიც ისეთი შემხვდა, რომელიც არაფერზეა დამოკიდებული. სვანეთში გაზრდილი კაცი რაზე უნდა იყოს დამოკიდებული?! სასაცილოა.

— ეი. ამ სახლში კარგად გრძნობთ თავს?

— მიყვარს ეს სახლი. სიმშვიდეს მანიჭებს. დილით ჯონის სამსახურში რომ გავისტუმრებ, ირმუშკას კი — მუსიკაზე, ვჯდები მაგიდასთან და ვსვამ ყავას. გაზაფხულზე, თუ კარგი ამინდია, აივნის კარს ვაღებ. ოთახი სასიამოვნო სურნელით და ჰაერით ივსება. მაშინ ვფიქრობ ხოლმე — რა კარგია!.. საკუთარ სახლზე, დიდი ეზოთი და ბევრი ოთახით, არ გვიფიქრია, აქ მოვინდომეთ ცხოვრება. ჩვენი საძინებლის ფანჯარა ეზოს ესაზღვრება, იქვე ეკლესიაა. დილით წირვის ხმა პირდაპირ ყურში ჩამესმის. საოცარი შეგრძნებაა...

როგორც ყველა მორწმუნის ოჯახში, აქაც ხატებისთვის განსაკუთრებული კუთხეა გამოყოფილი, თანაც — იმ ოთახში, რომელშიც დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ. როცა ამ ბინაში გადმოვიდნენ და ახალსახლობა აღნიშნეს, ოჯახის ახლობელმა, ცნობილმა მორბენალმა ლერი ანთაძემ ღვთისმშობლის ხატი უსახსოვრა. ეს ერთადერთი ნაჩუქარი ხატია, დანარჩენები ოჯახის უფროსის შენაძენია. ბატონი ჯონი ზემო მულაყში გაიზარდა. მისი სახლი ეკლესიის ეზოს ესაზღვრებოდა. მულაყიდან ტრიდიციების ერთგულება გამოჰყვა.

სუფრასთან სიმღერა და სალონური საღამოს მოწყობა, ჯონისა და თაკოს ოჯახში იშვიათობას როდი წარმოადგენს. აქ ხშირად მღერიან: მერაბ სეფაშვილი, გიო ხუციშვილი და დათო გომართელი, რომელიც ოჯახის მეგობარიც არის და ნათესავიც, — ის ჯანსუღ ჩარკვიანის ნათლულია. შესანი-

შნავად მღერის ეკა ჭაჭიაშვილი, რომელიც ესტრადაზე იშვიათად ჩანს, მაგრამ აქ, ესტრადის მომღერლების გარემოცვაში დაუვიწყარი ჰანგებით აცოცხლებს გარემოს. რაღა თქმა უნდა, ხშირად მღერის მამუკა...

სასტუმრო ოთახს ირმას სათამაშო ოთახი ესაზღვრება. ირგვლივ უამრავი სათამაშოა. აქვეა ხატების კუთხეც. მაგიდასთან ჯემალ ლოლუას სურათი კიდია, რომელიც მხატვარმა თაკოს მაშინ აჩუქა, როცა მას 5 წელი შეუსრულდა. კედლები თეთრია, ზედ უამრავი ნახატი და წარწერაა. მასა და მის მეგობრებს კედლებზე ჩანაწერების გაკეთების უფლება აქვთ. თუმცა, მხოლოდ პატარები როდი სარგებლობენ, ამ პრივილეგიით. მაგალითად, ბაბუა ჯანსუღი, როცა მოდის, კედლებზე ლექსებს წერს. მათ შორისაა კაფიაც: „არა მხოლოდ გიგანი ხარ, შენ მსოფლიოს გრიგალი ხარ“.

ბინას ყვავილებიც ამშვენებს, რომლებიც მოწყენილები არიან და სასწრაფოდ შველას საჭიროებენ: ოჯახის წევრებს დიდი სურვილი აქვთ, ორანჟერეა მოაწყონ და ამით ბინას მეტი სიმყუდროვე შემატონ.

სამზარეულოში არასდროს სადილობენ, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი, ლამაზი და კომფორტულია. ეს ჩვევა თაკოს მამისეული სახლიდან გამოჰყვა. თუ უახლოესი მეგობრები ესტუმრებიან, მხოლოდ მაშინ შეიძლება ყავა სამზარეულოს მაგიდასთან მიირთვან.

როგორც ყველა ოჯახში, დღესასწაულებს ერთად აღნიშნავენ. მათთვის უმთავრესი და ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი 29 ივლისია — შეუღლების დღე. ამ დღეს ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნიან. საჩუქრებს მოგზაურობის დროსაც არჩევენ.

თაკო:

— ადამიანთა იმ კატეგორიას არ მივეკუთნები, რომელიც ამბობს — სხვა ქვეყანაში არაფერს ვყიდულობ, სუვენირის გარდაო. ხანდახან ისეთი გასტროლია, რომ დრო არ მრჩება. როცა ერთი კვირით ვართ იტალიაში, ცხადია, ვცდილობთ, უფრო მეტი რამ ვნახოთ. თუ დრო გვაქვს, გამოვყოფ ერთ დღეს და მივდივართ მაღაზიებში. ვერ ვიტყვი, რომ ჩაცმა არ მიყვარს, მაგრამ თუ ახალი რაღაც არ მაქვს, ამისგან ტრაგედიას არ შევქმნი. ჭრელი შარფი, თამამად დადებული ფერებით, არაჩვეულებრივად ალამაზებს სამოსს. ჩემს მეგობრებს — ნანა გერასიმოვას და მაკა ბახტაძეს ჩემთვის ულამაზესი შარფები აქვთ გაკეთებული, ნებისმიერი დიზაინერის ნამუშევარს მირჩევნია. ასე რომ, ქალს ყოველთვის შეუძლია მოახერხოს, რომ სადღესასწაულო სახე მიანიჭოს თავის ტანსაცმელს. სულაც არ მიმაჩნია, რომ უეჭველად „არმანი“ უნდა ჩავიცვა. ასეთი „ჩაციკლული“ არ ვარ. თუმცა, არ შემიძლია, პარფიუმერიის მაღაზიაში არ შევიდე. გამორიცხულია, რომ სუნამო არ შევიძინო. დღემდე მახსოვს პირველი სუნამო — დედაჩემმა მაჩუქა „მაგრიფი“. ძალიან მომეწონა და მისი სურნელი ახლაც მახსოვს.

დილით ვჯდები მაგიდასთან და ვსვამ ყავას. გაზაფხულზე, თუ კარგი ამინდია, აივნის კარს ვაღებ

— როცა ცოლ-ქმარს გინდათ, რომ ერთმანეთს საჩუქარი მიართვათ, რას ყიდულობთ?

— საბედნიეროდ, ჩვენი გემოვნება ხშირად ემთხვევა. ამიტომ თავისუფლად ვყიდულობ ჯონისთვის ტანსაცმელს. როცა იკითხავს ხოლმე — თაკო, შენ რომ პერანგი ჩამომიტანე, სად არისო? — უკვე ვხვდები, რომ მოსწონს და სიამოვნებით იყენებს. 12 წელია, ერთად ვცხოვრობთ. უკვე შეუცდომლად შეგვიძლია, ერთმანეთს საჩუქარი შევურჩიოთ. მუშკას ძალიან უყვარს ჯინსი. ჯინსი და მაისური მისი საყვარელი ტანსაცმელია. მაისურებს სულ სხვადასხვა ფერისას ვურჩევ. მე მჩვევია, ტანსაცმლის ამოჩემება და არ მინდა, რომ ეს თვისება მასაც გამოჰყვეს. შედარებით რთულია მისთვის ფეხსაცმლის შერჩევა. კონცერტებისთვის მე ვურჩევ ტანსაცმელს, თუმცა ყველაფრის უფლებას არ მაძლევს, რადგან ტანსაცმელში კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს. ნიცის ოპერის თეატრში კონცერტი რომ ჰქონდა დაგეგმილი, ნანა გერასიმოვა შემომიჩნდა და სპეციალური საკონცერტო კაბა შევუკერეთ. ვარდისფერი სარაფანი და მაქმანიანი პერანგი ეცვა, რომელზეც ნაქარგები ხელით იყო გაკეთებული. კლასიკურ სცენას ყველაფერს ვერ შეუხამებ, ბახს და შოპენს ჯინსით ხომ არ დაუკრავს?!. სულ პირველი კონცერტი რომ ჰქონდა, „ბლუმარინის“ ცისფერი სარაფანი ვუყიდე. ძალიან ნაზი და ლამაზი იყო.

— რით ასაჩუქრებთ შვილს დაბადების დღეზე?

— მამამისმა ძალიან კარგი სუნამო აჩუქა. ბებო სამკაულით ასაჩუქრებს. ირმუშკას ყველაზე მეტად, სუნამო გაუხარდა — თავი ქალბატონად მიიჩნია. მიყვარს ისეთი თმის სამაგრების ან სხვა აქსესუარის ჩუქება, რომელიც შემდეგ კონცერტზე გამოადგება. საჩუქრების მირთმევა თვითონაც უყვარს. ბაბუას დაბადების დღეზე კალმისტარი უყიდა. წარმოდგენა არ გვქონდა, ბაბუისთვის საჩუქრის საყიდლად, ფულს რომ აგროვებდა. მე მობილურის ჩასადები მაჩუქა, მამას — ბლოკნოტი. საერთოდ, ირმუშკა მამის ნებიერაა, ჯონის ნამდვილი ასლია. ვხუმრობ ხოლმე: დილით ბუტერბროდივით ვიღვიძებ, აქეთ — ჯონი, იქით — ჯონი: დილას ელოდება, რომ კარი გააღოს და ლოგინში შემოგვიხტეს; ეს შემოხტომა ისეთია, რომ ბუტერბროდივით ვხდები. საერთოდ, მამამისი ჩემგან განსხვავებით, ათამამებს. ირმუშკა ძალზე დატვირთულია. ამიტომ ჯონი ყოველ დილით მასთან ერთად ვარჯიშობს. ვიცი, რომ მას დილით ვარჯიში სულაც არ ეპიტნავება, მაგრამ იცის, რომ ბავშვისთვის ფიზიკური დატვირთვა აუცილებელია. კვირა დღეს, როგორი გადაუდებელი საქმეც უნდა ჰქონდეს, მაინც გამონახავს დროს, რომ სადმე გაგვასეირნოს. ჯონი ხასიათის კაცია, მაგრამ კურდღლებზე სერიალი შექმნა: გუშინ მესამესე სერია უამბო ირმუშკას. ეს ერთგვარი რიტუალივით გახდა: ძილის წინ, თეთრმუცლიან კურდღელზე მამის მიერ მოყოლ ზღაპარს მოისმენს და მერე იძინებს.

— ირმა გადაღლილია? რჩება დრო წიგნების წასაკითხად ან ფილმების სანახავად?

— ახლახან მთხოვა: შეიძლება „ჰარი პოტერი“ წავიკითხოო? — ცხადია, შეიძლება-მეთქი, — ვუპასუხე, მაგრამ „ჰარი პოტერამდე“ მას „ტომ სოიერის თავგადასავალი“, „ბიჭუნა და კარლსონი“, „ბიძია თომას ქოხი,“ „საიდუმლო კუნძული“ წავაკითხე. ახლა უკვე, რაც უნდა, ის შეუძლია წაიკითხოს, ჩემი საქმე აღარ არის — გეზი მივეცი. ახლა კარგს და ცუდს თვითონ გაარჩევს. თანაც, 6 წლიდან ბახს უკრავს და ალბათ, თავისუფლად შეძლებს „ჰარი პოტერი“ „უფლისწულისა და მათხოვრისგან“ გაარჩიოს. ასე რომ, მისი გემოვნების ჩამოყალიბებას გეზი უკვე მივეცი. ასე მოხდა ჩემი ბავშვობის დროსაც. ერთადერთი — ვცდილობ, რომ არ მოასწროს და ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვამდე, მისი კინოვერსია არ ნახოს. ■

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ᲔᲝᲩᲐ ᲓᲔᲕᲐᲚᲘᲩ
ᲣᲨᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ:

1. ინკებს დამწერლობა არ ჰქონიათ.
2. დუტა სხირტლაძე სამი შვილის მამაა.
3. უილ სმიტი 18 წლის ასაკში გახდა მილიონერი.
4. კაზაკთა დიდ სოფელს ყუბანსა და დონზე, სტანიცა ჰქვია.
5. „მეფე მზე“ — ასეთი თიკუნით მოიხსენიებოდა ლუდოვიკო XIV.
6. ყველაზე იოლად საკუთარი თავით უკმაყოფილო ადამიანები ნაწყენდებიან.
7. „ჩემი საქმიანობა ამართლებს ჩემს არსებობას“, — ამბობდა ფედერიკო ფელინი.
8. რიკი-ტიკი-ტავი, როგორც ყველა მანგუსტი, მოკლული გველის ჭამას კუდიდან იწყებდა.
9. ინკების იმპერიის დამაქცეველი კონკისტადორი პისარო ახალგაზრდობაში ღორებს მწყემსავდა.
10. „როცა პამელა ანდერსონი გწყევლის, მისი ძუძუები გლოცავენ“, — ირწმუნება ვანო ჯავახიშვილი.
11. ავსტრალიაში ლიცენზიის არმქონე ელექტრომონტიორებს ნათურის შეცვლის უფლებაც არა აქვთ.
12. გამოქვაბულებში სტალაქტიტისა და სტალაგმიტის შეერთებით წარმოქმნილ სვეტს სტალაქტონი ჰქვია.
13. გიორგის ინგლისურად ჯორჯი ჰქვია, ფრანგულად — ჟორჟი, იტალიურად — ჯორჯო, ესპანურად — ხორხე.
14. გერმანიაში გამოიგონეს დანადგარი, რომელიც ბანანებს ასწორებს, რათა შენახვისას მათ ნაკლები ადგილი დაიკავონ.
15. მონღოლების რწმენით, კარგი ამბავი მხოლოდ სამხრეთიდან მოდიოდა, რის გამოც, იურტის კარი ყოველთვის სამხრეთისკენ იყო მიქცეული.
16. უინსტონ ჩერჩილი 90 წლის ასაკში ბანქოს თამაშის დროს გარდაიცვალა. „ყველაფერი დამთავრდა...“ — ეს იყო მისი ბოლო სიტყვები.
17. ბურკინი მუსლიმანი ქალებისთვის სპეციალურად შექმნილი საცურაო კოსტიუმია, რომელშიც მათ მხოლოდ სახე, ხელის მტევნები და ტერფები უჩანთ.
18. „ვ კლინიკე პლასტიჩესკოი ხირურგიი მოეი ზნაკომოი სდელალი ტაკიე ნოგი, შტო ტეპერ ანა ნა ნიხ ნესიოტსა სო სკოროსტიუ დვა მუჟა ვ გოდ“, — ჰყვებოდა კლარა ნოვიკოვა.

19. „შტო მი ზა სტრანა?! სკოტ სჩიტაემ პო გალავამ, ა პრავიტელსტვო — პო ჩლენამ“, — მხრებს იჩეჩს მიხაილ ზადორნოვი.
20. რამადანი მუსლიმანური მთვარის კალენდრის მეცხრე თვეა, რომლის დრო-

ნაძალადევის რაიონში, ისევე როგორც თბილისის ყველა უბანში, უფასო სასადილო ფუნქციონირებს. სოციალურად დაუცველ ადამიანებს ყოველ დილით, იქ ცხელი სადილით უმასპინძლდებიან. ამ სასადილოებს ძირითადად, მოხუცები აკითხავენ, მაგრამ ბოლო პერიოდში, მათ გვერდით ახალგაზრდა ქალებიც გამოჩნდნენ. სწორედ მათ შესახებ მინდა გიამბოთ. ესენი მრავალშვილიანი დედები არიან. მათთვის გაუსაძლის პირობებში ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელია, რადგან გამუდმებით შვილების საყვედურები ესმით: ჯობდა, ერთი ბავშვი გყოლოდა და იმ ერთისთვის გეპატრონაო... არადა, დემოგრაფიული მდგომარეობა კვლავაც კატასტროფულ ზღვარზეა...

„ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲐ, ᲣᲬᲘᲜ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ“...

ᲚᲔᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ

ᲓᲐᲚᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— 10 შვილის დედა ვარ. უფროსი გოგონა 27 წლისაა. მან პოლიციის აკადემია დაამთავრა. მეცხრე განყოფილებაში მუშაობდა, მაგრამ კადრების შემცირებაში მოყვა. ახლა ხელახალ დანიშვნას ელოდება. დალის მეუღლეც ყოფილი ავტოინსპექტორია. არასდროს გვიჭირდა, პირიქით — სხვებს ვეხმარებოდით. ამიტომაც გავაჩინე 10 შვილი — 6 ვაჟი და 4 გოგო. მეუღლემ 30 წელი იმუშავა. ახლა პენსიაზეა. დანარჩენები ყველანი უმუშევრები ვართ. მუხიანში ხუთოთახიანი ბინა მაქვს, მაგრამ ამდენი ხალხი ვერ ვეტევით. თან, ერთი ბიჭი და გოგო დაოჯახებულები არიან (უკვე შვილიშვილებიც მყავს) და ცალკე ცხოვრება სურთ.

— თუ აპირებენ, ბევრი შვილი იყოლიონ?

— არა. ღმერთმა დამიფაროს! ბევრი შვილი ახლა სასჯელი, ტვირთია; უწინ კი — ბედნიერება იყო. მირჩევნია, თითო შვილი ჰყავდეთ, ასწავლონ, წესიერ მოქალაქეებად აღზარდონ, ვიდრე ბევრი გააჩინონ და ქვეყანას მათხოვრები შემატონ. ჩემი ქმარი 8 წელია, რაც პენსიონერია. პენსია 75 ლარი აქვს. ისე გაგვიჭირდა, რომ აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. გლდანი-ნაძალადევის გამგებელს, ნიკო ხაჩირაშვილს მივმართე — მიშველე, გმირი დედა ვარ, შვილები შიმშილით მეხოცება, დამეხმარე-მეთქი. გლდანში, უშიშროების აკადემიაში ერთი ოთახი გამოგვიყო. იქ ჩემი ცოლშვილიანი ვაჟი გადავა. უფასო სასადილოთი სარგებლობის უფლებაც მოგვანიჭა. ახლა იქ დავდივართ და ვიცი, რომ შიმშილი აღარ გვემუქრება. სოციალური დახმარების პაკეტიც მივიღეთ.

— ნუთუ ნანობთ, რომ 10 შვილი გააჩინეთ?

— უფროსი გოგონა 10 წლის რომ იყო, უმცროსი ერთი წლის ხდებოდა. მაშინ რომ დახმარებები მქონდა, ახლა წარმოუდგენელია. ერთ წელს 4 მანქანა გადმოგვცეს. თბილისში პირველი „რაფი“, (მიკროავტობუსი) ჩვენ გვყავდა, მაგრამ რომ გაგვიჭირდა, გავყიდეთ. თან, 12 წლის მანქანა იყო. ახალს ვინ მოგვცემდა?! 10 წლის წინ, გმირობაც მომანიჭეს. ამაყი ვიყავი, ბედნიერი. ახლა შვილები მსაყვედურობენ — რატომ გაგვაჩინეო?!

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲨᲐᲠᲘᲫᲐᲫᲔ:

— მე 5 შვილი მყავს, აქედან 2 არასრულწლოვანია. არც ერთი ჩვენგანი არ მუშაობს. მხოლოდ მეუღლეს აქვს სამსახური. ის 150 ლარს იღებს. მეორე ჯგუფის ინვალიდი გახლავართ. აღნიშნული თანხა წამლის ფულადაც არ მყოფნის. ამ დღეებში მრავალშვილიანმა დედებმა ფული შემიგროვეს, წამალი რომ მეყიდა. პრობლემა მრავლად გვაქვს. ჩემი ორი შვილი მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს. გზის ფული როცა არა მაქვს, სასწავლებელში ვერ ვუშვებ. სახლში სხედან. გული მიტირის, მაგრამ რა ვქნა?!.

— თქვენ რა დაავადება გაწუხებთ?

— თირკმელზე ურთულესი ოპერაცია მაქვს გასაკეთებელი. ცხადია, ვერასდროს გავიკეთებ. ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე ვცხოვრობ. როცა წვიმს, წყალი ჩხრიალით ჩამოდის. ყველა კუთხე-კუნჭულში ჯამი მიდგას, წყალი რომ შევაკავოთ. გაუსაძლის ყოფაში ვართ. სოციალური დახმარების პაკეტი რას გვიშველის?! ახლა მიხარია, სახლში საჭმელს რომ მივიტან და შვილებს დავაპურებ. ეს სასადილო რომ არა, შიმშილით დავიხოცებოდით... ქალიშვილი გათხოვილი მყავს. დამირეკა და მითხრა: ბავშვს მაღალი სიცხე და ფაღარათი აქვსო. სანახავად ვერ წავედი — ეს არის სიცოცხლე?! შვილისა და შვილიშვილისთვის წამლის ყიდვა არ შემიძლია. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ვფიქრობ, საზღვარგარეთ გადავიხვეწოთ,

სხვა საშველი არ ჩანს. ერთი შადრევნით ნაკლები გაეკეთებინათ და მრავალშვილიანებისთვის დახმარება დაენიშნათ, ჯობდა... ჩვენმა შვილებმა როგორ უნდა შეძლონ განვითარება და სრულფასოვან ადამიანებად ჩამოყალიბება?! რევოლუციამდელ ბავშვს სათამაშო არ ჰქონდაო, — ვამბობთ. ჩვენს შვილებსაც არა აქვთ, კანფეტი ენატრებათ. არიან მრავალშვილიანი დედები, რომლებსაც სახელმწიფოსგან 5-10-ლარიანი დახმარება არ ესაჭიროებათ, ჩვენთვის კი ამ თანხას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. უფასო სასადილო რომ არა, რა ეშველებოდათ ჩვენს შვილებს?! დღეს აქ მოვედი და ბავშვებმა იციან, რომ სახლში ცხელი სადილით დავბრუნდები. ასეთია ჩვენი ყოფა — გაჭირვებული და უიმედო.

— ოჯახში ავადმყოფიც გყავთ. როგორ ახერხებთ მის მოვლას?

— მისთვის პამპერსსაც ვერ ვყიდულობ. ყველას ვეხვეწები — ქსოვილები მომეცით-მეთქი... ვაჭარმა მითხრა — 10-კილოგრამიან ფუთას თუ წაიღებ, თითო კილოს 2 ლარად მოგცემო. 10 კგ-ს ერთად ვერასდროს ვიყიდი. მოვხვდი დახმარების პროგრამაში, 66 ლარს ავიღებ, მაგრამ რას ვამყოფინო?! ჩემი ბინა 30 კვმია. შუაზე გავყავი და ავადმყოფი იზოლირებულად მიწევს, ბავშვებმა რომ არ დაინახონ, როგორ ვუცვლი. პამპერსი 1 ლარი და 60 თეთრი ღირს. დღეში 2 ცალი მაინც ხომ უნდა ვუყიდო?.. ახლა

სამედიცინო კომისიაზე ხელახლა უნდა გავატარო, რადგან მუდმივი პენსია არ მისცეს. არადა, ნაწლავი გარეთ აქვს დატოვებული — რაღა კომისია უნდა?! წყლის გადასახადი 2 ლარი და 40 თეთრი გახდა. შეღავათი გვეკუთვნის, ნახევარი უნდა გადავიხადოთ, მაგრამ 8 სულზე 1 ლარი და 20 თეთრი, ჯამში ათ ლარამდე აღწევს. რითი გადავიხადო?! რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ოჯახისთვის ასეთ შეღავათს?

დალი გელაშვილი:

— 7 შვილის დედა ვარ. უფროსი ბიჭი 24 წლის გახლავთ, სტუდენტია, თან ახმეტელის თეატრის მსახიობია. პატარა კი, 8 წლის არის. ჩემი მეუღლე დედისერთა იყო, ამიტომ ბევრი შვილი უნდოდა. გავაჩინეთ კიდეც, 5 ვაჟი და 2 გოგონა. არასდროს გვიფიქრია, რომ ოდესმე დახმარება დაგვჭირდებოდა. ახლა კი საშინელ მდგომარეობაში ვართ ჩაცვენილები. დედამთილი მეორედ გათხოვდა. ჩემი მეუღლე მაშინ 11 წლის იყო. მამინაცვალთან ერთად იცხოვრა, სანამ 57 წლის არ გახდა. ახლახან, მამამთილი გარდამეცვალა. ახლა მისი ქალიშვილი ბინას გვედავება. ჩემი 7 შვილით შეიძლება, ქუჩაში აღმოვჩნდეთ... დახმარების ახალი პაკეტით წყალზე, შუქზე, გაზზე, ტრანსპორტზე შეღავათები დაგვიწესდა. დღეს უკვე, მეტროში 10 თეთრად ვიმგზავრე. უმძიმესი გაჭირვების წლები უფასო სასადილომ გადაგვატანინა. ვინც არ იცის, შიმშილი რა არის, ის ვერც მიხვდება, თუ რამხელა შეღავათია ჩვენთვის პურისა და საჭმლის უფასოდ მიღება. ხშირად გზის ფულიც არ გვაქვს, აქამდე რომ მოვიდეთ. მრავალშვილიანი დედები ერთმანეთს ვეხმარებით. თუ რომელიმე არ მოვედით, დანარჩენებმა იციან, რომ იმ დღეს ვშიმშილობთ. ამიტომ იღებენ ჩვენს წილ საჭმელს და სახლში მოაქვთ. ცხადია, აქამდე ხშირად ფეხით მოვდივართ. ტრანსპორტზე შეღავათები გვეკუთვნის, მაგრამ 10 თეთრის გადახდაც რომ არ შეგვიძლია?!

ქეთევან ხარებავა:

— 3 შვილის დედა გახლავართ. 8, 9, 11 წლის შვილები მყავს. ოფთალმოლოგიისა და ნეიროლოგიის ეროვნულ ცენტრში ვმუშაობდი, საოპერაციო ბლოკის მედდად. შემამცირეს. არანაირმა თხოვნამ რომ არ გაჭრა, სასამართლოს მივმართე. სასამართლოს გზით აღმადგინეს 2004 წლის 20 მაისს, მაგრამ ჩემს გაჭირვებას მაინც არ ეშველა. ისევ დაუსაქმებელი ვარ. სიმბოლურად მეძლევა ხელფასი — 17 ლარი. რა ვქნა 17 ლარით?! ისეთი ნეიროზი მაქვს, დღეში რამდენჯერმე ვხდები ცუდად... მეც ამ უფასო სასადილოთი ვარჩენ ოჯახს. უკვე 7 წელია, ყოველდღე მოვდივარ და ჩემი ბარტყებისთვის საჭმელს ვიღებ. აქამდე, თითო ბავშვზე დახმარება — 5-5 ლარი გვქონდა. მოგვიხსნეს. ახალი დახმარების პაკეტი მატერიალურ დახმარებას არ ითვალისწინებს.

P.S. *„გზის“ ფურცლებზე წლების წინ გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ — „გმირი დედა შვილებს ყიდის“ — არაერთი ადამიანი ააცრემლა. ბევრმა დახმარების ხელიც გაუწოდა ქალს, რომელმაც 10 შვილი გაზარდა, მეთერთმეტე, კი — გაყიდა. ერთი გაყიდა, ათის სიცოცხლე რომ ეხსნა... მასთან დაკავშირება ვცადე. შევიტყვე — სამუშაოდ თურქეთში წასულა. იქ, სასადილოში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობს და ყოველთვიურად, თავის შვილებს 300 დოლარს უგზავნის...* ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

საც მორწმუნენი მარხვას ინახავენ. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. მარხვა რელიგიური დღესასწაულით, ბაირამობით მთავრდება.

21. შოტლანდიელი მეზღვაური უილიამ სელკერი რობინზონ კრუზოს პროტოტიპი გახლდათ. იგი გემის კაპიტანმა ურჩობისთვის დასაჯა და უკაცრიელ კუნძულზე გადასვა. დანიელ დეფოს ნაწარმოების პერსონაჟისგან განსხვავებით, რომელიც კუნძულზე 28 წელი ცხოვრობდა, სელკერმა მარტოობაში მხოლოდ 4 წელიწადი გაატარა.

22. რომის პაპისა და ვატიკანის გავლენით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლათინურამერიკული ქვეყნები თავშესაფარს აძლევდნენ და ფარულ დახმარებას უწევდნენ გერმანიიდან გაქცეულ ფაშისტ მაღალჩინოსნებს. კათოლიკური ეკლესია მზად იყო, ყოფილი „ესესელებისთვის“ მფარველობა გაეწია მანამ, სანამ ისინი ანტიკომუნისტებად მოიაზრებოდნენ.

23. XX საუკუნის დასაწყისის ცნობილმა ილუზიონისტმა გარი გუდინმ ახალგაზრდობაში, მატერიალური სიდუხჭირით გამწარებულმა ერთ გაზეთს შესთავაზა, 20 დოლარად ეყიდა ყველა მისი ტრიუკის საიდუმლო, რაზეც უარი მიიღო. მოგვიანებით, გუდინის პრესა უზარმაზარ თანხებს სთავაზობდა, ოღონდ კი გაეგოთ, როგორ ახერხებდა ჯაჭვით შეკრული, მიწაში ან ყინულში ჩამარხული ილუზიონისტი უვნებლად თავის დაღწევას.

24. ავიაციის ისტორიაში ყველაზე სულელურად რუსული დირიჟაბლის, „პობედას“ ეკიპაჟი დაიღუპა. წინადღეს კაპიტანს ცოლმა სთხოვა, ჩვენს სახლს რომ გადაუფრენ, კაბინიდან ხელი დამიქნიეო. მეორე დღეს მეუღლის თხოვნის შესასრულებლად კაპიტანმა საკუთარი სახლის სიახლოვეს დირიჟაბლი დაბლა დაუშვა, კორპუსით ელექტროგაყვანილობებს გამოედო და კატასტროფა განიცადა.

25. ფრიდრიხ ბარბაროსას, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ სულთან სალადინს და სარკინოზებს, თურქეთის ტერიტორიაზე მდინარის გადალახვისას გულის შეტევა დაეწყო, მდინარეში ჩავარდა და დაიხრჩო. იმპერატორის დაღუპვამ გერმანელ ჯვაროსნებს ისეთი თავზარი დასცა, რომ მათმა უმრავლესობამ ლაშქრობაზე ხელი აიღო და სამშობლოში დაბრუნდა. იმპერატორის ამალამ მისი ცხედარი ძმარში მოხარშა, ძვლები განაცალკევა და იმ იმედით შეინახა, რომ მათ იერუსალიმის აღებისთანავე წმინდა ქალაქში დაკრძალავდა.

თამუნა კვინიკაძე

რაში არ ეთანხმება სტენდალს და რაზე ეაასსენა საყვარელი დავით ზურაბიშვილს?

„ერუდიტი — ეს ახალი რუბრიკაა? რაზე გვექნება საუბარი?“ — მკითხა ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერმა დავით ზურაბიშვილმა, რომელსაც დავურეკე და ინტერვიუსთვის შეხვედრა ვთხოვე. მაგრამ ბატონმა დავითმა საკუთარ შეკითხვას პასუხი თავადვე გასცა: „ალბათ, ჩემს ინტელექტს შეამოწმებთ, ხომ? კი, ბატონო, თანახმა ვარ“, — და პარლამენტში მიმიპატიჟა.

„წიგნები ბავშვობიდანვე მიყვარდა და ყველა ჟანრის ლიტერატურას ვკითხულობდი“, — მითხრა მან საუბრის დასაწყისში. ეს რომ მართლაც ასე ყოფილა, ჩვენს კითხვებზე მის მიერ გაცემული პასუხებიც მეტყველებს.

— მზად ხართ, ჩვენ მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხოთ?

— აბა, დავიწყოთ.

— დიოგენე სინოპელი დღისით-მზისით, ანთებული ფარნით დადიოდა. თუ იცით, რას პასუხობდა გაკვირვებული ადამიანებს, რომლებიც ეკითხებოდნენ: ფარანი რად გინდაო?

— როგორც მახსოვს, დიოგენე ანთებული ფარნით იმიტომ დადიოდა, რომ ადამიანს ეძებდა.

— ნამდვილად ასეა... ეს ორი ადამიანი თანამედროვენი იყვნენ, ფილოსოფიის მამა, მედიცინის მამაზე 6 წლით უფროსი იყო. დაასახელეთ ისინი.

— ბერძნები იქნებოდნენ. ერთი — ჰიპოკრატე, მაგრამ მეორე (*ფიქრობს*)?.. თალესი?.. არა, თალესი არ იქნებოდა. პლატონი?

— არც პლატონი იყო.

— არ ვიცი.

— ის ფილოსოფოსიც ასე ამბობდა: არაფერი არ ვიციო.

— ა-ა, სოკრატე! ამის დავიწყება შეიძლებოდა?!

— თბილისში სად მდებარეობს ჭავჭავაძის ქუჩა?

— (*იცინის*).

— რატომ იცინით?

— გინდათ, დამაბნიოთ? ჭავჭავაძის ქუჩა მთაწმინდაზე მდებარეობს. ბევრს პროსპექტში ეშლება და ამბობს — ვაკეშიო.

— ეს პასუხიც ნამდვილად ჩაგეთვალათ. რადგან თბილისი ასე კარგად იცით, იქნებ, ისიც მითხრათ, ამ ქალაქში რამდენი ხიდია მტკვარზე გადებული?

— ზუსტად არ ვიცი.

— მაინც, როგორ გგონიათ, რამდენი იქნება?

— რამდენი და — ერთი, ორი, სამი (*როგორც შევატყვე, თვალდახუჭული, ხიდების თვლით მტკვრის მდინარებას „გაჰყვა“. — ავტ.*)... დაახლოებით, ათი ხიდი იქნება.

— დაახლოებით კი არა, ზუსტად ათია. პარიზში, სენაზე კი, 43 ხიდია გადებული. რადგან საქართველოდან საფრანგეთში გადავინაცვლეთ, სტენდალიც გავიხსენოთ: „ეს ბოროტებაა, ოღონდ, აუცილებელი ბოროტება“. რის შესახებ ამბობდა იგი ამას, თუ გახსოვთ?

— სახელმწიფოს შესახებ?

— ცდებით. სტენდალი ამას ქორწინების შესახებ ამბობდა.

— ქორწინებაზე ეს რამ ათქმევინა?!

— თქვენ არ ეთანხმებით?

— არა. ისე, ვიცი, რომ სტენდალი ცხოვრებაში ძალიან გაამწარა ცოლმა და ამის გამო, ქალები არ უყვარდა.



ღვინოს, ვისკი და კონიაკი მირჩევნია

— ამის დასადასტურებლად, კვლავ მის სიტყვებს გავიხსენებ, ფრაზას, რომელიც თქვენ უნდა დაასრულოთ: „თუ გსურს, ბრძნულად მოიქცე, მოუსმინე ცოლს და...“

— სიმართლე გითხრათ, სტენდალის დიდი მცოდნე არ ვარ, მაგრამ როგორ არის? საყვარელს?

— არა, ბატონო დავით, საყვარელი რამ გაგახსენათ?

— ცოლის მეტოქეა და იმიტომ ვთქვი... ისე, რაღაც ამგვარი უნდა იყოს ამ გამონათქვამის დასასრული, არა?

— ცოლს მოუსმინე და გააკეთე საწინააღმდეგო.

— დაახლოებით იგივეა, რაც მე ვთქვი...

— ამაზე კამათს ნულარ გავაგრძელებთ. მითხარით, რამდენი წლისაა ე.წ. ბალზაკისეული ასაკის ქალი?

— 30-ის.

— ბატონო დავით, პოეზია თუ გიყვართ?

— ზომიერად. ქართველი პოეტებიდან, ძალიან მიყვარს გალაკტიონი. შეუდარებელია ვაჟა-ფშაველაც.

— ვისი პოეზიიდან არის: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი,/ ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“?

— ტერენტი გრანელის.

— გაგრძელება თუ გახსოვთ?

— „სული საზღვარს გადასცდება ფრენით,/ ახლაც მახსოვს მისამართი შენი“.

— თქვენც გახსოვთ ვინმეს მისამართი?..

— ქალს გულისხმობთ (*იცინის*)? მახსოვს, აბა რა! ოღონდ, გთხოვ, ამის შესახებ მეტი არაფერი მკითხო...

— თქვენი ნებაა. მაგრამ ის მაინც მითხარით, რა გვარი იყო ტერენტი.

— კვირკველია.

— ეს მსახიობი ამბობდა — სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ იმის კი მეშინია, სასაფლაოდან ყველა რომ წავა, მე კი იქ დაჯრჩებიო. ამბობენ, მას დასაფლავების შემდეგ, პირველი ღამე, სასაფლაოზე კარლო საკანდელიძემ გაუთენაო. დაასახელეთ იგი.

— არ ვიცი.

— იპოლიტე ხვიჩია გახლდათ... „ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ, ამას კი — არასდროს“. რის შესახებ ამბობდა ამას შალვა ნუცუბიძე?

— (*ფიქრობს... კოლოფიდან სიგარეტს იღებს*) წარმოდგენა არ მაქვს. ეს გამონათქვამი ნამდვილად არ ვიცი.

— ამ შემთხვევაში, შალვა ნუცუბიძე ნიჭს გულისხმობდა. მაგრამ ის თუ გახსოვთ, რის შესახ-

ებ ამბობდა მარკ ტვენი: ეს ჩვევა დიდებული მანკიერება არისო?

— თამბაქოს მოწევის ჩვეულება (*და ახალმოკიდებულ სიგარეტს სინანულით დახედა*).

— რუსეთში მათ „მედვეუატნიკებს“ ეძახიან. ვინ არიან ისინი?

— სეიფის გამტეხები.

— რას ნიშნავს სიტყვა „ზახრუმა“?

— კარგს რომ არ ნიშნავს, ვიცი, მაგრამ ზუსტად რას — ვერ გეტყვით. აღმოსავლური ან სპარსული უნდა იყოს. ვაი, შენ, და ზახრუმაო! — გამიგონია.

— ეს სიტყვა მართლაც, სპარსულიდან არის ჩვენში დამკვიდრებული და არგადარჩენას ნიშნავს... რა არის „ელდორადო“?

— მითური ქვეყანაა, სიმდიდრით სახელგანთქმული.

— დაასრულეთ ბენჯამინ ფრანკლინის სიტყვები: საიდუმლოს შენახვა 3 ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ორი მათგანი...

— ...გარდაცვლილია.

— ყოჩაღ, თქვენ შექებას ნამდვილად იმსახურებთ. ქართული ანდაზაც გავიხსენოთ: გაჭირვებული ადამიანი რის ყუნწში შეიძლება გაძვრეს?

— ნემსის.

— თუ გაიხსენებთ, რა ერქვა პლატონ სამანიშვილის მამას?

— ბეკინა.

— ვინ არის ავტორი პიესისა „კავკასიური ცარცის წრე“?

— გერმანელი დრამატურგი ბრეხტი.

— სად და როდის დამკვიდრდა გამოთქმა: „რა გორელივით, შუა ქუჩაში დადიხარ“?

— თუ კარგად მახსოვს, გორში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ, შეშინებული ხალხი შუა ქუჩაში დადიოდა, რაც შემდეგ, ამ გამოთქმის საფუძვლად იქცა. მაგრამ ეს როდის მოხდა, არ ვიცი.

— ეს 1920 წელს მოხდა... დაასახელეთ თბილისში მდებარე ორსართულიანი ეკლესია, რომლის ქვედა სართული წმინდა მარინეს სახელობისაა, ზედა სართული — წმინდა გიორგის სახელობის.

— ქაშუეთი.

— ვის კალამს ეკუთვნის „ვაზის ყვავილობა“?

— კონსტანტინე გამსახურდიას.

— ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე შეეწირა. გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ საკუთარი ხელით დაადგა ოქროს გვირგვინი, 3 დღეც ვეღარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრება ალექსანდრე მაკედონელმა?

— არ მახსოვს.

— ღვინის სმაში. ოდესმე თქვენც ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა ასეთ შეჯიბრებაში?

— არასოდეს. საერთოდ, დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღებას ვერიდები. რომ გითხრათ, ბევრს ვსვამ-მეთქი, ტყუილი იქნება. მაგრამ არც „მალალიტრაჟკა“ ვარ. სასმელებიდან, ღვინოს, ვისკი და კონიაკი მირჩევნია.

— რა ერქვა ჰემინგუეის?

— ერნესტი.

— „დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას — ყვავები“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— „დიდოსტატის მარჯვენიდან“ გახლავთ და მას გიორგი მეფე ამბობს.

— ცნობილი გამოთქმის თანახმად, ადამიანი ყველაზე ხშირად, სამ შემთხვევაში ტყუის: ბრძოლის შემდეგ, ნადირობის შემდეგ და...

— მახსოვდა და დამავიწყდა.

— არჩევნების წინ.

— განსაკუთრებით, ჩვენს ქვეყანაში...

— არისტოტელე ამას ღმერთის საჩუქრად მიიჩნევდა, თეოფრასტე — უსიტყვო მოტყუებად. რა არის ეს?

— გარეგნობა?

— ამას სილამაზის შესახებ ამბობდა. თქვენ რომელს უფრო ეთანხმებით?

— ჩემთვის მთავარი, სულიერი სილამაზეა.

— რადგან სილამაზეზე ჩამოვარდა სიტყვა, იქნებ გაიხსენოთ, რა ერქვა სილამაზის ქალღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში?

— აფროდიტე.

— და აფროდიტეს სატრფოს — მითურ ლამაზ ჭაბუკს?

— ადონისი.

— 1878 წელს, ინგლისში საფეხბურთო მატჩის დროს, მსაჯმა პირველად გამოიყენა სასტვენი. როგორ აჩერებდნენ მატჩის მსვლელობას მანამდე?

— ზარით.

— ცდებით. ყვირილით აჩერებდნენ. — ბავშვობაში გადატანილი ოპერაციის გამო, რომელ ფეხბურთელს ჰქონდა მარცხენა ფეხი მარჯვენაზე მოკლე?

— გარინჩას.

— თუ იცით, რომელია მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია?

— ჩინეთის კომუნისტური პარტია. ეს ძნელი გამოსაცნობი არ არის.

— რომ მოინდომონ, ჩინელები ჩვენს ქვეყანაშიც ჩამოაყალიბებენ მრავალრიცხოვან პარტიას?

— ჯერ არა, მაგრამ მათი შემოსვლის აქტივობა თუ ასე გაგრძელდა, ნამდვილად შეძლებენ. ჩინელები საერთოდ, ასეთ პოლიტიკას აწარმოებენ ყველა ქვეყანაში, იმიტომ, რომ თავიანთ ტერიტორიაზე ვეღარ ეტევიან. ძალიან ბევრი ჩინელი და ინდოელია ამერიკაში, მაგრამ ჩინელები თვალში საცემნი არიან, სხვებისგან ფიზიკურად განსხვავდებიან. საქართველოშიც, თურქები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ჩინელები, მაგრამ თურქებზე არავინ არაფერს ამბობს, ზოგს ქართველისგანაც კი ვერ გაარჩევ, ჩინელები კი, თავიანთი გარეგნობით „ყვირიან“. არა მგონია, ჩვენი ქვეყნისთვის რაიმე საფრთხის წარმოქმნა შეძლონ.

— რატომ? რუსეთის მიმართ თუ აქვთ ტერიტორიული პრეტენზიები, ხომ შეიძლება, იგივე ჩვენც მოგვთხოვონ?!

— რუსეთის მიმართ მართლაც აქვთ პრეტენზიები. მაგრამ ეს ყველაფერი ხელისუფლების მიერ დროულად უნდა დარეგულირდეს.

— ჩინელებზე საუბარი გაგვიგრძელდა... ჩვენ სტუმართმოყვარე ერი ვართ, მაგრამ ხომ არ იცით, რატომ არ უყვარდა სტუმარი ლუარსაბ თათქარიძეს?

— (*იცინის*) საჭმელში რომ არ შესცილებოდა?

— არა. უბრალოდ, ტანსაცმლის ჩაცმა ეზარებოდა... სოლომონ ბრძენს, საკუთარ ბეჭედზე ამოტვიფრული წარწერა, თუ ცუდ ხასიათზე იყო, კარგ ხასიათზე აყენებდა, თუ კარგ ხასიათზე იყო — პირიქით... მითხარით, რა ეწერა ბეჭედზე და დავასრულოთ.

— ზუსტად არ მახსოვს, რაღაც, „მომენტო მორის“ მაგვარი?

— ბეჭედზე ამოტვიფრული იყო: „ესეც ჩაივლის“.

■

წიგნი ჩემთვის ყოველთვის იყო მრჩეველი, მანუგეშებელი, მშვიდი და ტკბილმოუბარი და მე სულ მინდოდა, ამომეწურა მისი ყველა სიკეთე, რათა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის შემომენახა.

ჟორჟ სანდი

ფრაზა

გენიალური

„ძუნწი და ოჯახიჩი მამაკაცი ჩემი ჩრდილი ვერ აახლევდა“...

მარიანა ნინიაშვილი ძიძა გახდა

„სერიალი მზესუმზირასავით არის. ის ერთ-ერთი გასართობი საშუალებაა,“ — ამბობს ახალგაზრდა მსახიობი მარიანა ნინიაშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინ ტელესერიალში — „ასა 2“, ძიძის როლში მოგვევლინა. რას საქმიანობდა ის აქამდე და რა სიახლეებია მის ცხოვრებაში, ამას ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

ეკა მინდაძე

— **მარიანა, როგორ ხარ?**

— გადასარევად.

— **სად დაიკარგე?**

— დაკარგული, ცისფერი ეკრანიდან ვიყავი. ჩემთვის, საზოგადოებისგან შეუმჩნევლად ვცხოვრობდი.

— **დიდი პაუზა გამოგივიდა, არა?**

— შემოქმედებითი პაუზა მართლაც დიდი გამომივიდა, მაგრამ რას ვიზამ, მსახიობის პროფესია ასეთია: ხან გექნება როლი, ხან არა. ვერ ვიტყვი, რომ ამ ხნის განმავლობაში შემოთავაზებები არ მქონია, მაგრამ არის რაღაც ისეთი, რაც ხანდახან შენთვის მიუღებელია. სერიალ „ასა 2-ში“ ჩემი ახლანდელი როლი ჩემთვის მისაღები და სასურველია.

— **ძიძის როლზე მაშინვე დათანხმდი თუ ბევრი იფიქრე?**

— არა, ბევრი არ მიფიქრია. მე ხომ ისევ „ჩემს ოჯახში“ მოვედი. „ასა 2-ის“ გადამღები ჯგუფი ჩემთვის უცხო არ არის, ჩვენ ტელესერიალ „ძილის წინშიც“ ერთად ვმუშაობდით. დღესაც იმავე მსახიობებთან მიწევს მუშაობა. თუმცა მათ შორის ახლებიც არიან...

— **ვფიქრობ, რომ სერიალები „ძილის წინ“ და „ასა 2“ ერთმანეთს ჰგავს. შენ როგორ ფიქრობ?**

— არა, მე ასე არ მიმაჩნია. შეიძლება, ასე იმიტომ ფიქრობ, რომ მსახიობების უმეტესობა იგივეა.

— **საინტერესოა, შენი პერსონაჟი გაჰყვება თუ არა ცოლად კახელ ნოდარას?**

— ჯერჯერობით, მისი საცოლე ვარ. რა მოხდება შემდეგ, ამას სულ მალე შეიტყობთ.

— **მომავალში, ამავე სერიალში სხვა როლი რომ შემოგთავაზონ, თუ დათანხმდები?**

— ჯერჯერობით, ჩემი როლის დამუშავება მიმდინარეობს. ვცდილობ, ჩემი გმირი უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გავხადო. თუ სერიალში ამის საჭიროება იქნება, სხვა როლსაც დიდი სიამოვნებით ვითამაშებ.

— **შენ თვითონ თუ უყურებ „ასა 2-ს“?**

— როცა დრო მაქვს, ყოველთვის ვუყურებ. სხვათა შორის, თვალს უცხოურ სერიალებსაც ვადევნებ. მინდა აღვნიშნო, რომ ბრაზილიური სერიალები ძალიან კარგად არის გაკეთებული და მსახიობებიც პროფესიონალურად თამაშობენ.

— **რა არის საჭირო იმისთვის, რომ მსახიობმა წარმატებას მიაღწიოს?**

— პირველ რიგში, იღბალია საჭირო. ძალიან ბევრი ნიჭიერი მსახიობი დღესდღეობით უმოქმედოა. ჩემს ჯგუფში ნიჭიერი სტუდენტები იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ, უმეტესობას არ გაუმართლა. მარტო ნიჭი არ არის საკმარისი, ფორტუნამაც უნდა გაგიღიმოს.

— **ბავშვობაში ვინ გინდოდა, გამოსულიყავი?**

— ბავშვობიდან მსახიობობაზე ვოცნებობდი. 3 წლის ვიყავი, როდესაც პირველად რუსთაველის თეატრში წამიყვანეს, იქაურობით ისე მოვიხიბლე, რომ შენობიდან გამოვედი თუ არა, დედას ვუთხარი: მსახიობი უნდა გამოვიდე-მეთქი. სამსახიობო მონაცემები, მართლაც მქონდა. მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი, როცა დედა მოვატყუე — ვითომ, გული წამივიდა და ძირს დავეცი. როდესაც დედა ამ ყველაფერს იხსენებს, ამბობს: ეს ისე დამაჯერებლად გააკეთე, რომ დავრწმუნდი, აუცილებლად მსახიობი გამოხვიდოდიო. მაგრამ ჩემი არჩევანით ოჯახში არავინ აღფრთოვანებულა: ბაბუას უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი, დედა უცხო ენების სპეციალისტობას მირჩევდა, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე (*იცინის*).

ბაბუას უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი

ჯერჯერობით, მისი საცოლე ვარ

— **შენს პირად ცხოვრებაში თუ არის რაიმე სიახლე? ხომ არ თხოვდები?**

— პირად ცხოვრებაში ახალი არაფერია. რაც შეეხება გათხოვებას, ამჯერად მხოლოდ სერიალში ვთხოვდები (*იცინის*).

— **წუნია ხარ?**

— არა, ეს არაფერ შუაშია. ჩემი აზრით, ყველაფერი ღვთის ნებაა.

— **სერიალში ძიძის როლი გაქვს. რეალურად თუ შეძლებ საკუთარი შვილის გაზრდას?**

— რა თქმა უნდა. ქალი ამქვეყნად დედობისთვის იბადება.

— **რამდენი შვილი გინდა, გყავდეს?**

— არ მინდა, ჩემი შვილი ჩემსავით დედისერთა იყოს. ბევრი შვილის ყოლის მომხრე ვარ. ძალიან მინდა, სამი შვილის დედა გავხდე.

— **მარიანა, როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— მამაკაცი, პირველ რიგში, პიროვნება უნდა იყოს. არ მიყვარს ძუნწი და ორპირი მამაკაცები. ამასთანავე, ჩემი რჩეული აუცილებლად ინტელექტუალური და თბილი უნდა იყოს.

— **შენმა რჩეულმა არჩევანის წინაშე რომ დაგაყენოს — ან ოჯახი ან კარიერაო, რას იზამ?**

— სასურველია, რომ ასეთი არჩევანის წინაშე არ დავდგე. კონკრეტულ სიტუაციაში როგორ მოვიქცევი, ვერ გეტყვი. მან ისეთი უნდა შემიყვაროს, როგორიც ვარ.

— **შენი მომავალი მეუღლე რა პროფესიის ადამიანი უნდა იყოს?**

— პროფესიას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ადამიანი იყოს. ვისურვებდი,

მსახიობი არ ყოფილიყო, მაგრამ ამას წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს.

— ბაღში შეყვარებული გყავდა?

— არა, ბაღში საერთოდ არ მივლია, — არც სკოლის პერიოდში მყვარებია ვინმე. მეგობრები მეუბნებოდნენ: ქვის გული გაქვსო. არადა, ძალიან თბილი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩემი გულის მოგება ძნელია.

— როგორ უნდა მოიქცეს მამაკაცი, შენი გული რომ მოიგოს?

— გაგიმხელ, რომ ჩემი გული უკვე მოგებულია.

— თაყვანისმცემლები სიურპრიზებს თუ გიკეთებენ?

— კი, როგორ არა. მახსოვს, როცა სერიალ „ძილის წინ "გადიოდა, ერთ მამაკაცს მოვწონდი. მან ასეთი სიურპრიზი მომიწყო: ერთ მშვენიერ დილას, როცა სახლის კარი გავაღე, გავოცდი: სახლის კარიდან ჭიშკრამდე (იტალიურ ეზოში ვცხოვრობ) ყვავილები იყო დაფენილი.

— ეს ადამიანი ინკოგნიტოდ დარჩა თუ გაიცანი?

— მე მას მანამდეც ვიცნობდი...

— ამ სიურპრიზის შემდეგ, მოვ-

ლენები როგორ განვითარდა?

— ამით არაფერი შეცვლილა, ჩვენი ურთიერთობა არ გაგრძელებულა. ახლა ის ადამიანი საქართველოში აღარ ცხოვრობს.

— დაბოლოს, რა ჟანრის ფილმში ისურვებდი მონაწილეობას?

— ძალიან მინდა ქართულ ისტორიულ ფილმში, რაიმე დრამატული როლის თამაში. ასევე, ძალებს მოვსინჯავდი ქართულ მიუზიკლში, სადაც ვიმღერებდი, ვიცეკვებდი და რა თქმა უნდა, ვითამაშებდი კიდეც (*იცინის*). ■

დიტო ქიმდარი ბანჯული ლექსებში და „ნეგრიზიანი" ფანებში

„ჯეოსტარელი" დიტო ქისიშვილი მართლაც, სასურველი სასიძო ყოფილა — მისთვის გოგონები თბილ სიტყვებს არ იშურებენ და მასთან მეგობრობის სურვილს გამოთქვამენ. გარდა გოგონებისა, დიტო ხანში შესულ ადამიანებშიც დიდ სიმპათიას იწვევს. აი, რა მოსწერა მას ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა: „ბებიაჩემი შენი ფანია. ასაკოვანი ქალი „ჯეოსტარს" მთელ კვირა სულმოთქმელად ელოდა, ღამეები თითქმის არ ეძინა, სოფელში შენი ფანკლუბის გახსნასაც აპირებდა. იქნებ, მოახერხო, ჩვენთან ჩამოხვიდე, სოფოც ჩამოიყვანე და ბებო სპეციალურად შენთვის, ისეთ მაგარ ხაჭაპურებს დააცხობს, რომ თითებს ჩაიკვნეტ".

სოფო ჭონიშვილი

ახლა კი დიტოს სახელზე მოსულ მორიგ მესიჯებს გაგაცნობთ:

„დიტო, კარგი ბიჭი ხარ, „ჯეოსტარში" შენ გგულშემტკივრობდი. ძალიან მიყვარხარ. კეტრინ ზეტა ჯონსი".

„სანთლის შუქზე აირეკლება შენი ხატება/ და სიყვარულზე დაინთება წმინდა სანთელი,/ გულს აატირებს და შეაშფოთებს შენი სიშორე/ და უსაშველოდ, უსაშველოდ მომენატრები".

„გჯეროდეს, მე შენთვის სიკეთეს ვისურვებ/ და ამ დღეს უბრალოდ ოთხ რამეს გისურვებ:/ დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს,/ ბედნიერ მომავალს და ღამაზ სიყვარულს. დიტოს ანისგან".

„უაზროდ მიყვარხარ, გულწრფელი და საყვარელი ადამიანი ხარ. არ ვიცი, გაგახსენდები თუ არა. მე ლიკა ვარ, თიანეთიდან. შენი ახლოს გაცნობა მინდა".

„რაო, დიტო?.. ისევ აკვნესებ გარმონსა? კაი ბიჭი ხარ, მაგრამ დედაჩემს სასიძოდ მაინც არ მოეწონები".

„ჩემო სიხარულო, „ჯეოსტარს" შენ გამო ვუყურებდი. შენი თვალები მაოცებენ და როცა გხედავ, ვდნები. გკოცნი ბევრს".

„არ გინდა, გამიცნო და გული გამითბო?!/ არ გინდა, შენ ჩემი ფიქრები გაიგო?!/ არ გინდა მაკოცო, ოცნება მაჩუქო?/ არ გინდა, ეს გული მხოლოდ შენ გაჩუქო?"

„სადღაც, აქ ახლოს ჩამოვარდა ვარსკვლავი ციდან,/ ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე,/ ზომით იყო სულ ერთი ციდა,/ ხომ არ გინახავს? იმისი ნახვა იცი, რად მინდა?!/ შენთან შეხვედრას, სიხარულო, იგი დამპირდა. შენთან მეგობრობა მინდა, დამიკავშირდი. ნათია, 20 წლის".

„მაგარი კაცი ხარ. შენი სიმღერა პირველად რომ მოვისმინე, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. იცოდე, ფანები ბორჯომშიც გყავს. შენი ძმა, ლექსუსა".

„მართლა მეტყველი და კეთილი თვალები გაქვს. სხვათა შორის, ეშმაკურიც... წარმატებას გისურვებ. თუთა".

„წითელი ღვინო მევე დამათრობს,/ ყანწებით რომ ვსვა მთელი ცხოვრება,/ მე მხოლოდ შენი თვალები მათრობს/ და ეს თვალები, ღმერთო, მიცოცხლე. ქეთი და თეონა, ფოთიდან".

„გარმონიანო დიტო, ძალიან კარგი ბიჭი ხარ, შენი გაცნობა მინდა. შენთან ერთად, შენთან ერთად სალოცავში მალოცვინა,/ ვიყოთ ერთად, მარადის და საუკუნოდ. მაიკო, ვაზისუბანი."

„შენ ცუდ თვისებად ის მიგაჩნია, რომ ყველა გიყვარს, მე კი — ის, რომ ყველას ვენდობი. მთელი ცხოვრება, შეცდომებს ვნანობ, მაგრამ მაინც, ყოველ ნაბიჯზე ვცდები".

„იმედი მაქვს, წელს გორში ჩამოხვალ და რეზო ქისიევის დახმარებით გაგიცნობ. სოფო, 19 წლის"

დაგესიზმრა მთვარე? დაგესიზმრე მე,/ გაგეღვიძა ღამე? გაგაღვიძე მე,/ სითბო იგრძნე ძილში? მოგეფერე მე,/ ენატრები ვინმეს?/ მენატრები მე. ბუბუ".

„მართალი ხარ, ჩემო კარგო, როცა ქართველი ხარ და საქართველოში ცხოვრობ, ქართული წესები და ტრადიციები უნდა დაიცვა. კარგი იქნებოდა, ყველა შენნაირად რომ ფიქრობდეს. ანუკი, 20 წლის"

„რა ფასი აქვს ლამაზ თვალებს,/ თუ ვერასდროს შემიყვარებს?/ რა ფასი აქვს ჩემს ცხოვრებას,/ თუკი მარტო გავატარებ,/ ან რად მინდა ეს სიცოცხლე,/ თუკი შენთვის არ ვიცოცხლებ. ნაიკო“.

„მე რომ განგებას სულთნად დავესვი,/ ურიცხვი ჯარი მეყოლებოდა,/ გავილაშქრებდი საქართველოზე,/ დიტოსნაირი ბიჭის გულისთვის“.

„მე ჩემს სიცოცხლეს ისე გაჩუქებ,/ არ დავფიქრდები არც ერთი წამით./ შენი გულისთვის სამყაროს შევძრავ/ და თუ ვერ შევძლებ, ვეცდები მაინც. დიტო, შენი ნომერი მინდა“.

„ხევსურეთი ძალიან მიყვარს და ეს კუთხე კიდევ უფრო შემაყვარე. დედა მეც ხევსური მყავს. იმედია, ოდესმე ერთმანეთს შევხვდებით“.

„ძალიან მინდა, შენნაირი მეგობარი მყავდეს — მოწესრიგებული, ლამაზი, ჭკვიანი, ერთგული და უღალატო ადამიანი ვარ. და თუ სურვილი გაგიჩნდება, დამიკავშირდი. ერთგული ნატო“.

„მეც ქართულ ტრადიციულ ოჯახში ვარ აღზრდილი და შეყვარებულმა იმიტომ მიმატოვა, რომ ბოიფრენდის ინსტიტუტი ჩემთვის მიუღებელი იყო. მის დაკარგვას ძალიან განვიცდი, მაგრამ დანანებით, მაინც არაფერს ვნანობ. შენი აზრები ძალიან მომეწონა. ლიზი“.

„შენ ისე შორს ხარ, ისე შორს ჩემგან,/ როგორც მყინვარი ფიქრის მთოველი,/ და ისე ძლიერ, ძლიერ მიყვარხარ,/ როგორც დიდოსტატს სვეტიცხოველი. ლელა.“

„ესემესი“ მოვედი, ლამაზი და ჯიგრული,/ დროზე ამომაკითხე, ეკრანზე ვარ მიკრული./ ერთ წუთს შემოგიარე, დიდხანს არა მცალია,/ მე ვინც გამომაგზავნა, ენატრები ძალიან“.

„შენთან შეხვედრას მე ძლიერ ვნატრობ,/ გულით მწადია პირისპირ განახო,/ მინდა, შენს ღიმილს ვხედავდე ახლოს,/ მხოლოდ ჩვენ ორნი, მე და შენ მარტო. დიტო, ძალიან გთხოვ, გავიცნოთ ერთმანეთი. სიყვარულს არ გთხოვ, ვიმეგობროთ“.

„შეზე ფიქრები მე არ მასვენებს,/ შენზე ოცნება თავს არ მანებებს,/ რა ვქნა, რა ვუყო იმ გულს, რომელიც/ ყოველ დარტყმაზე შენს თავს მახსენებს“.

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

„ვაფშეტა“, მიყვარხარ,/ „პროსტა“, მევასები,/ „კაროჩე“, გაფასებ,/ „ზნაჩიტ“, მენატრები/ „კაკრას“, მომწონხარ,/ „ტოჩნად“, გელოდები“,/ „შუსტრად“ დაამესიჯე,/ შენს ზარს ველოდები“. მაგარია, არა?“

„დიტო, იცი, რა კარგი აურა გაქვს? ჩემი მობილურის ეკრანზე შენი სურათი მაქვს გამოტანილი. თუ ოდესმე ტყიბულში მოხვდები, აუცილებლად დამიკავშირდი. მაიკო“.

„გისურვებ, სილამაზით დატკბე,/ გისურვებ, სიყვარულით გათბე,/ გისურვებ, ბედნიერი გახდე/ და ისევ ჩემი მეგობარი გახდე“.

„იმ დონეზე მიყვარხარ, რომ ტირილი მინდა. გამომეხმაურე, თორემ მოვკვდები. შენი პრინცესა“.

„ცას ავხედავ, წვიმა იქნება,/ ჩემი ცრემლები შენთან იქნება,/ წვიმად ვიქცევი, ცრემლად ვიღვრები,/ დამიმესიჯებ? კარგად ვიქნები. მარი“.

„მარტო ხარ, მოდი ერთად ვიმარტოვოთ,/ და ორივემ სიმარტოვე მივატოვოთ,/ სიკვდილამდე სიყვარულით ვისაზრდოოთ,/ ერთმანეთი არასოდეს მივატოვოთ“.

„დიტო, ჩემი ჯგუფელი შენზე გიჟდება, ტელეფონში შენი სიმღერა აქვს ჩაწერილი და ყველა ლექციაზე ამღერებს. ლექტორები დატანჯა“.

„იცი, რაა? სადაცაა, ნევროზი დამემართება იმაზე ფიქრით, როგორ შევძლო შენი გაცნობა. გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები, ეს რომ ვერ მოვახერხო. მარი“.

ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ კითხვებზე დიტო თავად გიპასუხებთ.

უცნობი:

„დიტო, მაინტერესებს კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სკოლაში თუ სწავლობდი?

— კი, ჩემო კარგო, 6 წელი ვსწავლობდი.

ლანა და თამუნა:

„ჯეოსტარში“ შენი გარმონით თავი ყველას კარგად დაამახსოვრე. შეგიძლია, მაგ გარმონით ერთხელ კიდევ გვიმღერო?“

— აუცილებლად. მოვა ის დღე, როცა ერთმანეთს გავიცნობთ და შესაბამისად, გიმღერებთ კიდეც.

უცნობი:

„ჯიგარი ბიჭი ხარ. მაინტერესებს, სცენაზე კიდევ როდის გიხილავთ?“

— ამ ყველაფერზე სერიოზულად ვფიქრობ. გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებ და ჩემს თაყვანისმცემლებს აუცილებად გავახარებ.

უცნობი:

„თუ შეიყვარებ იმ ადამიანს, რომელსაც იცი, რომ უყვარხარ და გაღმერთებს“?

— რა ვიცი, აბა? სიტუაციას გააჩნია.

ანი:

„დაბადების დღე როდის გაქვს“?

— 21 ნოემბერს.

თიკო:

„უახლოეს მომავალში ალბომის გამოშვებას ხომ არ აპირებ?“

— უახლოეს მომავალში არ ვიცი, მაგრამ ალბომის გამოშვებაზე სერიოზულად ვფიქრობ. იმედი მაქვს, ამას შევძლებ.

ლანა:

„გარდა გარმონისა, კიდევ რომელ ინსტრუმენტზე უკრავ?“

— ფორტეპიანოზე, გიტარაზე, ფანდურზე... ყველანაირ მუსიკალურ ინსტრუმენტზე ვუკრავ, რაც კი არსებობს.

მაიკო:

„ტყიბულში ვცხოვრობ და შენი გაცნობა ძალიან მინდა. როგორ ფიქრობ, ამას მოვახერხებ?“

— იმედია, ერთ მშვენიერ დღეს ტყიბულშიც მოვხვდები და აუცილებლად დაგიკავშირდები.

ნანა:

„შეყვარებულისთვის სერენადა თუ გიმღერია?“

— ძმაკაცების შეყვარებულებისთვის მიმღერია. როცა შემიყვარდება, ჩემს რჩეულსაც ვუმღერებ.

ლეო-19:

„გარდა პოპულარობისა, „ჯეოსტარმა“ კიდევ რა მოგიტანა?“

— ამ პროექტის წყალობით, უამრავი საინტერესო ადამიანი გავიცანი, რითიც ძალიან ბედნიერი ვარ.

ანი:

„დიტო, ძალიან გთხოვ, სოფოს იმის უფლება მიეცი, რომ შენი ნომერი მომცეს. უბრალოდ, გაგიცნობ, სხვას კი არაფერს გთხოვ. კარგი?“

— კარგი, ჩემო კარგო. სოფოს დაუკავშირდი და ჩემს ნომერს მოგცემს, ოღონდ არ „გამიბაზრო“.

ნინო:

„შენ და „ჯეოსტარელ“ მარის მართლა მოგწონდათ ერთმანეთი?“

— ეს ჭორი იქიდან გამომდინარე გავრცელდა, რომ ერთ-ერთი გამოსვლის დროს, სიმღერა მარის მივუძღვენი, რაც მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ ის არაჩვეულებრივი ადამიანია. მისგან დიდ სითბოს და პატივისცემას ვგრძნობდი.

P.S. *შემდეგ კვირას რუბრიკა „საპატარძლოს“ სტუმარი „ჯეობარი 2“-ის მონაწილე ტატა ზარანდიაა. მასთან დაკავშირების მსურველებმა დამიმესიჯეთ ნომერზე: 898.23.09821 გამოგზავნეთ კითხვები, რომლებზეც პასუხს თავად ტატასგან მიიღებთ. შეეცადეთ, თქვენი „ესემესები“ საინტერესო და ორიგინალური იყოს.*

„არ მომიპარავს, მიპოვნია...“

„ჯაი მაყუთი“, მაგარი ჯაცი და ანდერძი „გზავნილებს“ ანუ გააჩნია, რა განძია

ამ ბოლო დროს, მკითხველებმა ისევ მოუხშირეს საყვედურს ჩემი მისამართით, მესიჯებს რატომ არ გვიბეჭდავო? ზოგს ჰგონია, რომ მხოლოდ სვანების მესიჯებს ვბეჭდავ, ზოგი ფიქრობს, რომ ჩაწყობით ხდება „ესემესების“ გამოქვეყნება, ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ მათ უსამართლოდ ვეექცევი. მინდა განვმარტო, რატომ ვერ ხვდება თქვენი მესიჯი ჟურნალში (ეს სხვა დროსაც არაერთხელ მითქვამს): „გზავნილებში“ მოხვდება მხოლოდ ის მესიჯი, რომელიც უშუალოდ თემას ეხება, პირადი ხასიათის „ესემესები“, სადაც შეყვარებულს ეუბნებით, რომ გიყვართ და გენატრებათ, ან ახლობელს დაბადების დღეს ულოცავთ, ან გულის სწორს ლექსს უძღვნით, უნდა გამოგზავნოთ „მესიჯომანიაში“ (გამოგზავნის ზუსტი წესი ნახეთ „მესიჯომანიის“ დასაწყისში) და პირობას გაძლევთ, რომ აუცილებლად გამოქვეყნდება.

ახლა კი, ჩვენს თემას მივუბრუნდეთ და გავიგოთ, რა იპოვეს ჩვენმა ილბლიანმა მკითხველებმა.

მარი ჯაფარიძე

უმადური

„11 წლის წინ ვერაზე, ლურჯ მონასტერში წირვას ვესწრებოდი. ზიარების დაწყებამდე, ეზოში სკამზე ჩამოვჯექი. დავინახე, რომ ჩემგან 1 მეტრში საფულე ეგდო (ჯიბეში მხოლოდ 50 თეთრი მედო). იმწუთას სულ სხვა ადამიანად ვიქეცი. საფულე ავიღე და ვიდრე გავხსნიდი, გავიფიქრე: თუ მასში პატრონის პირადობის მოწმობა ან რაიმე საბუთი იქნება, მაშინ ეს ჩემთვის არ ყოფილა განკუთვნილი-მეთქი. გავხსენი. საფულე 10-ლარიანი კუპიურებით იყო გაძეძგილი. შიგ რაღაც ქვითარიც ვიპოვე, რომელზეც პატრონის სახელი და გვარი ეწერა. ის კაცი მოვძებნე და საფულე დავუბრუნე. თან, თავი ვიმართლე — ვიპოვე, არ გეგონოთ, რომ მოგპარეთ-მეთქი. იმ კაცმა მადლობაც არ მითხრა და გულდაწყვეტილი წამოვედი. ამის შესახებ მამაოს მოვუყევი. მანუგეშა — ღმერთი დაგასაჩუქრებსო. სწორედ ამ ამბის შემდეგ გამოჩნდა ჩემი მომავალი მეუღლე. ახლა ჩვენ უკვე 3 ანგელოზი გვყავს, ბედნიერი ვარ და ჩემს საფულეშიც ფული არასოდეს იღევა. მაინც მგონია, რომ ღმერთმა იმ ფულის სანაცვლოდ, ჩემი ლამაზი ოჯახი გამომიგზავნა. ფიქრია“.

საჩუქარი ედუარდ შევარდნაძეს

„საკმაოდ ასაკოვანი კაცი ვარ, მაგრამ თქვენს რუბრიკას ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვკითხულობ. ახლა კი გადავწყვიტე, მოგწეროთ კიდეც. წლების წინ, საკმაოდ დიდ თანამდებობაზე ვმუშაობდი. მოგეხსენებათ, კომუნისტური რეჟიმის დროს მთელი ქვეყანა კორუფციის ჭაობში იძირებოდა, მაგრამ ახლანდელი პრეზიდენტივით, თუ ვინმე „ჭამის“ დროს დაგიჭერდა, ციმბირს უკან დაგატოვებინებდნენ. მოკლედ, ისე უნდა „გეჭამა“, რომ თვალში არავის მოხვედროდი. ერთ მშვენიერ დღეს, შევარდნაძე სამთავრობო თათბირს ატარებდა. სიტყვა გაუგრძელდა და დამსწრე საზოგადოება ძალიან დაიღალა, წარამარა საათზე იხედებოდნენ. ბატონმა ედუარდმა, რა თქმა უნდა, შენიშნა მათი მოუსვენრობა და ბრძანა, რომ საათი ხელიდან ყველას მოეხსნა და ტრიბუნასთან დაედო. ვინ გაბედავდა შეუსრულებლობას? ჰოდა, ტრიბუნასთან 100-ზე მეტი ძვირად ღირებული საათი მოგროვდა. თუმცა, თათბირის დასრულების შემდეგ, თავისი ნივთის ასაღებად, აღარავინ მისულა. ვინმეს რომ ეკითხა, ასეთი ძვირად ღირებული საათი საიდან გაქვსო?.. ჰოდა, ედუარდს შეეძლო, სულ ღიღინ-ღიღინით წამოეკრიბა ეს საათები და ემღერა: არ მომიპარავს, მიპოვნიაო... ასე იყო ეს ამბავი და შეგიძლიათ, გადაამოწმოთ კიდეც. გმადლობთ. ოთარი“.

საიდუმლო წარწერა

„ეჰ... ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ. ჩემი ქმარი ბანკში მუშაობს. ერთ მშვენიერ დღეს მითხრა, რომ ბანკმა ბათუმში თავისი ფილიალის შემოწმება გადაწყვიტა და რამდენიმე დღით გამგზავრება მოუწევდა. უზომოდ ეჭვიანი ვარ, მაგრამ მისი სამსახური მსხვერპლს მოითხოვდა და რა უნდა მექნა? გაგანია ზაფხული იყო. შევთავაზე, ბათუმში წამიყვანე და სანამ თქვენ ბანკს შეამოწმებთ, მე პლაჟზე ვიქნები-მეთქი. შორს დაიჭირა: არა, მარტო მამაკაცები მივდივართ, თანაც, ხუთნი და აბა, შენ როგორ წაგიყვანოო?!. მთელი 3 დღე და ღამე ნერვიულობაში გავატარე. როგორც იქნა, ვაუბატონი შინ დაბრუნდა. მაშინვე მისი ტანისამოსი შევამოწმე, დავყნოსე, ლამის მიკროსკოპით დავათვალიერე, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინე. მერე ვთხოვე — სურათები თუ გადაიღეთ, დამათვალიერებინე-მეთქი. ჯერ არ დაუბეჭდავთ, როცა მზად იქნება, რა თქმა უნდა, გაჩვენებო. რამდენიმე დღე გავიდა და მართლაც, უამრავი ფოტო მოიტანა შინ. არც ერთ მათგანზე ქალის „ჭაჭანება“ არ იყო. ესეც საეჭვოდ მომეჩვენა, მაგრამ სკანდალის საფუძველი არ მქონდა და გავჩუმდი. ერთი კვირის შემდეგ, სახლის დალაგებისას, საწერი მაგიდის უჯრაში ბათუმში გადაღებულ სურათებს წავაწყდი და ხელახლა დავათვალიერე. ის იყო, ისევ თავის ადგილზე უნდა დამედო, რომ კონვერტზე წარწერა შევნიშნე: აქ ქალებთან ერთად გადაღებული ფოტოები არ ჩადოთ! — და ქვეშ, ჩემი ქმრის გვარი ეწერა... ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავს დავაწევდი? რა ჩემი ბრალია? მე ხომ ის სურათები არ მომიპარავს? ვიპოვე და საიდუმლოც ამოვხსენი...“

ალკოჰოლის მავნებლობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ყველამ ვიცით, რომ სპირტიანი სასმელი იწვევს ცხვირის გაწითლებას, გონების დაბინდვას, დედამიწის გაცილებით სწრაფად ბრუნვას, ჩხუბს, თვალის დალურჯებას და მისი ხშირი მოხმარება — ოჯახის დანგრევასაც კი... შესაძლოა, გაგიჩნდეთ კითხვა: რამდენის დალევაა ამისთვის საჭირო? სამწუხაროდ, ეს მე არ ვიცი. სამაგიეროდ, მომდევნო რესპონდენტმა იცის და სანამ ის ამას აგვიხსნის, მანამდე ერთ ძველ ანეკდოტს (ან იქნებ, ნამდვილ ამბავს) მოგიყვებით: ახალგაზრდა მამაკაცი მეგობართან ერთად მიდის. გზის მეორე მხარეს სიმამრი შენიშნა. სიძემ საფეთქელთან საჩვენებელი თითი დაიტრიალა. სიმამრმა ორივე საფეთქელთან დაიტრიალა 2 თითი. სიძემ მარცხენა მკლავი იდაყვში მოხარა და მეორე ხელი ზედ გადააჯვარედინა. სიმამრმა ერთი ხელი გაშალა, მეორე ხელის გაშლილი მტევანი, ნეკა თითის მხრიდან, გაშლილ მკლავზე იღლიის გასწვრივ რამდენჯერმე დაირტყა და მერე საჯდომზე დაიტყაპუნა. მეგობარმა სიძეს ჰკითხა:

— კი, მაგრამ რატომ აგინებთ ერთმანეთს?

— რას ამბობ? ჩემი სიმამრი მაგარი კაცია, მაგას როგორ შევაგინებ?!

— აბა, ეს ყველაფერი რას ნიშნავდა?

— მე რომ საფეთქელთან თითი დავიტრიალე, ვკითხე: ჩემი სულელი ცოლი შინ არის-მეთქი? მან მიპასუხა, ორივე სულელი შინააო (მეორე — მისი ცოლია). მერე, ვკითხე: ნახევარლიტრიანი ისევ სავსეა-მეთქი? მან კი მიპასუხა: ნახევარი ლიტრი კი არა, 750გ გვაქვს და უნიტაზის უკან დავმალეო...

აი, ასეთ საერთო ენას თუ გამონახავთ სიმამრთან, მერწმუნეთ, ჩვენი შემდეგი რესპონდენტის ბედს არ გაიზიარებთ.

სკანდალი

„უკვე 8 წელია, რაც ცოლი მოვიყვანე. აბა, რომელ ქართველს არ უყვარს სმა და ქეიფი?! ჰოდა, მეც ერთი ტიპური ქართველი ვარ და დალევაც ხშირად მიწევს. ამის გამო, სახლში სულ სკანდალია, მაგრამ როცა მთვრალი ვარ, ცოლის ჩხუბი სულ არ მანაღვლებს, ფხიზელს კი, არავინ არაფერს მეუბნება. ამიტომ, მშვენივრად ვირგებ ყველაფერს. დალევა ჩემს სიმამრსაც უყვარს. უფრო სწორად, ის უკვე ჩამოყალიბებული ლოთია, სასმლის გარეშე ვერ ძლებს. ის ჩემი კარის მეზობელიცაა და ამიტომ, ხშირად ერთადაც ვსვამთ. ორი „ვეშაპი“ ერთად დაგვაცხრება ხოლმე თავს, მაგრამ ვერაფერს გვაკლებენ. ამ ბოლო დროს, როგორც ჩანს, ჩემმა ცოლმა და სიდედრმა მოილაპარაკეს და სიმამრს სასმელს უმალავდნენ, მე კი ოჯახის დანგრევით მემუქრებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ვისვენებდი და არსად წასვლას არ ვაპირებდი, ცოლმა მთხოვა, სამზარეულოს კარადა შემეკეთებინა. თვითონ და ბავშვები კი სასეირნოდ წავიდნენ. მე საქმეს შევუდექი. კარადიდან ყველაფრის გადმოლაგებამ მომიწია. ბიჭოს! აგერ ერთი ბოთლი არაყი არ დგას?! გამიხარდა. საქმეს თავი დავანებე და სიმამრს დავუძახე. მივუსხედით სუფრას და კარგად გამოვთვერით. მერე, როცა ბოლო წვეთებიც ჩამოვწურე ბოთლიდან, მან მითხრა: მოიცადე, სასმელი გადამალული მაქვს და გავაგრძელოთო. მივიდა და სწორედ ჩემს კარადაში დაიწყო ძებნა. თურმე, მისი დამალული არყისთვის მიმიგნია. ძალიან გაბრაზდა და ბურტყუნ-ბურტყუნით წავიდა შინ. ჩემი ცოლი რომ მოვიდა და ნახა, რომ სამზარეულოს კარადიდან ყველაფერი გადმოლაგებულია და იატაკზე ყრია, მე კი მთვრალს დივანზე მძინავს, პარტიზანივით დამესხა თავს, დივნიდან გადმომათრია და იატაკზე დამაგდო. დიდი ჩხუბი მოგვივიდა. მერე, ჩემი სიდედრ-სიმამრიც შემოვიდა და არც ერთმა ჩემი მხარე არ დაიჭირა. სიმამრი გაიძახოდა — მასე უნდა მაგას, ჩემი არაყი რომ მოიპარაო! — შე უნამუსო, მამაჩემს არაყი როგორ მოჰპარეო?! — ყვიროდა ჩემი ცოლი. მოკლედ, იმ დღესვე დავანგრიე ოჯახი და შინიდან წამოვედი. იყვნენ ახლა და იტირონ. ის არაყი კი არ მომიპარავს, ვიპოვე და შევირგე კიდეც“.

თავანი

„მარი, შენ გაგიგონია, ნარდში წაგებული ქალწულობის შესახებ? არა? მე კი დღეს წავაგე ჩემს შეყვარებულთან და ხუთშაბათს „თავანი“ მაქვს ჩასაბარებელი. რა ჯანდაბა ვქნა, არ ვიცი. რა მინდოდა, რატომ ვთამაშობდი? შარო, საიდან მოდიხარო, სწორედ ჩემზეა ზედგამოჭრილი. მგონი, „პაბეგის“ „აწევა მომიწევს, საქართველოდან უნდა „მოვტყდე“. ტანჯვით (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) შენახული ქალწულობა ერთი პარტია ნარდის თამაშმა უნდა შეიწიროს? ეჰ, უბედურო თავო!“



ცოცხალი „მკვდარი“

„გამარჯობა. დიდი ხანია, აღარ მომიწერია და ახლა გამიჩნდა სურვილი, რომ ჩემი ამბავი მოგიყვეთ. მთელი ცხოვრება ერთი ადამიანი მიყვარს. არა, ის ჩემი ქმარი კი არა, ჩემი პირველი სიყვარულია. გაბრაზებული ვიყავი და ცხელ გულზე გავთხოვდი. ქორწილის დღეს მითხრეს, რომ ის დაიღუპა. გავიდა წლები. საბავშვო ბაღში მაგვიანდებოდა და ვიღაც კაცს კარში ისე შევეჩეხე, ლამის გადავაყირავე. გულში შევუკურთხე და მისთვის არც შემიხედავს, ისე გავაგრძელე გზა. უკნიდან ვიღაცამ დამიძახა. შემოვბრუნდი და სწორედ ეს კაცი მეუბნება — ვერ მიცანი? მე ვარო. ეს ჩემი პირველი სიყვარული იყო, ვის სახელზეც ხშირად სანთელი ამინთია და მისი სული მომიხსენიებია. თურმე, მაშინ მისი სახელისა და გვარის მქონე სხვა კაცი დაღუპულა და ჩემმა ახლობლებმა მიიჩნიეს, რომ ის იყო. ძლივს ვიცანი. დროს ბევრი რამ შესძლებია, თურმე. დღეს ორივეს ოჯახი გვაქვს და 2-2 შვილიც გვყავს. ძალიან ეჭვიანი ცოლი ჰყავს, თორემ, დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი მათთან. ლანა“.

„ქრისტინე ვიპოვე!“

„მარი, დღევანდელ თემას არ ეხება, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია და თუ დაბეჭდავ, იქნებ, ერთი ადამიანის ცხოვრება მთლიანად შეცვალო. დაახლოებით 2 წლის წინ, ნათესავის ორმოცზე ერთი ახალგაზრდა ბიჭი გავიცანი. როდესაც მან გაიგო, რომ ახალციხეში ვცხოვრობდი, გამიმხილა, იქ ჩემი ნახევარდა ცხოვრობსო. იცოდა ამ გოგონას ასაკი, კიდევ ის, რომ ქერა იყო და ქრისტინე ერქვა. გავიდა დრო. წელს, ახალი წლის დღეებში, ერთ ოჯახში სტუმრად ვიყავი. სუფრასთან 15-16 წლის ქერა გოგონა იჯდა, რომელსაც ქრისტინე ერქვა. უცებ იმ ბიჭის ნათქვამი გამახსენდა და გვარი ვკითხე. როდესაც აღმოჩნდა, რომ რუსული წარმოშობის გვარი ჰქონდა, თითქოს ეჭვი გამიქარწყლდა, მაგრამ მაინც ვერ მოვისვენე და ჩავაცივდი — ეგ დედის გვარია, მამა რა გვარი იყო-მეთქი? მიპასუხა: მამაჩემი იმერელი ასანიძეა, მაგრამ საერთოდ არ მახსოვსო. თურმე, ის კაცი ძალიან ხშირად ხვდებოდა ციხეში ან ძებნილი იყო. მივხვდი, რომ ეს სწორედ ის ქრისტინე იყო, რომელზეც წლების წინ, ახალგაზრდა მამაკაცი მიყვებოდა. ავდექი და გავუმხილე, რომ ნახევარძმა ჰყავს. ქრისტინეს სურვილი აქვს, ის გაიცნოს. ამ ადამიანთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ ძველ ნომერზე, რომელიც მე ვიცოდი,

MK

ვერ აღმოვაჩინე. მამა კი თურმე, 4 წელია, რაც გარდაიცვალა. ქრისტინეს ვერ ვუმხელ, რომ მამამისი ცოცხალი აღარაა. ის კი მიმესიჯება და მთხოვს — იქნებ, მამასთან და ძმასთან დავაკავშირო. როდესაც მის ძმას ვურეკავ, მგონი, დედამისი მპასუხობს და ცოცხალი თავით, არ მაძლევს შვილის ნომერს. მინდა, ხვიჩამ თქვენი საშუალებით გაიგოს, რომ ქრისტინე ვიპოვე. მას ხომ ასე ძალიან უნდოდა დის გაცნობა“.

დამსახურებული სამაჯური

„ვმუშაობ სასტუმროში. ამ სასტუმროს გახსნასთან დაკავშირებით, გრანდიოზული ზეიმი მოეწყო. ცოტა მოგვიანებით, ძალიან დიდი ჩხუბი, შეხლა-შემოხლა ატყდა და „სასწრაფო დახმარების“ მანქანა დაჭრილებით გაივსო. სასტუმროსაც სერიოზული ზიანი მიაყენეს — ყველაფერი დაიმტვრა, გაფუჭდა. მეორე დილით დაგვიბარეს და იქაურობის დალაგება დაგვავალეს. ძალიან დავიღალე და ის იყო, ჩამოჯდომას ვაპირებდი, რომ დავინახე, ჩემთან ახლოს ოქროს სამაჯური ეგდო. რა თქმა უნდა, ავიღე და სიხარულისგან ღამის ფრენა დავიწყე. საკმაოდ ძვირად ღირებული აღმოჩნდა, ჩემი 3 თვის ხელფასითაც კი ვერ შევიძენდი მსგავს ნივთს. ახლა ვფიქრობ, რომ ის სამაჯური ნამდვილად მეკუთვნოდა, იმ ღამის ფასად“.

ფულის წვიმა

„რამდენიმე წელი რუსეთში ვცხოვრობდით. ერთხელ, როცა ბავშვი სკოლაში მიმყავდა, მან ყვირილი ატეხა, ციდან „ფულები“ მოფრინავსო! მაღლიდან კუპიურები მართლაც ცვიოდა, მაგრამ მეგონა, ყალბი ფული იყო. ჩემმა შვილმა კი, 4 ასმანეთიანი დაიჭირა. აღმოჩნდა, რომ სულაც არ იყო ყალბი. იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა. იმ ქუჩაზე სავაჭრო ცენტრი იყო და როგორც ჩანს, ან გამყიდველს მოსტაცა ქარმა ფული, ან — კლიენტს.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

ვის უნდა ჟურნალის შეჭმა?

„გამარჯობა. დიდი ხანია, „გზას“ და „გზავნილებს“ ვკითხულობ, მაგრამ არასოდეს მომიწერია. ახლა იცით, რატომ გიგზავნით მესიჯს? ბევრი ამბობს, რომ თურმე, ძალიან მაგარი შეგრძნებაა, როცა შენს მესიჯს „გზავნილებში“ კითხულობ და მაინტერესებს, მართლაც ასეა თუ არა. დონი“.

„სალამი ყველას. „გზის“ ყველა ნომერი მაქვს გამოსვლის დღიდან. „კვირის პალიტრის“ გამომცემლობა ყველაზე მაგარ ჟურნალ-გაზეთებს უშვებს. პირველად ვამესიჯებ და დამიბეჭდეთ, რაა... 6 წლის წინ, საკუთარ დაბადების დღეზე ხუთმა კაცმა მცემა. ჯარში რომ წავედი, სულ 10 წუთის მისული ვიყავი, როცა 7 კაცი შემომელახა. წელს, ახალი წლის ღამეს კი, ისევ ხუთმა კაცმა მცემა. ვარ 80 კილო, მაგრამ რაც თავი მახსოვს, პატარას მეძახიან. სოფლელი გიჟუა. ეს იყოს ჩემი ნიკი თქვენთან. ასეთი ბედი მაქვს, არ მომიპარავს, ვიპოვე და რა ვქნა?“

„ყველაზე დიდი კურიოზი ის იქნება, „გზის“ რედაქციამ მატერიალური ანაზღაურება თუ მოითხოვა გლობუსის მოკბეჩისთვის. მერე ვნახოთ, როგორ დაიბრალებთ... თქვე კაი ხალხო, რაღა ამ გლობუსს დაეტაკეთ? ჭკვიანი გოგო“.

„ვინმეს მთელი ღამე საქათმის თავზე, თივაში თუ გაგითენებიათ? მე გავათენე და მხოლოდ იმიტომ, რომ მეზობლის სახლის სახურავზე ავძვერი და ღუმლის მილში 3 დიდი ჩვარი ჩავტენე. წარმოიდგინეთ, როგორი კვამლი დადგებოდა ოთახში. ნახევრად გამურული მეზობელი დედაჩემთან მოვიდა საჩივლელად და იმის გამო, რომ არ მომხვედროდა, საქათმის თავზე, თივაში ვიმალებოდი“.

„ვაიიი... ეს ღამურა თუ დავიჭირეეე... ვერავინ გამომგლეჯს ხელიდან. ოპოზიციას ვაჩვენებ მაგას! ილინი“.

„მარი, ვინც შენ გემდურის, ჩემი ნომერი მიეცი და დანარჩენს თვითონ გაიგებ... ისე, კარგი იქნება, რაც კი შენ დაგიწერია, იქიდან ყველაზე მაგარი თავგადასავლების კრებულს თუ გააკეთებ“.

„ჩემმა დედამთილმა ისე განიცადა, მისი შვილისგან გულნატკენი ტირილით თავს რომ ვიკლავდი, მითხრა: შენისთანა ლამაზი ქალი უკეთეს ქმარს იმსახურებს, მიატოვე ეს თავხედი და ისეთი მოძებნე, ვინც გულს არასოდეს გატკენსო. მადლობის მეტი რა მეთქმის, ან უკვე ყოფილი დედამთილისთვის? გავითვალისწინე მისი რჩევა და ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. ეს ბედნიერება კი ვიპოვე და სულაც არ მომიპარავს“.

„გზავნილებს“ სულ ვკითხულობ, მაგრამ მხოლოდ ახლა გიმესიჯებთ. მე ის „მორიელი“ ვარ, „კიბორჩხალას“ ცოლი რომ უყვარს. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ არ მომიპარავს, მიპოვნია და ბედნიერიც ვარ“.

„მარი, ახლა „მორიელმა“ მომწერა, „გზაში“ მესიჯი ვაფრინეო. ჩემს მესიჯსაც თუ დაბეჭდავ, ბედნიერი ვიქნები. 2 დღეში ჩემი ქმარი ჩამოდის და მინდა, ამ ბედნიერებით დავტკბეთ. „არ მოგვიპარავს, გვიპოვნია, ახლა ჩვენია, ქმრიანი ქალის სიყვარული მართლაც ძნელია“. მიყვარხართ ყველა, ვინც ჩემს მესიჯებს კითხულობთ. „კიბორჩხალას“ ცოლი“.

„სოფო, შენი ქმარი არ მომიპარავს, ვიპოვე და აღარ დაგიბრუნებ. ვიცი, რომ „გზას“ კითხულობს და ამას რომ წაიკითხავს, გაგიჟდება. ლიკა“.

„დიდი გოგო ვარ და არაფერი მომიპარავს. ყველაფერს ვპოულობ. ყურშა, მეც ახალი ვარ, ოღონდ — ძველი, რადგან „გზის“ ყველა ნომერი მაქვს. ა.ც.ც“.

„ზოგს ისე უმართლებს ცხოვრებაში, რომ 2 დედა და 2 მამა ჰყავს. მე კი დედა 14 წელია, არ მყავს, მამას კი ინსულტი აქვს და ძალიან ცუდად არის. რა გაქვს სათქმელი, „კანიბალკა“? შეირგე ცხოვრება. „აკვარელია“.

„უკვე 3 წელია, რაც ჩემი მესიჯები „გზავნილებში“ იბეჭდება, მაგრამ სახელს არასოდეს ვაწერდი. ხანდახან, ბოლოში ჩემი მანქანის სერიას თუ მივაწერდი ხოლმე. ახლა ვხვდები, რომ ნიკს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაშ ასე, დღეიდან თქვენ წინაშეა ძველი მგზავნელი, ახალი ნიკით, „ექსტრემი“. მიფრთხილდით! რიჩ, რა შანსი გაუშვი ხელიდან, აზრზე არ ხარ. შენ იმას მიაღწიე, რასაც ბარე ორმა ვერ მიაღწია. ჩემს გულამდე მისასვლელი გზა იპოვე, მაგრამ შენივე უჭკუობით დაკარგე“.

„მარი, ერთი გამაგებინე, ვინ არის ეგ „ღამურა“? რა უნდა, რატომ „გიჩმახებს“ საქმეს? შენ არ შეგეშინდეს, ხომ გაგიგონია — ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო? „ღამურამ“ უნდა იცოდეს, რომ ამ ქვეყანაში ოპოზიცია არ ამართლებს. მით უმეტეს მაშინ, როცა „პოზიცია“ ცამდე მართალია. ეგ შენი „ოპოზიცია“ დაეკიდოს ფეხებით და იყოს თავისთვის. ცალთვალა მგელი“.

„არ მომიპარავს, მაგრამ ჩემია... ჩემია, მაგრამ ვიპარავ და ჩემი მაინც არ არის. იმედია, კარგად ავხსენი. „არმჯერა“.

„მარი, მე ის გოგო ვარ, დედამთილმა ლამის კაკლის მურაბით რომ დამახრჩო. მესიჯი რომ დამიბეჭდე, გავგიჟდი და სურათიც რომ დამიხატე, სულ მთლად გადავირიე. მე და ჩემი ქმარი ზუსტად მასეთები ვართ, მაგრამ დედამთილი კი ძალიან გაგისუქებია. ის ისეთი გამხდარია, რომ ქმარი ეუბნება, 2 კაჭკაჭსაც ვერ გააძღებო. ღამურას კი სწორედაც სამართლიანად მოექეცი. შენ მის გარდა, ბევრი კეთილი ღამურა გყავს და გვაპატიე, თუ ღამით ძილს არ გაცლით ხოლმე. ნინო“.

„ქორწილის მეორე დღეს (ქორწილი მამამ გადამიხადა), როდესაც სახლი ჯერ კიდევ სტუმრებით იყო სავსე, ჩემმა ძვირფასმა დედამთილმა ბრძანა — პატარძალი მომიყვანეთ, საჩუქარი უნდა გადავცეო. ყველა ფიქრობდა, რომ ძვირფას ბრილიანტისთვლიან ბეჭედს წამომაცვამდა თითზე. ძვირფასმა „დედიკომ“ კი ამოიღო კოოპერატივში გაკეთებული „ჟეშტის“ საყურე და მითხრა: მთავარი ყურადღებაა და არა საჩუქრის ფასი ან ხარისხიო. საჩუქარი კარგად შევინახე და როდესაც მული გამითხოვდა, მას მივართვი“.

„აუ, მარი, ჩემს უწყინარ ხუმრობაზე შენგან ასეთ მწვავე რეაქციას ნაღდად არ ველოდი. მე ხომ სინამდვილეში შენი ძალიან ერთგული მკითხველი ვარ? „გზა-

ვნილები“ ჩემ თვალწინ დაიბადა და ვიფიქრე, ვიხუმრებ-მეთქი. ასე რომ, ხელებს ვწევ და გნებდები... დღეიდან ერთი ჩვეულებრივი მკითხველი ვიქნები. ისე, მარი, ამ კვირას სტუდენტურ „ეტალონში“ ვიქნები და აბა, თუ მიხვდები, რომელი ვარ? კარგად... „აღსარება“ ჩაგაბარე და დროა, დავიძინო. ისე, ხალხს ისიც უთხარი, რომელ საათებში გიგზავნი ხოლმე მესიჯს. კიდევ ერთხელ მაპატიე. „ღამურა“.

„მე 3 შვილის დედა ვარ. ყველაზე პატარა 5 თვისაა. ჰოდა, გასკდა ბავშვი ტირილით. მე „გზავნილებს“ გატაცებით

ვკითხულობ, მას კი კბილი ამოსდის და ჟურნალის შეჭმა უნდა. მინდა, ყველას წარმატებები გისურვოთ. თეა“.

„იმ იმედით, რომ „გზავნილებს“ ჩინელები არ წაიკითხავენ, ერთ ამბავს მოგწერ. შენთან ინტერვიუზე რომ ჩამოვედი, ჩინურ მაღაზიაში შევიარე. სათამაშო მაიმუნი მომეწონა — ენას ყოფდა და სტვენდა. ჰოდა, ვიყიდე და ჩანთაზე ჩამოვკიდე. ერთი საათის შემდეგ „მონასტრის ბიჭს“ შევხვდი და ჩემი შენაძენის დემონსტრირება მოვახდინე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სასტვენი სადღაც დაჰკარგვოდა. ძალიან გავბრაზდი, მეორე დღეს, იმავე ჩინურ მაღაზიაში შევედი და ერთ-ერთ მაიმუნს სასტვენი მოვპარე. არა, არ მომიპარავს, უბრალოდ, შურისძიების ნიადაგზე „შემომექურდა“. ჩინელო დეიდებო და ბიძიებო, მაპატიეთ, რა... მეგრელი „კანიბალკა“.

„მარი, იცი, ერთხელ მობილური ტელეფონი ვიპოვე. ვხედავ, სამსახურთან ახლოს, ქუჩაში გდია. მე და ჩემი მეგობარი ვიყავით. ტელეფონი ავიღე და გავთიშე. მეორე დღეს ნომერი ვიყიდე და წავიდაააა... მე ეს ღმერთის საჩუქრად მივიჩნიე. მართლა ძალიან მინდოდა, მობილური მქონოდა. იმის მერე ბევრჯერ ვიპოვე, მაგრამ ყველა პატრონს დავუბრუნე, რადგან უკვე მქონდა“.

„მარი, რომ გითხრა, სვანი ვარ-მეთქი, მესიჯს ხომ დამიბეჭდავ? მთელი მონო დავხარჯე, შენ კი 1 მესიჯის დაბეჭდვა გენანება. მოპარვასთან დაკავშირებით ცუდი რაღაცები მახსენდება. ერთხელ, მამას 20 თეთრი ამოვაცალე ჯიბიდან და დედას ვუთხარი, ვიპოვე-მეთქი. ტყუილს მიმიხვდა და მაგრად მცემა. მააშ!“

„ჩემი მეორე ქმარი არ მომიპარავს. მართალია, მისი ოჯახის დანგრევას მაბრალებენ, მაგრამ ეს ასე არ არის. მე ის ვიპოვე! ეჰ... ისე, განძს გააჩნია...“

„ესეც ასეეე! ხომ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში „ღამურას“? მოდაიჯესტიდაიჯესტიუნდა თავის გამოჩენა! იყოს ახლა „მიკროფონგამორთული“ და „გაღიმებული“. რა საჭიროა ინტრიგა? გიჟი გოგო“.

„გამარჯობა ყველას, ვინც მარის რუბრიკებს კითხულობს. მარი, ძალიან კარგი გოგო ხარ, მაგრამ მე რატომ გადამეკიდე, არც ერთ მესიჯს რომ არ მიბეჭდავ? ჯერ არაფერი მომიპარავს, მაგრამ დიდი სიამოვნებით მოგიპარავდი და სულ ძალით გამოგაქვეყნინებდი ჩემს მესიჯებს (მეჩტატ ნე ვრედნო). ჩიჩილაკი“.

„დღეს ნაყინი ვჭამე და ყელი ძალიან მტკივა. ახლა ანდერძს ვწერ: ჩემი მესიჯი „გზავნილებში“ გამოაქვეყნეთ, რაა... გუშინ ჯიხურთან „გზის“ კითხვით ისე გავერთე, რომ გამყიდველს ჟურნალის ფული 2-ჯერ გადავუხადე. რა მოპარვა, რის მოპარვა, იმხელა ზარალი ვნახე... მარი, „ღამურა“ არ გეგონო, „ლეო-91“ ვარ“.

„ერთ მაგარ კაცს შევუყვარდი და მეც შემიყვარდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს მირეკავს ვიღაც ქალი და მეუბნება: შეყვარებული რატომ მომპარეო? — არ მომიპარავს, „ვიშოვე“-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერა და „ციკალულს“ თავი აგინებინა. ტუტუცი ბავშვი“.

„ჩემს მეზობელს საფულე დაეკარგა. შემთხვევით, ის საფულე მე ვიპოვე. ცოტა მოგვიანებით კი, მისი გულიც მოვიგე და ის დღეს ჩემი მეუღლეა. არ მომიპარავს, ნამდვილად ღმერთმა გამომიგზავნა „მაყუთი“ და მაგარი კაცი“.

„სრულიად შემთხვევით, ერთ მშვენიერ დღეს ერთმა ძალიან კარგმა ბიჭმა დამირეკა. თურმე, მაშინ მას შეყვარებული ჰყავდა და მეც „კოხტად“ დავითრიე. ახლა მისი შეყვარებული გაგიჟებულია. რა ვქნა? არ მომიპარავს, ვიპოვე“.

„ეეეჰ... არც მომიპარავს და არც რაიმე მიპოვია. როგორც იტყვიან, ყველა ზეიმზე დავაგვიანე. მუდმივად „ობსაიტში“ ვარ“.

„მეც „გზავნილების“ მუდმივი მკითხველი ვარ და მინდა, რომ ხშირად მოგწეროთ ხოლმე, მაგრამ ტელეფონი არ მაქვს და რა ვქნა? შმაგი“.

„არ მომიპარავს, მიპოვნიაო, სწორედ ჩემს მობილურზეა ნათქვამი, რომელსაც „ჩემსიგრძე“ ანტენა აქვს. თუმცა, მშვენივრად ვამესიჯებ „გზავნილებში“. გაიხარეეეთ! ნონიკო“.

„აუუუ... ჩემმა ძმამ „ამახია“ „გზა“. არადა, „გზავნილების“ წაკითხვა ბოლომდე ვერ მოვასწარი. ის კითხულობს, მე კი პირღია ვუყურებ. რა ვქნა? ჩემზე ბევრად უფროსია და ვერ მოვერევი. „დაჩაგრული“.

„მარის გულთბილი სალამი/ და კოცნით სავსე ბარათი./ არ დაინანო ქაღალდი,/ როცა გწერს ქალი — „სკანდალი“./ „გზისთვის“ მე ჯერ ვარ ახალი,/ როგორც მდუღარე მაჭარი,/ არ მიყვარს ბევრი ლაქლაქი,/ არც უტვინოთა ქაქანი.../ მხიბლავს ჭკვიანი, მამაცი,/ და აზიატი ვაჟკაცი,/ თქვენთვის ვაწვალე ქაღალდი,/ და ვაჯახირე კალამი.../ თუ თანახმაა „სასტავი“,/ მიმილეთ მარის ლაშქარში. დღეს „გზავნილებში“ ჩემი დებიუტია და ჩემი სახით აქტიური მკითხველი და მგზავნელი შემოგემატათ. „ინტრიგა“.

„ახლა გაბრაზებული ვარ. მამა თავის დაბანის ნებას არ მაძლევს, გაცივდებიო. არადა, ასე დაუბანელი სკოლაში როგორ წავიდე? იმედია, ვაჯობებ და დავიბან“.

„არაფერი მომიპარავს და არც მიპოვია. იქნებ, შემდეგ ნომერში ჩემი მესიჯი ვიპოვო? სენაკი, დარეჯანი“.

„აუ, „კიბორჩხალას“ ცოლი მეცოდება. როგორც ჩანს, მან მოპარული სიყვარულისთვის უნდა აგოს პასუხი“.

„გზავნილებს“ მუდმივად ვკითხულობ, მაგრამ მესიჯს პირველად ვგზავნი. ძალიან მინდა, თქვენს „სასტავში“ მიმიღოთ. თუ მესიჯს დამიბეჭდავთ, მივხვდები, რომ მიმიღეთ, თუ არადა... ანასტასია“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — რა სარგებლობა მოაქვს ტყუილს. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61. ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com *ბევრი თქვენგანი მეკითხება, რა ღირს „გზავნილებში“ დამესიჯება. ერთი მესიჯის ფასი, ჩვეულებრივ, 6 თეთრია. ველი თქვენს „ესემესებს“ და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.* ■

რამდენიმე წუთში 10 წლით გაახალგაზრდავებული სახის კანი

ამ პროცედურისთვის იყენებენ სახის კანის სპეციალურ გამწმენდ კრემს ან ლოსიონს. მათ შემადგენლობაში შედის ისეთი ნივთიერებები, რომლებიც კანს ცხიმს აშორებს და მას ბაქტერიებისგან იცავს. ეს პროცედურა უმჯობესია, საღამოს ჩაიტაროთ.

რითი გავწმინდოთ სახე

ცხიმიანი კანის გასაწმენდად იყენებენ ლოსიონსა და ტონიკს, რომელიც დიდი ოდენობით შეიცავს სპირტს. ტონიკი სახეზე დიდხანს დაგიტოვებთ სისუფთავის, სიგრილის შეგრძნებას. თუ მშრალი კანი გაქვთ, ისეთი გამწმენდი საშუალება უნდა გამოიყენოთ, რომლის შემადგენლობაში სპირტი და მენთოლი არ შედის, რადგან ის კანს კიდევ უფრო გამოგიშრობთ.

როგორ დავიბანოთ სახე

თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, შეიძლება ის ცივი წყლით ან გვირილის ნახარშით დაიბანოთ.

ცივი წყალი კანს აშრობს და მას ელასტიკურობას უკარგავს.

ცხელი წყალი ცხიმს კარგად აშორებს, სისხლძარღვებს აფართოებს და სახის კანს ვარდისფერ ელფერს სძენს, მაგრამ სისტემატურად ცხელი წყლით დაბანა სახის კუნთებს ადუნებს და კანისთვისაც საზიანოა.

უმჯობესია, თუ სახეს, დაახლოებით ოთახის ტემპერატურის წყლით დაიბანთ.

თუ ნორმალური კანი გაქვთ, შეგიძლიათ, სახე დაიბანოთ თბილი და შემდეგ ცივი წყლით. ასეთი პროცედურა იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას, შემდეგ — შევიწროებას და ამგვარად, ერთგვარი ვარჯიშიცაა.

ნებისმიერი ტიპის კანისთვის იდეალურია სახის წვიმის (ე.წ. რბილი) წყლით დაბანა. ჩვეულებრივი წყალი შეიცავს მარილს და ის ცხიმოვანი მჟავით გაჟღენთილ საპონთან ერთად, წარმოქმნის ნივთიერებას, რომელიც ხელს უშლის კანის გასუფთავებას. წვიმის წყლის მაგივრად, შეგიძლიათ გამოიყენოთ გამდნარი ყინული ან გადადუღებული წყალი.

ნორმალური ან მშრალი კანი დაბანის მაგივრად, ლოსიონით ან ყინულის კუბურით გაიწმინდეთ.

როგორ დავამზადოთ სახის გასაწმენდი ყინული?

პლასტმასის ფორმაში ჩაასხით მინერალური წყალი ან მცენარეული ნახარში (1 ს/კ დაფშვნილი ბალახი ადუღეთ 1 ჭ წყალთან ერთად). მთავარია, მცენარე სწორად შეარჩიოთ.

ჭინჭრის, არყის ხის ძერძის ნახარშისგან დამზადებული ყინული გამოიყენება, როგორც კანის მატონიზებელი საშუალება. ასევე, კარგია დეზინფექციისთვის.

გვირილა — აქრობს ანთებას;

ლავანდა — ამშვიდებს გაღიზიანებულ კანს;

პიტნა — დიდხანს გინარჩუნებთ სისუფთავის შეგრძნებას;

სალბი — ხელს უწყობს კანის დარბილებას;

ჟოლოს ფოთლები — გამოიყენება ფერიმჭამელების პროფილაქტიკისთვის.

ნაყენს, გაყინვამდე შეგიძლიათ ლიმონის, სტაფილოს, გრეიპფრუტის წვენის რამდენიმე წვეთი დაუმატოთ.

როგორ გავიახალგაზრდავოთ სახის კანი

კანის გასახაალგაზრდავებლად, ის გაიწმინდეთ რძით და რამდენიმე ხნის მანძილზე არ ჩამოიბანოთ.

თუ ძალიან გინდათ ერთ დღეში გაახალგაზრდავდეთ, მაშინ ჩაიტარეთ შემდეგი პროცედურა: ჟასმინის ყვავილებს დაასხით ნახევარი ჭიქა ადუღებული წყალი, დადგით 30 წუთი; შემდეგ დაუმატეთ ნახევარი ჩაის კოვზი თაფლი და გაფილტრეთ. როგორც კი ამ ნარევით სახეს დაიბანთ, 10 წლით გაახალგაზრდავდებით.

სახის კანის ფერის გასაუმჯობესებლად და ფერიმჭამელების მოსაცილებლად კარგია შემდეგი პროცედურის ჩატარება: შესაბამისი ბალახის ნაყენი გააცხელეთ, მასში ჩაალბეთ ხაოიანი ქსოვილი და დაიფინეთ სახეზე (ეს პროცედურა რამდენჯერმე ჩაიტარეთ). ეს ყველაფერი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და კანი დამატებით საკვებს იღებს.

კარგია, თუ სახეს ალოეს წვენით გაიწმენდთ. 15-20 სეანსის შემდეგ, შედეგს აუცილებლად მიიღებთ.

კანის დაცვა

ყინულით ან ლოსიონით სახის გაწმენდის შემდეგ, კანში აუცილებლად უნდა შეიზილოთ მკვებავი კრემი. ეს მაშინაც აუცილებელია, როცა შინიდან გადიხართ.

როგორ წავისვათ კრემი

კრემს აუცილებლად სუფთა სახეზე ისვამენ. აუცილებელია, ის ფრთხილად, თითების ნაზი მოძრაობით წაისვათ. თუ 15 წუთის შემდეგ, კანმა კრემი არ შეიწოვა, ის ხელსახოცით შეიშრეთ.

მკვებავი ნიღაბი

კოსმეტოლოგები გვირჩევენ, რომ ნიღაბი გაიკეთოთ დილით ადრე, ან შუადღეს (კვირაში ორჯერ); რადგან საღამოს, კანი დასასვენებლად, მოსადუნებლად ემზადება, ამიტომ ამ დროს გაკეთებული ნიღაბი განსაკუთრებულ ეფექტს არ იძლევა. ■

ხილის სასმელი

მოსამზადებლად საჭიროა: 1 ჩ/ჭ რომელიმე ხილის წვენი, 1 ლ მინერალური წყალი, 1 კგ ხილი (ალუბალი, ვაშლი, მსხალი, ატამი), 1 ლიმონი, 3 ს/კ შაქარი.

მომზადების წესი: ხილი გარეცხეთ, დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, გამოაცალეთ კურკები, დაასხით გაწურული ლიმონის წვენი და დააყარეთ შაქარი. გააჩერეთ 1-2 საათის განმავლობაში, შემდეგ კი დაუმატეთ ხილის წვენი და მინერალური წყალი. ■

გარჯიში მუხლის პრესისა და კუნთების გასამაგრებლად

ყოველ ადამიანს აქვს ისეთი წერტილი, რომელსაც სიმძიმის საერთო წერტილს ეძახიან. როგორც წესი, ის ხერხემლის მეორე მალაზე მოიაზრება და რადგანაც საყრდენი წერტილიდან ძალიან მაღლა (იგულისხმება დაშორება ფეხისგულსა და მეორე მალას შორის) მდებარეობს, ამიტომ, წონასწორობის შესანარჩუნებლად საჭირო კარგად განვითარებული მუცლის პრესი, მხრების კუნთები და ა.შ. გთავაზობთ ვარჯიშს, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს კუნთების გამაგრებას, მეორე მხრივ კი, საშუალებას მოგცემთ, თქვენი სიმძიმის ცენტრი შეამოწმოთ. ამისთვის დაგჭირდებათ დიდი ზომის სავარჯიშო ბურთი.

ფოტო №1

ფოტო №2

ფოტო №3

ვარჯიში 1.

ბურთზე დაწექით ისე, რომ მუცელი და სხეულის ქვედა ნაწილი (ფეხებამდე) მასზე გაანაწილოთ. მკერდი ბურთს არ შეახოთ. გაჭიმეთ ფეხები, რომლის თითებიც ოდნავ უნდა ეხებოდეს იატაკს და ხელები წინ გასწიეთ (ისე, როგორც ეს ფოტო №1-შია მოცემული). ეს მდგომარეობა შეინარჩუნეთ 20-30 წამის განმავლობაში.

ვარჯიში 2.

თუ ამ მდგომარეობაში სტაბილურობის შენარჩუნებას შეძლებთ, შემდეგ შეეცადეთ, ხელები განზე გასწიოთ და 20-30 წამი ასე გაჩერდეთ (ფოტო №2). შეგიძლიათ, ეს 2 მდგომარეობა გააერთიანოთ და გაიმეოროთ 2-3-ჯერ, თითოეული 20-30 წამის განმავლობაში.

რეკომენდაცია: *შეეცადეთ, თავი არ ამოძრაოთ, არ მოადუნოთ მუცლის პრესი, კუნთები და ისუნთქეთ თანაბრად.*

ვარჯიში 3.

დაჯექით იატაკზე. ფეხები მოხარეთ ისე, რომ დაშორება მუხლებსა და მკერდს შორის დაახლოებით, 30-40 სმ იყოს. ხელები მუხლქვეშ ამოიდეთ (ფოტო №3) და შეძლებისდაგვარად დაჭიმეთ სხეული. ასეთი მდგომარეობა შეინარჩუნეთ 30 წამის განმავლობაში. გისურვებთ წარმატებას!

■

მოდის თანამედროვე ტენდენციები საქმიანი ქალისთვის

თქვენ სამსახურის ძებნას იწყებთ? მაშ, გახსოვდეთ: პირველ რიგში, უზადოდ უნდა გამოიყურებოდეთ! ამაში კი, სწორად შერჩეული სამოსი დაგეხმარებათ.

ეტიკეტის მიხედვით, ოფისში მომუშავე ადამიანები მკაცრი, კლასიკური სტილის კოსტიუმებით უნდა იმოსებოდნენ. თუმცა, ცხადია, ყველგან და ყოველთვის ამ წესის დაცვა საჭირო არ არის.

მაშ ასე, საქმიანი სტილი — Dress-code ინგლისურიდან თარგმნის შემდეგ, ზუსტად ასე ჟღერს — ტანსაცმელი სამსახურისა და საქმიანი შეხვედრებისთვის. ეს მკაცრი, კონსერვატიული სტილია და უპირატესობა მაღალი ხარისხის კლასიკურ მოდელებს ენიჭება.

1. კაბა — ეს ის სამოსია, რომელიც კოლეგების გარემოცვაში უნდა ჩაიცვათ. სასურველია, რომ ის გრძელმკლავიანი, ერთ ტონში (შავი ან რაიმე მუქი ფერი) გადაწყვეტილი ან მარტივი, არაგამომწვევი შტრიხებით შელამაზებული იყოს. საქმიან ქალს, ასევე ძალზე მოუხდება კაბა მოსაცმელთან ერთად, ოღონდ, მოსაცმელიც კაბის ტონში უნდა იყოს გადაწყვეტილი. გაითვალისწინეთ, რომ მან უნდა დაფაროს (და არა ხაზი გაუსვას) სხეულის მიმზიდველი ნაწილები. შედარებით მოკლე კაბა (მოსაცმელთან ერთად), რომელიც მუხლისთავებს ოდნავ ფარავს, საქმიან ქალებს შედარებით ახალგაზრდულ იერს ანიჭებს.

2. კოსტიუმი — ის უნდა იყოს მსუბუქი, თხელი და საკმაოდ თავისუფალი, რათა ხაზს უსვამდეს თქვენს ქალურობას. ტანზე მომდგარი სამოსის ჩაცმა სამსახურში დაუშვებელია. კოსტიუმი ისეთი ოფიციალური ტანსაცმელია, რომელიც საქმიანი შეხვედრების დროს უნდა ჩაიცვათ, რათა მან საქმიანი ქალის იმიჯი შეგიქმნათ. თუ თქვენ არაკონსერვატიული ადამიანი ხართ, ამ წესების გათვალისწინება მაინც მოგიწევთ, მაგრამ შეგიძლიათ, ცოტაოდენი ფანტაზია მოიშველიოთ. დაიმახსოვრეთ: რაც უფრო კომფორტულად გრძნობთ კოსტიუმში თავს, მით უკეთ გამოიყურებით. ცნობილი კოსტიუმები „შანელისგან“ უსიტყვოდ, მკაცრი შტრიხის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია — ყველანაირი გაფორმებისა და დეტალების გარეშე.

3. შარვალი — მიღებულია თუ არა მისი ჩაცმა? ყველაფერი დამოკიდებულია კომპანიის მოთხოვნილებაზე. მაგრამ თუ თქვენ მაინც გადაწყვეტთ, რომ მასში თავს შედარებით კომფორტულად გრძნობთ, მაშინ ჩაიცვით, მაგრამ — აუცილებლად კლასიკურ სტილში გადაწყვეტილი.

4. სამკაული — მიღებულია, მაგრამ არა ბევრი და უხარისხო. ის უნდა იყოს ტანისამოსის, ჩაცმულობის სტილის შესაფერისი და არა — გამომწვევი.

5. ფეხსაცმელი — ის ნებისმიერ შემთხვევაში კლასიკური სტილის უნდა იყოს. თუმცა, თუ მასზე თქვენს ოფისში ყურადღებას არ ამახვილებენ, შეგიძლიათ, ნებისმიერი მოდელი შეარჩიოთ.

დაიმახსოვრეთ: *თქვენი ტანისამოსი ხაზს უსვამს თქვენს სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას, პროფესიას, გემოვნებას, ხასიათს... და ვიდრე გარშემო მყოფები თქვენს სულიერ სიჯანსაღესა და მაღალ ინტელექტს შეაფასებენ, ამ ყველაფერზე თქვენი გარეგნობის მიხედვით იმსჯელებენ.*

■

რუბრიკა მოამზადა ლიკა ქაჯაიამ

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

კარტოფილი: მკურნალი და საკვები

კარტოფილი იაფი და კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტია, რომელსაც დღეს მოსახლეობის ყველა ფენა და ყველა ასაკის ადამიანი მოიხმარს. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ეს უბრალო ბოსტნეული ორგანიზმისთვის საჭირო და ღირებული ნივთიერების წყაროა, ხშირად კი, სამკურნალო საშუალებადაც იყენებენ.

კარტოფილი სამხრეთ ამერიკაში თურმე ჯერ კიდევ 15 ათასი წლის წინ მოჰყავდათ. ევროპაში კი ეს კულტურა XV საუკუნის ბოლოს შემოვიდა. დღეს მას 130 ქვეყანაში იყენებენ ძირითად საკვებად. რუსები კარტოფილს „მეორე პურს“ უწოდებენ — იგი ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო საკვებ ნივთიერებებს და ვიტამინებს შეიცავს. მასში 18%-მდე ნახშირწყლები და 2%-მდე ცილებია; გარდა ამისა, კარტოფილი მდიდარია: LB2, B6, B9, PP, K, E **ვიტამინებით, მაგრამ ყველაზე მეტი მასში** C **ვიტამინია. 200 გ კარტოფილი** C **ვიტამინის დღიური ნორმის ნახევარს შეიცავს. ეს ბოსტნეული სხვადასხვა მინერალის (კალიუმის, ფოსფორის, კალციუმის, რკინის, მაგნიუმის) წყაროცაა. ის აგრეთვე შეიცავს ორგანულ მჟავებსა და კაროტინს, პიგმენტს, რომლისგანაც ორგანიზმში** A **ვიტამინი წარმოიქმნება.**

მოვხარშოთ, მაგრამ ნუ შევწვავთ...

დღეში 100 გ კარტოფილი სავსებით საკმარისია სრულფასოვანი კვებისათვის, მაგრამ მისი მომზადების ყველა ხერხი როდია სასარგებლო, ზოგიერთი საშიშიც კია — მაგალითად, შემწვარი კარტოფილი. შეწვისას კარტოფილის ბოლქვი კარგავს სასარგებლო ნივთიერებათა მაქსიმალურ რაოდენობას და მასში კანცეროგენული ნივთიერება — აკრილამიდი გროვდება.

კარტოფილი უნდა მოიხარშოს, უმჯობესია — ორთქლზე, საუკეთესო ვარიანტია მისი კანიანად მოხარშვა, რადგან კანი შეიცავს ბევრ სასარგებლო ნივთიერებას, მათ შორის, ფერმენტებს, რომლებიც ორგანიზმში სახამებლის ათვისებას უწყობს ხელს. თუ გაფცქვნა გადაწყვიტეთ, ძველი კარტოფილი, რაც შეიძლება თხლად გაფცქვენით. რაც უფრო ნაკლებ ხანს ხარშავთ, მით მეტ სასარგებლო ნივთიერებას შეინარჩუნებს. ამიტომ უმჯობესია, კარტოფილი მოსახარშავად მცირე რაოდენობის ადუღებულ წყალში ჩაყაროთ. ცივ წყალში კი გაფცქვნილი ბოსტნეულის შენახვა (როგორც ბევრს სჩვევია), საერთოდ არ შეიძლება.

კარტოფილი — ბევრი სენის მკურნალი

კარტოფილის სამკურნალო თვისებების შესახებ ადამიანებმა უძველესი დროიდან იცოდნენ. მას იყენებდნენ სასუნთქი ორგანოებისა და კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ, ტუბერკულოზის, ჰემოროის, ბუასილის დროს. კარტოფილმა იხსნა ევროპა ცინგის ეპიდემიისაგან — C ვიტამინით მდიდარი ამ კულტურის გავრცელებამ მთელი ქალაქები აღადგინა.

სამკურნალო მიზნით იყენებენ კარტოფილის წვენს, რომელიც ბევრ სასარგებლო ელემენტს შეიცავს და სხვადასხვა დაავადებას კურნავს. ახალგამოწურული წვენის ჭამამდე მიღება ეფექტურია კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, გასტრიტის, ყაბზობის დროს. მკურნალობის კურსი ორკვირიანია. ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, კურსს იმეორებენ. კარტოფილის წვენი ამაგრებს ორგანიზმს, ხსნის ნერვულ მოშლილობებს, კალიუმის მარილების დიდი რაოდენობით შემცველობის წყალობით კი, წმენდს ორგანიზმს წიდებისგან.

კალიუმი ხელს უწყობს გულის კუნთის ნორმალურ ფუნქციონირებას, ამიტომ კარტოფილი გულ-სისხლძარღვთა სისტემის სამკურნალო საშუალებაცაა. ასაკოვანი ადამიანებისთვის იგი აუცილებელი საკვები პროდუქტია.

კარტოფილი აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას — იგი ტუტე ბუნებისაა და ანეიტრალებს მომატებულ მჟავიანობას, რაც ადრეულ დაბერებას ახასიათებს.

სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ, ახალმოხარშული კარტოფილის ორთქლის ინჰალაციებს იყენებენ.

ეს ბოსტნეული კოსმეტოლოგიაშიც გამოიყენება — ხელების, სახისა და თმის ნიღბების მოსამზადებლად. მაგალითად, მკვებავი ნიღაბი ასე მზადდება: მოხარშულ კარტოფილს შეურიეთ რძე და კვერცხის გული. თბილი მასა დაიდეთ კანზე 15 წუთით. ■

დიდი ჩანთა ჯანმრთელობას ვნებს

დიდი ზომის ჩანთები კვლავინდებურად მოდაშია. ისინი მოსწონთ ქალებს, რადგან ბევრ ნივთს იტევს. მაგრამ ასეთი ჩანთების მოყვარული ქალები ხშირად უჩივიან თავის ტკივილს და ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემებიც ექმნებათ. ხშირად დიდი ჩანთა, რომელსაც ქალი ატარებს, სამ-ოთხ კილოგრამს იწონის. ასეთი ტვირთის ზიდვა კი, არცთუ ისე სასარგებლოა. თუ ჩანთას გრძელი „ყური“ აქვს, მაშინ მასში მოთავსებული ტვირთი სუსტი ქალის მხარზე დაკიდებულ, მოძრავ საწონს ემსგავსება. გრძელი ქამარი ზრდის დატვირთვას და შედეგად, მოდური ჩანთა ხერხემლისთვის სერიოზულ საფრთხედ იქცევა — ქალს ეწყება ტკივილი კისრისა და ზურგის არეში, თავის ქრონიკული ტკივილი და ის ხშირად დაღლილობასაც უჩივის.

ფოლიუმის მჟავა ტვინის დაბერებას აფერხებს

ფოლიუმის მჟავას დიდი რაოდენობით მოხმარება მოხუცებულობისას ადამიანს გონებრივი შრომის უნარს უნარჩუნებს — აღნიშნავენ ჰოლანდიელი მეცნიერები, რომელთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც ჟურნალ Lancet-ში გამოქვეყნდა. გამოკვლევამ უჩვენა, რომ 50-70 წლის ასაკში ის მამაკაცები და ქალები, რომლებიც რეგულარულად იღებდნენ ფოლიუმის მჟავას შემცველ დანამატებს, გონებრივი მონაცემებით 5-7 წლით ახალგაზრდულად „გამოიყურებოდნენ“. გამოკვლევა 3 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და მასში 818 მოხალისე მონაწილეობდა. მათი ნაწილი სისტემატურად იღებდა ფოლიუმის მჟავას კაფსულებს, სხვებს კი ამ ნივთიერების ნაცვლად, „მატყუარა“ აბებს (placebos) აძლევდნენ. მეხსიერებისა და საზრიანობის შესაფასებლად ჩატარებულმა ტესტებმა უჩვენა, რომ ფოლიუმის მჟავას მიმღებმა მონაწილეებმა გაცილებით უკეთ შეინარჩუნეს გონებრივი შრომის უნარი, რომელიც როგორც ცნობილია, საგრძნობლად ქვეითდება ასაკის მატებასთან ერთად.

გარდა ამისა, მათ ორგანიზმში, ვინც ფოლიუმის მჟავას იღებდა, საგრძნობლად დაქვეითდა ჰომოცისტეინის დონე. ეს ნივთიერება კი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და დემენციის (ჭკუასუსტობის) განვითარების რისკს ზრდის. ■

გამოჩენილი ჰაკერი
კომპიუტერული ტექნოლოგიის გენიოსი

კევინ მიტნიკის დაპატიმრება ლეგენდად იქცა და დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ვერსია წარმოიშვა. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, მიტნიკის შეკითხვაზე — რატომ „ჩამაგირავეო“? — ლენმ უპასუხა: „იმიტომ, რომ შენ საფრთხეს უქმნი საზოგადოებას“. მეორე ვერსია, პირიქით, ყოველგვარ პათეტიკას გამორიცხავს: „იმიტომ, რომ გული გამიწყალე, მეტი აღარ შემეძლო“. აი, მოსამართლემ კი, პათეტიკური ფორმულირება გამოიყენა: „ეს ადამიანი ძალზე საშიშია საზოგადოებისთვის და იგი კომპიუტერისგან შორს უნდა იყოს“.

დასაწყისი იხ. „გზა“, №8

კევინს ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, აქედან 8 თვე — ცალკე საკანში. მოსამართლე მარიანა პფელცერმა, სასჯელის კიდევ უფრო დამძიმების მიზნით, პატიმარი აიძულა, მკურნალობის ექვსთვიანი კურსი გაევლო — „კომპიუტერული დამოკიდებულებისგან“ თავდასაღწევად. მას მიაჩნდა, რომ ამით აიძულებდა კევინს, მეტი ფსიქოლოგიური დისკომფორტი განეცადა, ვიდრე პატიმრობით: ფსიქოლოგები ხომ ამტკიცებენ, რომ ჰაკერი, რომელსაც წართმეული აქვს ჰაკერობის საშუალება, უძლიერეს ფსიქოლოგიურ „ლომკას“ განიცდისო. ფედერალურმა ბრალმდებლებმა მიაღწიეს, რომ პატიმრისთვის ტელეფონით სარგებლობაც შეეზღუდათ. მათ მიაჩნდათ, რომ კევინი ამ გზით რაღაცნაირად შეძლებდა რომელიმე კომპიუტერით სარგებლობას.

ციხის სარეაბილიტაციო ცენტრში მიტნიკმა სრული ფსიქიატრიული კვლევა გაიარა. ცენტრის დირექტორმა ჰარიეტ როზეტომ დაადგინა, რომ პაციენტის ასეთ მიდრეკილებას ჰაკერობისკენ კომპენსატორული ხასიათი აქვს. „ჰაკერობა კევინს საკუთარი თავის პატივისცემას უღვივებს, რაც მას რეალურ ცხოვრებაში აკლია. სიხარბე და ვინმესთვის ზიანის მიყენების სურვილი აქ არაფერ შუაშია“.

1990 წელს მიტნიკი ციხიდან გამოვიდა და მხოლოდ გამოსაცდელი ვადა დაუდგინეს. გათავისუფლების პირობად, მას შემდეგი მოთხოვნა წაუყენეს: არ მიჰკარებოდა კომპიუტერს. იმისათვის, რომ თვალი ედევნებინათ, თუ რამდენად შეასრულებდა ამ მოთხოვნას, მიტნიკს ინსპექტორი მიუჩინეს. შემდგომ ინსპექტორიც და მოსამართლეც ისეთ მოვლენებს წააწყდნენ, რისი ახსნაც, საღ აზრზე დაყრდნობით შეუძლებელი იყო: მათი კავშირგაბმულობის საშუალებები და ელექტრონული ტექნიკა ძალზე უცნაურად „იქცეოდა“ — ხან ინსპექტორს ტელეფონი თავისით ეთიშებოდა, ხან მოსამართლეს საკრედიტო ბარათიდან დიდი თანხა უქრებოდა ხოლმე... მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ქალაქ სანტა-კრუზის სასამართლოს კომპიუტერიდან გაქრა ყოველგვარი ინფორმაცია კევინ მიტნიკის დაპატიმრებისა და უკანასკნელი სასჯელის შესახებ...

ამის შემდეგ, 1992 წლამდე, მიტნიკის ბობოქარ ცხოვრებაში სიმშვიდემ დაისადგურა. ჰაკერი დადინჯდა. იგი მშვიდად მუშაობდა, რაღაც გამოკვლევებით იყო დაკავებული და მსურველებს ფასიან კონსულტაციებს უწევდა. ის ჯანმრთელი ცხოვრების წესისთვის ბრძოლაშიც კი ჩაება — ვეგეტარიანელი გახდა და 45 კილოგრამი დაიკლო. მაგრამ სიმშვიდეს ის თითქოს შესაფერის მომენტამდე ინარჩუნებდა. მიტნიკმა თითქოს აიწყვიტა, როცა მისი ძმა გარდაიცვალა (ბოროტი ენები ამბობენ — ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზისგან). 1992 წლის სექტემბერში, გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ მიიღო ორდერი მიტნიკის ბინის ჩხრეკაზე, რომელიც კალიფორნიის შტატის ქალაქ კალაბასასში მდებარეობდა. მიტნიკი ეჭვმა შეიპყრო: პირველი მიზეზი — ამერიკის შეერთებული შტატების სატრანსპორტო საშუალებათა კალიფორნიაში მდებარე დეპარტამენტის კომპიუტერებში არასანქცირებული შელწევა გახლდათ. კევინმა შტატის პოლიციის სასამართლოს წარმომადგენლად გაასაღა თავი და საიდუმლო ინფორმაციის პაკეტი მიიღო, ავტომანქანის მართვის უფლებასთან ერთად...



1992 წლის ნოემბერში, ფედერალურმა ბიურომ მასზე ძებნა გამოაცხადა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია

დეპარტამენტმა გადაწყვიტა, არ „დაწვრილმანებულიყო“ და იგი ერთი მილიონი დოლარის ზარალის მიყენებაში დაადანაშაულა; მეორეც, ხელისუფლებამ იგი პენტაგონის კომპიუტერულ ქსელში შეღწევასა და გამოძიებათა ფედერალური ბიუროს საიდუმლო მასალებით სარგებლობაში დაადანაშაულა; მესამე — და ალბათ მთავარი დანაშაული: პოლიცია ვარაუდობდა, რომ მიტნიკი — Pacific Bell-ის უსაფრთხოების განყოფილების საიდუმლო სატელეფონო საუბრებს უსმენდა... როცა ჰაკერმა შეკითხვების რაოდენობა და ხარისხი აწონ-დაწონა, ამჯობინა, უხმაუროდ გამქრალიყო.

1992 წლის ნოემბერში, ფედერალურმა ბიურომ მასზე ძებნა გამოაცხადა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. „ფედერალებმა“ ივარაუდეს, რომ ჰაკერმა თავისთვის მთელი რიგი ყალბი დოკუმენტები დაამზადა და მათი მეშვეობით წარმატებით ემალებოდა სამართალდამცველებს (რაც, მისი უნარის გათვალისწინებით, არცთუ ისე რთული იყო).

2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიტნიკი თავისი „ჰაკერული ცხოვრების“ არანაირ ნიშანს არ ამჟღავნებდა. 1994 წლის შუა ხანებში, კომპანია Motorola-ს ლაბორატორიიდან სამართალდამცავ ორგანოებს აცნობეს, რომ მოიპარეს პროგრამული უზრუნველყოფა, თანამგზავრიდან ფიჭური კავშირის განხორციელების საკონტროლოდ. გახმაურებული SATAN`A-ს შემქმნელმა დენ ფარმერმა განაცხადა, რომ ქურდმა მისი პროგრამის ადრეული ვერსია გაიტაცა. ოქტომბერში კიდევ ერთი კომპანიიდან გაისმა ჩივილი — ეს იყო McCaw Cellular Communication Inc, რომლის მესვეურებმა განაცხადეს, რომ ჰაკერმა მათი ფიჭური ტელეფონების სერიული ელექტრონული ნომრები გაიტაცა. გამოძიებათა ფედერალური ბიუროს სპეციალისტებმა განსაზღვრეს, რომ გაქურდვის ტექნიკა მიტნიკის „ხელწერისთვის“ იყო დამახასიათებელი. გამოძიებისას პოლიციამ დაადგინა, რომ უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში, კევინ მიტნიკი, ბრაიან მერილის სახელით ცხოვრობდა ვაშინგტონის უნივერსიტეტის მახლობლად და კომპიუტერის ტექნიკოსად მუშაობდა ადგილობრივ საავადმყოფოში. მაგრამ

როდესაც გფბ-ს თანამშრომლები ადგილზე მივიდნენ, მიტნიკი კვლავ გაქრა. ჰაკერის ცარიელი ბინის გაჩხრეკისას, სამართალდამცველებმა რამდენიმე ფიჭური ტელეფონი და დუბლირებისა და სკანირების სახელმძღვანელოები იპოვეს, რომელთა საშუალებითაც, მიტნიკი თვალს ადევნებდა, თუ როგორ მოქმედებდა პოლიცია მის დასაჭერად. მოგვიანებით, სასამართლოზე, ჰაკერის ცხოვრების ამ პერიოდზე მოწმეები — მისი თანამშრომლები — იტყვიან: „ეს იყო ძალზე წყნარი, სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი. ის არასდროს ლაპარაკობდა თავისი პირადი ცხოვრების შესახებ. ის მხოლოდ მოდიოდა და თავის საქმეს აკეთებდა“.

კევინ მიტნიკის ცხოვრებაში შემობრუნების მომენტად 1994 წლის შობა იქცა. სწორედ შობის ღამეს ჩაიდინა მან ის, რის შემდეგაც, „ყველა დროისა და ხალხის უდიდეს ჰაკერს“ უწოდებენ.

25 დეკემბერს, მიტნიკმა ცუტომუ შიმომურას სუპერდაცულ საშინაო კომპიუტერში შეაღწია. ცუტომუ შიმომურა კომპიუტერული უსაფრთხოების სფეროში მომუშავე წამყვანი ამერიკელი სპეციალისტი გახლდათ. იგი ცნობილი იყო თავისი ნაშრომებით, კომპიუტერულ ქსელში შეღწევის თავიდან აცილების შესახებ. სანამ ცნობილი პროგრამისტი საშობაო არდადეგებზე ნევადაში ისვენებდა, ჰაკერმა მისი კომპიუტერიდან ასობით გასაიდუმლოებული ფაილი გადაიწერა. მაგრამ ფიზიელმა მაგისტრანტმა, სან-დიეგოში არსებული სუპერკომპიუტერების ცენტრის თანამშრომელმა, სადაც შიმომურა მუშაობდა, შენიშნა ცვლილებები სისტემურ „საჟურნალო“ ფაილებში. მიხვდა, თუ რა ხდებოდა და ცუტომუს დაურეკა. პროგრამისტი მაშინვე დაბრუნდა შინ და სანამ იმაში გაერკვეოდა, თუ რა მოიპარეს, ჰაკერმა მას კიდევ ერთი შეურაცხყოფა მიაყენა. 27 დეკემბერს მან შიმომურას ხმოვანი შეტყობინება გაუგზავნა, რომლითაც კომპიუტერულად დამახინჯებული ხმით, თავხედური წერილი გადასცა. ასეთი მოპყრობით გაოფებულმა ცუტომუმ გადაწყვიტა, ეპოვა თავისი შეურაცხმყოფელი და შური ეძია. ჰაკერმა მას მხოლოდ პირადი შეურაცხყოფა ხომ არ მიაყენა — მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი, როგორც სპეციალისტის, რეპუტაცია.

იმავე დღეს, სისტემურმა ადმინისტრატორმა ერთ-ერთ ანგარიშზე, რომელიც ჩვეულებრივ, თითქმის ცარიელი რჩებოდა, უჩვეულო აქტიურობა შენიშნა. მოგვიანებით, კიდევ რამდენიმე ანგარიში აღმოაჩინეს, სადაც ინახებოდა ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ შიმომურასგან როდი იყო მოპარული. საქმე ძალზე სერიოზულ ხასიათს იძენდა. გამოძიებაში ჩაერთვნენ გამოძიებათა ფედერალური ბიურო და უშიშროების ეროვნული სააგენტო, აღნიშნულ სისტემაზე სადღეღამისო მონიტორინგი დააწესეს, რომელიც ყოველგვარ აქტიურობას აღნუსხავდა. ოპერატიულმა თანამშრომლებმა ეჭვმიტანილთა სიები შეადგინეს, რომელშიც კევინ მიტნიკი უცვლელად, პირველ ადგილზე იყო. გამოძიებათა ფედერალური ბიურო, ჰაკერის მოქმედების განსაზღვრისას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კომპიუტერში შეღწევა ფულად ინტერესებს კი არ ისახავდა მიზნად, არამედ „ძალის დემონსტრირებას“ წარმოადგენდა. გარდა ამისა, „ქურდს“ ძალიან აინტერესებდა ფიჭური ტელეფონების მართვის პროგრამების ფასები.

შიმომურას კომპიუტერში შესაღწევად, კევინი ჩიკაგოს ლოიოლის უნივერსიტეტის კომპიუტერში შევიდა, რომლიდანაც კალიფორნიელი პროგრამისტის კომპიუტერში არსებულ ფაილებთან შეღწევა იყო შესაძლებელი... ჰაკერს სჭირდებოდა სისტემის იმ საწყისი მისამართის ფალსიფიცირება, საიდანაც ხვდებოდა პაკეტები ცუტომუს კომპიუტერზე. მიტნიკმა ეს სამუშაო ვირტუოზულად შეასრულა: მიუხედავად იმისა, რომ ბრმად მუშაობდა, მან შეძლო, გამოეცნო ნომრების თანამიმდევრობა და შემდგომ გასაგზავნ პაკეტებს შესაბამისი

მისი რჩევები ფასდაუდებელია. მან მუდამ იცის, რას ეძებს

ნომრები მიაწერა. თეორიულად ასეთი შესაძლებლობა ჯერ კიდევ 1989 წელს იწინასწარმეტყველეს, მაგრამ კევინის თავდასხმა პირველი შემთხვევაა, როცა ეს ტექნიკა პრაქტიკულად იქნა გამოყენებული.

ამ დროს, მაძებართა რაზმი შიმომურას მეთაურობით, მოთმინებით მიჰყვებოდა ჰაკერის კომპიუტერული შეტყობინების კვალს. ბოლოს, ძიების ზონა ორ კილომეტრამდე შემჭიდროვდა. ეს აღმოჩნდა ჩრდილოეთ კაროლინაში მდებარე პატარა ქალაქი რალეიხი. 1995 წლის 12 თებერვალს, ოპერატიული ჯგუფი ადგილზე გაფრინდა და შემდგომი მოქმედებები ისე განვითარდა, როგორც მძაფრსიუჟეტიან დეტექტივში. ფედერალური აგენტები მანქანებით პატრულირებდნენ ქალაქის ქუჩებში. მანქანები აღჭურვილი იყო მოწყობილობებით, რომლებიც ფიჭური ტელეფონების სიხშირეებს იჭერდნენ, მაგრამ მათი რაციები გამორთული იყო, რათა თავიდან აერიდებინათ მოსმენის შესაძლებლობა. 15 თებერვალს, როცა შიმომურამ განსაზღვრა, რომ ჰაკერი კავშირზე გამოვიდა, მიტნიკი ნივთიერი სამხილით დაიჭირეს.

კევინ მიტნიკს წაუყენეს 23 ბრალდება, მაქინაციებში კომპიუტერული სისტემების გამოყენებით, რითაც მან სხვადასხვა ორგანიზაციას 80 მილიონ დოლარზე მეტი ზარალი მიაყენა. ყველაზე თავგამოდებულნი მისთვის 8-10-წლიან პატიმრობას მოითხოვდნენ (დაახლოებით ასეთი სასჯელი ეკისრებათ მკვლელებს ზოგიერთ შემთხვევაში). Associaitef Press-ის სააგენტომ გამოთვალა, რომ ბრალდების ყოველი პუნქტის მიხედვით, საერთო სასჯელი 460-წლიან პატიმრობას ითვალისწინებდა! მაგრამ ამერიკული მართლმსაჯულება მხოლოდ 54 თვის ვადით შემოიფარგლა. რაც შეეხება დამნაშავეს, — მიტნიკმა მხოლოდ 1999 წლის 18 მარტს ცნო თავი დამნაშავედ, ჩადენილ მაქინაციებში კომპიუტერებითა და კომპიუტერული კავშირებით.

2000 წლის 21 იანვარს მიტნიკი გაათავისუფლეს. ჟურნალ Forbes-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან პირობა დადო, რომ გამოსწორდებოდა და წინასწარი განზრახვით კანონს აღარ დაარღვევდა, რაც მისი აზრით, მაინცდამაინც რთული არ უნდა ყოფილიყო. მას ხომ, სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლებიდან 3 წლის განმავლობაში აეკრძალა ისეთი სამსახური, რომელიც კომპიუტერის გამოყენებასთან იქნებოდა დაკავშირებული. მას აკრძალული ჰქონდა აგრეთვე მოდემებით, მობილური ტელეფონებით და ნებისმიერი ისეთი მოწყობილობით სარგებლობა, რომელიც ინტერნეტთან კავშირს ითვალისწინებს.

მიუხედავად ასეთი წარსულისა, კევინ მიტნიკის, როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიების უბადლო ოსტატის რეპუტაცია, ბევრ საქმიან ადამიანს იზიდავს. ციხიდან გამოსვლისთანავე, მას შესთავაზეს, ემუშავა სენატში არსებული სამთავრობო ქსელების უშიშროების კონსულტანტად, ჟურნალმა Brill`s Content კი სთხოვა, დაეწერა კომპიუტერული ჟურნალების მიმოხილვა და კომენტარები სხვადასხვა პროგრამულ გამოცემაზე. მაგრამ რაც არ უნდა უცნაურად ეღერდეს, ყოფილი ჰაკერის ახლანდელი სამუშაო ითვალისწინებს სისტემების დაცვას მისი ყოფილი კოლეგებისგან. 2000 წლის სექტემბერში კომპიუტერული უსაფრთხოების კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ სანამ ფირმის ყველა თანამშრომელს არ ეცოდინება, როგორ და რა მიზნით ესხმიან თავს ჰაკერები, კორპორაციული ქსელები და ვებ-საიტები დაუცველი იქნება.

2001 წლის აგვისტოდან კევინ მიტნიკი მუშაობს ტექნიკურ კონსულტანტად კომპანიაში, რომელიც სატელეფონო მომსახურებას უზრუნველყოფს. მისი რჩევები ფასდაუდებელია. მან მუდამ იცის, რას ეძებს. 2002 წელს კი, ამერიკელმა ტელემაყურებელმა ნახა ტელესერიალი, რომელშიც ერთ-ერთ როლს კევინ მიტნიკი ასრულებდა — იგი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ექსპერტს განასახიერებდა. ნამდვილი კომპიუტერის ნაცვლად, „აგენტი“ საგანგებო მაკეტით სარგებლობდა — ისე, ყოველი შემთხვევისთვის... ■

ეროვნული საკითხავი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. „ეს არის მედუზა, რომელიც ყოველ საღამოს თავისი გაყინული მზერით მილიონ ადამიანს აქვავებს; სირენა, რომელიც მღერის, გიხმობს და ძალზე ბევრს გპირდება, სინამდვილეში კი, ძალზე მცირედის მოცემა თუ შეუძლია“, — რის შესახებ წერდა ამას რეი ბრედბერი?

2. რას ეძახდნენ რომაელები პედალს?

3. მამაკაცის მომრგვალებულცხვირიანი ფეხსაცმელი XV საუკუნის ბოლოს შემოვიდა ხმარებაში. ამ მოდის დამფუძნებელი საფრანგეთის მეფე, შარლ VIII გახლდათ. რამ განაპირობა ეს სიახლე?

4. ოდისევსის ახირებულ ხასიათს, ჰომეროსი მისი თმის ფერით ხსნიდა. რა ფერის თმა ჰქონდა ოდისევსს?

5. ინგლისური კავშირგაბმულობის არხის გამართულობის შესამოწმებლად, სტანდარტულ ფრაზას იყენებენ: The quick brown fox jumps over the lazy dog's back („სწრაფი ყავისფერი მელა ახტება ზარმაც ძაღლს“). რა არის განსაკუთრებული ამ ფრაზაში?

6. რატომ არ შეუძლია ხვლიკს დიდხანს სირბილი?

7. ცნობილია, რომ არისტოტელემ შეაგროვა და აღწერა სხვადასხვა ქვეყნის უამრავი მცენარე. ვისი დახმარებით ივსებოდა სისტემატურად მისი კოლექცია?

8. ამ მწერლის დაკრძალვის დღეს, პარიზის ყველა საროსკიპომ გლოვა გამოაცხადა. დაასახელეთ იგი.

9. 1911 წლის აგვისტოში საფრანგეთის მთელი პოლიცია ლუვრიდან მოპარულ „ჯოკონდას“ დაეძებდა. ეძებდნენ ყველგან, — საგიჟეთშიც კი. საგიჟეთში რატომღა?

10. მხატვრულ ფილმში — „მონანიება“ ამ მსახიობ ქალს ელენე ასლამაზიშვილი ახმოვანებს.

11. დაასახელეთ იტალიელი კომპოზიტორი, რომელმაც თავისი ყველაზე ცნობილი ოპერა სუეცის არხის მშენებლობის დასრულებას მიუძღვნა.

12. ნობელის პრემიის ლაურეატის გამოცხადება ხუთ ენაზე ხდება: შვედურად, ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად და რუსულად. რატომ?

13. რა არის ჩუხჩარხი?

14. ფრანგ სკულპტორ ოგიუსტ როდენს ჰკითხეს, თუ როგორ ქმნიდა თავის ქანდაკებებს? — „უბრალოდ, — უპასუხა როდენმა, — ვიღებ მარმარილოს ლოდს და ვაცილებ მას ყველაფერს, რაც...“ დაასრულეთ მისი სიტყვები.

15. რა არის ქონდაქარი?

ანეკდოტები

***

სვანს „ლა კოსტას“ ფირმის მაისური აცვია. მეორე სვანი ეკითხება:



— შენ რა, ნიანგი მოგიკვდა?!

***

— ჭიჭიკია, რატომ შეღებე შენი ცხენი მწვანედ?

— ნაშების შესაბმელად.

— ეგ როგორ?

— საღამოს ამ ცხენით პლაჟზე ჩავივლი, ნაშებს გაუკვირდებათ და მკითხავენ: რატომ არის ეს ცხენი მწვანეო? მე კი ვეტყვი: რა დროს ცხენია, წამოდი, ვისიყვარულოთ-მეთქი.

— კარგი, აბა, შენ იცი!

საღამოს ჭიჭიკიამ თავისი ცხენი პლაჟზე გააჭენა. ერთ ნაშას ძალიან მოეწონა და ეუბნება:

— წამოდი, ვისიყვარულოთ!

— მოიცა, რა დროს ეგ არის, ვერა ხედავ, როგორი მწვანე ცხენი მყავს?!

***

ორი ფსიქიატრი საუბრობს:

— დღეს პაციენტი მყავდა, რომელიც მიმტკიცებდა, ტელეფონი გადავყლაპეო.

— მერე, განკურნე?

— ხვალიდან ვიწყებ, დღეს მნიშვნელოვან ზარს ელოდება.

***

— ჩემი ცოლი ნამდვილი ინტელექტუალია: უკრავს როიალზე, საუბრობს ხუთ უცხო ენაზე, შესანიშნავად იცის ჩვენი ქვეყნის ისტორია...

— გასაგებია... არც ჩემია ცოლია მზეთუნახავი...

***

კომპიუტერი ადამიანს ვერ შეცვლის მანამ, სანამ არ ისწავლის უფროსის ხუმრობაზე ხმამაღალ ხარხარს და მეზობელი კომპიუტერისთვის თავისი შეცდომების გადაბრალებას.

***

— როგორც იქნა, თეატრში როლი მაღირსეს. პრემიერაზე უნდა დაგპატიჟო.

— ვის თამაშობ?

— ერთი მსუქანი, მახინჯი, ქერათმიანი ქალის როლს.

— ჰოო? პრინციპში, მარტო თმის შეღებვა დაგჭირდება.

***

ჯიბის ქურდი საფორტეპიანო კონცერტს ესწრება და პიანისტის მოქნილი თითების შემყურე, თავს სინანულით აქნევს.

— რა მონაცემები აქვს და რაში ხარჯავს!

***

ექიმი ეუბნება პაციენტის მეუღლეს:

— იცით, თქვენს ქმარს სულ ერთი საათის სიცოცხლეღა დარჩა.

— არა უშავს, ექიმო, სადაც 8 წელიწადი ვუძლებდი, ერთ საათსაც როგორმე მოვითმენ.

***

დედა ოროსან შვილს ლანძღავს:

— მამაშენივით უტვინო და დეგენერატი ხარ!

მეორე ოთახიდან ისმის მეუღლის აღშფოთებული ხმა:

— ეს მე ვარ უტვინო და დეგენერატი?

— შენზე ვინ რას ამბობს!

***

— დედიი, წყალი მომიტანე, რაა!

— ადექი და შენ თვითონ მოიტანე.

— აუ, დედი, ძალიან მწყურია, ადექი, რაა!..

— თავი დამანებე, მეძინება!

MK

— აუ, წყალი მომიტანე და მერე დაიძინე, რაა!

— ახლა თუ არ დამაძინებ, ავდგები და ქამარს შემოვიტან!

— აუ, ქამარზე რომ გახვალ, წყალიც გამოაყოლე, რა!

***

სიახლე რუსეთში: გაყიდვაში გამოვიდა უალკოჰოლო არაყი. გამოსაფხიზლებელი აივსო ფხიზელი და გაბოროტებული მამაკაცებით.

***

— ჩემი ცოლი ფეხმძიმედაა!

— ვისზე გაქვს ეჭვი?!

***

ორი დაქალი საუბრობს:

— მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ქმარი მღალატობს, სულ ერთი აზრი მიტრიალებს თავში.

— ვისთან გღალატობს, არა?

— არა, როგორ ახერხებს ამას!

***

— მამი, შორსაა ამერიკა?

— მოკეტე და ნიჩბები მოუსვი!

***

— რავა ხარ, ძამა? — ეკითხება გურული კახელს.

— შენი ძმობაღა მინდა, ისედაც გარდერობის თავზე მძინავს!

***

— სად არის ჩვენი ბუღალტერი?

— კაზინოშია!

— სამუშაო დროს?

— ეჰ, რა ქნას? ეგ ერთი შანსიღა დარჩა წლიური ბალანსის მოსაწესრიგებლად.

***

— 100 გრამი ინვესტიციაც და უძრავ ქონებად გადავიქცევი.

***

— რა განსხვავებაა ცოლსა და საყვარელს შორის?

— დაახლოებით ოცი კილო.

***

პარიზის ერთ-ერთ რესტორანში ზის მეგრელი და სადილს მიირთმევს. ამ დროს შემოვიდა ფრანგი და რადგან ირგვლივ ცარიელი მაგიდა არ იყო, მეგრელის მაგიდასთან მივიდა, სკამი გამოსწია და უთხრა:

— ბონ აპეტიტ!

— კვირკველია! — უპასუხა მეგრელმა.

მეორე დღეს იგივე სიტუაცია განმეორდა — მეგრელი ჭამდა, ფრანგი შემოვიდა და ეუბნება:

— ბონ აპეტიტ!

— კვირკველია! — პასუხობს გაკვირვებული მეგრელი. მესამე დღესაც:

— ბონ აპეტიტ!

— კვირკველია!

ბოლოს, მეგრელს უთხრეს, რასაც ნიშნავს „ბონ აპეტიტ“ და მანაც გადაწყვიტა, ზრდილობიან ადამიანად წარმოეჩინა თავი. დაელოდა და როცა ნაცნობი ფრანგი რესტორანში შევიდა და სადილობა დაიწყო, თავაზიანი ღიმილით დაადგა თავზე:

— ბონ აპეტიტ!

— კვირკველია! — უპასუხა ფრანგმა.

***

ცოლი:

— რა უსამართლოდაა მოწყობილი ეს ცხოვრება, იძულებული ვარ, ყოველდღე ვამზადო საჭმელი.

ქმარი:

— შენ კიდევ რა გიჭირს! მე იძულებული ვარ, ყოველდღე ვჭამო შენი მომზადებული საჭმელი.

ჯორჯის საკრჭილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ტელევიზორის.
2. ზოგადად ფეხსაცმელს.
3. მას ფეხებზე ექვს-ექვსი თითი ჰქონდა.
4. წითური.
5. იგი ინგლისური ალფაბეტის ყველა ასოს შეიცავს.
6. ამ დროს ვერ სუნთქავს.
7. ალექსანდრე მაკედონელის. დიდ მხედარმთავარს ეს საქმე იმ მეცნიერებისთვის ჰქონდა დავალებული, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ლაშქრობისას თან დაჰყავდა.
8. გი დე მოპასანი.
9. ფსიქიატრიული საავადმყოფოს რამდენიმე პაციენტი ჯოკონდას საყვარლად ასაღებდა თავს. ნახატი მხოლოდ 1913 წლის დეკემბერში იპოვეს.
10. ვერიკო ანჯაფარიძეს.
11. ჯუზეპე ვერდი, ოპერა — „აიდა“.
12. სწორედ ამ ენებზე თავისუფლად საუბრობდა ალფრედ ნობელი.
13. ასე უწოდებდნენ საქართველოში მეფის დაცვის უფროსს.
14. ზედმეტია.
15. „ჯალათი“ და „ქონდაქარი“ სინონიმებია.

ფოტოკონკურსი

დასაწყისი იხ. „გზა“, №3

ზაზა ვაჩნაძე

ახლა მივატოვოთ ტერმინალის ტერიტორია და ნორა გავიხსენოთ. ის, როგორც ნამდვილი სახელმწიფო დამნაშავე, დედაქალაქში გამოაქანეს და „კაპეზეში“ ანუ წინასწარი დაკავების საკანში შეაგდეს. სხვათა შორის, ის და რეზი, ბედის ირონიის წყალობით, „აბიზიანიკში“, გვერდიგვერდ მყოფ საკნებში მოხვდნენ. მათ მხოლოდ არმატურის ბადე ყოფდა, სხვა არაფერი, რის გამოც, ნორა საშინელ დისკომფორტს განიცდიდა. ჩვენი საკნები კი, ხომ იცით, როგორია, თვით სამორიგეოდან დაწყებული... რეზის ამღვრეულ ტვინს ამის შეფასება რანაირად შეეძლო? აი, ნორას კი მაგარი პრეტენზიები ჰქონდა.

— რას ჰგავს ეს, ხალხო?! ასეთ საკნებში, ადამიანების კი არა, ცხოველების დატუსაღებაც არ შეიძლება... — ეუბნებოდა ის მორიგე პოლიციელს.

— მე პატარა კაცი ვარ, ქალბატონო, მე რა შუაში ვარ?! — თავს იმართლებდა მორიგე.

— აქ ყველანი პატარები რანაირად არიან, არავინაა დიდი?!. — უკვირდა ნორას.

— მორჩით, რა, ქალბატონო! თქვენ რა, გეგონათ, იმპერატრიცას ბუდუარში, მოგათავსებდნენ?! — ცეცხლს უკიდებდა რეზი, რომელიც ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ამ „ჭერქვეშ“ ხელმეორედ მოხვედრისას, ისინი ერთ, უარეს კრიმინალში იქნებოდნენ დადანაშაულებული.

ხოლო პოლიციის უფროსის, რამინ ძოწენიძის კაბინეტში, სადაც მათი ბედი წყდებოდა, იმის გამო, რომ მისი ცოლის დაბადების დღე იყო თუ ნამდვილად გონება გაუნათდა, ეს კაცი, როგორც პოლიციელები ფიქრობდნენ, „უკუღმა“ იქცეოდა, რადგან უკვირდა — ამ ქალს რას ვერჩით? ოძელაშვილივით, მტრები გააშიშვლა და უნდა დავაჯილდოოთ, ჩვენ კი ვიჭერთო!.. ჰოდა, ნუ გაგიკვირდებათ — მართლაც, გაათავისუფლა.

უეცრად რეზის საკითხიც მისდა სასიკეთოდ გადაწყვიტა, რაც თავად რეზის მანამდე, მხოლოდ ტკბილ სიზმრად თუ გამოეცხადებოდა. არადა, დაკავებული ისე დაუხასიათეს, რომ ალ კაპონე ბატკნად მოეჩვენებოდა ადამიანს და გაოცდნენ: როგორ, კაცმა ლამის ხალხი დაგვიხოცა და უშვებო?! იმან კი — რისი და ვისი მცემელია, ფეხზე ძლივს დგასო!.. — და რეზიც შინ გაუშვა... რა ვიცი, იქნებ, იმასაც მიხვდა რამინ ძოწენიძე, რომ რეზის შინ უარესი ჯოჯოხეთი ელოდა, ვიდრე ციხის თუ „აბიზიანიკის“ საკანში, ვინ იცის...

ელიზბარს ისე გაუხარდა ნორას დანახვა, მისი ცოლი რომ ჩაესვათ და გამოეშვათ, არა მგონია, ასე გახარებოდა. თუმცა, ორიოდ წუთში იფიქრა — ეე, ამას მგონი, მაგრად უნდა ჰქონდეს გარეკილიო: ნორა საკუთარ თავს აღარ ჰგავდა, „დაღეჭილი“ კაბით, ცარიელ-ტარიელი გამოცხადდა პაემანზე. თან, ცხვირს ზემოთ, შუბლზე მაგარი ნაჭდევი ჰქონდა, ახალშეხორცებული. არც არაფერს ჰყვებოდა, საერთოდ არ იღებდა ხმას და რატომღაც, წარამარა უკან იყურებოდა, თითქოს თავდასხმას ელისო, თავზე ხელსაც კი იფარებდა. ელიზბარს კი, როგორც უცხოს, ისე უყურებდა და თითქოს დისტანციასაც კი იცავდა. ისინი, სადაც დასცილდნენ ერთმანეთს, იქვე შეხვდნენ. ხოლო ათიოდ წუთში, როცა ჩვეულებრივი „მარშრუტკით“, დასავლეთისკენ მიემგზავრებოდნენ, ნორა ნელ-ნელა დაუბრუნდა რეალობას და ენაც ამოიდგა.

— რა დღეა დღეს? — იკითხა მან და ელიზბარს დაეჭვებული მიაჩერდა.

— ხუთშაბათი, — უპასუხა ელიზბარმა.

— რაც დავცილდით, ერთი დღე გავიდა, მეტი არა?

— აბა, — გაუკვირდა ელიზბარს. — რა მოხდა, ნორა, სად დაიკარგე, ან მანქანა რა უყავი, დაამტვრიე?

— ნეტავ, დამემტვრია... — სინანულით ჩაილაპარაკა ნორამ. — რაღაც დავარღვიე, ღერძულა ხაზი გადამიკვეთავს თურმე, როგორც ამიხსნეს იმ ბანდიტებმა...

— და მაგიტომ მანქანა ჩამოგართვეს?

— ნეტავ, ჩამოერთმიათ... ბიჭო, კი არ ჩამომართვეს, — საჯარიმო სადგომზე უნდა გადავიყვანოთო, — დამემუქრნენ და მეც გამოვდებილდი. მერე გადმომაბრძანეს საჭიდან, თვითონ მიუსხდნენ და „გააჭენეს“. მეც კრეტინივით უკან ჩავუჯექი... — და უეცრად ნორას ტირილი აუვარდა. მთელი „მარშრუტკა“ თვალად და ყურად იყო ქცეული.

— ვინ? პატრულის ხალხმა?

— ჰო... არა, ბანდიტები აღმოჩდნენ, მაგათ ფორმაში გადაცმული. მოკვლა დამიპირეს, თვალები მქონდა ახვეული... მანქანიდან რომ გადავხტი — მახსოვს და მეტი — არაფერი... მარტო მანქანა?! ჩანთაში ათი ათასი დოლარი მედო... ჩემი მობილური...

— „კაპეზეში“ როგორღა მოხვდი, რა დააშავე?

და ნორამ დანარჩენიც უამბო: როგორ დატოვა „მშრალზე“, შიშველ-ტიტველი რუსი „სალდათები“, როგორ ესროდა პატრულს, როგორ გარბოდა მინდორში და როგორ გაეცა... უკვე მეხუთე შემთხვევაა, ამ გადაცმული ბანდიტების მხრიდან თურმე, მაგრამ ვერავინ დაუჭერიათ ჯერ.

— იქნებ, თვითონაც არიან? — გამოთქვა ეჭვი ელიზბარმა.

— ბანდიტი — ბანდიტია, რა მნიშვნელობა აქვს, რა აცვია ან რომელ სკამზე ზის?!

„ჰო, ეს კი მართალია“, — გაიფიქრა ელიზბარმა და რატომღაც, თვალები დახუჭა. „ჩვენ კი რა, არა ვართ ბანდა?..“ — და ყველა, ვინც ხეტყის ჭრის უკანონო ბიზნესში იყო ჩართული, გისოსებს იქით ჩამწყვდეული წარმოუდგა თვალწინ... სასწრაფოდ აახილა თვალი და მანქანაში მსხდომთა სახეების დანახვაზე, ცოტა დამშვიდდა. თუმცა, ზვავი უკვე აგორებულიყო და ადრე თუ გვიან, ყველას ქვეშ რომ მოიყოლებდა, ელიზბარისთვის ეს ცხადზე უცხადესი იყო...

ბოლოს და ბოლოს, ძალოვნები მალვინას ყველა მხრიდან რომ მიაწვნენ, იმანაც ჩათრევას ჩაყოლა არჩია და თავისი ბიზნესის გაწირვას ისევ მაიას ჩაშვება ამჯობინა. ვთქვა, რომ „რაშჩოტი“ ააღებინა და პანღური ამოსცხო-მეთქი, ცოტა უხეშად გამომივა, თუმცა მაია სწორედ ასე ფიქრობდა. თავის გადარჩენის ინსტინქტი კი, მოგეხსენებათ, როგორ ჰქონდა გამძაფრებული და თავის ზიზისთან ერთად, ცირკის მიდამოებთან გასეირნება გადაწყვიტა. ჩვენი ძალოვნები, გამომძიებელ ლერი კაპანაძის ჩათვლით, დიდი გონება-გამჭრიახობით რომ არ გამოირჩევიან, ეს თქვენც მოგეხსენებათ, მაგრამ ბოზების საკითხში ხშირად, შესანიშნავად ერკვევიან და ახლაც ჩვენს „პრიმადონას“ სწორედ ცირკის მიდამოებში ელოდნენ. ოღონდ, მას-

MK

მედიის ყურადღება რომ არ მიექციათ და ოპერაცია „ძელქვა“ სუფთად ჩაეტარებინათ, მათი აზრით საოცრად მაგარ ხერხს მიმართეს...

მაიას ცოტაოდენი დაზოგილი ფულით, ქალაქის გარეუბანში — გლდანში პატარა ბინის დაქირავება არ გასჭირვებია. დამატებით, მას, მალვინას აღმოსავლური „ბორდელიდან“ არცთუ ისე ცოტა ტანისამოსიც ერგო. იმდენად მრავალფეროვანიც კი, რომ იმ დილას, ცირკთან გასასვლელად რომ ემზადებოდა, ცოტა გაუჭირდა კიდეც სამოსის შერჩევა. საოცარი უგემოვნობა, ამ პროფესიის ქალთათვის რომაა დამახასიათებელი, რა თქმა უნდა, მაიასაც სჭირდა და მანაც, რაღაც ჭრელაჭრელა მოკლე კაბაზე, რომელიც მხოლოდ მრგვალ უკანალს უფარავდა, ნეილონის გამჭვირვალე, ვარდისფერი ქვედაბოლოც ჩაიცვა და განუყრელ ზიზისთან ერთად, ცირკიდან თამარ მეფის გამზირს უკანალის ნაზი რხევით გაუყვა. განა, ბედის ირონია არაა, რომ ამ ქუჩას სწორედ თამარის გამზირი ჰქვია?..

მისეირნობდა მაია და თვალს მოსრიალე მანქანებისკენ აპარებდა. კლიენტის გამოჭერაც უნდოდა და ისიც აინტერესებდა, თუ რა ეფექტს ახდენდა კაცებზე. ვერც კი მოასწრო საკუთარი სილამაზით ტკბობა, რომ მის გვერდით თეთრმა, ჩამუქებულმინებიანმა „ნოლ-თერთმეტმა“ დაამუხრუჭა და ვიღაც დაბალი, ღიპიანი ტიპი დაეხატა. „ვაჭარი იქნება“, — გაიფიქრა მაიამ და ტიპმა მართლაც, ვაჭრობა გაუმართა:

— რამდენი გინდა? — ეს იყო მისი პირველი კითხვა.

— შენ ვერ ჩაეტევი... — უპასუხა მაიამ.

— რა შემატყვე ასეთი? — გაიკვირვა კლიენტმა.

— მანქანაზე გეტყობა, — მიახალა მაიამ.

— რამდენი გინდა, მაინც, აღარ იტყვი? — არ დაუთმო კლიენტმა.

— ვისთვის როგორ... — ცივად უპასუხა მაიამ. მოკლედ, მაგრად არ დაევასა. — გითხარი, შემეშვი, რა!

— რა, არ დაგევასე? — პირდაპირ ჰკითხა ტიპმა.

— ეგ რა შუაშია?! აბა, გადაიხდი შენ ორმოცდაათ დოლარს?

— ბებიაშენისამ, აი!.. წამო, ჩაჯექი, ოც ლარს ვიხდი. მეტი რა ჩემი ფეხები გინდა?! — მთლად გაჯავრებულდა კლიენტი.

მაია სიბრაზისგან გაწითლდა. მიიხედ-მოიხედა და მისკენ მიმავალი ახალგაზრდა ბიჭი დაინახა. მანქანას გახედა — „მერსედესი“ აღმოჩნდა. ოღონდ ეს ტიპი მომაცილოს და, ამას უფასოდ მივცემო, — გაიფიქრა. რას წარმოიდგენდა, რა ელოდა?!

ბიჭი მიუახლოვდა და შეეკითხა:

— შენ მაია არა ხარ?

თავისი სახელის გაგონებამ მაია მაგრად შეაშფოთა. თუ ჩემთან ნამყოფია, რატომ ვერ ვცნობო? — გაიფიქრა. შიშით კი, იმიტომ შეშინდა — ვაითუ, სოსოს მოგზავნილიაო... იმ დაბალმა კი, არც აცია, არც აცხელა და ბიჭს მიახალა:

— ჩემი რიგია, ძმაო! ჯერ ხომ არ დამიმთავრებია, არა, ლაპარაკი!..

ბიჭი დაიბნა, რადგან გამომძიებლის მიგზავნილი იყო, რომელმაც ოპერაცია ისე დაგეგმა — მაია ჯერ უნდა გაეჟიმათ და მერე, როგორც წესია, ისე დაეკითხათ, — მოკლედ, თუ საჭირო გახდებოდა, ეწამებინათ კიდეც; იმის გათვლა, რომ ვიღაც ჩაეჩხირებოდა და ხელს შეუშლიდა, თავში არც მოსვლიათ... ასე რომ, ბიჭს წარმოდგენაც არ ჰქონდა, იმწამს, როგორ და რანაირად უნდა მოქცეულიყო, რომელი ინსტრუქციით ესარგებლა.

— უთხარი, რა, დამანებოს თავი! — ბიჭი მაიას ხმამ გამოაფხიზლა. — გადამკიდებია, გინდა თუ არა, ოც ლარად უნდა წამოხვიდეო.

— მაშ, რამდენი გინდა? — უნებურად წამოსცდა ვაუსაც.

— რა ხდება, ვერ გავიგე, ტო! — რატომღაც, ძველბიჭური დაუჭირა დაბალმა შემცილებელს. — გითხარი, არა, ჯერ მე ველაპარაკები-მეთქი! — მერე უეცრად, ჯიბიდან ბებუთი დააძრო და ბიჭისკენ წავიდა: — „დავაი“, რა, დაახვიე აქედან, დროზე!

არ ვიცი, ბებუთის დანახვაზე, არ ვიცი, სიტუაციას მიხვდა, ზიზიმ ისეთი ვაი-უშველებელი ყეფა ატეხა, მაიას უნდოდა, იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ძაღლი ბებუთიანისკენ იწევდა და პატრონი ვერ ერეოდა...

ბიჭი კი გავარდა და თავის „მერსედესში“ ჩახტა, სადაც „ნაპარნიკიც“ ეჯდა.

— ეს ვინ გამოტყვრა, ეს ჩემალალა, ბებუთი არ გამიძრო, ტარიანი?!

„ნაპარნიკს“ გაეცინა:

— ჰო, გიჟია, ეტყობა, ეგ დედამიწერილი.

— გააჩუმე, თორემ დაგიბრიდავ ამ ლეკვს! — ახლა მაიას მიუბრუნდა ბებუთიანი. და ძაღლმაც, თითქოს გაიგოო, უცებ დადუმდა. — ჰა, ჩაჯდები თუ წამოგაგო მწვადივით?! — დაემუქრა ქალს დაბალი.

მაია მიხვდა — ეს გიჟი გამკეთებელიაო, — აღარ გასძალიანებია, ზიზი მკერდზე მიიხუტა, წავიდა და ჩაუჯდა. თან, სინანულით იყურებოდა „მერსედესისკენ“.

„მერსედესელები“ კი, „ნოლ-თერთმეტს“ გაჰყვნენ და ლერი კაპანაძეს დაურეკეს.

— ლერი, ძმაო, ვიღაც გიჟი ჩაგვეჭრა, ბებუთი ამოგვიღო, ქალის უნახავია, ალბათ! ჩაისვა და მივდევთ. რა ვქნათ?

— საით მიდიან? — იკითხა ლერიმ.

— დაარღვია და გმირთა მოედნისკენ უბერავს ჯერ.

— რა მანქანაა?

— „ნოლ-თერთმეტია“, თეთრი. „ემ-ემ-ვე, ცხრაას თერთმეტი“. ვიღაც ნაგიჟარია.

— კაი, არ გაუშვათ, ბიჭებს წამოვიყვან, — ეს იყო ლერის ბოლო ფრაზა.

„ნოლ-თერთმეტმა“ რატომღაც, გმირთა მოედანს შემოარტყა წრე და უკან, თამარის ქუჩაზე დაბრუნდა. ალბათ, გადმოსვამსო, — იფიქრეს მდევრებმა, მაგრამ მანქანა არ გაჩერებულა, ძველ კინოსტუდიასთან მარცხნივ ჩაუხვია, მერე სანაპიროსკენ აიღო გეზი და მარჯვნივ დაუხვია. დიდუბის ხიდის ქვეშ გაძვრა, „ღრმაღელის“ მეტროსკენ აუხვია და „სარაჯიშვილის“ მეტროსკენ წავიდა. მეტროსთან ისევ დაარღვია, მარჯნივ გადავიდა და რესტორან „ქართულ მწვადთან“ გაჩერდა.

მდევრებმა საკუთარი თვალით დაინახეს, როგორ გადმოვიდნენ მაია თავისი ძაღლით, და ის ტიპი და რესტორნის ეზოში შევიდნენ. მალე „მერსედესის“ უკან, ლერი კაპანაძის „ბეემვე“ გაჩერდა, რომელშიც ორი სხვა პოლიციელიც იჯდა. მაგრამ სანამ ესენი მოითათბირებდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ის დაბალი ტიპი რესტორნის ეზოდან უკან გავიდა. მარტო იყო. ჩაჯდა თავის მანქანაში და წავიდა. სიტუაცია ბევრად უცნაურად ვითარდებოდა, ვიდრე მდევრებს ეგონათ... რა ბევრი ფილოსოფია უნდოდა იმას, რომ რესტორანში უნდა შესულიყვნენ და მაგიდას მისხდომოდნენ, დანარჩენს კი, სიტუაცია უკარნახებდა. ასეც მოიქცნენ.

დარბაზი უკვე სავსე დახვდათ. თუმცა, ცარიელი მაგიდები მაინც იყო და ისინიც ერთ-ერთს მიუსხდნენ.

...როცა ბებუთიანმა ტიპმა მაია მანქანიდან გადმოიყვანა და რესტორნის ეზოში შეიყვანა, ქალს ეგონა, რესტორნის კუპეში შეიყვანდა და ცოტა ხასიათზეც კი მოვიდა, მაგრამ იმ ტიპმა რაღაც სარდაფში ჩასასვლელ კიბესთან მიიყვანა და — ჩადიო, უბრძანა. მერე ბებუთიანმა რკინის კარზე დააკაკუნა, რომლის სარკმელიც გაიღო და იქიდან, პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა ავტომატიანმა ბიჭმა გამოიხედა. ბებუთიანის დანახვაზე, კარი მაშინვე გააღო და მაია მალე, კარს იქით აღმოჩნდა. ხელი უბიძგეს და ისიც, ნეონის შუქით განათებულ კორიდორს გაუყვა. მის ბოლოში ბებუთიანმა კარს ფეხი ჰკრა და ისინი რაღაც უცნაურ, პატარა დარბაზში აღმოჩნდნენ, რომელსაც პატარა სცენაც ჰქონდა, რკინის ორი, თეთრად შეღებილი მილით.

— დასვი ეგ ძაღლი, გაიხადე და ადი სცენაზე! — უბრძანა ბებუთიანმა და მაიამაც მისი ბრძანება უსიტყვოდ შეასრულა. მიხვდა, ყველაზე უარეს ხათაბალაში გაება, როგორიც კი მის ტვინს შეეძლო, წარმოედგინა და ზიზის გამო — არ მომიკლანო — ყველაფერზე წამსვლელი იყო. ძაღლი ძირს დასვა და ისიც სასწრაფოდ, იქაურობის შესწავლას შეუდგა. თვითონ, სცენაზე ავიდა და თავისებური სტრიპტიზის შესრულებას შეუდგა.

— ეგენი გეცვას, არ მოიძრო! — უთხრა გაშიშვლებულ მაიას ლიფსა და ბიკინიზე ბებუთიანმა. — შემობრუნდი! — მაია მიტრიალდა. — მდაა... — აშკარად მაგრად

მოეწონა მისი უკანალი ბებუთიანს.

ამ დროს კარი გაიღო და მეორე, ზუსტად მისი მსგავსი, დაბალი ტიპი შემოვიდა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ბებუთიანს და მაია მიხვდა, რომ კაცები ტყუპისცალები უნდა ყოფილიყვნენ.

— საღოლ!.. — ჯერ მხოლოდ ეს ერთი სიტყვა თქვა შემოსულმა, მაიას დანახვაზე, მერე კი, როცა უფრო კარგად შეაფასა, დააყოლა: — სუპერია! სად დაითრიე?

— რა ვიცი, ცირკის წინ არ დაგულაობდა?.. დავინახე. ეე, ამას აქ რა უნდა-მეთქი?! — გავიფიქრე... ვიღაც ნაბიჭვარი მომადგა „მერსედესით“ და მაწერდა, ხომ იცი!.. ბებუთი დავანახვე და რო მოხია...

— რამდენის ხარ? — შეეკითხა ახალშემოსული მაიას.

— ქალს წლოვანებას არ ეკითხებიან... —

„განაგლდა“ მაია.

— მე მუდამ ვეკითხები ბოზებს წლოვანებას... — რაღაც მუქარით წარმოთქვა კაცმა და მაიამ სწრაფად უპასუხა:

— ოცდაცხრამეტის.

კაცმა გაკვირვებულმა შეუსტვინა.

— არადა, ოცდაათსაც ვერ მისცემ... — ჩაილაპარაკა პირველმა.

— კაი, ჩაიცვას და გაიყვანე ქალებთან, — უთხრა მეორემ ბებუთიანს და მაია მიხვდა, რომ რესტორნის პატრონი ის იყო. იმასაც მიხვდა, რომ რესტორანს თავისი „ბორდელიც“ ჰქონდა, „ტრეფიკინგი“ კი რატომღაც, არ გახსენებია... ან იქნებ, ყველაფრის მნახველს, ტრეფიკინგი ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო მოვლენად მიაჩნდა, ვინ იცის...

ძალოვნებს რომ მუდამ კაი მადა აქვთ, ყველას მოეხსენება. ერთ დროს, „კაი პურის მჭამელ ბიჭებს“ რომ ეძახდნენ, ალბათ, ესეც იცით. ასე რომ, ჩვენმა ოთხეულმაც, რადგან ლერი კაპანაძე არ შეჰყვა — მაიამ არ მიცნოსო, — ხინკალი, ქაბაბი, მწვადი და ლუდი შეუკვეთა და იცდიდა. თან, დარბაზს ათვალიერებდნენ — იქნებ, რაიმე საეჭვო შევნიშნოთო... ამდაგვარი არაფერი ჩანდა და მათაც გადაწყვიტეს, ოფიციანტისთვის ჩაეგდოთ სიტყვა. ლუდს არ დასჯერდნენ და არაყიც მოატანინეს. შეზარხოშდნენ და უფრო გაბედულად დაიწყეს საქმის მიხედვა. დავარქვათ სახელები — რაც ერქვათ, რა თქმა უნდა: ზორო, ტრისტანა, ილია და თემო. მოკლედ, ზორომ ითმინა, ითმინა და — აქ მაგარი „ტიომნი“ სუნი დგასო, — თქვა.

— ხახა-ხახა, — გადაიხარხარა ტრისტანამ, — ხინკლისა და მწვადის სუნი „ტიომნია“?

— მაგას კი არ ვამბობ, შე დებილო! — წაუთაქა თავში ზორომ და სხვებს მიუბრუნდა: — გეფიცებით, ამას თუ ოპერაცია არ ჰქონდეს გაკეთებული!..

— რა ოპერაცია?!. — ეწყინა ტრისტანას.

— ტვინის, — ისევ სხვებისთვის მოყოლას განაგრძობდა ზორო, — მოხდილი აქვს თავის ქალა და ტვინი აქვს ამოცლილი მთლიანად.

— ჰო, არა?.. — წაეშველა თემო. — მიაკერა ექიმმა და მერეღა შენიშნა, რომ ტვინის ჩადება დაავიწყდა...

— ჰოდა, წაუთაქა თავში — პოლიციელი მაინც გამოხვალო, არა?..

ტრისტანას გარდა, ყველას გაეცინა.

— არც იცინის, ტო! მართლა ხისთავიანია ეს ჩემისა... — ჩაილაპარაკა ილიამ და წამოდგა. — გავალ, ცოტას მივზვერ-მოვზვერავ...

ილიამ, ტუალეტის საბაბით, მართლაც, ბევრი იბორიალა, შიგნითაც და გარეთაც... მეორე სართულზეც კი ავიდა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. ეზოშიც თითქმის ყველა ფანჩატურში შეიხედა, არც ერთი არ გამოუტოვებია, მაგრამ მაიას სახეს მაინც ვერსად მოჰკრა თვალი. სარდაფის კიბესაც მიადგა, მაგრამ იმდენად დანაგვიანებული ეჩვენა, — ეს ალბათ, საუკუნეა, არ გახსნილაო, — გაიფიქრა.

დარბაზში დაბრუნდა, თავის მაგიდას მიუჯდა, მიიხედ-მოიხედა და წარბი ასწია:

— არ ვიცი, მე ვერაფერს წავაწყდი, საეჭვოს...

ტრისტანამ ოფიციანტი იხმო. ოფიციანტი გოგონა მაშინვე მიეახლა.

— ინებებთ კიდევ რამეს?

— ქალის საშუალება თუ იქნებოდა, სიამოვნებით... — უთხრა ტრისტანამ და გაიცინა.

— როგორ გეკადრებათ! — ისე შეიცხადა გოგონამ, თითქოს იმდენად მოკლე კაბა არ სცმოდა — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, — ენაზე მოადგა ტრისტანას, მაგრამ თავი შეიკავა.

მოკლედ, სიტუაცია მაგარ ჩიხში შევიდა და ილიამ „ვა-ბანკზე“ წასვლა გადაწყვიტა:

— დირექტორი სად ზის? — ჰკითხა ძალიან რბილად ოფიციანტს, რომ არ შეეშინებინა. ის კი მაინც დაფრთხა:

— არ მოგეწონათ რამე? — და ხელოვნური წამწამები ააფახულა.

— არა, არა, რაღაც მინდა დავაზუსტო, რესტორანი არაფერ შუაშია, — გაუქარწყლა შიში ილიამ.

— სამზარეულოს გვერდით, ადმინისტრატორის ოთახია, — მიასწავლა გოგონამ...

ადმინისტრატორი, მაღალი გრძელცხვირა კაცი აღმოჩნდა. ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა, მაგრამ ილიამ ვერაფრით გაიხსენა, თუმცა, მაინც ჰკითხა:

— ჩვენ უნდა ვიცნობდეთ, არა, ერთმანეთს?

— შენ — კი და მე — არა მგონია... — უპასუხა უცნაურად კაცმა.

— ვერ მივხვდი, — დაიბნა ილია.

— საწევროს ვკრეფდი ერთ დროს, „დეზერტირებში“ და ყველა მაგას მეკითხება.

— ჰო, კი, როგორ არა... — გაუხარდა ილიას. — ფულზე არ გალაპარაკებთ, ოთხნი ვართ და თუ დაგვავაჟკაცებდი... — არ დაამთავრა ილიამ.

— რა-ა? — ისე შეიცხადა ადმინისტრატორმა, ილიამ უკან დაიხია. — მიდი, რა, საქმე ნახე!.. დალევენ და მერე რას მიედ-მოედებიან, თვითონაც არ იციან. მიდი, მიდი! — ხელი აუქნია, რადგან დაინახა, რომ ილია ადგილიდან არ იძვროდა.

— კაი, გენაცვალე, რატომ ბრაზობ?! გასაგებია... — უთხრა ილიამ და გამოვიდა. ბიჭები მის პასუხს ელოდნენ. — მაგრად აქვთ გასაიდუმლოებული, ვერც იმას დავაცდენინე... ვინმე კლიენტი უნდა დავიჭიროთ, უნდა ჩავუსაფრდეთ...

— და როგორ უნდა მივხვდეთ? — იკითხა ტრისტანამ.

— როგორ და, ვისაც „დუქანი“ ექნება გახსნილი, იმას უნდა ვტაცოთ ხელი... — გაიცინა ზორომ.

— კაი, კაი... ისევ ის „ნოლ-თერთმეტი“ უნდა დავიჭიროთ და იმას დავაფქვევინოთ, სხვა გზა არ არის... — ჩაილაპარაკა თემომ.

— როგორ უნდა დავიჭიროთ? — იკითხა ისევ ტრისტანამ.

— სად წავა? ცირკთან ეგდება! ვერ ნახეთ, ქალებზე ნადირობს ბიჭი!

— და შევთხაროთ ის თავისი ბებუთი უკან!..

— რატომ, სიმონ, ხოშიანად გვაქეიფა... — გადაიხარხარა ტრისტანამ.

ნომერი იცოდნენ, მანქანა იცოდნენ და მათაც, ისევ ცირკისკენ გასწიეს. ვერც გზაში და ვერც ცირკთან თეთრი „ნოლ-თერთმეტი“ ვერ დალანდეს.

— რა ვქნათ? — იკითხა თემომ.

— პატრულს რომ გადავცეთ? — იკითხა ზორომ.

— მოიცა, რა, თუ ძმა ხარ, ახლა ტელევიზორში მარიაჟობა მინდა მე?! — ხელი აუქნია ტრისტანამ.

— უნდა დაველოდოთ! — ისეთი ტონით თქვა ილიამ, ბიჭებმა ვეღარაფერი უთხრეს და დაცდა არჩიეს.

არცთუ ისე დიდი ხანი იყო გასული, რომ თეთრი „ნოლ-თერთმეტი“ მართლაც, გამოჩნდა. მაგრამ საჭესთან სულ სხვა ტიპი იჯდა, ის დაბალი კი, უკანა სავარძელზე გადათხლეშილიყო და იქიდან „ალივერებდა“ ქუჩას.

— ორნი არიან, — თქვა თემომ.

— თუნდა ორასნი იყვნენ!.. მიდი, მიაჭირე, შენ ფარები აუნთე და მიუყენე გვერდზე! — ბრძანება გასცა ტრისტანამ.

ჰო, დამავიწყდა — ტრისტანა ისეთი მჭამელი იყო, რომ მიგეშვათ, ერთ ჯერზე ხარს გაათავებდა. კუნთები „ბატიბუტივით“ „ეყარა“ და ძალის დემონსტრირებაც უყვარდა. კაცს კი არა, ბიჭო, თუ მომინდა, ბულას გავტეხავ

ხერხემალშიო! — ხშირად უყვარდა თქმა. დამნაშავის დაჭერისას აზარტში შედიოდა და მაგრადაც ხალისობდა. რას წარმოიდგენდა, რომ სულ რაღაც ხუთიოდე წუთის სიცოცხლე დარჩენოდა?!.

როგორც კი „ბეემვე“, „ნოლ-თერთმეტს“ გვერდიდან გაუსწორდა, ბიჭებმა ფანჯრებიდან ხელი გადაყვეს და „ჟიგულში“ მსხდომებს გადაშლილი წიგნაკები დაანახვეს.

— პოლიცია! გადააყენე მანქანა! გააჩერე!

მანქანა გაჩერდა. პირველი სწორედ ტრისტანა გადახტა და პირდაპირ უკანა კარი გამოაღო, რათა დაბალი გადმოეთრია, მაგრამ მისკენ მიშვერილი იარაღის ლულა დაინახა და გაშეშდა. სროლის ხმა არ გაუგონია და საერთოდ, არაფერი გაუგია. რა მემართებაო?.. — ესღა გაიფიქრა უკანასკნელად და, ამხელა კაცი, ასფალტზე უსულოდ დავარდა.

სამაგიეროდ, სხვებმა გაიგონეს სროლის ხმა.

— მოკლა, ჩემი დედა!.. — თავზე იტაცა ორივე ხელი, საჭესთან მჯომმა თემომ და „გაქცეულ“ „ჟიგულს“ დაედევნა.

ასფალტზე უსულოდ გაშოტილ ტრისტანასთან მხოლოდ ილია დარჩა.

— ამას „შესტიორკას“ ძრავი უდგას, „ასიანია“, თორემ, „ადინაცეტი“ გამექცეოდა მე?! — გამოიტანა დასკვნა თემომ, რადგან მანქანას ვერა და ვერ დაეწია. ორივე მანქანა სანაპიროზე, ორთაჭალისკენ მიქროდა.

ზორომ მომხდარის შესახებ პატრულს აცნობა და ქალაქის მთელი საპატრულო მანქანები მათკენ გაექანნენ. „ნოლ-თერთმეტი“ მანქანების ნაკადში მაინც დაეკარგათ და ბოლოს, „ორთაჭალჰესთან“ ხიდს იქით მიტოვებული ნახეს, შიგ მსხდომნი კი — გაქცეული. შეკრეს მთელი სანაპირო, მაგრამ მათ კვალს ვეღარაფრით მიაგნეს.

და გამომძიებელი ლერი კაპანაძე მიხვდა, რომ ბევრად დიდ დანაშაულთან ჰქონდა საქმე, ვიდრე მას ეგონა. ქალაქის მთელი პოლიცია, როგორც იტყვიან, ფეხზე დადგა. მერედა, ვის გამო?.. ერთი ჩვეულებრივი მეძავის, ცირკის ძუკნას გამო?! ღამის გაეფრინა ლერის...

მოკლედ, ისეთი გნიასი ატყდა, მესამე, ბირთვული მსოფლიო ომის დაწყება ეგონებოდა ადამიანს. ყველა ტელევიზია და სპეცრაზმი ერთდროულად დაეცა რესტორან „ქართულ მწვადს“, უფრო სწორად — „გრუზინსკი შაშლიკს“ და უკლებლივ ყველა, ქალიან-კაციანად, დაიჭირეს. მათ შორის ის ორივე ნაძირალაც, რომლებმაც ასე მარტივად, ცივად, დაუნანებლად გამოასალმეს, სიცოცხლეზე, ოჯახსა და, თქვენ ჯვარი გწერიათ, საკუთარ კუჭზე ასე უზომოდ და უსაზღვროდ შეყვარებული ტრისტანა, რომელიც სიკვდილის მერე, „ნოლ-თერთმეტის“ კარის ვაუკაცურად გამოღებისთვის, გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოეს, ხოლო მისი ცხედარი მუხათგვერდის მიცვალებულთა მილიონიან არმიას მიამატეს. ეს ცოტათი იმას ჰგავდა, კომუნისტები მამის მკვლელებს გმირებად რომ ასაღებდნენ და მილიონების მისაბაძ მაგალითად აქცევდნენ...

როცა ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიგებიდან მაია, თავის ზიზისთან ერთად, გამოიყვანეს და მოახსენეს, ჩვენთან უნდა წამოხვიდეო, მან რაღაც საშინელი იყნოსა და გაჯიქდა, — არსადაც არ წამოვალ, სადაც სხვები, იქაც მეო! — მაგრამ ალარავინ მოუსმინა, ასე თარსს და ამასთან ერთად, ქუდბედიან მანდილოსანს და ლერი კაპანაძეს მიჰგვარეს.

— არა, არ ვყოფილვარ მე იმ ავარიის დროს იქ... კი, იმ ღამეს ქარელის „ბორდელიდან“ მართლაც, გამოვიქეცი და ვიღაც ტიპს ჩავუჯექი, რომელმაც გამიმა და მცხეთის გზაზე ჩამომაგდო, ჰო... მაგრამ მაგ ავარიასთან არავითარი შეხება არ მქონია და მოგაფყუოთ? — ისე ოსტატურად ცრუობდა მაია, ნებისმიერ მსმენელს დააჯერებდა, მაგრამ — არა ლერი კაპანაძეს, რომელსაც მოთმინების ფიალა აევსო და ისეთი სილა სტკიცა, რომ ძაღლი ხელიდან გააგდებინა.

...მოკლედ, ლერი იძულებული გახდა, „ჯალათი“ გამოეძახებინა, რომელმაც წვრილი თოკი მოიტანა, მარყუჟი გამონასკვა და როცა ჰაერში აკონწიალებულმა ზიზიმ წკმუტუნი და ფეხების ფშეკა დაიწყო, მაიას გული წაუვიდა. ლერი ვერ მიხვდა — იქნებ, თამაშობდა კიდეც. ყოველი შემთხვევისთვის, თავზე მთელი ვედრო წყალი ჩამოაპირქვავეს და გონზე მოვიდა თუ არა მაია, სასიკვდილო ნომერი — ანუ ზიზის ჩამოხრჩობის პროცესი განაგრძეს. და როგორც კი ქალს მეორედ წაუვიდა გული, ნიშადური შეასუნთქეს და სამუდამოდ მოიყვანეს გონზე. მაინც ვერაფერი ათქმევინეს. ვერც მაშინ, როცა ძაღლმა თვალები გადმოკარკლა, ენა გადმოაგდო და მოკვდა...

მაია ქვად იქცა. გუნებაში, ლერიც და „ჯალათიც“ — ორივენი გააშიშვლა და ჩამოახრჩო; მერე, თოკიდან ჩამოხსნა და თავისი ხელებითაც მიახრჩო; ესეც არ აკმარა — აჩეხა, დაჩეხა, კოცონზე დაწვა და, ეშმაკმა უწყის, კიდევ როგორ დასჯიდა და რა სახის სიკვდილს მიუსჯიდა, ლერის ხმას რომ არ გამოეფხიზლებინა.

— წადი, წადი, შემოიტანე, მე ამის გიჟი დედაც!.. რამდენ ხანს ველოლიავოთ...

და მაია მიხვდა, რომ რაღაც საშინელებას უპირებდნენ.

— ცხელი ნემსი რომ გავუყაროთ ფრჩხილქვეშ? — იკითხა „ჯალათმა“.

— მიდი, რა, მოიტანე და მოვრჩეთ, ნუ გიყვარს ხოლმე რა!.. იქნებ, დავაუთოოთ კიდეც, რომ კარგად გვიჩივლოს...

— რა უნდა შემოიტანოს? — იკითხა მაიამ, როცა „ჯალათი“ გავიდა.

— წინასწარ თუ გითხარი, რაღა ეფექტი ექნება?! — ხუმრობის ხასიათზე დადგა ლერი.

— ჯალათებო, სისხლისმსმელებო, მკვლელებო! — მიაყარა მაიამ და აქვითინდა.

— კაი, კაი, ბოზანდარების ცრემლების კი არა, წმინდანების ცრემლებისაც აღარ მჯერა!.. — დაჰყვირა ლერიმ. — ვერ გავიგე, რატომ არ ამბობ სიმართლეს, რატომ?

— იმიტომ, რომ ცოცხალი გადავრჩე, რომ არ ჩამაძაღლონ! — აღიარა მაიამ.

დიტომ ანუ „ჯალათმა“ რაღაც აპარატი შემოიტანა და ჩამრთველში შეაერთა. მერე კი, მაიას ხელების გაკოჭვა დაუპირა. მაია გაუძალიანდა, მიაგინა და ფეხიც კი გაუქანა ლაჯებისკენ, მაგრამ დიტომ რაღაც ილეთი ჩაუტარა, ისე, რომ მაგიდაზე პირდაღმა მიაწვინა და ხელებგაშლილი, აქეთ-იქით მაგიდის ფეხებზე მიაბა. მერე მაიას ფეხის კოჭებთან მავთულის შიშველი ბოლოები მიამაგრა, ტრუსი ჩახადა, ელვა შეიხსნა და მიაწვა... მაიას კივილმა იქაურობა გააყრუა. დიტომ კი, აპარატი ჩართო და დენის იმპულსებმა, რომლებიც მჟიმავებზე ელვისებურად გადავიდა, ორივე ისეთ რიტმში ააქანავა, რომ ადამიანს ქაჯთა ორგია უფრო ეგონებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი ქალისა და მამაკაცის აქტი.

— აუ, ეს იცი, რა არის?! ორმაგი სიამოვნება... არა — ათმაგი! — თქვა დიტომ და ელვა შეიკრა. მერე დენს აუწია და მაიას ისეთი ქანაობა დააწყებინა მაგიდაზე და ისე აკივლა, ლერიმ იფიქრა, ვარიანტი არ არის, გაუძლოსო. მაიას სახე, კოსმოსში გაფრენილი კოსმონავტივით დეფორმაციას განიცდიდა, ქალი კბილებს აღრჭიალებდა და შეუჩერებლად კიოდა.

დიტომ აპარატი გამორთო. მაია შეშლილს ჰგავდა.

— ვიტყვი! გამომრთეთ დენიდან, გეხვწებით! — შეევედრა ქალი.

„ჯალათმა“ მაიას ფეხებიდან მავთულები შეხსნა, მერე მაგიდის ფეხებიდანაც აუშვა და სკამზე დასვა.

მაიამ ყველაფერი მოჰყვა: როგორ მოიპარა ფული, როგორ გამოიქცა „ბორდელიდან“, როგორ აიყვანა ტკუცამ, როგორ ღიღინებდა, როგორ გადაბრუნდნენ, როგორ დაემუქრა და გაუშვა; როგორ აიყვანა პატრულმა, როგორ გაჟიმეს იმ ღამეს და დილითაც, როგორ მოჰპარეს მოპარული ფული და როგორ დარჩა უთეთროდ.

— მომისმინე! — თითქოს ჰიპნოზს უკეთებსო, ისე დაჟინებით ჩააცქერდა ლერი თვალებში მაიას და წინ ფურცელი და კალამი დაუდო. — თუ გინდა, ცოცხალი გადარჩე, მე რასაც გიკარნახებ, იმას დაწერ, გაიგე? — მაიამ არაფერი უპასუხა. ლერიმ კარნახი დაიწყო, მაიამ — წერა.

— აღიარებითი ჩვენება. სათაურია... მე, მაია... ვისი ასული ხარ?

— დავითის.

— ...დავითის ასული ქვრივიშვილი, ვაღი-

არებ, რომ ვარ სახელმწიფო დამნაშავე.

— მე არა ვარ დამნაშავე, მე ბოზი ვარ, მარტო, ისიც — თქვენ გამო!.. — შეიცხადა მაიამ.

— თუ სიცოცხლე გინდა, მოკეტე და წერე, რასაც გკარნახობ! — შეუღრინა ლერიმ. — თუ ისევ დენზე გინდა მიგაერთო?..

მაიამ მოკეტა.

— ...რადგან იმ ღამეს ანუ ცხრა სექტემბერს ვიმყოფებოდი მცხეთა-თბილისის ტრასის იმ მონაკვეთზე, სადაც მოხდა საშინელი ავარია... არა, „საშინელი“ არ გინდა... სადაც მოხდა ის ავარია, რომელმაც ექვსი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

— კი არ იმსხვერპლა, შეიწირა, — ჩაიბურტყუნა მაიამ.

— იმსხვერპლა და შეიწირა, — მოეწონა გამომძიებელს და კარნახი განაგრძო: — მე სწორედ იმ „კრაზის“ კაბინაში ვიმყოფებოდი ანუ ვიჯექი, რომლის გამოც მოხდა ზემოთ აღნიშნული ავარია...

— არ მომხდარა „კრაზის“ გამო, ჩვენ წინ მოხდა ავარია! ჩვენ არაფერ შუაში ვყოფილვართ. ჩვენ მაგათ გამო გადავბრუნდით, ჩვენ უკან მივდევდით იმ „ბეემვეს“, — გააპროტესტა მაიამ.

— ახლა თუ ბევრს გაატრაკებ, იმ „კრაზის“ წინ გადაგარბენ და ყველაფერს შენ შეგტენი, გინდა? — ქაღალდზე ხელი დაუფარა და ისე შეეკითხა გამომძიებელი. — ერთადერთი მოწმე შენა ხარ, გესმის? ფეხებს ვერ მოგვჭამს ვერავინ.

— კაი... — დაემორჩილა მაია.

— მძღოლმა, ტკუცა... ნამდვილი სახელი არ იცი?

— არა, არ მახსოვს.

— არც გვარი?

— არა.

— კაი, დაწერე: ტკუცამ გადაასწრო „ბეემვეს“ და შემხვედრ მანქანას გზა გადაუკეტა; მან ანუ შემხვედრმა მანქანამ, „მერსედესმა“ მარცხნივ აიღო და „ბეემვეს“ შეასკდა, ჩვენი „კრაზი“ კი გადაბრუნდა.

— გამოდის, რომ მარცხივ გადავბრუნდით?.. პირიქით, ჩვენ მარჯვნივ გადავბრუნდით.

— მარცხნივ, მარჯვნივ — რა მნიშვნელობა აქვს?! ნახევარი თბილისიც ვერაფერს მიხვდება. დაწერე, რა, რასაც გკარნახობენ!.. მძღოლმა, ტკუცამ მიატოვა გადაბრუნებული მანქანა, რომელიც დატვირთული იყო ძელქვის კონტრაბანდული მასალით და ავარიის ადგილიდან მიიმალა, რასაც ვაღიარებ, რადგან ეს ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. მე კი, როგორ აღმოვჩნდი მცხეთა-თბილისის გზატკეცილზე, აღარ მახსოვს. ჩემი დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ არ მოვახსენე შესაბამის სტრუქტურებს საქმის ნამდვილი ვითარება და დეტალები და არ გამოვცხადდი მაშინვე პოლიციაში. გთხოვთ, შემიმსუბუქოთ დანაშაული... წერტილი. მოაწერე ხელი. გარკვევით! მაია ქვრივიშვილი. დასვი თარიღი. მასე.

გამომძიებელმა სწრაფად წამოავლო ხელი ქაღალდს და პოლიციელი გამოიძახა.

მაია გაიყვანეს. ლერი კაპანაძე კი, ტკუცას საძებნელად გავარდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ორგაზმის იმიტაცია, პოტენციალაქვეითებული მაჩაკაცები

ანუ ქართველები სექსუალური რევოლუციის ზღვარზე...

ნინო ლეჟავა, მაია ლომიძე, ნინო ხომასურიძე და გვანცა გიორგობიანი სპექტაკლის წინ საგრიმიოროში

ბოლო დროს, თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში აქტიურად წამოიწია სექსისა და ეროტიკის თემამ. რეჟისორები იღებენ მცირებიუჯეტიან ეროტიკულ ფილმებს, ქართულ სერიალებშიც ჩნდება „თამამი“ კადრები. ამ ტენდენციას ფეხი ქართულმა კლიპინდუსტრიამაც აუწყო; თეატრის სცენაზეც არის მცდელობა იმისა, რომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის აქამდე ტაბუდადებულმა საკითხებმა სათანადო ადგილი დიკავოს. თუმცა ის, რაც „თეატრალურ სარდაფში“ რეჟისორმა ნინო ბასილიამ სრულიად ახალ ჟანრში (ვერბატიმი) შექმნილი სპექტაკლით — „სექსუალური რევოლუცია“ შეძლო, ვფიქრობ, ჯერ არავის გაუკეთებია... ქართველი მსახიობები ოთხი ქართველი ქალის პირადი ცხოვრების სურათებს წარმოგვიდგენენ, მათ ტრაგიკულ ბედზე მოგვითხრობენ; აღნიშნულ მდგომარეობამდე ისინი პარტნიორებთან არასრულფასოვანმა სექსუალურმა ურთიერთობამ მიიყვანა, რაც ძირითადად, მასობრივი ფსიქოსექსუალური გაუნათლებლობის შედეგია...

სწორედ ამიტომ ავირჩიეთ ამჯერად ჩვენი ახალი რუბრიკის თემად — სექსი და სიყვარული თანამედროვე თეატრის სცენაზე, კონკრეტულად კი — გახმაურებული და შეიძლება ითქვას, სკანდალური სპექტაკლის მაგალითზე ვსაუბრობთ იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანებს სერიოზულად აწუხებს. სტუმართა შორის არიან: მსახიობები — ნინო ლეჟავა, გვანცა გიორგობიანი, ისინი, ვინც „სექსუალურ რევოლუციაში“ მონაწილეობენ; რეჟისორი გოგა ქაჩიბაია და ფსიქოკონსულტანტი, ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტი — სოფო ვერულაშვილი. საუბარს, ჩემთან ერთად, ჟურნალ „ბომონდის“ წარმომადგენელი ინგა უბილავა უძღვებოდა.

ლალი ფაცია

ინგა უგილავა:

— როგორ გგონიათ, რეალურად დადგა ის დრო, როდესაც თეატრის სცენაზე უნდა განხორციელდეს ისეთი თამამი ნამუშევარი, როგორიცაა „სექსუალური რევოლუცია“ და რამდენად სწორად არის თვითონ მიწოდების ფორმა შერჩეული?

ნინო ლეჟავა:

— ჩემი პერსონაჟი სპექტაკლში ნაკლებად სკანდალურია, რადგან არ ლაპარაკობს გახსნილად სექსის საკითხებზე. მას სულ სხვა პრობლემა აწუხებს — ის მკვლელია, ამ ზომამდე მიიყვანეს: 14 წლის ასაკში 5-მა ბიჭმა გააუპატიურა. შეუძლებელია, მას ამის შემდეგ ფსიქიკაში რაღაც არ შერყეოდა. 16 წლის ასაკში პირველი მკვლელობა ჩაიდინა, როდესაც მისი გაუპატიურება ისევ სცადეს... მე არ ვამართლებ ჩემს გმირს, რადგან ადამიანს მკვლელობის უფლება არ აქვს, მაგრამ როგორც ჩანს, ყველა პიროვნებაში ზის პოტენციური მკვლელი, მეძავი, ლესბოსელი და

მამათმავალი, რომელიც მერე თავის გზას თვითონ პოულობს. ჩემი პერსონაჟი ფსიქოლოგთან შეხვედრას ითხოვს, მაგრამ მასთან ის არავის მიჰყავს, არადა, ვიღაც ხომ უნდა გამოჩნდეს, ვინც მას სულში ჩახედავს და დაინტერესდება იმით, თუ რატომ დაებინდა გონება მკვლელობის წინ. მით უმეტეს, რომ მის მიერ ჩადენილ მკვლელობათა რიცხვმა თანდათან იმატა, საერთო ჯამში, 7 ადამიანი მოკლა!.. პიესა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით არის შექმნილი, ამ ფაქტების მიღმა ცოცხალი ადამიანები დგანან. იქნებ, სპექტაკლის ნახვის შემდეგ, ვინმე რამეზე დაფიქრდეს და ბოლოს და ბოლოს, იმ ადამიანს შეუსრულოს თხოვნა?! შეგახსენებთ, ჩემი პერსონაჟი ცოცხალია და დღესდღეობით ციხეში სასჯელს იხდის.

ლალი ფაცია:

— მართლაც, დაფიქრდნენ თუ არა ადამიანები, დაიწყო თუ არა სექსუალური რევოლუცია ადამიანების გონებაში — ანუ ქალებისა და მამაკაცების აღზრდა?

ნინო:

— საზოგადოების რეაქციიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა — მგონი, ბევრი ადამიანი დაფიქრდა: ვიღაცები მოდიან და თავიანთ დადებით თუ უარყოფით ემოციებს გამოხატავენ...

ლალი:

— როგორ ფიქრობთ, უხერხული არ არის, როცა სცენიდან ისმის ისეთი სიტყვები, როგორიც არის: „ორგაზმი“, „სექსობრივი აქტი“, „ვაგინა“?

ნინო:

— არის რამდენიმე სიტყვა, რომელიც სამედიცინო ტერმინოლოგიიდან გახლავთ: „აქტი“, „ვაგინა“, „ორგაზმი“, „ანორგაზმია“, „კოიტუსი“... სხვათა შორის, ეს უკანასკნელი, სამედიცინო ენაზე სქესობრივ აქტს ნიშნავს, რაც ამ სპექტაკლზე მუშაობისას გავიგე, მანამდე არ ვიცოდი... პრემიერის შემდეგ, ასეთი ფაქტი მოხდა: თეატრიდან რომ გამოვედი, ერთი გოგონა დამხვდა, სპექტაკლით აღფრთოვანებული იყო, მილოცავდა, მადლობას მიხდიდა. მერე მითხრა — იცით, მე ანორგაზმიას განვიცდი და სულ არ ვიცოდი, რომ მას ასე ჰქვია, ეს დღეს თქვენგან გავიგეო. იყო ასეთი შემთხვევაც: ჩვენს ერთ-ერთ მსახიობს ნინო ხომასურიძეს დახვდა ერთი ბიჭი, რომელმაც ჰკითხა — დიდი ბოდიში, იქნებ მითხრათ, ვაგინა რა არისო?.. მეტსაც გეტყვით, სცენაზე თამაშისას გავიგონე, ერთმა მაყურებელმა მეორეს როგორ გადაულაპარაკა — ორგაზმი რას ნიშნავსო? ასეთი ინტერესისა და ამდენი კითხვის გაჩენის შემდეგ, ვიღაც წავა სახლში, ლექსიკონს გადაშლის, წაიკითხავს და ამ კუთხით გარკვეულწილად განათლდება.

ინგა:

— რას გვეტყვის ფსიქოლოგი — არის თუ არა საჭირო და აუცილებელი სექსუალურ პრობლემებზე ამ ფორმით სცენიდან საუბარი?

სოფო ვერულაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— მე ამ ყველაფერთან დაკავშირებით, პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს, რადგან ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე ვიცი, რომ საზოგადოებაში სქესობრივი პრობლემები საკმაოდ მწვავედ იჩენს ხოლმე თავს. ვერ გეტყვით, ეს სპექტაკლი აღმზრდელობით ფუნქციას ასრულებს თუ არა, მაგრამ „სექსუალური რევოლუციით“ პრობლემა რომ დაისვა და ამის შესახებ სცენიდან ითქვა, ფაქტია. რადგან დაიდგა, ე.ი. ამის საჭიროება არსებობდა.

ლალი:

— ან იქნებ, ყველაფერი მაინც სკანდალისთვის, პიარისთვის და ყურადღების მისაქცევად გაკეთდა?..

ნინო:

— დღეს რეჟისორი არ დადგამს სპექტაკლს ისე, მასში დასმული პრობლემა თუკი არ აწუხებს და მისთვის საჭირბოროტო არ არის. რეჟისორი ქალია, მისი თანამოსაუბრეებიც ქალები გახლდნენ, ვის მონათხრობზე დაყრნობითაც, მან სცენარი დაწერა. თითოეული მათგანი საკუთარ სექსუალურ პრობლემაზე თამამად საუბრისას ტიროდა.

ინგა:

— თუ გუშინ ქართული თეატრი კლასიკოსების ნამუშევრების დადგმით იყო დაკავებული, სხვა პრიორიტეტები ჰქონდა, აღმოჩნდა, რომ დღეს ის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის პრობლემებით ინტერესდება...

სოფო:

— ეს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის პრობლემა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არ გახლავთ. ამას, როგორც პრაქტიკოსი ფსიქოლოგი, ისე ვამბობ. აქ საუბარია არა მარტო იმ ინტიმზე, რომელიც სახლის გარეთ არ უნდა გავიდეს. ეს თემა ძალზე აქტუალურია. ადამიანებს აკლიათ სექსუალური განათლება, რასაც სავალალო შედეგებამდე მივყავართ. ხშირად „ქართული მენტალიტეტის“ გათვალისწინებით, პათოლოგიური დამოკიდებულებებით, დაავადებამდეც მივდივართ, ეს ყველაფერი კი, ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე ახდენს გავლენას: გნებავთ, პოლიტიკაზე, გნებავთ, ეკონომიკაზე... პიროვნება ვერ იქნება სრულყოფილი, თუ ის, როგორც სექსუალური ინდივიდი, არ იქნება აქტივიზებული და დაკმაყოფილებული. ასეთი ადამიანი შეუძლებელია, იყოს კარგი დედა, მსახიობი, რეჟისორი, პოლიტიკოსი და ა.შ.

სოფო: რადგან დაიდგა, ე.ი. ამის საჭიროება არსებობდა

ფსიქოსექსუალური გაუნათლებლობის შედეგია ის, რომ ჩვენში არის დაყოფა: სექსი — ცალკე, სიყვარული — ცალკე. ამას თავისი წინაპირობა ადრეული პერიოდიდან მოჰყვება: ადამიანები მიიჩნევდნენ, რომ სასიყვარულო ობიექტთან სექსი არ შეიძლებოდა. ხშირ შემთხვევაში, მამაკაცი პირველ სექსუალურ კავშირს მეძავთან ამყარებს. მამაკაცის სექსუალური პრობლემების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მისთვის საყვარელი ქალი ხელშეუხებელია, რაც მასში სტერეოტიპად არის ქცეული. არ შეიძლება, მამაკაცმა ცოლთან გააკეთოს ის, რასაც მეძავთან აკეთებს. ეს ყველაფერი ორივეს — როგორც ქალის, ასევე მამაკაცის გაუნათლებლობის ბრალია — იმ ქალის ბრალია, რომელსაც ქმარი ვერ უმხელს, თუ რა მოთხოვნილებები აქვს მას. მორიდებულობის განცდა ორივეს აქვს. არ მახსოვს, ჩემთან მიღებაზე მოსულიყოს პაციენტი თუ კლიენტი, ფსიქოლოგიური პრობლემებით, ვისაც მოწესრიგებული ჰქონდა სექსუალური ცხოვრება.

სერიოზული რეაქცია მქონდა ინგა გრიგოლიას გადაცემაში („რეაქცია“, სადაც მიწვეულები იყვნენ ამ სპექტაკლის მსახიობები), გია ჯაჯანიძის მიერ დასმულ შეკითხვაზე: მან მსახიობ გვანცა გიორგობიანს მიმართა — შენ სცენაზე ისე კარგად აკეთებ ორგაზმის იმიტაციას, ორგაზმი მართლა ხომ არ განგიცდიაო?

გვანცა გიორგობიანი:

— მზად ვიყავი, ნებისმიერ უხერხულ კითხვაზე პასუხისთვის, თუმცა იმის აფიშირებას, რომ გასათხოვარი ვარ, სულაც არ ვაპირებდი, მაგრამ იძულებული გავხდი, მეთქვა — იცით, მე გათხოვილი არ ვარ, ორგაზმი არ განმიცდია და ორგაზმის იმიტაცია მხოლოდ ჩემი სამსახიობო ოსტატობის შედეგია-მეთქი.

სოფო:

— მართალია, სააშკარაოზე გამოსატანი სულაც არ არის პირადი ცხოვრება. შენ გულწრფელად უპასუხე, მაგრამ ეს პროფესიონალი ფსიქოლოგის მიერ დასმული შეკითხვა ნამდვილად არ იყო. ამან აღმაშფოთა. ინტიმურ თემებზე, საკუთარ ინტიმზე საუბარი არაეთიკურია!

ნინო:

— თუმცა, ეს იყო კვირის სკანდალური კითხვა. გვანცა პოპულარული გახდა, მას მეორე დღეს ყველა ცნობდა.

ლალი:

— ადვილად დათანხმდით რეჟისორს ასეთ თამამ როლებზე?

საუბარი სკანდალური სპექტაკლის გარშემო

უხერხულობის გრძნობა არ გქონიათ?

ნინო:

— თეატრალურ ინსტიტუტში ჩეხოვსა და კლდიაშვილზე ვიზრდებოდით. სასწავლებლად ეს კლასიკოსები ფანტასტიკურია, მაგრამ ეს მწერლები გასული ეპოქისანი იყვნენ. საკმარისია.

ლალი:

— ვფიქრობ, კლდიაშვილის პერსონაჟები, „შემოდგომის აზნაურები“ და ფორმულა — „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“, დღესაც აქტუალურია და მგონი, მუდამ აქტუალური იქნება...

ნინო:

— კი, მაგრამ ხომ შეიძლება ამის გარდა, სხვა რამეც შევთავაზოთ მაყურებელს; თანამედროვე ადამიანებს საკუთარი თავი სცენიდან დავანახვოთ?!

სოფო:

— თუ პრობლემას დაინახავენ, მაშინ მიხვდებიან, რომ „კბილები“ სტკივათ და იქნებ, რაღაცნაირად, შეიმსუბუქონ ცხოვრება.

ნინო:

— ერთმა მაყურებელმა სპექტაკლის ნახვის შემდეგ იცით, რა თქვა? — ახლა სახლში მივალ და ჩემს ცოლს სერიოზულად ვკითხავ, შემთხვევით, ორგაზმის იმიტაციას ხომ არ აკეთებსო. კიდევ ერთმა თქვა — როგორც მამაკაცმა თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენიო. თუმცა მას, ალბათ შიში დაუჩნდა, იფიქრა — ვისთანაც კი იყო ნამყოფი, ის ქალები, ნეტავ, ორგაზმის იმიტაციას ხომ არ ახდენდნენო?.. ეს ყველაფერი უკვე კარგია... მე ვიცნობ ქალს, რომელმაც მითხრა, ქმარს გავშორდი ისე, რომ მისი სასქესო ორგანო არ მინახავს; მეუბნებოდა, შენ ჩემი საყვარელი ადამიანი ხარ და არა მეძავიო...

გოგა:
მამაკაცი ბოლომდე არსად იხსნება. ეს მასში თითქოს კოდირებულია

გვანცა:
პირველად რომ წავიკითხე მასალა, მის სათამამოდ მაშინვე განვეწყვე

გვანცა:

— საქართველოში ასეთი სპექტაკლი ჯერ არავის დაუდგამს. მასზე მუშაობის პერიოდში ვგრძნობდი, რომ ჩვენ პირველები ვიქნებოდით, ვინც სცენიდან ხმამაღლა ტაბუდადებულ თემაზე ილაპარაკებდა. ისიც ვიცოდი, რომ ამას არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვებოდა. ასეც მოხდა. ეს ჩემი საყვარელი საქმეა, პროფესია, რომელიც ძალიან მიყვარს. პირველად რომ წავიკითხე მასალა, მის სათამაშოდ მაშინვე განვეწყვე.

ლალი:

— ამ როლების თამაშზე უარი არ გითქვამთ. საინტერესოა, რეჟისორმა თქვენგან გაშიშვლება რომ მოითხოვოს, რას იზამთ?

ნინო:

— მე, როგორც მსახიობს, როლისთვის გაშიშვლება არ შემიძლია, ეს ჩემთვის პრობლემაა. ამის გამო რაღაც როლებზეც მაქვს უარი ნათქვამი. ამ სპექტაკლში რომ ყოფილიყო მამაკაცი და მასთან ინტიმური სცენის თამაშის საჭიროება, ამაზე ვერ დავთანხმდებოდი.

ნინო: ამ სპექტაკლში რომ ყოფილიყო მამაკაცი და მასთან ინტიმური სცენის თამაშის საჭიროება, ამაზე ვერ დავთანხმდებოდი

ლალი:

— რატომ?

— ჩემი მენტალიტეტის გამო. ასე გავიზარდე. მე ქართველი მსახიობი ვარ(!).

ლალი:

— ია ფარულავაც ქართველი მსახიობია — ვგულისხმობ მის როლს ფილმში — „სიყვარული ვენახში“...

ნინო:

— ბედნიერებაა, რომ მან ეს შეძლო...

გვანცა:

— გახდას როლისთვის არც მე ვაპირებ. ასეთია ჩემი პოზიცია.

სოფო:

— ზოგჯერ ფიზიკური სიშიშვლე უფრო ადვილია, ვიდრე ფსიქოლოგიური...

გვანცა:

— სხვათა შორის, ჩვენი სპექტაკლის ნახვის შემდეგ, ლევან წულაძეს გაუჩნდა იდეა, იმავე ჟანრში (ვერბატიმი) დადგას სპექტაკლი, ოღონდ — მამაკაცებზე. ისინი თავიანთ საწუხარს თვითონ იტყვიან.

ინგა:

— სოფო, როგორ ფიქრობ — გამოუვათ მამაკაცებს ასეთი ნამუშევარი?

სოფო:

— წინასწარ გეტყვით, რომ ამას ვერ გააკეთებენ, რადგან მამაკაცებისთვის საკმაოდ რთულია ამ თემებზე საუბარი.

ლალი:

— რატომ ვერ შეკრებენ დოკუმენტურ მასალას?

სოფო:

— მართალია, ორი სქესის პრობლემასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მამაკაცი თავის პრობლემებზე ვერ ილაპარაკებს ისე, როგორც ეს ქალს შეუძლია. არადა, უფრო მეტად მამაკაცებს უჭირთ. თავი რომ დავანებოთ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ პრობლემებს, გახშირებულია დაავადებები — ნარკომანია, ლოთობა... არასწორი ცხოვრების წესს მისდევენ, აწუხებთ გადაწვის სინდრომი, ამიტომაც შეიქმნა სერიოზული პრობლემა პოტენციასთან დაკავშირებით. ქალი არაფერ შუაშია. შეუძლებელია, ქალი, სათანადოდ გამოცდილ მამაკაცთან, გარკვეული პრაქტიკის შედეგად არ ჩამოყალიბდეს, როგორც სექსუალური პარტნიორი. ჩემთვის არაერთ ქალ პაციენტს უთქვამს: მიყვარს ჩემი მამაკაცი და ვატყუებ, რომ მაგარია, თუმცა ეს ასე სულაც არ არისო...

გვანცა:

— სხვათა შორის, ჩემი გმირი ამბობს ასეთ ტექსტს: რამდენჯერ მომიტყუებია მამაკაცი, რომ ის ძალიან მაგარია ლოგინში, მაგრამ მიყვარდა და ვატყუებდი; მეცოდებოდა, რომ მეუბნებოდა — არ ვარ, ხომ, კარგი მამაკაციო?..

ნინო:

— იცით, ეს რისი ბრალია? ქართველ კაცს რცხვენია და ეზარება ექიმთან მისვლა, როცა ამის საჭიროება იქმნება.

გვანცა:

— სპექტაკლს აჟიოტაჟი იმიტომაც მოჰყვა, რომ ეს უდიდესი პრობლემაა; ჩემს გმირს კიდევ ასეთი ტექსტი აქვს: „მიდით, რა, წაიკითხეთ რაიმე ლიტერატურა სექსზე, მაგრამ ჩვენს კაცებს ხომ კითხვა არ უნდათ“...

ინგა:

— როგორც ჩანს, სერიოზული პრობლემის დასმა და მის მოგვარებაზე ფიქრი თეატრმა აიღო საკუთარ თავზე. რას იტყვის რეჟისორი, რომელიც ჩვენს საუბარს ახლა ესწრება და ჩვენ შორის ერთადერთი მამაკაცია? მისი აზრი, ვფიქრობ, საინტერესოა.

გოგა ძაჩიბაია:

— სპექტაკლი სწორად და დროულად დაიდგა. ფაქტია — მასმედია გააქტიურდა, სპექტაკლი ანშლაგით მიდის, ბილეთები არ იშოვება. თურმე საჭირო ყოფილა ვიღაცეს სცენიდან ელაპარაკათ არსებული პრობლემის შესახებ. დარბაზში ყოველ სპექტაკლზე გაჩენილი რეაქციებიდან ჩანს, რომ ხალხს პრობლემები ჰქონია. სექსი ცხოვრების ნაწილია, ეს აუცილებელი რამ არის, თუმცა ქართველი ადამიანი რატომღაც, მას უხილავი ძალით თითქოს მალავს. ამბობს, რომ სექსი არაფერია — მთავარი ხომ სიყვარულია!.. ეს ფრაზა ჩემთვის გაუგებარია. არ უმეღავნებენ ადამიანები საკუთარ თავს პრობლემებს, მერე მათ აწყდებიან და ცხოვრება ენგრევათ.

ლალი:

— გოგა, აქ აღინიშნა, რომ მამაკაცები მსგავსი სპექტაკლის დადგმას ვერ შეძლებენ. თქვენ როგორ ფიქრობთ როგორც რეჟისორი და მამაკაცი — ეს მართლაც, შეუძლებელია?

— თუ, ვთქვათ, მასალის მოძებნა გაჭირდა, მე მამაკაცი ვარ და ვიცი, რა აწუხებს ჩემი სქესის წარმომადგენლებს, ავდგები და დავწერ სცენარს. მოვნახავ მსახიობებს და დავდგამ სპექტაკლს. მაგრამ მაინც, სურათის სრულყოფილად დახატვა საეჭვოდ მიმაჩნია: მაინც არსებობს რაღაც უხილავი, რაც მამაკაცს ყოველთვის აჩერებს და ის გარკვეულ თემაზე არ ლაპარაკობს ხოლმე... სხვათა შორის, ეს პრობლემა მარტო საქართველოსთვის როდია აქტუალური. მამაკაცი ბოლომდე არსად იხსნება. ეს მასში თითქოს კოდირებულია.

ლალი:

— სულ ბოლოს რას იტყვით, გამოსავალი რა არის?

გოგა:

— როდესაც საუბარი იწყება სექსუალურ განათლებაზე, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ თაობა არ გავრყვნათ.

სოფო:

— რომ არ გავრყვნათ, უნდა ვასწავლოთ. თან, მნიშვნელობა აქვს ფორმას და იმასაც, თუ რამდენად კომპეტენტური ადამიანები დაკავდებიან ახალგაზრდა თაობის სექსუალური განათლების საქმეში...

გოგა:

— პრობლემა არსებობს, ის დაისვა და მისგან თავის დახსნა, თუ მოინდომებენ, შესაძლებელია. ■



როცა მსახიობ იმედა კახიანის ოჯახში მივედი და მას ვუთხარი, რომ რუბრიკისთვის — „თინეიჯერული პონტები“ უნდა ჩამეწერა, გაეცინა და მკითხა: რა დროს ჩემი თინეიჯერული პონტებიაო? თუმცა, იმ პერიოდის გახსენება, როცა თავად ამ ასაკში იყო, მაინც სიამოვნებით დაიწყო. „თინეიჯერი ასოცირდება ყმაწვილკაცობასთან, სილამაზესთან. მეც მყავს ამ ასაკის შვილიშვილები და ჩემთვის მათზე უკეთესი არავინაა. ამბობენ, ბაბუა და შვილიშვილი ერთი ჭკუისანი არიანო, ეს სიმართლეა“, — ამბობს მსახიობი, რომელიც დღევანდელ მოზარდებს ქეიფს უწუნებს.

საქმელჯო ფოჩქაში გაქოწყოპილი სასიდედჯო

და რა ქოთოფოვნაკს უნდა აკქაყოფილებდნენ იმედა კახიანის სასიქოები

ლიკა ქაჯაია

— ჩემი ნამდვილი მეგობარი არის ყველაზე პატარა შვილიშვილი, 7 წლის ქეთევანი — ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის, სადავო არაფერი გვაქვს, ერთად დავდივართ ცირკში, ზოოპარკში, თეატრში და ა.შ. ჩვენი მსოფლმხედველობა ერთმანეთს ემთხვევა.

— ნინისა და ანასტასიასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ანასტასია 14 წლისაა და უკვე მეორე წელია, რაც მას ჩემი დონე აღარ აკმაყოფილებს. ხშირად, როცა ვეუბნები: ანასტასია, ეს ასე არ გააკეთო-მეთქი, მპასუხობს — კარგი, რა, ბაბუო, რაც იმას ნიშნავს, რომ რაღაცაში ჩავიჭერი... ნინი კი მასზე უფროსია და მასთან მით უმეტეს, რა საერთო უნდა მქონდეს *(იცინის)*?..

— თქვენ როგორი თინეიჯერი იყავით?

— ცელქი და მოუსვენარი არასდროს ვყოფილვარ, პირიქით, დედა მეუბნებოდა, რომ წყნარი გახლდით. ორი ძმა მყავს. მე და უმცროსი ძმა — რევაზი ბუნჩულა ბავშვები ვიყავით, შუათანა — ზურაბი კი ძალიან ცელქი იყო და როცა რაიმეს აშავებდა, მის მაგივრად ხშირად ჩვენ გვხვდებოდა ხოლმე, რადგან ამ დროს ის გარბოდა, მასზე გაბრაზებული დედა კი ჩვენზე იყრიდა ჯავრს... მამაჩემი რეპრესირებული იყო და როცა გადასახლებიდან დაბრუნდა, მას ქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. ამიტომაც, მთელი ჩემი ოჯახი იმერეთში, კერძოდ, სამტრედიის რაიონში (სოფელ ეწერში) გადავიდა საცხოვრებლად, მე კი თბილისში, მამიდასთან დამტოვეს, რომელიც გაუთხოვარი გახლდათ, არავინ ჰყავდა და მე მზრდიდა. მამიდა ძალიან მორწმუნე ქალი იყო, ხშირად დადიოდა ეკლესიაში (რაც მაშინ საშინლად მიუღებელი გახლდათ) და მეც დავყვავდი. 14 წლის რომ გავხდი, მამიდა გარდაიცვალა და თბილისში მარტო ცხოვრებამ მომიწია.

— რითი განსხვავდებიან თქვენი თაობის თინეიჯერები დღევანდელებისგან?

— დღევანდელ ახალგაზრდებს მეტი საშუალება აქვთ იმისთვის, რომ უფრო განათლებული და ინფორმირებული იყვნენ, მაგრამ მაშინ უფრო ექცეოდა ყურადღება ოჯახიშვილობას, ტრადიციებს...

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ახლა ეს ყველაფერი გაუფასურდა?

— ახლა ჩვენში ევროპული ფასეულობები მკვიდრდება და იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ მოზარდს (თუ უკვე ზრდასრულ ადამიანს), რომელიც ქართული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. აი, მაგალითად, როცა ვქეიფობ, არ შემიძლია, სამშობლოს, მშობლების სადღეგრძელო არ ვთქვა, წინაპარი არ მოვიგონო. აბა, მეტი რისთვის ვიკრიბებით?.. დღევანდელ ახალგაზრდობას თითქოს, ეს არ სიამოვნებს. მათგან ხშირად გამიგონია: რა დროს სამშობლო და მშობლებიაო? მათ მინდა ვუთხრა, რომ ქართველი კაცი ღვინოს დასათრობად არასდროს სვამდა.

გოგიგას როლში ფილმში — „საბუდარელი ჭაბუკი“

— აბა, რისთვის სვამდით?

— იმისთვის, რომ ვიღაცისთვის ის გვეთქვა, რაც გულსა და გონებაში გვქონდა. ისე, კაცი კაცს ვერ ეტყვის — აუ, კარგი ადამიანი ხარ და ამიტომაც მიყვარხარო. მგონი, ეს უხერხულიცაა.

— ეი. ღვინო სითამამისთვის გჭირდებოდათ?

— აბა, რა. ის დაძაბულობას ხსნის.

— თქვენი თაობის ადამიანებისგან ხშირად მომისმენია, თინეიჯერები ძალიან თამამები და უკომპლექსოები არიანო. ეი. გამოდის, მათ სითამამისთვის ღვინო არ სჭირდებათ.

— მართალია. ჩემს თაობას კომპლექსი ბევრ რამეში უშლიდა ხელს... როგორც უნდათ, ისე მოეფერონ თინეიჯერები ერთმანეთს, მაგრამ თავიანთი ფესვები არ დაივიწყონ.

— როცა მოზარდი ტრადიციებს ივიწყებს, ეს ვისი ბრალია?

— ცხოვრების, გლობალიზაციის...

— ანუ ამ ყველაფერში მშობლებს დანაშაული არ მიუძღვით?

— სწორი შენიშვნაა. ბავშვი იზრდება და ყალიბდება ოჯახში. ტყუილად კი არ ამბობენ: შვილი ოჯახის სარკეაო. ბევრი ისეთი მშობელი მინახავს, რომელიც არასწორი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ შვილს უკითხავს ლექციებს, რომ ის კარგ ადამიანად ჩამოყალიბდეს. შაურია ამ ლექციების ფასი, რადგან ბავშვი რასაც უყურებს, იმას უკეთ ითვისებს. ამიტომაც იყო ძველად, რომ თუ ვინმე ოჯახის შექმნას გადაწყვეტდა, ახლობლები მის მთელ შთამომავლობას გამოიკითხავდნენ... დღეს ასე არ არის — მოეწონება ვიღაცას ზანგი კაცი და ცოლადაც მიჰყვება.

— ნინი, ანასტასია, ქეთი — რომელიმე მათგანი ცოლად ზანგს რომ გაჰყვეს, ამაზე როგორი რეაქცია გექნებათ?

— რა გითხრა, ალბათ, თავს ვერ მო-

ვიკლავ. ჩემი ქალიშვილი, ეკა რომ თხოვდებოდა, მითხრა: ერთი კაცი მომწონს და ცოლად უნდა გავყვეო. მხოლოდ ის ვკითხე: მეგობრები თუ ჰყავს, ღვინოს თუ სვამს და თამადობა თუ შეუძლია-მეთქი? მიპასუხა: როგორ არა, მეგობრებიც ჰყავს, ღვინოსაც ნორმალურად სვამს და ახლობლების წრეში სულ მას უწევს თამადობაო. ვუთხარი: აბა, კაი კაცი ყოფილა და გაჰყევი-მეთქი... ამ საკითხს ჩემმა მეუღლემ სულ სხვანაირად შეხედა — დედაა და მას ყოველთვის უკეთესი უნდა შვილისთვის ანუ ვისაც არ უნდა ეთხოვა ჩვენთვის ეკას ხელი, მაინც დაიწუნებდა — ჩემს შვილს უკეთესი შეეფერებაო... ნინიმ რომ მკითხოს, ზანგს მინდა ცოლად გავყვე და რა ვქნაო? ვეტყვი — თუ კარგი ბიჭია და კაცად ვარგა, გაჰყევი-მეთქი...

ფლორას მშობლებს არ მოვწონდი სასიძოდ, რადგან თეატრალური ინსტიტუტიდან 4-ჯერ ვიყავი გამორიცხული

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— სანამ მამიდა ცოცხალი გახლდათ, კარგად ვსწავლობდი. მაშინ ქალთა და ვაჟთა სკოლა ცალ-ცალკე იყო, სპეციალური ფორმა გვეცვა. მახსოვს, მე-19 ვაჟთა გიმნაზიაში ვსწავლობდი, სადაც ფორმის გარეშე ვერ მიხვიდოდი. მეხურა ქუდი და მეკეთა ქამარი (რომელზეც ეწერა: მე-19 საშუალო სკოლა), საკინძე ბოლომდე მქონდა შეკრული და ა.შ. მამიდა რომ გარდაიცვალა, მე-8 კლასში ვიყავი. ჰოდა, ცოტა ხანში იქიდან გამრიცხეს კიდეც, რადგან დილით ვერ ვიღვიძებდი და გაკვეთილებს ვაცდენდი. მე-19 გიმნაზიის გვერდით, მე-20 საშუალო სკოლა მდებარეობდა, სადაც არც ფორმა ეცვა ვინმეს, არც სწავლით იკლავდნენ მოსწავლეები თავს და საერთოდ, როცა გინდოდა, იქ მაშინ მიდიოდი. სწორედ ეს სკოლა დავამთავრე... გაკვეთილების შემდეგ, აუცილებლად ქალთა სკოლასთან მივდიოდით. ვიცოდით, როდის გამოდიოდნენ გოგოები ეზოში და მათთვის უნდა გვეცქირა. თითოეულ იქ მისულ ბიჭს თავისი სატრფო ჰყავდა. გოგოებმაც იცოდნენ, რომ ჩვენ იქვე ვიდექით... ყველა ვაჟთა სკოლას თავისი ქალთა სკოლა ჰქონდა ამოჩემებული და იქ, სადაც ჩვენ მივდიოდით, სხვები ვერ მოვიდოდნენ.

— რატომ?

— რა უფლება ჰქონდათ? სხვაგან დამდგარიყვნენ...

— „შატალოზე“ არ დადიოდით?

— „შატალო“ კი არა, სკოლაში არ დავდიოდი... პლეხანოვზე მარტო ვცხოვრობდი, ერთი ოთახი მქონდა, მეორე სართულზე. დილით გვიან რომ გამეღვიძებოდა, სკოლაში აღარ მივდიოდი, კლასელები „შატალოს“ აწყობდნენ და ჩემთან ამოდიოდნენ.

— და რას აკეთებდით?

— არაფერს, ვისხედით, ვლაპარაკობდით ან გავდიოდით ქუჩაში, ვდგებოდით ე.წ. ბირჟაზე და გოგოებს ვუცქერდით. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, ქეიფსა და ღვინის სმას გავუგეთ გემო. თუ ვინმეს 2 კაპიკი გაუჩნდებოდა, მაშინვე საქეიფოდ გავრბოდით.

— სიგარეტს არ ეწეოდით?

— რაც თავი მახსოვს (მგონი, მე-4 კლასიდან), სიგარეტს ვეწეოდი.

— რატომ დაიწყეთ სიგარეტის მოწევა?

— ეს კაიბიჭობის მანიშნებელი იყო — თუ ეწეოდი, ე.ი. ვაჟკაცი იყავი... მყავს მეგობარი, რომელსაც მთელი ცხოვრება ჰქონდა სიგარეტის მოწევის სურვილი, მაგრამ ვერაფრით მიეჩვია. ერთ ნაფაზს დაარტყამდა თუ არა, თვალებიდან ცრემლი სდიოდა, იხრჩობოდა, ცუდად ხდებოდა... მანამ ვეწეოდი, სანამ გულმა არ შემაწუხა.

— მოწევა თუთუნით დაიწყეთ?

— თუთუნსაც ვეწეოდით, ქუჩაში „ბიჩოკებს“ ვეძებდით, თუ გაგვიმართლებდა და „მამალ ბიჩოკს“ ვიპოვიდით, მის გადამგდებს ვაქებდით: კარგი კაცი ყოფილა, გაიხაროსო... 18 წლის ვიყავი, როცა მუშაობა დავიწყე და მერე უკვე მქონდა იმის საშუალება, რომ ჩემი ფულით სიგარეტი მეყიდა. მახსოვს, მაშინ ორნაირი უფილტრო „პრიმა“ იყიდებოდა — №1 და №2 ქარხნების გამოშვებული. გავრცელდა ხმა: მეორე ქარხნის „პრიმა“ ძალიან კარგიაო და ყველანი მასზე გადავედით. თუმცა, განსხვავება არაფერში იყო, ორივე ერთანიარად ყარდა, გემოც საშინელი ჰქონდა. იცით, რატომ აქებდნენ იმ „პრიმას“? მაშინ ცეკას მდივანი გიორგი გეგეშიძე გახლდათ და სწორედ ის ეწეოდა ამ სიგარეტს. მაგრამ საქმე იცით, რა ყოფილა? სპეციალურად მისთვის რამდენიმე კოლოფ საუკეთესო „პრიმას“ ამზადებდნენ, ჩვენ კი მყრალ სიგარეტს იმ იმედით ვეწეოდით, რომ კარგი იყო.

— კიდევ, რა მიიჩნეოდა მაშინ ვაჟკაცობად?

— ის, რაც ყოველთვის ფასობდა: კაცური სიტყვა. რა თქმა უნდა, ქუჩაში დგომა არ სჯობია უნივერსიტეტში სიარულს, მაგრამ ამასაც თავისი ხიბლი აქვს, „ქუჩის აკადემია“ ყველა ბიჭმა უნდა გაიაროს. ქუჩაში ვერც მამა და ვერც მისი „ფულები“ ვერ დაგეხმარება, შენი ადგილი თავად უნდა დაიმკვიდრო. მახსოვს, ბირჟაზე „კუტოკებად“ ასაკის მიხედვით ვიყოფოდით და ჩემზე უმცროსებს რომ ჩავუვლიდი, არ მახსოვს, რომელიმე მათგანი ჯიბეში ხელებჩაწყობილი მომსალმებოდა. როცა ქალთან ერთად ქუჩაში მიდიოდი, ყველა მოწიწებით გექცეოდა, ისე წარმოგაჩენდნენ, თითქოს ძალიან მაგარი იყავი. შენც კაცად გრძნობდი თავს და ცდილობდი, ეს კაცობა ბოლომდე დაგემტკიცებინა.

— თინეიჯერობის ასაკში თუ დაგიჭრიათ ან დაუჭრიხართ ვინმეს?

— დიდი მოჩხუბარი არასდროს ვყოფილვარ. ხშირად მიწევდა შუაკაცის, მომრიგებლის მოვალეობის შესრულება და მგონი, ეს გამომდიოდა კიდეც.

— „მშვიდობის მტრედი“ ბრძანდებოდით?

— დიახ და ანგარიშსაც მიწევდნენ. აუცილებელი არ არის, ლომს ჰბაძავდე და რკინის გალიებს კვნეტდე, მთავარია, კაცი თავისი სიტყვის პატრონი იყოს.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდით?

— ხომ გითხარით, რომ ცელქი ბავშვი არ ვიყავი... ერთი ამბავი გამახსენდა: მეათე კლასში რომ გადავედი, მოვიდა გერმანული ენის მასწავლებელი, რომელიც ჩვენი კლასის დამრიგებლად დანიშნეს. ის ძალიან ახალგაზრდა იყო, ეტყობოდა, ინსტიტუტი ახალი დამთავრებული ჰქონდა. ჩვენთან მეგობრობდა... ჩემი ბინის კარი არ იკეტებოდა (მოსაპარიც არაფერი მქონდა), სულ ღია იყო. ხშირად, შინ მისულს მაგიდაზე წერილი დამხვედრია: „ხვალ სკოლაში გამოიარე. გოგი მასწავლებელი“...

— ამბობენ, მაშინ სხვანაირი სიყვარული იცოდნენო...

— რანაირი?.. მე და ჩემი მეუღლე ერთ უბანში ვცხოვრობდით და ძალიან მომწონდა, კარგი გოგო იყო. ერთხელაც, „საბუდარელი ჭაბუკის“ გადაღებას რომ იწყებდნენ, მე უკვე დამტკიცებული ვიყავი გოგიტას როლზე, მაგრამ ეძებდნენ თებროლეს როლის შემსრულებელს. თუ სადმე კარგი გოგო იყო, ყველა მოჰყავდათ სინჯებზე. ერთ დღეს, ფლორაც მოიყვანეს და რაღაცები გადავიღეთ... დაიწყო სიყვარულობანა და 5 წელი დავდიოდით ერთად, მთელ თბილისს ფეხით წრეს ვარტყამდით, კინოში მივდიოდით. ფლორას მშობლებს არ მოვწონდი სასიძოდ, რადგან თეატრალური ინსტიტუტიდან 4-ჯერ ვიყავი გამორიცხული, ხედავდნენ, რომ ყოველდღე ბირჟაზე ვიდექი. ფლორას ეუბნებოდნენ: არ გამოგადგება, ნუ გაჰყვები, თავად-აზნაურთა წრიდანაა, იმ წრის ხალხს კი შრომა არ უყვარს; თან, ხომ ხედავ, არ სწავლობს, გამორიცხულია და დილიდან საღამომდე ქუჩაშია, სვამს და ქეიფობსო... ისე, ტყუილს არ ეუბნებოდნენ, ხომ იცი *(იცინის)*. მერე სხვა ჭკუაზე დადგნენ: მართალია, დიპლომი არა აქვს, მაგრამ ფილმებში ვხედავთ, ხან ინჟინერია, ხან — ექიმი და იქნებ, ბოლ-ბოლო რაიმე პროფესიას დაეუფლოსო და — გამომაყოლეს.

MK

— ქალის გამო სიგიჟეები არ ჩაგიდენიათ?

— სიგიჟე? წინააღმდეგი არ იყო და სიგიჟეები რატომ უნდა ჩამედინა? სიდედრი, შურა იყო ჩვენი შეუღლების სასტიკი წინააღმდეგი. ამბობდა: სასიძოდ 2 პროფესორი მეძლევა და ეს რად მინდაო?! ახლა ფლორას ვეუბნები: რომელიმე მათგანს რომ გაჰყოლოდი, ამჟამად ერთი 40 წლის ქვრივი მაინც იქნებოდი და ახლა შეგირთავდი-მეთქი *(იცინის)*... ერთ ამბავს გავიხსენებ: ჩვენი შეხვედრებით შურა ძალიან რომ გაღიზიანდა, მე და ფლორამ გავავრცელეთ ხმა, ვითომ ერთმანეთს დავშორდით. გვიანი შემოდგომა იყო, კინოთეატრ „ამირანში“ წავედით, რაღაც ფილმს ვუყურეთ და იქიდან რომ გამოვედით, ქუჩაში თოვლი დაგეხვდა. მოვსეირნობდით ნელა. მათ სახლს რომ მივუახლოვდით, გარემო დავზვერვე — სადმე შურას არ გადავეყაროთ-მეთქი. მოპირდაპირე მხარეს „სახინკლე“ იყო. მის შესასვლელთან ვიღაც 2 სამხედრო იდგა, სხვა არავინ ჩანდა. მე და ფლორა რაღაცას ვლაპარაკობდით. უცებ, ატყდა ერთი ამბავი. გავიხედე, სამხედროფორმიანი კივის: ვის უბედავ ამასო?! ლამის გადავირიეთ, რადგან ეს შურას ხმა იყო და გავიქეცით... თურმე, ჩემს სასიდედროს მეუღლის ფორმა ჩაუცვამს, გვერდით ასევე „სამხედრო“ ქალი (ფლორას ბიცოლა) ამოუყენებია და სახლს უთვალთვალებდნენ, აინტერესებდათ — მე მოვაცილებდი მას თუ არა. ამასობაში, ვიღაც მთვრალმა კაცმა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქალები რომ დაინახა, მათ ღლაბუცი დაუწყო *(იცინის)*...

— თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავით?

— ძალიან მიყვარდა მსახიობი სპარტაკ ბაღაშვილი, მის მიერ განსახიერებული გამზრდელი (ფილმიდან „აკაკის აკვანი“) სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. ეკრანზე მამაკაცის ასეთი სახე არ მინახავს. ბედნიერება მხვდა წილად, რომ ის გავიცანი. ფილმში — „თეთრი ქარავანი“ მე მთავარ როლს ვთამაშობდი, ის კი მამაჩემი უნდა ყოფილიყო. იქ არის ასეთი სცენა, როცა მამას რაღაცაზე ავუხირდები და ვამბობ: არ მინდა ცხვარში სიარული, ეს საქმე მივატოვოთ და საცხოვრებლად ქალაქში გადავიდეთ-მეთქი. ჩვენი დიალოგი ისე მწვავდება, რომ მამამ სილა უნდა გამაწნას. რა თქმა უნდა, 7-8-ჯერ მაინც მოუწია ამის გაკეთებამ და ყოველი გარტყმის შემდეგ მეხვეოდა და მეკითხებოდა: ხომ არ გეწყინაო? საოცარი კაცი და თავისი საქმის პროფესიონალი იყო.

— დაბოლოს, რას ურჩევდით თინეიჯერებს?

— ყოველთვის ახსოვდეთ, ვისი შვილები არიან, უყვარდეთ საკუთარი სამშობლო და პატივი სცენ საკუთარ ტრადიციებს.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩეული ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8.99.17.35.27.* ■

ვამტხვაურება

პაწაწუნა, 13 წლის:

„ვანო, როგორ ფიქრობ, პოპულარობა თავში ხომ არ აგივარდა? კარგი ტიპი ხარ, მაგრამ არა მგონია, ვინმე ქუჩაში ავტოგრაფს გთხოვდეს. მაპატიე თუ გაწყენინე“.

ვანო:

— პაწაწინავ, ამ კითხვას უკომენტაროდ ვტოვებ.

უცნობი, 23 წლის:

„ვანო, ვანო, ტელეეთერიდან თავი შემაყვარე და ახლა, რა უნდა ვქნა? სად ან როგორ შეიძლება შენი გაცნობა? ძალიან, ძალიან მიყვარხარ“.

— ჩემო კარგო, მე 24-ის, ჩემი ცოლი კი 19 წლისაა. ასე რომ, დიდი ბოდიში, მაგრამ სიყვარულითვე ვერ გიპასუხებ.

ანი, 15 წლის:

„მყავს შეყვარებული, რომელიც სულ რაღაც 5 თვეა, რაც გავიცანი. მან მოულოდნელად ამიხსნა სიყვარული და რატომ თავადაც არ ვიცი, მაგრამ ვუთხარი: მეც მიყვარხარ-მეთქი. ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობთ. იმას ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ მე არ მიყვარს. მგონი, ამას ხვდება და სულ მსაყვედურობს — ცივად რატომ მექცევიო? მინდა, დავშორდე და თავისუფალი ვიყო. მირჩიეთ, როგორ ჩამოვიშორო ისე, რომ ნაწყენი არ დარჩეს“.

— აუხსენი, რომ მის სიყვარულს თავისუფლება გირჩევნია და რომ მასთან მეგობრობა გინდა. თუ უყვარხარ, გაგიგებს.

„თუში“, 18 წლის:

„ირგვლივ „შატალო“, „ნაშები“, გართობა და ქეიფი. აი, ასეთები ვართ თუში თინეიჯერები. თქვენც ალბათ, მარტო გართობაზე ფიქრობთ, არა?“

— (იცინის) არ ვიცი, ახლა რაზე ვფიქრობ...

ლიზა, 14 წლის:

„პლიზ“, ლიკა, ეს მესიჯი გამომიქვეყნე. რჩევა ძალიან მჭირდება. მე და ერთი ბიჭი უკვე 1 წელია, შეყვარებულები ვართ. მან ვალენტინობის დღესასწაულზე ძალიან მაგარი საჩუქარი გამიკეთა, მაგრამ მერე, თავისი ძმაკაცის შეყვარებულთან და მის დაქალებთან ერთად სადღაც წავიდა, მთელი ღამე მათთან იყო. მეორე დღეს რომ ვკითხე, სად იყავი-მეთქი? ჩხუბი დამიწყო, არაფერი მითხრა. თან, იმის მერე აღარც დაურეკავს... ვერ ვხვდები, რა სჭირს, გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ“.

— თვითონ დაურეკე და პირდაპირ ჰკითხე, რა გჭირს-თქო? დამივჯერე, გაურკვევლობაში ყოფნას ყველაფერი სჯობს.

უცნობი, 22 წლის:

„მზემ ფანჯარას სხივი ხია, ჩაამსხვრია და მოხია, ერთი მითხარ, შენი თავი ხომ არავინ ამახია?“

— აგახია, აგახია, 3 წლის წინ აგახია (იცინის)...

თაპო, 16 წლის:

„თაყვანისმცემლები არ მაკლია, თუმცა, ვერავინ შევიყვარე... არსებობს ადამიანი,

რომელიც მიყვარს, მაგრამ ის მხოლოდ ჩემს სიზმრებში არსებობს. მას ძალიან ხშირად ვხედავ და როცა მეღვიძება, გულით ვტირი, ვამბობ: ნეტავ, არ გამღვიძებოდა-მეთქი. სულ მინდა, მასთან ერთად ვიყო, თუნდაც, მხოლოდ სიზმარში. ვიცი, იფიქრებთ, რომ გიჟი ვარ, მაგრამ ეს ამბავი ვიღაცისთვის უნდა გამემხილა, მეგობრებს და ახლობლებს კი ვერ ვეტყვი. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, დახმარება მჭირდება“.

— ვირტუალური სიყვარული მაგარია, მაგრამ ჯობია, ხორციელი ადამიანი შეგიყვარდეს.

ქალი, 25 წლის:

„შენ არც ხატი ხარ, არც სალოცავი, მაგრამ თვალები გაქვს საოცარი. რას იტყვი?“

— ამას ბევრი მეუბნება და ეტყობა, მართლაც საოცარი თვალები მაქვს.

აჩრდილი, 19 წლის:

„ვანო, მაინტერესებს, „აგრესიონერა“ დამოკიდებულება მარტო მარხულიას მიმართ გაქვს თუ საერთოდ მეგრელების მიმართ? და კიდევ, ზიკი რომ გირტყამდა, ხელს შენც უბრუნებდი?“

— (იცინის) მარხულიას და მით უმეტეს, მეგრელების მიმართ, არანაირი „აგრესიონერა“ დამოკიდებულება არ მაქვს. რაც შეეხება მეორე კითხვას — როცა ზიკი ხელს მირტყამდა, მას ხელს ისეთ პონტში ვუბრუნებდი, რომ არ სტკენოდა.

უცნობი, 17 წლის:

„მენატრები ციდან ცამდე, ჩურჩულიდან ხმაურამდე, სიცილიდან ტირილამდე, სიცოცხლიდან სიკვდილამდე. გელოდები დღიდან დღემდე, წარსულიდან მომავლამდე“.

— რამ გაგაგიჟა?.. დაწყნარდი, დაწყნარდი, იყავი წყნარად, ცოლი მყავს კარგი და მინდა ის მარად. ■

„დავბერებულვარ, წლები წასულან“...

2 აპრილს მირზა გელოვანს 90 წელი შეუსრულდებოდა

ის თითქოს მდინარეებთან, ხეებთან და ბალახებთან ერთად ამოიზარდა მიწიდან, ბერმუხასავით ღრმად გაიდგა ფესვები, ყლორტები კი შეუდარებლად ნაზი და სათუთი ამოიყარა. დახუნძლა ისინი უნატიფესი ლირიკული სტრიქონებით. თავად გადაიკარგა უგზო-უკვლოდ... და თუმცა, მას მერე ბევრი დრო გავიდა, მისი პოეზიის სალაროდან მაინც დაუსრულებლად მოედინება ემოციებითა და გამხელილი ჟინიანობით სავსე სტრიქონები...

თიანეთში, მის კერაზე შემორჩენილი სურათებიდან გვიმზერს ახალგაზრდა და ხალისიანი — უკვე 90 წლის მირზა გელოვანი და ვერასოდეს წარმოიდგენ, რომ ოდესმე მასაც თმაში ჭაღარა შეერეოდა, წელთა სიმრავლე ჩამუხლავდა, უჯეებს დაუღარავდა. დარჩა 27 წლის ჭაბუკად, უკვდავ სახედ და მარადისობად... მისი ხალასი სული ლირიკულ სტრიქონებად დაიღვარა და მკითხველი პირველყოფილ სიწმინდეებს აზიარა...

ეთერ თარიმანი

„ოი, ბავშვობის დღეები“

მირზას წინაპრები სვანეთიდან ჯერ თელავში გადმოსულან, მერე — თიანეთში. გედეონ გელოვანმა იქაური ქალი — ევა მაჩურიშვილი შეირთო ცოლად და იქვე დამკვიდრდა — მაჩურიანთ უბანში. მირზაც იქ დაიბადა — თიანეთში: „ჩემს მშობლებს მეშვიდე შვილი შეეძინათ, რეზო დავარქვით. მირზა მისი პოეტური ფსევდონიმია, რომელიც აღმოსავლური პოეზიის სიყვარულით დაირქვა. თიანეთი, იორი, ქუსნო, ხაწირი, ცხრაკარა და იხინჭა იყო მირზას ბავშვობის აკვანი. ჯანსუსტი ბავშვი იყო და ცხრა წლისას, მშობლებმა სანადირო თოფი უყიდეს — მუხლი ნადირობაში გაუმაგრდებაო. ბიძაჩვენი — შაქრო გელოვანი ცნობილი მონადირე იყო და ძმისწულის გაწვრთნა მან ითავა. როცა წამოიზარდა, გამოცდილ მონადირეებს დათვებზეც დაჰყავდათ“, — იგონებდა მირზას უფროსი და, ოპერის მომღერალი როენა გელოვანი.

ძალზე დაუდგრომელი, ხიფათისა და თავ-

გადასავლების მაძებარი ჭაბუკი ყოფილა მირზა, თანატოლთა შორის — ყველაფერში პირველი და ყოველგვარი განზრახვის წამომწყები. თიანეთში დღესაც ლეგენდად დადის, როგორ ჩამოაყალიბა „არსენას რაზმი“, როგორ ჩაუკეტა ცარიელი კლასი შიგნიდან მათემატიკის ერთ აბეზარ მასწავლებელს, რისთვისაც „სამი ხულიგანი მუშკეტერი“ — ვახტანგ ბენუკელი, მირზა და იოსებ ბურდული პედაგოგიური სასწავლებლიდან გარიცხეს და განთლების კომისარიატის ჩარევამდე, უკან აღარ დაუბრუნებიათ. მირზას თანაკურსელი, ქალბატონი მარიამ შავერდაშვილი იხსენებდა: „რეზო არა მარტო ლამაზი, საოცრად თბილი და გიჟმაჟი ბიჭი იყო. თანატოლებს ბავშვებივით გვეფერებოდა, ყველას სიყვარულს იტევდა. ერთხელ, ლექციების შემდეგ, გუნდ-გუნდად გამოვიშალეთ სასწავლებლიდან. მირზას თეთრი სამოსი ეცვა და მთის ქათქათა ნაკადულივით მოარღვევდა ქუჩას. უცებ, ჩოჩქოლი ატყდა, გოგო-ბიჭები მიიფანტ-მოიფანტნენ. მაშინ თიანეთის ცენტრში რადიორეპროდუქტორი იდგა. ხანდახან ხმა გაუგებრად უხრიალებდა, ხან კი ისე შეკივლებდა, გული გაგისკდებოდა. მის უეცარ შეძახილზე, ვიღაცას ცხენი დაფრთხობოდა და დაფეთებული მოგელავდა. რეზომ წიგნები ვახტან ბენუკელს მიაჩეჩა, ცხენს უყელა, ფაფარში ჩააფრინდა და აეთრევინა. ცხენი უფრო დაფეთდა. რეზომ მარწუხივით შემოაჭდო კისერზე ხელები და თანდათან დააოკა კიდეც. რამდენიმე წუთში, ზურგზე მოევლო და მოთვინიერებულ ულაყზე ამხედრებული, წინ გაგვიძღვა ღიმილით“.

ასეთი იყო მირზას ბავშვობის სამყარო: აყვავებული ალუჩები, მტირალა ტირიფები, სიახლოვისა და განშორების მთრთოლვარე დღეები. მაგალისთისთვის „თეთრი მიწაც“ კმარა, რომლის ადრესატის წერილი 62 წელია, მირზას სახლში ინახება.

თავის დროზე, ეს ლექსი მირზამ თურმე პოეტ ალაზა ხაიაურის დას — ქალბატონ სარა ხაიაურს უძღვნა.

„დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით,
თეთრ კარავებს დაემგვანენ ატეხილი მთები,
მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო ხელით...
...მაგონდება შენს სახეზე პაწაწინა ხალი,
და თუ შენი ღიმილი მსურს, შენი გულიც მინდა“.

მას შემდეგ იმ „პაწაწინა ხალიანმა“ გოგომ ბევრი ღამე გაათია ფიქრსა და ოცნებაში, ვერ კი შეეხვედა ავტორს გრძნობის გამხელა. სამაგიეროდ, მირზასადმი მიწერილ ბარათს წაუმძღვარა საგულისხმო ეპიგრაფი:

„ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, მდუმარების ცრემლებით
და დავტოვეთ ნახევრად დამსხვრეული გულები“.

გაიგლის ხანი და ქალბატონი სარა დაუფარავად იტყვის: „მალე უკან დარჩა „თიანეთი და სწორები“. მირზა თბილისელმა ლამაზმანებმა გაიტაცეს და არაერთი მათგანი გახდა მისი პოეტური შთაგონების წყარო“.

„თქვენ დარჩით შორი, ცაზედაც შორი“...

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მირზა გელოვანის ეზოს კარი თმადათოვლილმა, სიმპათიურმა ქალბატონმა შეაღო. შინაურივით მოიარა ოთახები, საოცარი კდემით მიეფერა თითოეულ ნივთს, მერე აივანზე გამოვიდა და დიდხანს შესქცეროდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მირზას გადიდებულ სურათს: „ჩემო მირზა, ლამაზო (ასე გეძახდით), შენმა სულმა გაიგოს, რომ მე მოვედი შენს ოჯახში, შენს მიდამოში. რომ იცოდე, შენ დავიწყება ჩვენგან არ გიწერია, სანამ შენი თაობა ცოცხალი ვართ. 82 წლის ასაკში ვართ ახლა — ნინო ბერძენიშვილი, ლენა გოგოლაშვილი, თინა მაქსიმელაშვილი, ნელი ამაშუკელი და სხვები. 2000 წ. 5 აგვისტო“. — ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში და წავიდა. ვინ იყო უცნობი ქალბატონი, არავინ იცის. იქნებ თინა? ნინო? ნელი? ტურფა? ეგებ არც ერთი მათგანი. მაგრამ მთავარია, იყო ის, ვინც ყველას მაგივრად თქვა სათქმელი — ანუ ვისაც უძღვნიდა მირზა თავის გულს, სითბოს, სინაზეს; რომელთა შესახებ წერდა: „ჩემი ლექსები, როგორც მილოცვა, მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ“. ისინი მარტოოდენ ლამაზმანები როდი იყვნენ.

1935 წლიდან მირზა თბილისშია. ცხოვრობდა მელიქიშვილის ქუჩაზე, ერთ პაწია ოთახში, იმ ადგილას, სადაც ახლა სასტუმრო „საქართველოა“. ეს ოთახი იყო იმდროინდელი თაობის სულის შესაკრებელი. იქ თითქმის ყოველდღე დადიოდნენ გაბრიელ ჯაბუშანური, შოთა რევიშვილი, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, ვახტანგ ბენუკელი, ვახტანგ ჭელიძე, გიორგი კალანდაძე, ლადო ავალიანი, ალეკო შენგელია და სხვები.

მირზა ერთხანს გამომცემლობა „ფედერა-

ციაში“ მუშაობდა, შემდეგ — „აფხაზეთის“ რედაქციაში. მისი ლექსები იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. თავისუფალ მსმენელად დაიარებოდა უნივერსიტეტში. მისი ლექსებისა და ბალადების ხელნაწერები უნივერსიტეტში ხელიდან ხელში გადადიოდა. ბევრი მათგანი ზეპირად იცოდნენ. ამ დროს გამოქვეყნდა მისი „აონი“, „ შავლეგო“, „შავნაბადა“, „ცხრაკარა“, „ფანდური“ „ჩემი მუქარა“, „თორღვა“ „ბალადა ვარძიის მშენებლობისა“, „საუბარი იორთან“ და მრავალი სხვა.

1939 წელს მწერალთა კავშირის წევრი გახდა. მხოლოდ ერთ წელს მოუწია წევრის სტატუსით მწერალთა შორის ყოფნამ და მაინც მოასწრო, მაღალი ტრიბუნიდან გამოეთქვა განსხვავებული აზრი:

„დღევანდელ ქართულ პოეზიაში გამეფებულია აღწერითი ხატვითი პოეზია. იმის მაგიერ, რომ პოეზია იყოს სულის მოძრაობა. დღევანდელი პოეზია იწყება ხატვით და მთავრდება სალოზუნგო ნოტებით. ჩვენი კრიტიკოსები კი ან ათჯერ ნათქვამის ვინიციას აკეთებენ, ან არა და, რომელიმე პოეტს ისე ხელაღებით აქებენ, რომ მკითხველი იძულებული ხდება, ეს წერილები არ წაიკითხოს“.

ეს სტრიქონები 22 წლის მირზას ეკუთვნის. მას შემდეგ, ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა. უკან დარჩა წარსული, როგორც მისი ხანმოკლე ბავშვობა...

წერით კი, ისევ წერდა და წერდა, უყვარდა, ულხინდა, ოცნებობდა და წერდა. უწვიმდა, უთოვდა და მაინც ჯიუტად წერდა. „ვეძებ წამებას, რომელიც მე არ განმეცადოს და ამ ძებნაში დაიღალნენ ჩემი მუხლები“, — ასეც უნდა ეყვირა, რადგან ია-ვარდით არც საშობლოში იყო მოფენილი მისი პოეტური გზა და... არც სამშობლოს გარეთ.

ამ გზებს იგი თავად წმენდდა და ალამაზებდა.

„მე ყველა ხალხთან მქონია საქმე. უკანასკნელ ხანებში მწერლებთან მიხდებოდა ყოფნა. ეს თითქმის ყველაზე კეთილშობილური ჯგუფი ხალხი თვალში — მე მაძლევდა ბოროტებისა და ზიზღის გაკვეთილებს. ახლაც ვიხედები წარსულში და მე ვერ მიპოვია ვერც ერთი სახე, რომელიც შეედრებოდეს ჩემი ბავშვობის მეგობრების უბრალო, კეთილ სახეებს...

...მოსკოვი არის ადგილი, სადაც წვანან საქართველოს ხელმოცარული დიპლომატები, ღონდაცლილი რაინდები და მწერლები. ო, რამდენი იყვნენ კონსტანტინეპოლსა და პარიზში, საბერძნეთსა და სპარსეთში, ძველ ბიზანტიასა და ვინ იცის, სად აღარ?! და დედაჩემო, როცა წავაწყდები ქართველთა სახელებს სხვათა წარსულში, გულნატკენი ვფიქრობ გაქსუებულ რაინდებზე და იმაზე, რასაც საქართველო ჰქვია. ვფიქრობ იმაზე, რამაც მათი ცხოვრება სხვა გზაზე დააყენა და გააყოლა სხვათა გზას. მეცოდებიან ისინი და მაინც მინდა, მოვიდე მათთან და სანთელი დავუნთო!“

ეს იყო მირზას სულის რეჟიმი.

რომ არ შემორჩენილიყო მისი არც ერთი ლექსი და მხოლოდ მიმოწერებს გავცნობოდით, საკმარისი იქნებოდა გვეთქვა, რომ მის ავტორს ხალასი შემოქმედებითი ნიჭი და ბრწყინვალე გონება ჰქონდა.

„დაო, რუსუდან! მახსოვს გვიანი შემოდგომის საღამო, ჩვენი ოჯახი. ბნელოდა. გარეთ წვიმდა. ჩვენ, მთელი ოჯახი სახლში ვიყავით. გუგუნებდა ბუხარი. მამაჩემი, დინჯი და მუდამ აუჩქარებელი, სავარძელში იჯდა. დედაჩემი ტახტზე მოკეცილიყო და ქსოვდა. როენა გიტარაზე მღეროდა ძველ სევდიან სიმღერას. შენ შალმოხვეული, თავჩაღუნული, ფიქრებში იყავი წასული. თემოც დუმდა და მეც. და ყველანი ერთად, როენას სიმღერასა და გიტარის ხმებთან შეერთებული ვისმენდით ღამის ცეცხლისა და ქარის მუსიკას. რა ბედნიერები ვიყავით, არა?“.. ამაზე უკეთეს ავტობიოგრაფიას მირზა ვერ დაწერდა!

„მე დაბრუნებით ტკივილებს წავმლი“...

1941 წელს შინ გამოგზავნილ წერილში წერდა: „ომი დაიწყო. ვიცოდი, რომ დაიწყებოდა იგი. გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დაე, ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ...“

„დაო, რუსუდან! აქ შევიცან ნამდვილი ადამიანი და ცხოვრება მთელი თავისი სიღრმით, სირთულითა და სილამაზით. აქ ვისწავლე, რა ძვირი ღირს მოსიყვარულე გული და როგორ არ ვაფასებთ მას... აქ ყველაზე ნათელია ცხოვრებისეული ჭეშმარიტება... უნიგნოდ, უპროფესოროდ... ჩემი ლოდინი მოსწყინდებათ საქართველოში. მე გრძნობები დამიავადდნენ, დაო“... ლოდინი მართლაც, მოსწყინდათ... ომი დამთავრდა. ის კი, არა და არ ჩანდა. აქა-იქ ბოროტად აჩურჩულდნენ: სამშობლო გაყიდა, მტრის მხარეზე გადავიდაო. ჭორებმა ოჯახის ყურამდე მიაღწია. გაფითრდნენ. არ სჯეროდათ, მაგრამ მაინც პირზე ბოქლომი დაიდეს. კრიჭაშეკრულები, უბედურებით გათანგულები ცივ სიჩუმეში ჩაიძირნენ. იმჟამად, არც ფრონტზე წასული მირზას ძმის — თემოს ასავალ-დასავალი იცოდა ვინმემ.

„არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც კლავდნენ და არ კვდებოდა“. ასეთი რწმენით გაუძლო „ქარს და ურაგანს“ მირზამ. საქართველოში მის შესახებ რომ ჩამიჩუმი არ ისმის, იმ დროს, ერთ-ერთ ლექსში, ფრონტელ მეგობარს ასეთ სტრიქონებს ჩაუწერს უბის წიგნაკში:

„შენ ნახე, როგორ იწვოდა ზეცა,
გაუგონარი, მღვრიე დაწვითა,
შენ ნახე, ტყვია მე როგორ ამცდა
და ამხანაგის გულში გაცივდა.
...მაგრამ მითხარი, განა გიშველის?
რომ შედრკე ახლა სიკვდილის გამო!
რამდენი ნახე შენ ფეხშიშველი
ბავშვი უსახლო და უდედმამო!
შენ მიდიოდი... გზა იყოს სისხლის
და ბავშვის თვალებს უცვლიდა იერს...“

ამ სანახაობით შეშფოთებული წერდა გულის სწორთა მისამართით:

„...მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,
რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც ქურდები,
ჩემს შეპირებას ანადგურებენ.
და სადმე ტყვია თუ გააცივებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ო, მაპატიეთ,
დანაშაული არდაბრუნების“...

1944 წლის 30 აპრილს ახდა მისი წინასწართქმული. ამ დღეს მისთვის მართლა დადუმდა არე. ჩრდილი ჩამოწვა თიანეთის მთებზეც. დედამ გულში ჩაიკლა ტკივილი, მხრებში მოიხარა, რუსუდანსაც შეეყინა პირზე ღიმილი. წლები მიდიოდა, თავის ქვეყანაში მირზას შესახებ აღარაფერი ისმოდა... და აი, 1963 წლის 13 ივნისს ბელორუსიიდან წერილი მოვიდა თიანეთში. რუკაკელი მოსწავლეები თურმე სათუთად უვლიან ძმათა სასაფლაოს, სადაც განისვენებს ბრძოლის ველზე გმირულად დაცემული კაპიტანი მირზა გელოვანი...

გახსნილი ჭრილობიდან ღვარად წამოვიდა ცრემლი და სისხლი. მირზას მეგობარმა ვახტანგ ბეწუკელმა საქართველს მწერალთა კავშირის სახელით, მთაწმინდიდან წაღებული მიწა მიმოაბნია მის საფლავს. მერე მისი ლექსები და პირადი წერილები წიგნად აკინძა და დიდი ხნის აუხდენელი ოცნება აუსრულა უიღბლო პოეტს. მალე ბელორუსიიდანაც ეწვივნენ მის ფუძეს. ისევ აყვავდა ორთაჭალაში ნუში, მთაწმინდის მთაზე ცა დაწვა და საქორწინო სუფრა გაშალა... ეს უნდოდა მირზას და აუხდა — დაუსწრებლად, სიკდილის შემდეგ...

გამოხდა ხანი. მირზას პოეზია ისევ გაითავისა მკითხველმა, არც აღიარება დაჰკლებია. მის შემოქმედებას ჯერ ოსტროვსკის, შემ-

გაგრძელება 61-ე გვერდზე

ნინო ბერძენიშვილთან ერთად

ხათელმხილველი სკარლეტ იოჰანსონი



როდესაც სკარლეტი ჯოშ ჰარტნეტს დაშორდა, ჯასტინი კი — კემერონ დიასს, სასწრაფოდ გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ახალგაზრდებს შორის რომანტიკული ურთიერთობა ჩაისახა და როგორც ჩანს, ეს ეჭვები საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს! ისინი ერთად ძალზე ხშირად არიან. სარწმუნო ინფორმაციის თანახმად, დასვენების დღეებიც ერთად გაატარეს. 4 თებერვალს კი სკარლეტი ჯასტინის სახლში ღამის 3 საათზე მივიდა და ამერიკული ფეხბურთის სუპერთასისთვის გამართულ მატჩს, მასთან ერთად უყურა. მატჩის დამთავრების შემდეგ წყვილი წვეულებაზე გაეშურა და როგორც თვითმხილველი ამბობს: „ისინი მთელი საღამო ცეკვავდნენ და გამუდმებით რაღაცაზე ჩურჩულებდნენ. ეტყობოდათ, რომ ერთად თავს კარგად გრძნობდნენ“. მომდევნო საღამოს, სკარლეტი და ჯასტინი უკვე ხელიხელჩაკიდებულნი სეირნობდნენ. მიუხედავად ამისა, სკარლეტი გავრცელებულ ხმებს ჯერჯერობით მაინც უარყოფს: „ჯასტინი ძალზე საყვარელია, მასთან შეხვედრა მუდამ მსიამოვნებს, ბევრი საერთო მეგობარი გვყავს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ და სხვა არაფერი... როდესაც გოგონას და ვაუს ერთად ხედავენ, მათ შესახებ გიჟური აზრები უჩნდებათ ხოლმე“...

ჟურნალ Playboy-ს მიერ შედგენილი 25 ყველაზე სექსუალური ქალბატონის სიაში, პირველობისთვის გამართულ ორთაბრძოლაში სკარლეტ იოჰანსონმა ანჯელინა ჯოლი, ჯენიფერ ლოპესი, ჯესიკა ალბა, ლინდსეი ლოჰანი, დენიზ რიჩარდსი, კრისტინა აგილერა, ბეიონს ნოულზი, კარმენ ელექტრა, პერის ჰილტონი დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. „სკარლეტ იოჰანსონის ქალური სხეული, ამოუცნობი ქარიზმა, მისი ხელშესახები და ამავდროულად ენით აუწერელი სილამაზე, მშვენიერებისა და მგრძნობელობის კულმინაციას წარმოადგენს“, — ამ სიტყვებით ახსნეს ჟურნალისტებმა საკუთარი არჩევანი. მიუხედავად თავბრუდამხვევი წარმატებისა, სკარლეტი მოკრძალებული გოგონაა. ვარსკვლავის სტატუსს კარგა ხანია შეეჩვია. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ სკარლეტი ვარსკვლავი ახლაღა გახდა, მაგრამ სინამდვილეში პოპულარობა მან 12 წლის ასაკში მოიხვეჭა. 8 წლის სკარლეტი ბროდვეის წარმოდგენაში ეტან ჰოუკთან ერთად თამაშობდა. ეს ამბავი დღეს აღარავის ახსოვს... მაგრამ მოგვიანებით, როდესაც იოჰანსონი ჯერ ჰოლივუდის საბავშვო ფილმში გამოჩნდა („ნორტი“), შემდეგ კი ახალგაზრდულ სურათებშიც გაიბრწყინა, მისი მომხიბვლელი, ბავშვური სახე გოგონებისთვის განკუთვნილი ფერადი ჟურნალების ფურცლებიდან აღარ გამქრალა. ასე რომ, უეჭველია ის ფაქტი, რომ სკარლეტ იოჰანსონი მართლაც, ვარსკვლავია.

მსოფლიოში ყველაზე სექსუალური 20 წლის გოგონა, უნაკლო გარეგნობით ვერ დაიკვეხნის. მისი ცელულიტით დაღარული კანი მაყურებელმა ფილმში — „თარგმანის სირთულეები“ იხილა. სკარლეტს პუტკუნა ლოყები აქვს, დაბალია (მეორე მხრივ, მისი სიმაღლე 160 სმ მსახიობისთვის მომგებიანიც არის, რადგან მის ფონზე ტომ კრუზიც კი გოლიათი ჩანს), მას არასწორი თანკბილვა და სახის საკმაოდ მსხვილი ნაკვთები აქვს, მაგრამ მაყურებელს მისი სახის ნაკვთების ყურება არასდროს ჰბეზრდება. მაყურებელი მის სახეში ჰარმონიის კანონებს ხედავს... არასწორი თანკბილვის გამო, მის ღიმილს „მონა ლიზას“ ღიმილს ადარებენ, ხოლო თვალები ბედნიერების ნაპერწკლებს აფრქვევს!

რეჟისორებმა დიდი ხნის წინ შეამჩნიეს, რომ სკარლეტ იოჰანსონი მისი ასაკისთვის შეუფერებლად ჭკვიანია. უფრო მეტიც — ის ბრძენია. ამიტომ დარდის დავწყება და სიცოცხლით ტკბობა შეუძლია. სადარდებელი კი ნამდვილად არ აკლდა. სკარლეტის მშობლები მაშინ დაშორდნენ, როდესაც გოგონა ჯერ კიდევ პატარა იყო. დაშორდნენ და უკიდეგანო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გადაიხვეწნენ. სკარლეტი მუდამ დედის ნიუ-იორკსა და მამის ლოს-ანჯელესს შორის იხლიჩებოდა. აღმოსავლეთი სანაპიროდან დასავლეთისკენ მოგზაურობდა და ბოლოს, ამ ხეტიალისგან სიამოვნების მიღებაც ისწავლა. როგორც თავად ამბობს: „მთელი ცხოვრება მოძრაობაში გაატარა“. სკარლეტს ჩახლეჩილი, უფრო მეტიც — არაბუნებრივად ჩახრინწული ხმა აქვს. რეჟისორებს მუდამ ჰგონიათ, რომ ავადაა. არა, უბრალოდ, მას ასეთი სახმო სიმები აქვს, რაც შოუბიზნესის მესვეურთ მოსწონთ, მსახიობისთვის კი ხშირად ნერვიულობის მიზეზი ხდება. მან კარგად იცის, რომ მდიდრულმა, სექსუალურმა კონტრალტომ შესაძლოა, უდროო დროს უღალატოს. „ერთხელ, კასტინგის დირექტორმა სინჯები ნახა და ჩემი ხმის ტემბრი შეაქო. ავღელდი და სამადლობელი სიტყვები მიმხრჩვალი ტახივით ამოვიხროტინე“, — იხსენებს სკარლეტ იოჰანსონი.

ფილმის — „თარგმანის სირთულეები“ რეჟისორი სოფია კოპოლა დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ სკარლეტზე არჩევანი სწორედ „30 წლის მრავალჭირნახული ქალის მშვიდი და ბრძნული მზერის“ გამო შეაჩერა. თავად მსახიობიც ამბობს, რომ არასოდეს უნატრია მშვენიერი გოგონას როლი, რომელიც რუანდელ მომაკვდავ ბავშვებს ეხმარება, შემდეგ კი ჭეშმარიტი სიყვარული ეწვევა და

ჯასტინ ტიმბერლეიკი

ჯოშ ჰარტნეტთან ერთად

სკარლეტ იოჰანსონი და სოფია კოპოლა

ცოლად მილიონერ ყმაწვილს მიჰყვება. სკარლეტს ამგვარი ზღაპრების არ სჯერა, მას ასეთი რამეები არ აინტერესებს. სკარლეტი სულის შემძვრელ როლებზე ოცნებობს. ძილის წინ, როდესაც ბალიშზე თავს დადებს, მუდამ მისი გმირის წარსულსა და მომავალზე ფიქრობს...

სკარლეტი თითქოს ყოველთვის 30 წლის იყო. მაშინაც კი, როდესაც 13 წლის გოგონამ ფილმში — „ცხენების შემლოცველი“ სახელმოხვეჭილ რობერტ რედფორდთან ერთად ითამაშა. მაშინ მისმა ხანდაზმულმა პარტნიორმა გაოგნებულმა განაცხადა: „აქ რაღაც ისე არ არის, გოგონამ მგონი უკვე 30 წელს გადააბიჯა“. 15 წლის სკარლეტმა კიდევ ერთი ასაკოვანი პარტნიორი — ბილი ბობ ტორტონი (ძმები კოენების ფილმი — „ადამიანი, რომელიც იქ არ იყო“) გააოგნა: „მერწმუნეთ, ცინგლიან გოგონასთან კი არა, ქალთან ერთად ვუშაობდი. მე და კოენებს მისი გულწრფელად გვეშინოდა, უფრო სწორად, ბავშვურ გარეგნობასა და ფილოსოფიის პროფესორის ინტელიგენტობას შორის არსებული შეუსაბამობა გვაშინებდა!“

სკარლეტს უფროსი მამაკაცები და მათთან მუშაობა მოსწონს. „მათ ჩემი კარგად ესმით“, — ამბობს გოგონა და უძირო თვალებს ნაბავს. ახალ ფილმში — „მარგალიტისმძივიანი გოგონა“, მისი პარტნიორი კოლინ ფირტი („ბრიჯიტ ჯონსის დღიური“, „რეალური სიყვარული“) ამბობს: „მინდა მასთან ხელიხელგადახვეულმა ვიარო, მასთან შეხვედრა მსურს. სკარლეტში იდეალურადაა შერწყმული ახალგაზრდობა, გონიერება და ცხოვრების სილრმისეული აღქმა. ადრე „ბარბის“ მსგავსი, სულელი ახალგაზრდა გოგონები არ მომწონდა, მაგრამ სკარლეტი გამონაკლისია. ის ერთადერთი და განუმეორებელი ეგზემპლარია“.

ფირტი ცდება, სკარლეტი ერთადერთი არ არის. მას ტყუპისცალი ძმა ჰყავს. „უფრო სწორად, უმცროსი ძმა. მე მასზე 3 წუთით უფროსი ვარ. ეს ჩემი ცხოვრების უმთავრესი 3 წუთია!“ — ამბობს სკარლეტ იოჰანსონი. მას უფროსი ძმაც ჰყავს, რომელიც ერთხელ დას წარმატებისკენ მიმავალ გზაზე გადაეღობა. იმ დღეს, დედამ შვილები სარეკლამო სააგენტოში მიიყვანა. უფროსი ძმა აიყვანეს, სკარლეტი კი ფიგურის დასახვეწად, ფიტნეს-კლუბში გაისტუმრეს. მაშინ მომავალი ვარსკვლავი პირველად შეეჩეხა იმ აუცილებლობას, რომ სხვათა გულის მოსაგებად, საკუთარი თავის სრულყოფაზე უნდა ეზრუნა. ამ საქმეში ბავშვმა ისეთი ნებისყოფა გამოავლინა, რომ შეწუხებულმა დედამ ინანა კიდეც, რომ შვილის ამბიციებს ამგვარი გასაქანი მისცა. სკარლეტი ყოველკვირა კასტინგზე წაყვანას მოითხოვდა და ბოლოს, მიზანსაც მიაღწია. დამწყები მსახიობი გადასაღებ მოედანზე სახელოვან ელაიჯა ვუდსთან ერთად აღმოჩნდა („ნორტი“).

„მე კარგად ვიცი, თუ რაშია ჩემი წარმატების საიდუმლო. ჯერ კიდევ ბავშვობაში, პირველი კასტინგების დროს ვიცოდი, რომ ამა თუ იმ ადამიანთან „რაღაც“ მექნებოდა. ეს რაღაც ნათელმხილველობასა და ფიზიონომისტიკას შორის მერყეობს. ადამიანს შევხედავ და მის შესახებ ყველაფერი ვიცი. ზოგიერთი გარეგნულად თავისუფლების ქანდაკებასავით შეუვალია, მაგრამ შინაგანად სუსტი და სათუთია. მეორენი აგრესიულნი არიან, მაგრამ ამ აგრესიის გადმოფრქვევას ვერასოდეს ახერხებენ. მესამენი ყბედები არიან, მაგრამ კარგად ვხედავ, თუ როგორ ტანჯავთ ასეთ ადამიანებს ის ამბავი, რომ ჭეშმარიტი სახის გამჟღავნებას ვერ ახერხებენ. მე ჩემს ნიჭს ვიყენებ, ამიტომ ადამიანებთან ურთიერთობა მიადვილდება. განსაკუთრებით მათთან, ვინც რაღაცას მალავს“, — ამბობს სკარლეტი და ეს სიტყვები ამტკიცებს, რომ ძმები კოენები არ შემცდარან — სკარლეტ იოჰანსონი მართლაც რომ საშიში ქალია! ■

„უღირსი“ „ოსკაროსნელი“

როგორც ცნობილია, „ოსკარის“ პრემიის გარშემო, ხმაურიანი სკანდალები ხშირად იფეთქებს ხოლმე. კინოპროფესიონალები და მაყურებელი უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ მსოფლიო კინოს ყველაზე პრესტიჟული პრემია, ზოგჯერ უღირსი მსახიობებისა და რეჟისორების ხელში აღმოჩნდება ხოლმე. ამერიკელ კინოაკადემიკოსებს წლევანდელი „ოსკარის“ გამარჯვებულთა დასახელება დასრულებული არ ჰქონდათ, რომ MSN Movies-ის მომხმარებლებმა, თითქოს აკადემიკოსებს დასცინიანო, იმ ფილმებისა და ვარსკვლავთა სია გამოაქვეყნეს, რომელთაც „ოსკარი“ დაუმსახურებლად მოიპოვეს. ყველაზე დაუმსახურებელ „ოსკაროსან“ ფილმად „შეყვარებული შექსპირი“ დასახელდა (მეორე ადგილი — „ჩიკაგო“, მესამე — „ტიტანიკი“). ამ რომანტიკულმა კომედიამ 1999 წელს, 7 „ოსკარი“ მოიპოვა. მათ შორის იყო ჯილდო „ქალის საუკეთესო როლისათვის“. ამ პრემიის მფლობელი გვინეტ პელტროუ მაყურებელმა ყველაზე დაუმსახურებელ „ოსკაროსან“ მსახიობ ქალად აღიარა. გვინეტ პელტროუს ამ „ნომინაციაში“ ჰოლი ბერი „ეცილებოდა“ („მონსტრების მეჯლისი“), რომლის სამადლობელი სიტყვა „ოსკარების“ ისტორიაში, ყველაზე უბადრუკად აღიარეს. MSN Movies-ის მომხმარებლებმა არც რეჟისორი ჯეიმს კემერონი დაინდვეს, რომელიც „ტიტანიკის“ კატასტროფაში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად გამოცხადებული წუთიერი დუმილის შემდეგ, სცენაზე შეხტა და წამოიყვირა: „მე მსოფლიოს ხელმწიფე ვარ!“ ყველაზე უღირსი „ოსკაროსანი“ მსახიობი მაკაცი, ჯეკ პელანსი აღმოჩნდა, რომელმაც ეს ჯილდო 1991 წელს, კომედიურ ვესტერნში — „ქალაქელი პიჟონები“ ნათამაშები როლისთვის მიიღო. „ოსკარის“ ნომინანტ ფილმებს შორის, რომლებმაც ეს პრემია ვერ მოიპოვეს, საუკეთესო სურათად „აჯანყება „ბაუნტიზე“ აღიარეს. ■

„შეყვარებული შექსპირი“

დენიელ რედკლიფი ჰარი პოტერის სიკვდილს ნაგრძობს

ჯოან როულინგის ცნობილი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმების მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი, დენიელ რედკლიფი იმედოვნებს, რომ უკანასკნელი წიგნის ბოლო თავებში, მისი გმირი, ნორჩი ჯადოქარი ჰარი პოტერი, ბოლოს და ბოლოს, დაიღუპება. „ძალიან მინდა, რომ ბოლოს და ბოლოს, სიკვდილი მეღირსოს.

ვფიქრობ, ეს ამ ამბის ერთადერთი ღირსეული დასასრული იქნებოდა. საკუთარი სიკვდილის სცენის მოლოდინით, წინასწარ ვტკბები“, — ამბობს ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც ამპლუის შეცვლას ლამობს და ამ მცდელობის გამო ისეთ რისკიან პროექტებშიც კი მონაწილეობს, როგორიცაა მაგალითად, სპექტაკლი — Equus, რომელშიც დენიელი სცენაზე დედიშობილა გამოდის. მკითხველს შევახსენებთ, რომ წიგნი „ჰარი პოტერი და სიკვდილის აკლდამები“ ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მაღაზიებში გასაყიდად 2007 წლის ივლისში გამოვა. ჰარი პოტერის თავგადასავლებისადმი მიძღვნილი პირველი ექვსი წიგნი 64 ენაზე ითარგმნა და მისი 32 მლნ ეგზემპლარი გაიყიდა.

ენიო მორიკონე რომში კინოგადაღებების პროცესს გააკონტროლებს

ცნობილი კომპოზიტორი, ენიო მორიკონე რომის კინემატოგრაფიული კომისიის წევრია. ახალშექმნილი კომისიის უმთავრესი ამოცანა, რომსა და მის შემოგარენში კინოგადაღებებისთვის უცხოელი კინომწარმოებლების მოზიდვაა. კომისია ორგანიზაციას გაუწევს გადაღებების პროცესს და ზოგიერთ კინოპროექტსაც დააფინანსებს. კინემატოგრაფიულ კომისიას ისტორიულ ადგილებში გადაღებების ნებართვის გაცემის უფლებაც აქვს. კომისიამ უკვე მისცა ნებართვა დუგ ლიმანს, რომ მან კოლიზეუმში ახალი ფილმის — Jumper გადაღებები აწარმოოს. 2007 წელს, რომსა და ქალაქის შემოგარენში „და ვინჩის კოდის“ გაგრძელებას — „ანგელოზები და დემონები“ და რომან პოლანსკის ეპიკურ სურათს — „პომპეი“ გადაიღებენ. მკითხველს შევახსენებთ, რომ „ოსკარების“ დაჯილდოების 79-ე ცერემონიაზე კინემატოგრაფის განვითარებაში გაწეული ღვაწლისთვის, ენიო მორიკონეს საპატიო ჯილდო გადაეცა. ■

Spice Girls სცენას უმრუნდება

პოპჯგუფის Spice Girls ყოფილმა წევრებმა იმ ჯგუფის აღდგენის სურვილი გამოთქვეს, რომელიც 2000 წელს, ჯგუფის მესამე სტუდიური ალბომის — Forever გამოსვლის შემდგომ დაიშალა, ჯგუფის ხუთივე წევრი (ვიქტორია ჰექჰემი, მელანი ბრაუნი, ემა ბანტონი, მელანი სი და ჯერი ჰოლიველი) მზადაა Spice Girls-ს ახალი სიცოცხლე შთაბეროს, მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ემა ბანტონი იმშობიარებს (ბანტონმა ორსულობის შესახებ 2007 წლის იანვარში განაცხადა). აღსანიშნავია, რომ ანსამბლის ყველაზე ახალგაზრდა წევრს, ემა ბანტონს Baby Spice-ის სახელით იცნობდნენ.

ცნობილი გახდა, რომ პროექტის მენეჯერმა საიმონ ფულერმა კონცერტების ტრანსლაციის უფლებაში თითოეულ მონაწილეზე 5-5 მლნ დოლარი მოითხოვა. Spice Girls მონაწილეობას მიიღებს U2-ს ვოკალისტის, ბონოს ინიციატივით წარმოებული საქველმოქმედო კამპანიის — Red Campaign ფარგლებში გამართულ კონცერტში. ამ აქციის მიზანი შიდსის, ტუბერკულოზის და მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად თანხების შეგროვებაა. ■

ვინს ვონის დამრუნება

ჯენიფერ ენისტონს 38 წელი შეუსრულდა. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად მსახიობმა წვეულება გამართა და სახელოვანი მეგობრები მიიწვია. გამჭრიახმა პუბლიკამ სტუმრებს შორის ჯენიფერის ყოფილი ბოიფრენდიც აღმოაჩინა. არა, ბრედ პიტს როდი ვგულისხმობთ, ეს ვინს ვონი გახლდათ! როდესაც ვარსკვლავური წყვილი ერთმანეთს შორდებოდა, ბუნებრივია, ისინიც სხვების მსგავსად ირწმუნებოდნენ, რომ მეგობრებად დარჩებოდნენ, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ მათი მეგობრობა ესოდენ ძლიერი აღმოჩნდებოდა?! ამგვარ დღეობებზე „ყოფილ“ ბოიფრენდებს არავინ იწვევს. როგორც ჩანს, მაყურებელი ჯენიფერ ენისტონის ცხოვრებაში მომხდარი მორიგი ვირაჟის მოწმე ხდება! ■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

მწეველი სიდედრი და მფრინავი პეპლები!..

ინგა ჯაყელი

...ვერა და ვერ გადააჩვია ბადრიამ სიდედრი სიგარეტის წევას, არც თხოვნამ გაჭრა და არც მუქარამ, არც სამედიცინო ლიტერატურის ხმამაღლა კითხვამ სიგარეტის მავნებლობაზე.

— სასიკვდილო თუ ვიყავი, ჩემი მიტუშას სიკვდილი რომ გევიგე, მაშინ უნდა გამძრობოდა სული, მარა გადავრჩი და თუ აქამდე არ დამაჭლექა დარდმა, სწორედ პაპიროსის დამსახურებაა, ამან მომატანია გაძაღლებული სული აქამდე!..

თან, კაის მაინც ეწეოდეს რამეს, უფილტრო „პრიმას“ და „ასტრას“ ახრჩოლებს, არც შინაურ თუთუნზე ამბობს უარს და არის მუდამ „ფეჩის ტრუბის ნაბრუნებივით“ გაკვამლული სახლი. ამ ბოლო დროს, ვიღაცამ „ჩიბუხი“ (მუნდშტუკი) აჩუქა და იმას სულ აღარ იშორებს, თან რომელიღაც სერიალში უნახავს: „დამა“ ქალები ასე კულტურულად ეწევიანო!..

— კულტურა და ზრდილობა რომ გქონდეს, ან შვილს მეერიდებოდი, ან შვილიშვილებს, თვარა სიძე რომ არაფრად გენაღვლება და ჩემს სიკვდილს ნატრობ, ქე ვიცი! — „კედლებს დაყვება“ ბადრია და გულს ასკდება. — მე მაინც ვეწეოდე, იქნება, უფრო მემეთმინაო!..

ძმაკაცებშიც მეტი არაფერი აქვს საწუწუნო და საჩიველი. ჰოდა, ერთხელაც ზაზაიამ, ეშმაკობაზე რომ უჭირავს მუდამ თვალი, შესთავაზა:

— შინაური თუთუნი პლანით შოვუცვალოთ და ვისეიროთ, თან, რა იცი, კაიფში რა წამოსცდება, იქნება, ისიც ვათქმევინოთ, ოქროულობა რომ გადამალა და ამტიცებს — მომპარესო! — სად უდევს?

ერთი კი შეიცხადა ბადრიამ:

— შენ ხომ არ გედირიე? რომ მეეწონოს და მიეჩვიოს, ხომ მთლად დავღუპე და ამოვაგდე ოჯახი! — მაგრამ არ მოეშვა ზაზა და დაიყაბულა:

— თუ სიგლახე შევიტყვეთ, აღარ მივცეთ, ჩვენს ხელში არაა? თავად პლანს სად იშოვის და თუ იშოვა, დააყენე თავზე პატრული, გოუშვი ციხეში ორისამი წლით და ცოტა ხანს მაინც დეისვენებ.

...მოჰპარა „ბალახი“ ზაზამ თავის ნარკომან ბიძაშვილს და განძივით ჩააბარა ბადრიას, რომელმაც მაინც ვერ გაბედა სიდედრის მთლად „გამეტება“ და კი არ შეუცვალა, თუთუნში შეურია ის „ოხრობა“...

ერთი და ორი დღე — არაფერი და მესამე საღამოს, სერიალს რომ უყურებდნენ, მაშინ აწრიალდა საეჭვოდ ელიჩკა. ბადრიამ განგებ წაუყრუა და რომ დაიკვნესა ქალმა, მხოლოდ მას შემდეგ მიხედა — რა გეტაკაო?!

ელიჩკა ჭერს მიშტერებოდა და გაოცებული აფახულებდა გამეჩხერებულ წამწამებს.

— „ლუსტრის“ ირგვლივ პეპლები რომ დაფრინავენ, საიდან გაჩნდნენ? — იკითხა ქალმა.

— რა პეპლები, რის პეპლები, არ დამღუპო, დედიკო! — დაფრთხა ბადრის ცოლი და დედას შუბლზე დაადო ხელი. მერე მხარში შეუდგა და საძინებელში გაიყვანა. მეზობლის ქალს, ექთან თალიკოს დაუძახა, რომელმაც წნევა გაუზომა, დამამშვიდებლები გაუკეთა და ის საღამო ამით ჩათავდა. მაგრამ მეორე საღამოს, პეპლებმა მარტო ჭერზე კი არა, მთელ ოთახში რომ დაიწყეს „ფრენა“, ღამის მართლა წაუვიდა გული ელიჩკას, ძლივს „მიიტანეს“ საწოლამდე და „დამტკბარმა“ ბადრიამ „მიუალერსა“:

— კაი, ახლა, შე ქალო, უპატრონო კი არა ხარ, უშენოდ რა ფასი ექნება ჩვენს ყოფას?! ამაღამ რაღა იქნება და ხვალ საუკეთესო ექიმს მოგიყვან!

და მოუყვანა კიდეც, ისიც ზაზაიამ „გაუჩალიჩა“ — თავისზე უარესი და „ნამუსიდან გავარდნილი“ ახლობელი, რომელსაც მედიცინის იმდენივე ესმოდა, რამდენიც ჩინური იეროგლიფების... თეთრი ხალათიც ეშოვა, წნევის აპარატიც და ნევროპათოლოგის ვერცხლისფერი ჩაქუჩიც. „გულდასმით გასინჯა“ ქალი, ყელშიც ჩახედა და რატომღაც, ყურებშიც, თვალებშიც უცქირა კარგა ხანს და „დაასკვნა“: ფარული წნევა აქვს, რომელიც არ იზომება და მეტად ვერაგია, ამიტომ დიეტა სჭირდება და რაც მთავარია, ას მეტრში არ უნდა გაჭაჭანდეს მწეველი, თორემ შეიძლება, მაშინვე სისხლი ჩაექცეს ტვინში და მერე მაგის ამქვეყნად მომბრუნებელი მამაზეციერიც არ იქნებაო!

— ჩვენ რავა შევაწუხებთ, მარა თავად რომ ვერ ელევა პაპიროსს?! — „შეაპარა“ ბადრიამ „ექიმს“...

— ვერ ელევა და მე აქ არაფერი მესაქმება. პანაშვიდზე დაუძახებლადაც მოვალ! — გაიწია გასასვლელად, მერე კარში ჩამდგარმა მოიხედა და დაამატა: — განსაკუთრებით საშიში მაშინ ხდება ეგ წნევა, როცა ავადმყოფს ოთახში პეპლები ელანდება!..

ამის თქმა იყო და გულზე წაივლო ხელი ელიჩკამ, ცრემლი მოადგა თვალზე: — აპა, მთლად შავად ყოფილა ჩემი საქმე! — და ქალიშვილს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში, რაც ბადრიამ იწყინა:

— ჩემგან დაფარული რა გაქვთ?! — მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი და ოთახიდან გაიძურწა. ღამით კი, მონატრებული შეყვარებულივით ჩაეხუტა ცოლს და ათქმევინა, სადაც მალავდა სიდედრი ფულსა და ოქროს სამკაულებს... „რა ჭკვიანია ზაზაიე — დაფეხვილი!“ — გაიფიქრა და ტკბილად ჩაიძინა...

ის დღე იყო და მორჩა — ელიჩკას ხელში პაპიროსი აღარ გაჭაჭანებულა. ისე დაფრთხა, სადმე შემთხვევით რომ დაენახა პეპელა, მაშინვე სიცხის და წნევის გაზომვას იწყებდა. მხოლოდ მაშინ მშვიდდებოდა, თუ სხვები ეტყოდნენ — ჩვენც ვხედავთო!..

ეშველა ბადრიას და ახლა იმაზე შეუჩნდა ზაზაიას: რაცხა იმფერი მეიფიქრე, ჭამასაც რომ გადავაჩვიო, მგლის მადა აქვსო!..

„ჩემს ბანაკში ჯარისკაცებს ეკრძალებოდა „ავგერ“, „ოლაფენ“, „ჩაბა“



ფაშისტების ტყვეობაგამოვლილი ქართველი ჯარისკაცი სამშობლოდან „ჩეკისტებმა“ გააქციეს

ის, რაც გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში ხდებოდა, სათანადო დონეზე არ აღწერილა არც ლიტერატურაში, არც კინოხელოვნებაში და არც დრამატურგიაში. დღევანდელი ჩვენი რესპონდენტი ანტონ მამრიკიშვილი, ერთ-ერთია იმ მრავალ ქართველთაგან, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ფაშიზმის სისასტიკე. 86 წელს მიტანებულ მოხუცს დღესაც უჭირს ცრემლების გარეშე განცდილის გახსენება. სხვადასხვა საკონცენტრაციო ბანაკში გატარებული დღეების ქრონიკას, 3-ჯერ ტყვედ ჩავარდნისა და გაქცევის ამბებს ათრთოლებული ხმით მიამბობს...

თამუნა კვინიკაძე

— 19 წლის ვიყავი, სამამულო ომში რომ გამიწვიეს. მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტში უნდა ჩამებარებინა, მაგრამ ბრძანება მოვიდა — ვისაც 1939 წელს აქვს სკოლა დამთავრებული, არც ერთ უმაღლეს სასწავლებლში არ მიიღოთ, ჯარში უნდა გავიწვიოთო. ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე ვიბრძოდი ფაშიზმის წინააღმდეგ. ბევრი რამ გადამხდა თავს, ძალიან მიმძიმს იმ წლების გახსენება, განსაკუთრებით — საკონცენტრაციო ბანაკში გატარებული დღეების.

— როგორ მოხვდით ტყვეობაში?

— უკრაინის ქალაქ პერვომაისკისთან გერმანელებმა ალყაში მოგვაქციეს. ნაღმტყორცნებიდან ისეთი ცეცხლი გაგვიხსნეს, ტყე, რომელსაც თავს ვაფარებდით, ერთ საათში უზარმაზარ კოცონს დაემსგავსა. რაღაც, ჯოჯოხეთზე უარესი იყო. ყუმბურების გუგუნში ძნელად თუ გაარჩევდით სასიკვდილოდ დაჭრილი მეომრების კვნესასა და ვედრებას — გვიშველეთო!.. ყუმბარები არა მარტო ტყეში, ტყის პირიდან 50-100 მეტრის დაშორებითაც სკდებოდა, რომ გადარჩენილებს ტყიდან გასვლა ვერ მოგვესწრო. დაბომბვა ღამის 12 საათზე მოხდა, ხოლო ის, რაც გამთენიისას, დღის სინათლეზე ვნახე ჩემ გარშემო, ახლაც შიშს მგვრის. ამის აღწერა შეუძლებელია. მალე გერმანელი ჯარისკაცების რიგები გამოჩნდა. მშვიდად გვიახლოვდებოდნენ, დარწმუნებულები, რომ იმ სამსაათიანი დაბომბვის შემდეგ, წინააღმდეგობას აღარ წააწყდებოდნენ. ასეც იყო. ტყიდან თითო-ოროლა ცოცხლად დარჩენილი ან დაჭრილი, ვისაც ფეხზე დადგომა შეგვეძლო, ხელაწეულები გამოვდიოდით. ყველანი ვინიცის ტყვეთა ბანაკში წაგვიყვანეს. საჭმელს ვინ დაეძებდა? ბანაკში სასმელი წყალიც კი ჭირდა! ყველაფერ ამას დიდი სიცხეები დაერთო და მუცლის ტიფმა იფეთქა. დიდი ორმო გაგვათხრევინეს, დახოცილთა ჩასაყრელად. ერთმა ტყვემ ტანჯვას ვერ გაუძლო, მივიდა ეკლიან მავთულხლართთან და გაძრომას შეეცადა. სანამ მეთვალყურე ავტომატს მოიმარჯვებდა, ტყვესთან დაგეშილი ძაღლი მივარდა. ავტომატის ხმაც გაისმა და ტყვე და ძაღლი ერთად დაცვივდნენ მიწაზე. მოკლული ძაღლი ბანაკში შემოაგდეს. გამხეცებული ბრბო, მათ შორის მეც, ვეცით, ეგებ რაიმე შეგვხვედროდა, მაგრამ — ამაოდ... რამდენიმე დღის შემდეგ იკითხეს, ჩვენ შორის დურგლობა ვის ეხერხებოდა? ოლონდ იქაურობას გავცლოდი და ხელი ავწიე. 100 კაცი შეგვარჩიეს და ძაღლიანი მცველების თანხლებით, სააგარაკე დასახლებას მივადექით. დურგლობა მართლაც, მეხერხებოდა. საქმეს შევუდექით. გერმანელები კმაყოფილნი დარჩნენ ჩვენი ნამუშევრით. მეორე დღეს კვლავ წაგვიყვანეს. საღამოს ბანაკში რომ დავბრუნდით, ტყვეებიდან აღარავინ დაგვხვდა. დილიდანვე შეეკრიბათ და გერმანიაში წაეყვანათ. მესამე დღე რომ გათენდა, სხვადასხვა დავალება მოგვცეს. მე იმ ათეულში მოვხვდი, რომელსაც სამზარეულო უნდა დაელაგებინა (ადრე იმ შენობაში საპატიმრო ყოფილა). სამზარეულოში 12 უზარმაზარი ქვაბი იდგა, რომლებიც ნარჩენებითა და ნაგვით იყო სავსე. სამზარეულოს სამეთვალყურეო კოშკურა დაჰყურებდა, ხოლო მავთულხლართის ქვედა რიგში, 25-40 სმ სიმაღლეზე დენი იყო გაშვებული. იქიდან გაპარვაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

ერთმა ტყვემ ტანჯვას ვერ გაუძლო, მივიდა ეკლიან მავთულხლართთან და გაძრომას შეეცადა.

— აბა, როგორ მოახერხეთ გაქცევა?

— მთელი დღე ქვაბების წმენდასთან ერთად, გულდასმით ვათვალიერებდი იქაურობას, რომ სადმე გასაძრომი აღმომეჩინა. კოშკურას უკან, 4 მეტრის დაშორებით, პატარა, უფანჯრებო შენობა იდგა, კარი ღია იყო და შიგ გამხმარი თივის გროვა ჩანდა. სამზარეულოდან, ნარეცხი წყლის გასასვლელად, საკანალიზაციო თხრილი იყო გაჭრილი, რომელიც მავთულხლართებში გავლით, იმ შენობაში შედიოდა. ეჭვს არ იწვევდა, რომ იქ ჭა იყო. იმ ადგილას კი, სადაც თხრილი მავთულხლართების ზოლს კვეთდა, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ დიდი სიფრთხილით შეიძლებოდა, წყალში ჩაგეყვინთა და ისე, რომ დენიან მავთულხლართებს არ შეხებოდი, გამძვრალიყავი. ერთი სიტყვით, ყველა დეტალი წინასწარ გავთვალე. რომ დაღამდა და ბრძანება გასცეს, ყველანი შეკრებილიყავით, ჯგუფს ჩამოვრჩი. ბოლო პატიმარი გავიდა თუ არა სამზარეულოდან, ერთ-ერთ ქვაბს თავსახური ავხადე და შიგ ჩავძვერი. მერე ისე დავაფარე, რომ სუნთქვა შემძლებოდა. დიდი ხანი არ იყო გასული, ეტყობა, ვიღაცამ მიკითხა ან გერმანელებმა ტყვეები დაითვალეს. სამზარეულოში ერთი გერმანელი შემოვარდა, იგინებოდა და ყვიროდა. მესმოდა, როგორ ხდიდა სათითოად ქვაბებს სახურავებს. ხმა თანდათან მიახლოდებოდა. ვგრძნობდი, ცუდად ვხდებოდი... ჩემი ქვაბის სახურავს შეეხო ასაღებად, მაგრამ ისე დაღლილი

იყო ამდენი სიმძიმის აწევით, მალევე დააბრეხვა და კონდახი ისეთი სიმძიმით ჩაარტყა, მიწისძვრა გეგონებოდათ, მერე მისი ნაბიჯების ხმა თანდათან მიწყდა. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს დავყავი ქვაბში. წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ოთხად მოკეცილმა, მუხლები ველარ გავმართე. სახურავი უხმაუროდ გადავწიე, იქაურობა კარგად მოვათვალიერე, კოშკურაზე მდგარმა გუშაგმა როგორც კი ზურგი მაქცია, დრო ვიხელთე და საკანალიზაციო თხრილში ჭუჭყიან, ტალახიან წყალში ყვინთვით გავცურე. თავი იმ უფანჯრო შენობაში ამოვყავი. ის იყო, თივით თავის გამშრალება დავიწყე, რომ თივა შეინძრა. ლამის გული გამისკდა. ადამიანის ხმა მომესმა — ჯერ მე წავალ, იცოდე, და ნახევარი საათის შემდეგ, შენო.

— **ქართველი იყო?**

— არა, რუსულად მითხრა. მაგრამ დღესაც ვერ გამიგია, რატომ ისურვა, ჩვენს მდგომარეობაში მყოფმა, მარტო წასვლა. ასეთ დროს, ორი კაცი უფრო მიაღწევს მიზანს... მოგვიანებით, მეც გავეცალე იქაურობას. თავი ტყეს შევაფარე. მიუხედავად იმისა, რომ მთვარიანი ღამე იყო, ძალიან ბნელოდა. ხელების ფათურითა და ფრთხილი ნაბიჯებით მივიწევდი წინ. მერე ერთ ხეს ზურგით მივეყრდენი და ჩავიკეცე. რომ არ გავყინულიყავი, ტანზე ნაძვის წიწვები დავიყარე. ჩამეძინა. რომ გათენდა, 3-4 კილომეტრის დაშორებით, აქეთ-იქით 2 სოფელი დავინახე. დღისით ტყიდან გასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. შიმშილი ჩვეული მოთმინებით ავიტანე და დაღამდა თუ არა, ვიდრე მთვარე ამოვიდოდა, გეზი მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლისკენ ავიღე. ერთ ქოხს მივადექი, ბუჩქებში დამალული ვუთვალთვალებდი, ეგებ ვინმე გამოსულიყო. მეშინოდა, ძაღლებს ყეფა არ აეტეხათ. ბოლოს, მივედი და კარზე დავაკაკუნე. 10-12 წლის ბიჭმა გამიღო. დედამისს გასძახა — დედა, კიდევ ერთი ჯარისკაცი მოვიდაო. სახლში შევედი. იქ ორი ტყვე ქართველი ჯარისკაცი დამხვდა — ტიხონია (კაპანაძე) და ბერიძე (სახელი არ მახსოვს). ერთმანეთს გადავეხვიეთ. დიასახლისი გაგვიმასპინძლდა. რამდენად კეთილი და გამბედავი უნდა იყო ადამიანი, რომ 3 ტყვე ჯარისკაცი შეიფაროს, როცა გერმანელთა სამხედრო ხელმძღვანელობისგან თუნდაც 1 ტყვის დამალვისთვის სიკვდილით ისჯებოდნენ!.. მთელი კვირის მანძილზე გარეთ არ გამოვსულვარ. შემდეგ, ბინა გამოვიცვალე. ერთი ქალის ოჯახში მოვხვდი, რომელსაც მარია ერქვა. 3 წლის ბიჭი ჰყავდა. დღისით გარეთ არ გამოვდიოდი, საღამოობით კი, მინდვრიდან ჭირნახულის გამოტანაში ვეხმარებოდი. მაგრამ სიფრთხილემ ვერ მიშველა. ღამით სოფლის პოლიციამ დამაპატიმრა. იქიდან კი, კვლავ ვინიცის სამხედრო ტყვეთა ბანაკში დამაბრუნეს.

— **ალბათ იქ ნაცნობი ტყვეები დაგხვდნენ.**

— არა, იქ ადრინდელთაგან აღარავინ დამხვდა. ტყვეების ახალი ნაკადით გაევსოთ ბანაკი. ვერაფრით მეპატიებინა საკუთარი თავისთვის. აქედან ერთხელ თავი სიცოცხლის ფასად დავაღწიე და ისევ აქ როგორ მოვხვდი-მეთქი?! ჩემი მისვლიდან 5 დღის შემდეგ, კვლავ დაიწყეს ხელოსნების შეგროვება. ჩემდა ბედად თუ საუბედუროდ, მეც მოვხვდი იმ ჯგუფში. ტყეში ტყვია-წამლის საწყობებს აგებდნენ. გარშემო ეკლიანი მავთულხლართის სამრიგიან ღობურებს ჭიმავდნენ. გაგვანაწილეს. მე ღობურების კეთებაზე მოვხვდი. შესვლისას გერმანელი ჯარისკაცი ფანერების დანომრილ ნაჭრებს გვირიგებდა და შემდეგ ინიშნავდა, ამ ნომერზე რა ინსტრუმენტი გასცა. როცა ჩემი ჯერი დადგა, რატომღაც, ჯერ მავთულხლართის საჭრელი მაკრატელი მომცა და შემდეგ — დანომრილი ფანერის ნაჭერი. ის იყო, უნდა ჩაეწერა, რომ იქვე მდგომი ოფიცერი გამოელაპარაკა. როცა ჩემკენ ისევ შემობრუნდა, ნომერს დახედა, ჩაიწერა და მეორე მაკრატელი მომაწოდა. ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა.

— **მას მორიგი გაქცევისთვის გამოიყენებდით?**

— დიახ. გავიფიქრე, რომ ერთს ჩავაბარებდი, მეორეს კი, მალულად გავიტანდი. ხალათი ავიწიე და ეს ძვირფასი და ამავე დროს საშიში „საჩუქარი“ შარვლის საქამრეში გავირჭვე... სამუშაო დღე რომ დამთავრდა, გასასვლელში, ორი ზედამხედველის თანდასწრებით, ნომრების მიხედვით იარაღი ჩავაბარეთ, გარეთ გამოვედით და ძაღლებიანი მცველების თანხლებით, ბანაკისკენ გამოვემართეთ, მაგრამ ბანაკამდე სულ რაღაც 100 მეტრი იყო დარჩენილი, როცა მოტოციკლეტებით წამოგვეწივნენ და კოლონა გააჩერეს. თარჯიმანმა გვაუწყა: დაკარგულია მავთულსაჭრელი მაკრატელი. ვინც წამოიღო, თუ თავისი ნებით არ ჩაგვაბარებს, აღმოჩენისას, ადგილზევე დავხვრეტთო.

— **მერე, როგორ მოიქეცით?**

— თითქოს სადღაც, ოკეანის უზარმაზარ ტალღებში ვიძირებოდი და — მიშველეთ-მეთქი! — დაყვირება მომინდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მაკრატლის გადაგდებაც შეუძლებელი იყო. იმის გაფიქრებამ, რომ ჩხრეკის დროს მაინც მიპოვიდნენ და დამხვრეტდნენ, ხოლო ბანაკს უვახშმოდ დატოვებდნენ და ფეხზე გაათენებინებდნენ ღამეს, ნაბიჯი წინ გადამადგმევინა. ტყვეები ახმაურდნენ, მე კი ხალათი ავიწიე და მაკრატელი იქვე მდგომ გერმანელს გავუწოდე. ხელსაწყო ერთ-ერთ მოტოციკლეტისტს უკან გაატანეს, ჩვენ ბანაკისკენ გზა განვაგრძეთ.

— **არ დაგსაჯეს?**

— მთელი ბანაკი სიკვდილით დასასჯელ მოედანზე გამოეყვანათ, როგორც დაკრძალვის ცერემონიის დროს. გუმანით მივხვდი, თუ სად ვიმყოფებოდი. იქვე ორი დანადგარი იყო — სახრჩობელა და დიდი კასრი, რომელზეც შიშველი უკანალით დამნაშავეს გადააწვენდნენ, ერთი კაცი ხელებს დაუჭერდა, მეორე ფეხებს, ჯალათი კი როზგს ურტყამდა. მართალია, ადამიანის ჩამოხრჩობა მაშინ ნანახი არ მქონდა, მაგრამ გაროზგვისას რომ ტყვეს სული ამოხდენია, — კი.

— **რას გრძნობდით ამ დროს?**

— არ ვიცი, პირველი გაქცევის დროს დიდი შიში გამოვცადე, ახლა კი — არაფერი ამის მსგავსი. გაოგნებული ვიყავი. მალე ტყვეთა ბანაკის უფროსი მოვიდა. მას საქმის ვითარება გააცნეს. მერე მიბრძანეს, რომ გამეხადა. კასრთან მიმიყვანეს, გამაკავეს და ჯალათმაც გაროზგვა დაიწყო. შვიდამდე, მახსოვს, დავითვალე... შუაღამისას ვიგრძენი, თითქოს ჭაობში ვიწექი. თურმე, მე-9 დარტყმაზე გული წამსვლია. მერე, იმდენი წყალი უსხიათ, სანამ მაჯისცემა არ დამიბრუნეს... იმ ღამეს ვახშამიც დაერიგებინათ ტყვეებისთვის და დაძინების უფლებაც მიეცათ. ეს რომ გავიგე, ცოტა გულზე მომეშვა... გაროზგვიდან 3 დღის შემდეგ, სიარული შევძელი, ხოლო 1 კვირის შემდეგ — ისევ გავიქეცი.

— **როგორ მოახერხეთ?**

— ტყვეთა 100 თუ 150-კაციანი ჯგუფი კარტოფილის და შაქრის ჭარხლის ამოსაღებად წაგვიყვანეს. სოფელში მცხოვრებლებმა იცოდნენ ის გზა, რომლითაც მივყავდით, გამოჰქონდათ კიტრი, პომიდორი, პური და ა.შ. გზაში იმ მიზნით ყრიდნენ, რომ ჩვენ აგველო. ხშირად, გერმანელები წინ მიდიოდნენ და პროდუქტებს ფეხით სრესდნენ. მაგრამ ტყვეები იმ გასრესილ საჭმელსაც სიამოვნებით მივირთმევდით. ერთ დღეს, გერმანელებმა მშიერი ბრბოს შეჩერება ველარ შეძლეს: გაისმა ავტომატების კაკანის ხმა, ჯოჯოხეთურ ორომტრიალში ვიღაცამ დაიძახა — ყველას ხომ ვერ მოგვკლავენ, გავიქცეთო! ამის თქმა და, ტყვეების სხვადასხვა მხარეს გაქცევა ერთი იყო. ამჯერად ბადრაგის ტყვიებს სასწაულებრივად გადავურჩი და თავი ისევ ტყეს შევაფარე. შიმშილით, არ მშიოდა: გზად მიმავალმა მოვასწარი პურისა და რამდენიმე პომიდვრის შეჭმა. დაღამებას დაველოდე და გეზი კვლავ ახლომდებარე სოფლისკენ ავიღე. ერთ-ერთ ოჯახში მივედი, სადაც

გულთბილად გამიმასპინძლდნენ — ჩამაცვეს, გამათბეს. შემდეგ კი, ოჯახის უფროსმა მითხრა: — მე რომ შვილები არ მყავდეს, ერთი წუთითაც არ დავფიქრებოდი, ჩემთან დაგტოვებდი, მაგრამ ახლა ამის გაკეთება შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს. ვწუხვარ, მაგრამ ამ საღამოსვე უნდა დაგვტოვოო. საგზალი გამიმზადეს, თბილი ტანსაცმელი და ქოლგა მაჩუქეს (რადგან ძალიან წვიმდა). მადლობა გადავუხადე და წამოვედი. მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. ფრთხილი, უხმაურო ნაბიჯებით მივიკვლევდი გზას. გულში მეცინებოდა კიდეც — გაქცეული, დატანჯული ტყვე, ქოლგით ხელში „მივსეირნობდი შარაზე“... მალე ჩემთვის კარგად ნაცნობ მეზობელ სოფელ სტეპანოვკაში შევედი. მარიას სახლს მივადექი (სადაც პირველი გაქცევის დროს ვაფარებდი თავს). მას მოკლედ მოვუყევი ჩემი თავგადასავალი. ვუთხარი, რომ მალე დავტოვებდი, თან ვთხოვე — იქნებ, როგორმე სამოქალაქო ტანსაცმელი გაეხერხებინა ჩემთვის. მას ჩემი მისამართი მივეცი, ვთხოვე, მამაჩემისთვის წერილი მიეწერა (როგორც შემდეგ გავიგე, ეს დავალება პირნათლად შეესრულებინა). ტიხონია კაპანაძეზე ვერაფერი გავიგე, როგორ გაქრა სოფლიდან, არავინ იცოდა. ბერიძე კი, კვლავ სოფელში იმყოფებოდა, იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ქალიშვილზე დაქორწინებულა და სიმამრი მფარველობდა. მარიამ მას ჩემი იქ ყოფნის ამბავი შეატყობინა. ისიც სასწრაფოდ მოვიდა. მირჩია, არსად წავსულიყავი და მითხრა — ჩემი სიმამრი ისეთი კაცია, შენც დაგიცავსო... 3 დღის შემდეგ, მე და მარია სიმამრის სახლში მიგვიპატიჟა (მათ სახლებს ქუჩა ყოფდა). არ მესიამოვნა, მაგრამ უარი არ მითქვამს. მათთან მივედი, გაბედნიერება მივულოცე. საღამოს კი, სახლში რომ ვბრუნდებოდით, წინ გერმანელები გადაგვეღობნენ. მარია ჩამომაშორეს, მე კი მანქანაში შემაგდეს. იქ, ჩემ გარდა, 10 ტყვე ჰყავდათ, ყველანი — სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი, რამდენიმე დღეში გერმანიაში გაგვამგზავრეს, რომელიღაც ქალაქში გადმოგვსხეს და კვლავ ციხეში გვიკრეს თავი. სათითაოდ ისეთ კამერებში ჩაგვსვეს, სადაც მხოლოდ დგომა შეიძლებოდა, ვერც მოიხრებოდი.

— რამდენ ხანს გამყოფეს ასეთ საკანში?

— 1 ღამე ვიყავი. მეორე დღეს, საპყრობილეში გადაგვიყვანეს. შეგვამოწმეს. იქ სხვა სახელი და გვარი ჩავაწერინე... შემდეგ, ჩაგვამწკრივეს და ჩვენთან შემოიყვანეს გერმანელები, რომლებსაც მოჯამაგირეებად უნდა ავერჩიეთ. მე ერთმა გულღრძო ქალბატონმა წამიყვანა შინამოსამსახურედ. ჯოჯოხეთურ ბანაკში ყოფნას ყველაფერი მერჩივნა. შინ დიასახლისი და ორი ბავშვი გველოდნენ. მომესალმნენ. სადილი მომართვეს. შემდეგ, მრისხანე ქალბატონმა სამუშაო ადგილები დამათვალიერებინა.

ღამის გასათევი ადგილი სხვენზე მიმიჩინეს. იქ ასასვლელად, ხის მისადგმელი კიბით უნდა მესარგებლა. ოჯახის დიასახლისი კარგად მექცეოდა, რისთვისაც „ქალბატონმა“ არაერთხელ დატუქსა. ერთხელ, როდესაც ენა შევუბრუნე, მცემა კიდეც... მეტის ატანა აღარ შემეძლო. იქ დამრჩენი აღარ ვიყავი, მაგრამ სად უნდა წავსულიყავი?!. ღამის პირველ საათზე გამოვძვერი ჩემი ბუნაგიდან და გავიპარე. მთელი ღამე ვიარე, გამთენიისას, მინდორზე თივის ზვინები შევნიშნე. ერთ-ერთ მათგანში შევძვერი. ჩამეძინა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი იქ. მამაკაცის ხმამ გამაღვიძა. თივიდან თავი გამოვყავი, ვიღაც მიღიმოდა. რაც გერმანიაში ვიყავი, პირველად დავინახე ასეთი ადამიანური ღიმილი. მან მანიშნა, რომ ავმდგარიყავი, ხელი ჩამკიდა, იქვე მდგარ ქოხში შემიყვანა და დამტოვა. შემეშინდა — ვინ იცის, რა ჩაიფიქრა ამ გერმანელმა-მეთქი?.. ცოტა ხნის შემდეგ, კარი გააღო და ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ის გერმანელი იდგა. მიღიმოდა, ცალ ხელში თბილი ტანსაცმელი, მეორეში კი — ცხელი კერძი ეჭირა. ყველაფერი მაგიდაზე დააწყო, ბეჭებზე ხელი მომითათუნა, მაჯის საათზე მაჩვენა — 3 საათის შემდეგ დავბრუნდებიო, — და კარი გარედან ჩაკეტა. თავი სიზმარში მეგონა. 3 საათის შემდეგ დაბრუნდა... რაღა ბევრი გავაგრძელო — 3-დღიანი „შინაპატიმრობის“ შემდეგ, თავის სახლში წამიყვანა. 3 თვეზე მეტი ვცხოვრობდი მასთან, ვეხმარებოდი ყოველგვარ საქმეში. მეც კმაყოფილი ვიყავი და ოჯახიც. აგერ უკვე 85 წელს გადავაბიჯე, დღემდე მადლიერებით ვიგონებ პაულ მიხეილს და მისი ოჯახის სიკეთეს. იმ დროს, ვერ წარმომედგინა, გერმანელთა შორის, ასეთი კეთილი ადამიანებიც თუ არსებობდნენ.

— მესამედ როგორღა მოხვდით ტყვეობაში?

— გერმანელი მმფარველობდა, მაგრამ ისევ ჩემიანმა მიღალატა. ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც იქ მსახურობდნენ, ყოველ შაბათ-კვირას იკრიბებოდნენ. ორჯერ მეც წავედი. ნაცნობები გავიჩინე. მესამე კვირას, ორმა პოლიციელმა მოაკითხა ჩემს „ხაზეინს“: ეტყობა, ვიღაც ახალგაცნობილმა დამაბეზღა. პოლიციის დეპარტამენტიდან, დახაუდან 7 კმ-ით დაშორებულ ალახის საკონცენტრაციო ბანაკში მიკრეს თავი. 3 წელი და 3 თვე დავყავი იმ ჯოჯოხეთში. ახლაც თვალწინ მიდგას კრემატორიუმის მილებიდან ამოსული, ფერფლად ქცეული ადამიანების ბოლი, რომელიც თავისი სიმძიმის გამო, მიწისკენ მიემართებოდა, მიწიდან მტკაველის სიმაღლეზე, 15-20 სმ-ის სისქის შეფერილ ნისლის ფენას ქმნიდა და სულს გვიხუთავდა.

— გერმანელები ტყვეებს წვავდნენ?

— უარესსაც აკეთებდნენ. ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ აღწერილა ის სისაძაგლე, რასაც ფაშისტები სჩადიოდნენ. პოლონეთში მდებარე ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკს ცოლ-ქმარი ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებული სისასტიკით ქალი გამოირჩეოდა. ცოცხალ ადამიანებს, რომლებიც ტანზე ნაკლებად თმიანები იყვნენ, არჩევდა და ცოცხლად ატყავებდა, მერე იმ ტყავისგან სამაჯურებს ამზადებდნენ.

— ასეთი რამ თქვენ თვალწინ ხდებოდა?

— პირადად მე არ შევსწრებივარ, მაგრამ ამის თვითმხილველი ბევრი იყო. არასოდეს დამავიწყდება 15 წლის ბიჭი, რომელიც სამაგალითოდ დასაჯეს. იმ ოჯახში, სადაც მოჯამაგირედ იყო, მას ძეხვის ნაჭერი მოუპარავს. შემოიყვანეს ჩვენს ბანაკში და 16 ათასი ტყვის თვალწინ ჩამოახრჩვეს. მისი გვამი 2 კვირის განმავლობაში ეკიდა სახრჩობელაზე!.. მერე სუნი აუვიდა, ჩამოხსნეს და კრემატორიუმში შეაგდეს...

ერთხელ ჰოლანდიიდან ჩამოიყვანეს 50-კაციანი ჯგუფი, მათ შორის, ქალები და ბავშვებიც იყვნენ. უმრავლესობა — მუსიკოსები. გამოგვიცხადეს, საღამოს კონცერტი იქნებაო. მართლაც, ჩაატარებინეს კონცერტი. მერე უთხრეს — ყველანი გაშიშვლდით, აბანოში უნდა შეგიყვანოთო, — და ცხვრებივით შეყარეს ოთახში, სადაც გაზით გაგუდეს, შემდეგ კი — დაწვეს. ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა. შენახული მაქვს ამონაწერი ებრაელი კაცის დღიურებიდან. იქ წერია — ფეხმძიმე ქალებს მუცელზე ჭრიდნენ, ბავშვები ამოჰყავდათ და ცეცხლში დედების თვალწინ წვავდენო. ამაზე მეტი სისასტიკე რაღა გინდა?!

— თქვენ როგორ გადარჩით?

— 1945 წლის 25 აპრილს, ბანაკიდან აგვყარეს და გზას გაგვიყენეს. საბჭოთა ჯარი მოახლოებულიყო და იქაურობას

დახაუს საკონცენტრაციო ბანაკის შესასვლელი



ახლაც თვალწინ მიდგას კრემატორიუმის მილებიდან ამოსული, ფერფლად ქცეული ადამიანების ბოლი

მოგვაშორეს. გზად დახაუს ბანაკის ტყვეებიც შემოგვიერთდნენ. მიუნხენს შემოვუარეთ, რომელსაც იმ მომენტში ინგლის-ამერიკის ავიაცია ბომბავდა და რამდენიმე დღის შემდეგ, 29 აპრილის საღამოს, ქალაქ ბუდშტაინის მახლობლად ამერიკელებს გადაგვცეს. ხოლო 15 დღის შემდეგ, უკვე საბჭოთა მხარის მეურვეობის ქვეშ ვიმყოფებოდით. 1-თვიანი შემოწმების შემდეგ ყველას თავ-თავისი ადგილი მიუჩინეს. მე წითელი არმიის რიგებში დამაბრუნეს, ინვალიდები სახლი გაუშვეს, ხოლო მათ, ვისაც რაიმე დანაშაული აღმოუჩინეს, ციმბირისკენ უკრეს თავი. დაგვრთეს თუ არა ნება, წერილი გამოვგზავნე მამასთან. გერმანიაში კიდევ ერთი წელი დავყავი, ხოლო 1946 წელს, სამშობლოში დავბრუნდი.

— მამას, წერილის მიღებამდე, გარდაცვლილი ეგონეთ?

— თურმე ფოსტალიონი ჩვენს სახლთან ახლოს გავლას ერიდებოდა. მამა სულ გზას გაჰყურებდა, მაგრამ ამაოდ... იმ დღეს ჩვენთან მეზობლები ყოფილან შეკრებილი, ქუჩიდან კაცის ყვირილი გაუგონიათ, გასულან და ფოსტალიონი დაუნახავთ, — რომელიც ყვიროდა — გაიხარე, დიომიდე მამრიკიშვილო, ანტუშა ცოცხალია, ცოცხალიო!

— როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ?

— ჩამოვედი თუ არა, ქუთაისის „კაგებემ“ მიხმო. მითხრეს, რომ უნდა დავხმარებოდი იმ ტყვეების შესწავლაში, რომლებიც ჯერ კიდევ უმალავდნენ ორგანოებს, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს. ჩემი პასუხისთვის არც დაუცდიათ, დამისახელეს პიროვნება, რომლის შესახებაც მასალები უნდა შემეგროვებინა. სინდისს ვფიცავ — ჩემთვის საკონცენტრაციო ბანაკში დაბრუნება უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ამ „თამაშში“ ჩაბმა. ვუთხარი, რომ მათ ამ საქმეში ვერ გამოვადგებოდი. შევატყვე, „ჩეკისტს“ უარი არ ესიამოვნა. დამცინავად და დამარცვლით მითხრა — „არ დაგავიწყდეთ, ვალდებული ხართ...“ ეს იმას ნიშნავდა, რომ მე დანაშაული უკვე ჩადენილი მქონდა და მისი გამოსყიდვის საშუალებას მაძლევდა. ჯიბიდან 50 მანეთი ამოიღო. რაც შეიძლება მეტი ალაპარაკე, ერთი შეხვედრისთვის გეყოფაო, — მითხრა. მორიგის ტელეფონის ნომერი გადმომცა და დამემშვიდობა. ის კაცი, რომლითაც „კაგებე“ იყო დაინტერესებული, დავალების მიღებიდან მესამე დღეს ვნახე. მან იცოდა, რომ მეც ტყვედ ვიყავი ნამყოფი. ვუთხარი — საღამოს გამოგიცლ და თითო ჭიქით დავილოცოთ-მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდა. რამდენიმე ჭიქა ღვინის დალევის შემდეგ, ჩემი ამბის მოყოლაც კი არ მაცალა — ღვინომ გაათამამა და ტყვეობის ამბავიც (ის, რაც „კაგებეს“ აინტერესებდა) გულახდილად მიამბო. იგი მსახურად აუყვანია ერთ ქართველ ემიგრანტ ოფიცერს, რომელიც გერმანიის ჯარში მსახურობდა, შემდეგ საცხოვრებლად პარიზთან ახლოს გადასულან. მიამბო, თუ როგორ იტყუებდნენ სახლში მცირეწლოვან ფრანგ გოგონებს და აუპაუტირებდნენ, რისთვისაც ფრანგმა პარტიზანებმა მათი სახლი გადაწვეს, თვითონ კი სასწაულებრივად გადარჩნენ... რომ შევატყვე, მისთვის დალევა აღარ შეიძლებოდა, მოვუბოდიშე და წამოვედი. მეორე დღეს მასთან მივედი ყველაფერი ალალად მოვუყევი — რომ ჩვენი შეხვედრა „კაგებეს“ მიერ იყო დაგეგმილი — და ვთხოვე, რომ ამის შესახებ არავისთან კრინტი არ დაეძრა. მე კი „კაგებეს“ უფროსს შევხვდი და ჩვენი შეხვედრიდან მხოლოდ ის მოვუყევი, რისი თქმაც შეიძლებოდა — სხვა ვერაფერი დავაცდენინე-მეთქი. იმ დღის შემდეგ ვიცოდი, რომ მოსვენებას არ მომცემდნენ, ამიტომ საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი. მაგრამ თბილისის „კაგებემაც“ გამომიძახა. დაკითხვის შემდეგ, სახლში გამომიშვეს და გამაფრთხილეს, დავლოდებოდი მომავალ შეხვედრას. მაგრამ სანამ მომავალი შეხვედრა შედგებოდა, მე უკვე, ერთი კეთილი კაცის — ერასტი წივწივაძის დახმარებით, ლვოვში პოლიგრაფიული საქმის ასათვისებლად წავედი ოთხ ახალგაზრდასთან ერთად. იქიდან დაბრუნების შემდეგ, აღარავის შევუწუხებივარ...

საუბრის დროს, ანტონ მამრიკიშვილს დროდადრო, ხმა უკანკალებდა. ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, მითხრა — ახლა პარლამენტის წინ ვეტერანები არიან შეკრებილნი და მათთან უნდა წავიდე, ჩვენთვის რეალობაც ისეთივე ამაზრზენია, როგორიც ჩემი მონათხრობი. რატომ გვიმწარებენ სიბერეს? განა რამდენი ვეტერანი ვართ დარჩენილი ან რამდენ ხანს ვიცოცხლებთ, რომ ჩვენთვის მცირედიც ენანებათ?! ასე მწარედ რატომ დაგვცინიან? რომელ კანონში წერია, 85 წელს გადაცილებული მოხუცების დასჯაო?!. — ვერც გულისტკივილი დაფარა და ვერც თვალზე მომდგარი ცრემლი...

■

დასაწყისი იხ. გვ. 52

დეგ კი — კომკავშირის და რუსთაველის პრემიები მიენიჭა. შავნაბადაზე ჟიული შარტავას ინიციატივით, მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიამ ძეგლად აღმართა მისი ამაყი ტანი. მირზას სახელი ეწოდა თიანეთის პირველ საშუალო სკოლას, თბილისის ერთ-ერთ ბიბლიოთეკას.

„მე ერთხელ მოვკვდი, ეს იყო წინათ“...

— წერს ერთ ლექსში მირზა გელოვანი. ერთი სიკვდილით ყველა ადამიანი კვდება, ის კი... უკვდავებასთან იყო წილნაყარი. ამიტომაც დარჩა მეზობელთა და ნათესავთა ხსოვნაში სიცოცხლით სავსე ჭაბუკად. მისი ნაზი ლირიკა კი მუდამ განაცდევინებს მკითხველს ავტორთან ცოცხლად შეხვედრის სიამოვნებას. და კიდევ: მირზას დიდი ოჯახიდან მემკვიდრე არავის დარჩენია. ასეთ დროს, ფშავში ამბობენ: სულ მოკვდაო...

მაგრამ მირზა გელოვანის კერა არ გაციებულა. მის სახლ-მუზეუმს 18 წელია, საკუთარივით ჰპატრონობს ენთუზიასტი ქალბატონი ციცინო გაბიდაური. მან მუზეუმი პოეზის მოყვარულთა კერად აქცია. ზაფხულობით თითქმის ყოველკვირა აწყობს შეხვედრას ცნობილ ადამიანებთან; ეძებს ახალ-ახალ ექსპონატებს და ამდიდრებს მუზეუმს. მირზას პირველი წიგნის გამოცემიდან 25 წლის შემდეგ, სწორედ მისი რედაქტორობით გამოვიდა მეორე კრებული. მასში ბევრი ახალი წერილი, უცნობი ლექსი და ნახატი შევიდა. ზოგმა მანამდე არც იცოდა, რომ მირზა ჩინებულად ხატავდა. ყველა ხელნაწერი მისივე ხელითაა დასურათებული. წიგნში პირველად შევიდა მირზას ავტოგრაფი ნახატითურთ, რომელიც ახლავს ლექსს „ალბომი“.

მირზას სახე მწერალთა კავშირში არაერთხელ გააცოცხლა პოეტმა სილოვან ნარიმანიძემ. მანვე არაერთი სტატია და გამოკვლევა მიუძღვნა, შემდეგ კი, მკითხველთა წიგნის თაროს, მირზას ახალი გამოცემაც შემატა, „როგორც სიკვდილში არდავიწყების“ ნიშანი.

„ო, მაპატიეთ“

„ახლა მენატრება ზღვა, ცოცხალი და მშფვინვარა. სადაც ცა არ არის. არის მხოლოდ ზღვა და მზეთუნახავი მელოდება ზღვაზე. მენატრება მთები, ცა საქართველოსი, ხეები, ჩრდილები, ბალახი... წუხელ მეზმანა: ჩემი ლექსების წიგნი გამოეცათ ჩემს გაუგებრად. მაკვირვებდა მისი სიდიდე და შავი ყდა“...

დასავლეთის დვინასთან დაასრულა ეს მონატრება. დარჩა „იქ, სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ, სისხლის წვიმაში ტყვეების ჩქერში“. ამხანაგს აცდენილი ტყვია, ახლა მის გულში გაცივდა და ფარაჯიანი პოეტი მზესავით ჩაესვენა ცივ მდუმარებაში. მაშინ ალბათ წამიერად იგრძნო ტკივილი. იმ ტკივილს კი ვერაფერი დააყუჩებს, შავნაბადაზე აღმართული მისი ძეგლი მსახვრალმა ხელმა რომ დაცხრილა და იავარჰყო...

■



გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34

ანა მძიმედ გამოდიოდა მდგომარეობიდან. ნარკოზიდან მალე გამოვიდა. თავიდან ეს მხოლოდ სარეანიმაციო აპარატურამ დააფიქსირა. რამდენიმე ეკრანსა და ოსცილოგრაფზე მაჩვენებლები შეიცვალა. შემდეგ კი პალატაში გაბმული ზუმერი გაისმა.

— რა არის ეს?! — ნიკამ დაძაბული მზერა ესროლა ხელსაწყოებს. მაგრამ მედდამ არაფერი უპასუხა. სწრაფად გადახედა მაჩვენებლებს, ზუმერი გამორთო და პალატიდან გავიდა.

ორიოდ წუთში მედდა ექიმთან ერთად დაბრუნდა. ნიკას არფერი ესმოდა ტერმინებისა, რომლებითაც ისინი საუბრობდნენ. მაგრამ ექიმის მშვიდი სახე აგრძნობინებდა, რომ საგანგაშო არაფერი იყო. საბოლოოდ, ექიმმა რამდენიმე მითითება მისცა მედდას და ნიკას მიუბრუნდა.

— ნუ ღელავთ. ყველაფერი რიგზეა. დაახლოებით ამ დროს ველოდით პაციენტის გამოფხიზლებას.

ის იყო, ექიმმა სიტყვა დაამთავრა, რომ ანას სუსტმა თრთოლამ გადაურბინა. შემდეგ კი თვალის ქუთუთოები აუცახცახდა. ნიკა გრძნობდა, თუ როგორ ებრძოდა ის თავს და რამდენ ენერგიას ხარჯავდა, ამ უბრალო მოძრაობის შესასრულებლად. მისი მდგომარეობით გულშეძრულმა, უნებურად წინ წაიწია. მაგრამ ექიმმა შეაჩერა და თავის მოძრაობით ანიშნა: ნუ შეეხებიო. ამასობაში კი ანამაც მოიკრიბა ძალა და მძიმედ აზიდა ქუთუთოები. მისმა დანისლულმა მზერამ ნიკას თავზარი დასცა. ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ანა ვერაფერს ხედავდა და საერთოდ ვერ შეიგრძნობდა გარემომცველ სამყაროს. ასეთ მდგომარეობაში მან რამდენიმე წუთი დაყო. ბოლოს კი ოდნავ შეანძრია ტუჩები. მოძრაობაში ნიკამ საკუთარი სახელი ამოიკითხა. მაგრამ ექიმმა მასთან მიახლოების საშუალება არ მისცა. ხელით შეეხო მხარზე და უთხრა:

— არ არის საჭირო. ასე მხოლოდ მის მდგომარეობას გაართულებთ. ვაცადოთ. როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, მე თვითონ მოგცემთ მასთან საუბრის საშუალებას...

ეს მხოლოდ ორი დღე-ღამის შემდეგ მოხდა. ექიმმა თავად შესთავაზა ანას მონახულება და პალატაში მიიწვია.

— ანა... — ნიკა უღონოდ დაეშვა საწოლის გვერდით.

— ნიკა, — ოდნავ გასაგონად ჩაიჩურჩულა ანამ. — სად ხარ?

— აქ, შენ გვერდით, — ნიკა ფრთხილად შეეხო ხელზე.

— რატომ ვერ გხედავ? — სუსტი ხმით განაგრძო ანამ.

— რატომ?! — ნიკამ დაძაბული მზერა მიაბჯინა ექიმს.

პასუხად ექიმი დაიხარა, ანას თვალებში ჩააცქერდა. შემდეგ კი ნიკას მიუბრუნდა და ჩასჩურჩულა:

— ყველაფერი რიგზეა. ეს ნარკოზის შედეგია. რამდენიმე წუთში გაუვლის. შეგიძლიათ ელაპარაკოთ. მაგრამ ნუ დაღლით და ამასთან ერთად, ჩაძინების საშუალებასაც ნუ მისცემთ.

ექიმის პროგნოზი გამართლდა. რამდენიმე წუთში ანას მზერა დაეწმინდა. მან შიშით შეათვალიერა პალატის თეთრი ჭერი და ისევ ნიკა მოიკითხა.

— აქ ვარ, — თვალებში ჩახედა ნიკამ.

— თითქოს ნისლში ხარ გახვეული... სად ვარ? — აკანკალებული ხმით ჰკითხა ანამ.

— საავადმყოფოში, — მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა ნიკამ, — არაფერი გახსოვს?.. შენ მანქანა დაგეჯახა...

ანა დიდხანს დუმდა. შემდეგ კი თვალები დახუჭა და ისე აჩურჩულდა:

— მახსოვს... მანქანა... თეთრი მანქანა უცებ გამოვარდა მოსახვევიდან... ძალიან სწრაფად მოდიოდა... გოგამ ხელი მკრა... მაგრამ... გოგა!.. სად არის გოგა? — ამ სიტყვებთან ერთად, ანამ თვალები გაახილა.

— გოგა... — ნიკამ ექიმს გახედა და შემდეგ დაამატა: — გოგა დაშავდა და ახლა მეზობელ პალატაშია...

პასუხმა ოდნავ დაამშვიდა ანა, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით. ორიოდ წამში ის ისევ მღელვარე ხმით აჩურჩულდა:

— მაპატიე, ნიკა... ეს ჩემი შეცდომა იყო... უფრო ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი და ჩვენი მომავლითაც არ უნდა გამერისკა...

— დამშვიდდი. ნურაფერზე ინერვიულებ... ყველაფერი მოგვარდება. შენ მალე გამოჯანმრთელდები, — ნიკა ფრთხილად მოეფერა შუბლზე.

— არა, შენ ვერ გამიგე... შვილი... ავარიისას... — ანამ ვერ გაბედა სიტყვის დამთავრება, მაგრამ ნიკა ისედაც მიხვდა, თუ რა აშინებდა ყველაზე მეტად.

— ნუ ღელავ... ყველაფერი რიგზეა...

— ესე იგი შენ უკვე იცი?

— ვიცი, — გაჭირვებით ჩაილაპარაკა ნიკამ.

— მაპატიე... ადრევე უნდა მეთქვა, მაგრამ შესაფერისი დრო ვერ შევარჩიე... ამ საქმის დამთავრებას ველოდი და... — ანამ თავის შეკავება ვერ შეძლო. ხმა აუკანკალდა და ატირდა.

— სერიოზულად დავშავდი? — ანამ მხოლოდ ათიოდ წუთის შემდეგ შეძლო ლაპარაკის გაგრძელება.

— საკმაოდ... მაგრამ ექიმებმა მითხრეს, რომ მალე აღიდგენ ჯანმრთელობას.

— ჩემი ნივთები სად არის?

— შენი ხელჩანთა გაქრა.

— კასეტა ხელჩანთაში მქონდა.

— ვიცი.

ანამ პაუზა გააკეთა და შემდეგ თქვა:

— ეს შემთხვევით არ მომხდარა. ჩემი ოფისი დაარბიეს და როდესაც ჩანაწერს ვერ მიაგნეს, თავს დაგვესხნენ... გოგა მანქანის გამოჩენისთანავე მიხვდა ამას. გადასარჩენად ტროტუარისკენ მიბიძგა, მაგრამ დაიგვიანა... იმ მანქანას ნამდვილი შეშლილი მართავდა... არასოდეს დამავიწყდება მისი თვალები... შავი, მძვინვარებით აღსავსე თვალები... წამიერად მოვკარი თვალი... შემდეგ ძლიერი ბიძგი ვიგრძენი... ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ შეშინებაც ვერ მოვასწარი... არც მტკენია... ბიძგი და ირგვლივ მაშინვე ჩამობნელდა... რამდენი ხანი გავიდა ავარიის შემდეგ?..

— ორი დღე-ღამე...

— ორი დღე-ღამე?! — შიშით გაიმეორა ანამ. — და მთელი ეს დრო უგონოდ ვიყავი?!

— შენ მძიმე ოპერაცია გადაიტანე.

— ნიკა, ნურაფერს დამიმალავ, — აღელდა ანა, — მე ყველაფერი უნდა ვიცოდე...

— დამშვიდდი. არავინ აპირებს შენს მოტყუებას... შენ მართლაც მძიმედ დაშავდი... ყველაზე მძიმე ტრავმა, თავზე გაქვს.... — ნიკამ გაჭირვებით შეძლო მშვიდი იერის შენარჩუნება და ამან მართლაც გამოიღო შედეგი. მისი სიმშვიდე ანასაც გადაედო.

— რამდენი ხანი დავრჩები საავადმყოფოში? — იკითხა მცირე პაუზის შემდეგ.

— საჩქარო არაფერია. საქმე შენს ჯანმრთელობას ეხება.

— ბიბილური როგორ არის? — მოულოდნელად ჰკითხა ანამ.

— ბიბილური?! — დაიბნა ნიკა. — ახლა მასზე ფიქრი შეგიძლია?!

— შემიძლია. ჩანაწერი დაიკარგა... — წყვეტილად ალაპარაკდა ანა. — და ახლა ის ჩვენი ერთადერთი შანსია.

— ეშმაკსაც წაუღია ბიბილური და მთლიანად ეს საქმე. მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს — რაც შეიძლება მალე გაგიყვანო აქედან და საერთოდ მოგაშორო თბილისს!..

— ეს მათი გამარჯვება იქნება, ნიკა. გამოდის, რომ ტყუილუბრალოდ გვიწვალია. ტყუილად გადავიტანეთ ეს ტკივილი მე და გოგამ?.. — ჩაიჩურჩულა ანამ. — მესხი უნდა დაისაჯოს!..

— ის დაისჯება! — კბილები გაახრჭიალა ნიკამ. — მაგრამ მოგვიანებით. ახლა მისთვის არ მცალია.

— რა ჩაიფიქრე, ნიკა? — ანას შიში ჩაუდგა თვალებში.

— ეს ჩემი და მესხის პირადი საქმეა. მე არ ვაპირებ ჩივილს და მის სასამართლოზე დაზარალებულის პოზაში ყოფნას. გავაკეთებ იმას, რაც ადრევე უნდა გამეკეთებინა!..

— და რას მოვიგებთ ამით?.. ან ჭელიძეებისთვის რას შეცვლის შენი შურისძიება? — ამოიოხრა ანამ.

— არ ვიცი და არც მაინტერესებს. შენ ერთადერთი ადვოკატი არ ხარ!.. — ცივად შენიშნა ნიკამ. — მორჩა, ანა. მე შენით აღარ გავრისკავ. დღეიდან ეს მხოლოდ ჩემი საქმეა. შენთვის კი ეს ამბავი დამთავრდა.

ანა დიდხანს დუმდა და შემდეგ თქვა:

— საქმე არასოდეს მიმიტოვებია შუა გზაზე და არც ჩემი პატიმრისთვის მიღალატია.

— შენ სიკვდილს გადაურჩი... გესმის, რას ნიშნავს ეს?! — აღელდა ნიკა. — ყველაფერს აქვს საზღვარი. შენ აღარავის წინაშე გაკისრია რაიმე ვალდებულება. ან ვინ გაგამტყუნებს, ასეთ მდგომარეობაში მყოფს?!

— საკუთარი თავი, — სუსტი ხმით ჩაილაპარაკა ანამ.

— შენ არაფრის შეცვლა არ შეგიძლია და საქმის მაგივრად, გამოჯანმრთელებაზე უნდა იფიქრო!

— ვიცი, მაგრამ... — ანამ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — მაგრამ მე შენი იმედი მაქვს!..

— ანა!..

— გთხოვ... ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, — სევდიანი თვალები შეანათა ანამ.

— რა გინდა, რომ გავაკეთო? — ნიკამ ვერ გაუძლო მის მზერას.

— განსაკუთრებული არაფერი. ჩვენ გვქონდა გეგმა. ახლა კი საქმის უჩემოდ გაგრძელებას გთხოვ. ამაში ნანა დაგეხმარება.

— კარგი, მაგრამ ახლა არა. ვიდრე შენ არ მომჯობინდები, ვერაფერს გავაკეთებ. შენ გარდა, სხვა რამეზე ფიქრი არ შემიძლია.

— დრო მესხზე მუშაობს, ნიკა, — შენიშნა ანამ, — გთხოვ, თავი ხელში აიყვანე.

— მესხზე ნუ ღელავ. მისთვის ყველაფერი დამთავრებულია. მას ისედაც მოუღებენ ბოლოს.

— ვინ?

— ისევ თავისიანები...

— საიდან იცი? — დაიძაბა ანა.

კითხვამ ნიკას დავითთან შემდგარი საუბარი გაახსენა, მაგრამ მაინც არაფერი უთხრა ანას.

— რაღაცას მიმალავ, ნიკა!..

— არა. უბრალოდ ვიცი, რა ხმაურიც მოჰყვა შენზე და გოგაზე თავდასხმას. მართალია, მესხი არავის მიაჩნია ამის ორგანიზატორად, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ოფიციალური მხარეა. აროფიციალურად კი.... მესხს არავინ აპატიებს ასეთ შეცდომას. ის ქარუმასავით დაამთავრებს სიცოცხლეს!

— მაგრამ ეს არაფერს შემატებს ჭელიძეებს, — ჩაილაპარაკა ანამ.

— ჯერჯერობით ამაზე ფიქრი არ შემიძლია, — თავი გააქნია ნიკამ.

— არაფერს... და ამიტომაც გთხოვ: დაასწარი მათ და ბიბილურს ჩვენება ჩამოართვი. მერწმუნე, ეს ბევრ რამეს შეცვლის.

ნიკა დიდხანს დუმდა. შემდეგ თავი ასწია, ანას გაუსწორა მზერა და თქვა:

— კარგი...

ბიბილური სრულ გაურკვევლობაში იმყოფებოდა. ქარუმასთან ბოლო შეხვედრისას ახსოვდა, მესხის გააფთრებული სახე და მისკენ მომართული პისტოლეტის ლულა. შემდეგ ოთახში სროლის ხმა გაისმა. იმავ წამს, ბიბილურმა მკერდში ძლიერი ბიძგი იგრძნო და ამასთან ერთად, ყველაფერი წყვდიადში ჩაიძირა. გონს მხოლოდ დღის დასასრულს მოეგო და რამდენადაც მის მდგომარეობაში იყო შესაძლებელი, იმდენად სწრაფად შეათვალიერა თავისი სამყოფელი და იქ მყოფი ადამიანები. მისდა სასიხარულოდ, მესხი არსად ჩანდა. ოთახში თეთრხალათიანი ექიმი და ორი მედდა იმყოფებოდნენ. მათგან შეიტყო, რომ მძიმედ დაჭრილი, საავადმყოფოში იწვა. სხვა განმარტება ექიმს არ მიუცია. მოგვიანებით კი, ბიბილურს გამომძიებელი ეწვია. პირველი დაკითხვა ვერაფერში დაეხმარა. გაურკვევლობაში მყოფმა ვერც ერთ კითხვაზე ვერ გასცა პასუხი. საბოლოოდ გამომძიებელი დარწმუნდა, რომ მისგან ვერაფერს გამოადნობდა და თავად შეუდგა ვითარების განმარტებას. მისი ვერსია ასე გამოიყურებოდა: მესხის დავალებით ის ქარუმას ეწვია. მათ მიზანს ოპერატიული მონაცემების მოპოვება წარმოადგენდა, რომლის საფუძველზეც მესხი, ქარუმას ნარკოტიკებით ვაჭრობაში მხილებასა და აყვანას გეგმავდა. მაგრამ ნარკოვაჭარმა ბიბილურში ინფორმატორი ამოიცნო და მის მოკვლას შეეცადა. საბედნიეროდ, მას ამის საშუალება მესხმა არ მისცა. თუმცა ქარუმა პოლიციის თანამშრომლებსაც არ შეეპუა და ცეცხლი გახსნა. ორმხრივი სროლისას ნარკოვაჭარი დაიღუპა. ბიბილურის გადარჩენა კი მხოლოდ სასწრაფო ოპერაციის ჩატარების შედეგად მოხერხდა და ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ვერსია სავსებით მისაღები იყო ბიბილურისთვის. განსაკუთრებით იმიტომ, რომ გამომძიებელს ერთხელაც არ უხსენებია წერეთელი და მასთან დაკავშირებული ამბავი. მაგრამ ამასთან ერთად, სრულ გაურკვევლობაში ამყოფებდა. ის, რაც გამომძიებელმა უამბო, გასაგები იყო, მაგრამ ბიბილური მაინც ვერ ხვდებოდა, ვინ და რისთვის მოიშორა ქარუმა თავიდან და რა მოჰყვებოდა ამას. ის, რომ მესხს მისი მოკვლა სურდა, დღესავით ნათელი იყო. ასევე გასაგები იყო ისიც, რომ ის შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ამასთან ერთად, იცოდა, რომ მერაბს ყოველთვის ბოლომდე მიჰყავდა დაწყებული საქმე. მის შიშს განსაკუთრებულ პირობებში ყოფნაც აძლიერებდა. ოპერაციის შემდეგ ის ცალკე პალატაში მოათავსეს, რომლის კართანაც დღე-ღამის განმავლობაში ორი ან სამი მცველი ტრიალებდა. ისინი პოლიციელები არ იყვნენ, მაგრამ ვის დავალებას ასრულებდნენ მცველები და რისთვის სდარაჯობდნენ მას, ბიბილურისთვის სრულიად გაურკვეველი იყო. სწორედ ამის ამოცნობით იყო დაკავებული მისი გონება, როდესაც პალატის კარი მისთვის უკვე კარგად ნაცნობმა ნიკა ბარამიძემ და ჭელიძეების ადვოკატმა შემოაღეს.

ნიკას დანახვამ თავზარი დასცა ბიბილურს. ბოლო დღე-ღამის განმავლობაში ის შესამჩნევად შეცვლილიყო. სახეზე თხელი წვერი მოსდებოდა, თვალის უპეები კი უძილობისგან ჩაშავებოდა.

— არ ელოდი ჩემს ხილვას? — ცივი ხმით ჰკითხა ნიკამ.

ბიბილურმა დუმილით უპასუხა. ნიკამ უკმაყოფილოდ გააქნია თავი. ერთი სკამი ნანას დაუდგა საწოლთან, მეორეზე თვითონ დაჯდა და ავად შეუღრინა ბიბილურს.

— ხმა ამოიღე, ახვარო!

— ცუდად ვარ, ლაპარაკი არ შემიძლია, — შიშით ჩაილაპარაკა ბიბილურ-

მა.

— შენთან მოსვლამდე, ექიმს ვესაუბრე. სუსტად მართლაც ხარ, მაგრამ არა იმდენად, რომ ლაპარაკი ვერ შეძლო!..

ბიბილურმა ისევ დუმილი ამჯობინა.

— როგორ გგონია, როგორ და რისთვის მოხვდი აქ, საერთოდ, როგორ დარჩი ცოცხალი და ვისგან გიცავენ ის ბიჭები? — ცივად განაგრძო ნიკამ.

— არ ვიცი, — გაჭირვებით ამოღერღა ბიბილურმა.

— შენ რა, ხომ არ გგონია, რომ სამმართველოს ბალანსზე დაგსვეს ან მესხმა გიქირავა ეს პალატა?.. ეს ჩემი ხალხია და შენი მკურნალობის ფულსაც მე ვიხდი. მიხვდი, ვის ეკუთვნის შენი დამპალი სული?!

— ნიკა... — ნანა დასამშვიდებლად მას მხარზე შეეხო.

— მშვიდად ვარ, — მისკენ გაუხედავად თქვა ნიკამ, შემდეგ, ბიბილურთან განაგრძო საუბარი: — ახლა კი გონება მოიკრიბე და თუ არ გინდა, რომ კინწისკვრით გაგაგდონ აქედან, შენით ალაპარაკდი.

— გამომძიებელს უკვე მივეცი ჩვენება, — გაუბედავად თქვა ბიბილურმა.

— როგორც ვხედავ, არაფერი იცი ბოლო დღეების შესახებ.

— რა უნდა ვიცოდე? — გაიკვირვა ბიბილურმა.

— ყურადღებით მომისმინე, ახვარო, — ბრაზით წამოიწყო ნიკამ, — შენს ფერებას არ ვაპირებ. ვიდრე შენი მძორის გადარჩენით ვიყავი დაკავებული, მესხმა წერეთელსა და ჩემს ცოლს თავდასხმა მოუწყო. წერეთელი დაიღუპა, ჩემი ცოლი კი მძიმე მდგომარეობაში წევს რეანიმაციაში. მეტის ცოდნა შენთვის საჭირო არ არის. ახლა კი, ხმას თუ არ ამოიღებ და ყველაფერს არ დაფქვავ, აქვე დაგახლი ტყვიას! — ამ სიტყვებთან ერთად, ნიკამ პისტოლეტი მოიმარჯვა.

იარაღის ხილვისას, ბიბილურმა სწრაფი მზერა ესროლა კარს...

— რა გინდა ჩემგან? — ამოიკნავლა ბიბილურმა.

— რა მოხდა ქარუმას ბინაში?.. თანაც იცოდე, რომ ეს ოფიციალური ჩვენებაა, — თქვა ნიკამ, შემდეგ ტუმბოზე დიქტოფონი დადო და ნანას ანიშნა: წერისთვის მოემზადეო.

— ქარუმასთან ფულის სათხოვნელად ავედი. თბილისიდან მოტეხვა მინდოდა, — ყოყმანით დაიწყო ბიბილურმა.

— ვის გაურბოდი?.. მე?.. — ჩაეძია ნიკა.

— შენ?! შენ არა... საკუთარ თავს გავურბოდი, — მზერა გაუსწორა ბიბილურმა, — შენი ძმაკაცის საქმეს არ შევუშინებივარ. სასამართლოშიც დავადასტურებდი იმ ჩვენებას. მაგრამ ზარანდიას საქმით დამაშინე. შენ ძალიან ბევრი მოინდომე. ეს უკვე მესხთან დაჯახება აღარ იყო. ამ საქმეზე რომ ავლაპარაკებულიყავი, ნებისმიერ შემთხვევაში დამბრიდავდნენ.

— ვინ?

— არ ვიცი... მართლა არ ვიცი, — სწრაფად დაამატა ბიბილურმა, როგორც კი ნიკას ეჭვით სავსე მზერა შენიშნა.

— კარგი, ჯერ ქარუმას შესახებ მიამბე, — უბრძანა ნიკამ, — ვინ გესროლა, ბარიგამ თუ მესხმა?

— მესხმა, — უმალ დაუდასტურა ბიბილურმა, — ცხვარივით გამყიდა დამპალმა ქარუმამ. მე მაყუთის სათხოვნელად მივედი, იმან კი მესხთან ჩამიშვა!..

— ასე ენდობოდი ქარუმას? — გაუკვირდა ნიკას.

— მტერი ენდო ბარიგას. უბრალოდ, დიდი ხნის ახლობლობა გვაკავშირებდა და ბევრი მაყუთის თხოვნასაც არ ვაპირებდი. თანაც შენგან ახალი გაქცეული ვიყავი. მესხს ვერ უნდა მოესწრო მისი გაფრთხილება. მაგრამ მაინც დამასწრო. ახლა უკვე ვხვდები, რომ ქარუმა მელოდა.

— რისთვის გაგიმეტა მესხმა? იმ ჩვენების გამო გამოგიტანა განაჩენი?..

— არა... იმ ჩვენებისთვის არ მომკლავდა. პირიქით, ცოცხალს უფრო კარგად გამომიყენებდა. ზარანდიას ხსენებამ გააგიჟა.

— შენ ახსენე ზარანდია?

— მეც ვახსენე. მაგრამ მესხმა უკვე იცოდა, რომ მანამდე მე და შენ გვქონდა ამაზე საუბარი, — უპასუხა ბიბილურმა.

— საიდან იცი?

— მივხვდი და იმასაც მივხვდი, რომ ჩემი და ქარუმას მოკვლა წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი.

ნიკამ მზერა აარიდა ბიბილურს და ჩაფიქრდა. ინფორმატორი არ ტყუოდა. ახლა მისთვის უკვე დღესავით ნათელი იყო, თუ როგორ ვითარდებოდა იმ დღეს მოვლენები... ბიბილური მზად იყო მასთან თანამშრომლობისთვის. მაგრამ ზარანდიას ხსენებამ იმდენად შეაშინა, რომ გაქცევით უშველა თავს. ნიკამ და ანამ კი, სამმართველოს მიაშურეს. საუბრის დასასრულს, ნიკა კაბინეტში შეყოვნდა და დავითს ჩელებაძის ჩანაწერი გადასცა. იმ დროისთვის მესხი და მირიანი შორს არ იქნებოდნენ წასული. ყოველ შემთხვევაში, დავითი სწრაფად მოახერხებდა მათთან დაკავშირებას. როგორც ჩანს, ეს მართლაც ასე მოხდა. მათი წასვლის შემდეგ, დავითმა ჩანაწერი ნახა და მაშინვე დაუკავშირდა მესხს. ამ დროს, ბიბილური ქარუმას შეხვედრაზე უთანხმდებოდა. ჩელებაძის ჩანაწერმა თავისთავად იმოქმედა მესხის გადაწყვეტილებაზე. ქარუმა არასასურველი მოწმე გახდა. ნარკობარიგა ხომ ყველაფერზე წავიდოდა თავის გადასარჩენად. აქედან ნიკას მხოლოდ ვარაუდით თუ შეეძლო მოვლენათა მსვლელობის აღდგენა. შესაძლოა, მესხი მხოლოდ ქარუმას თავიდან მოშორებას გეგმავდა. ეს ძნელი არ იქნებოდა. მომხდარს უბრალოდ ახსნიდა — ასაყვანად მივედი, წინაღმდეგობა გაგვიწია, გახსნა ცეცხლი და...

შეხვედრაზე შეთანხმებისას კი ქარუმამ აცნობა, რომ მალე მასთან ბიბილური მივიდოდა...

დანარჩენი უკვე ადვილი გასაგები იყო. მესხმა ბიბილურს ესროლა. იმაში დარწმუნებულმა, რომ ინფორმატორი მკვდარი იყო, ბარიგაც მის გზას გაუყენა...

ყველაფერი ეს გასაგები იყო. მხოლოდ ერთი რამ რჩებოდა გაურკვეველი — რა როლს თამაშობდა ყველაფერ ამაში დავითი. მომხდარის მიუხედავად, ნიკას არ სურდა იმის დაჯერება, რომ მას შეეძლო ვინმეს ასე მოკვლის ბრძანების გაცემა. ის მაინც სხვანაირად იცნობდა მამას...

— ზარანდიას შესახებ რას მიამბობ? — ბიბილურს მიუბრუნდა ნიკა. — რა გაკავშირებს ამ საქმესთან?..

— ძველი ამბავია... ეს ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ქარუმა ნარკობიუროში მუშაობდა. მაშინ ქარუმა და ფურცელაძე ერთად ჩალიჩობდნენ წამალზე. აზერბაიჯანიდან შემოჰქონდათ ოპიუმი და ჰეროინი...

— შენ რას აკეთებდი? — ჩაურთო ნიკამ.

— რა უნდა გამეკეთებინა? — მხრები აიჩეჩა ბიბილურმა. — იმას, რასაც ყოველთვის... ქარუმასა და მესხს მთელი სისტემა ჰქონდათ შექმნილი. მაგათ „სასტავში“ ყველას თავისი საქმე ჰქონდა. ფურცელაძეს წამალი შემოჰქონდა. გზებს და კავშირებს ქარუმა აკონტროლებდა. მესხი „სასტავის“ „კრიშა“ იყო... მე, კუტივაძე და დარახველიძე ადგილზე ვპოულობდით კლიენტებს და ასე შემდეგ...

— ბარიგობდით?

— არა... წამლის გაყიდვას ყოველთვის გავურბოდი. ბევრი პრობლემა იქმნება. იქ შავები, აქ წითლები... მოკლედ, თავის ტკივილია და მეტი არაფერი.

— აბა, რას აკეთებდით?

— გადამყიდველებს ვურჩევდით ფურცელაძეს და თუ მათთან რაიმე პრობლემები იქმნებოდა, ამასაც ჩვენ ვაგვარებდით. ეს სისტემა წლების განმავლობაში მუშაობდა. შემდეგ კი ქარუმა ნარკობიუროდან დააცურეს და ყველაფერი აირია. ქარუმას სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ, გზები სხვა ხალხმა დაითრია. ვინ არიან ისინი, აზრზე არ ვარ. მარტო ის ვიცი, რომ ჩვენთვის ის „კანალები“ გადაიკეტა. ვიდრე ქარუმა სხვა გზებს გაჩითავდა, ფურცელაძე, კუტივაძე, დარახველიძე და ზარანდია სხვა „სასტავს“ „ჩაუბრატდნენ“ და ჩალიჩი განაგრძეს. ქარუმა და მესხი კინალამ დაიშოკნენ, როცა ეს გაიგეს...

— რატომ?..

— ვერ ხვდები, რა მოხდა? — გაიკვირვა ბიბილურმა. — შენ წარმოიდგინე, რამდენი ხანი დასჭირდა სანდო ბარიგების შეგროვებას, კარგად გაცნობას. ახლა იმაზე იფიქრე, რომ ყველა ამ ბარიგას თავისი კლიენტი ჰყავს. ისეთი კლიენტი, რომელიც კარგად იხდის მაყუთს და ზედმეტი ბაზარიც არ უყვარს. ეს ბიზნესია... ჩვეულებრივი ბიზნესი... ჰოდა, წარმოიდგინე, რა ემართება ბიზნესმენს, როდესაც ყველა გამსაღებელს ერთად კარგავს.... ვიდრე ქარუმა ევროპისკენ გაიკვლევდა გზას, ფურცელაძემ მთელი „სასტავი“ სხვა ხალხთან აამუშავა. გაჩნდა სუბუტექსი. კი არ გაჩნდა, მთელი ქალაქი დაიკავა. იმ დროისთვის ქაუმასაც შეეძლო წამლის შემოტანა. მაგრამ თვითონ ხომ არ გაიჩხერდა?.. ამ დროს კი, მისი ბარიგები სხვის წამალზე მუშაობდნენ...

— შენ?.. შენ რატომ არ მოხიე სხვასთან?

— მე და მესხს სხვა „ატნაშენიები“ გვაკავშირებდა. ახვარია, მაგრამ ბევრჯერ დამხმარებია, ხან მაყუთით, ხან წამლით, ხანაც — საქმით. თანაც არც მაპატიებდა და ამიტომაც შემოვრჩი ქარუმასა და მესხს. ამ თემაზე ფურცელაძესთან ხიპიშიც მომივიდა. მივაწექი: ბარიგების ნაწილი დაგვითმეთ-მეთქი. მაგრამ არც კი მომისმინა. მერე კი მაგრად მირტყეს და გამომაგდეს. ამ ხიპიშის შემდეგ, ქარუმაც მიხვდა, რომ მათთან ბაზარი აღარ ღირდა. ასე მითხრა: მაგათ სხვანაირად უნდა მოვუყომაროთო!..

— რას გულისხმობდა „სხვანაირად მოყომარებაში“?

— იმას, რაც მოხდა, — უპასუხა ბიბილურმა.

— დაბრედვას?

— მარტო დაბრედვას არა. მთელი პარტიის ახევას. იმ დღეს დიდხანს ელოდნენ...

— რომელ დღეს?

— „კარონჩე“, ჩემით აგიხსნი ყველაფერს, — ბიბილურმა პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო, — იყო ერთი ასეთი ბარიგა — რემი სირაძე. ერთხანს მარტო ბარიგობდა, მაგრამ დიდი საახლობლო ჰყავდა ფირმაში და ფურცელაძემ წინ წამოსწია... უფრო სერიოზულ საქმეში ჩასვა. ქარუმასა და მესხის დავალებით, ერთი-ორჯერ შევხვდი, ვებაზრე. ნაღდად არ მეგონა, მაგრამ უცებ დაიკერა. როგორც მითხრა, მაგარი გაბრაზებული ყოფილა ფურცელაძეზე — მაყუთს მიტეხავენ, „შნირის“ „პალაჟენიაზე“ ვყავარო და ასე შემდეგ... ქარუმასაც მეტი რა უნდოდა. დაჰპირდა: ფურცელაძეს რომ ავაცმევინებ, მის საქმეს შენ ჩაგაბარებო და ისიც ავარდა... „კარონჩე“, იმ დღიდან სირაძე ფურცელაძის „სასტავში“ „ნასედკის“ პონტში გვყავდა და მათი ყოველი ნაბიჯი ვიცოდით. ერთ დღეს სირაძემ ამბავი მოიტანა — ფურცელაძე „კრუპნი“ პარტიის შემოტანას აპირებსო. დიდ მაყუთზე იყო ლაპარაკი. წამალი პარიზიდან უნდა წამოსულიყო. ქარუმამ ეგრეევე ასწია თავისი ხალხი და პარიზში გაუშვა...

— ვისზეა საუბარი?.. სახელები, გვარები! — შეაწყვეტინა ნიკამ.

— აზრზე არა ვარ... მარტო ის ვიცი, რომ პანკისელები არიან. ქარუმა ადრეც ახლობლობდა იმ ხალხთან. მაგრამ ისინი ბარიგები კი არა კილერები არიან. რაღაცრაღაცებში ეხმარებოდნენ ქარუმას... ჰოდა, ეს ხალხი სირაძესთან ერთად ჩავიდა პარიზში. იქ უნდა გაერკვიათ, როდის და რა გზით წამოვიდოდა წამალი და შემდეგ ფურცელაძის „სასტავი“ უნდა „დაეყენებინათ“. მაგრამ პარიზში რაღაც მოხდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ზარანდია შემთხვევით გადააწყდა სირაძეს. ის კი იმ დროს იქ არ უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ეს ფურცელაძეს აუცილებლად უნდა სცოდნოდა. მისი იქ ყოფნა რომ არ გაბაზრებულიყო და საქმე არ ჩაშლილიყო, ქარუმას კილერებმა ზარანდია მიაბრიდეს. თანაც მაგრად იმუშავეს. სუფთად მოუყომარეს ბაზარი. უბედური შემთხვევის პონტში გაიყვანეს და პარიზიდან მოხიეს. სირაძე კი, ფურცელაძეს „სასტავისთვის“ თვალის სადევნებლად ადგილზე დარჩა... — ბიბილურმა ენით დაისველა გამშრალი ტუჩები და განაგრძო: — მალე პარიზიდან ამბავი მოვიდა: ფურცელაძის „სასტავს“ „ტავარი“ ზარანდიას კუბოთი მოაქვსო. ქარუმამ და მესხმა არ დაიჯერეს. მაგრამ სირაძე მაინც იმავეს ამტკიცებდა. ამასთან ერთად, ზუსტად იტყობინებოდა, თუ როდის ჩამოვიდოდა კუბო საქართველოში. ფურცელაძის ბათუმში გამგზავრებამ მართლა დააჯერა ქარუმა. იცი, რა გააკეთა იმ ახვარმა? ოჯახის წევრებს არ გააგებინა კუბოს საქართველოში ჩამოტანის თარიღი და თვითონ მოხია ბათუმში. უკვე „იასნი“ იყო, რომ „ტავარი“ მართლა კუბოთი მოდიოდა და ფურცელაძეს მისი გზაში ამოღება უნდოდა. ზარანდიას ოჯახის წევრები კი ამაში ხელს შეუშლიდნენ. როგორც კი ეს „გავაიასნეთ“, ქარუმამ თავისი კილერები ბათუმში გაუშვა... დანარჩენი ისედაც გასაგებია... ქარუმას ხალხმა ფურცელაძის „სასტავი“ დაბრიდა და მთელი პარტია დაითრია...

— იქ მარტო პანკისელები იყვნენ?

— სად იქ?

— ფურცელაძის ხალხზე თავდასხმის დროს, — დააზუსტა ნიკამ.

— ჰო...

— მესხიც იქ იყო?

— არა, — თავი გააქნია ბიბილურმა.

— საიდან იცი?

ბიბილური დიდხანს დუმდა. შემდეგ კი ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

— იმ ღამით მე, ქარუმა და მესხი ქარელთან ერთად დავხვდით „ტავარს“... მურტალი საქმეა... ბინძური... მერაბსა და ქარუმას ხელის გასვრა არ უნდოდათ და კუბო მე გამახსნევინეს...

— პანკისელები?

— მათ თავიანთი საქმე გააკეთეს. მანქანა მოიყვანეს. შემდეგ სხვა მანქანაში გადასხდნენ და ეგრეევე მოხიეს, — უპასუხა ბიბილურმა.

— შეგიძლია მათი აღწერა? — განაგრძო ნიკამ.

— არა... არ გატყუებ. აქამდე შევტოპე და მათი აღწერაც არ მაშინებს. მაგრამ არ შემიძლია. ღამე იყო, ბნელოდა. მე მანქანაში ვიჯექი. ისინი მოვიდნენ. მერაბმა და ქარუმამ მანქანაში დარჩენა მიბრძანეს. თვითონ გადავიდნენ, რამდენიმე წუთი ილაპარაკეს. შემდეგ პანკისელებმა მანქანაში დატოვეს იარაღი და მოხიეს... მართლა ვერ აღვწერ...

— გვამი და მანქანა ვინ დაწვა?

— მე... — ამოიოხრა ბიბილურმა. — „ტავარი“ რომ ამოვიღეთ, მერაბმა მანქანის დაწვა მიბრძანა.

— ნარკოტიკი სად წაიღეთ?

— წამალი ქარუმამ წაიღო. მერე კი ფურცელაძის ბარიგებს ჩამოუარა. ზოგი სიტყვით შეირიგა, ზოგი შეაშინა და „ტავარი“ „აბაროტში“ გაუშვა.

ნიკა რამდენიმე წამით ჩაფიქრდა და შემდეგ ჰკითხა:

— ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ ვინ დაადასტურებს შენს ნაამბობს?

— ვერავინ... ერთ კაცს შეუძლია, მაგრამ არა მგონია, რომ ამდენზე გაქაჩო...

— ვის გულისხმობ?

— მერაბ მესხს.

— სირაძეზე რას იტყვი?.. სად შეიძლება მისი ნახვა? — ჰკითხა ნიკამ.

— არა მგონია, მისი ნახვა შეძლო, — თავი გააქნია ბიბილურმა.

— რატომ?

— სირაძის კი არა, მგონი, ჩემს ჩვენებასაც ვერაფერში გამოიყენებ... ქარუმა და მესხი ყოველთვის სუფთად მუშაობდნენ. სირაძემ ვერ გაქაჩა. პარიზიდან ერთი კვირის დაბრუნებული იყო, როდესაც უკვალოდ გაქრა... ასეთი რამ ხშირად ხდება: გავიდა კაცი სახლიდან და აღარ დაბრუნდა... მეც იგივე მომელის, — ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა ბიბილურმა და თვალები დახუჭა...

დასასრული შემდეგ ნომერში

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

დასაწყისი იხ. გვ. 14

— ყავას დალევ? — ვკითხე და თვალი ავარიდე მის დაჟინებულ მზერას.

— კი, დავლევ, — მიპასუხა მრავლისმთქმელი ტონით და იქვე, მაგიდასთან დაჯდა. — შენ ის მითხარი, რა დაგემართა? — მკითხა და ტუჩები სასაცილოდ მოპრუწა. აქაოდა, ვერაფერს გამომაპარებო.

— აქ რა ხდება? ცუდად ხარ? ცოტა უნდა დაგელია... — ღიმილით წამოგვადგა თავზე ზურა, ეს რამდენიმე ფრაზა მოგვიგდო და საპირფარეშოში შევიდა. იქიდან გამოსული პირდაპირ ირაკლისკენ წავიდა, ჩვენთვის ყურადღება აღარ მოუქცევია.

— ვითომ იმის ბრალი იყო, რომ ბევრი დალიე? — ისევ მომიბრუნდა ნინო.

— ჰო, ალბათ, — ისევ ავარიდე თვალი.

— ნააატააალიიი... ეს ის არის, რასაც მე ვფიქრობ?

— ჰო, — თავი დავუქნიე.

— აუუუ, რა მაგარიაა... — ტაში შემოჰკრა სიხარულით. — ზურამ იცის?

— არა, ჯერ არ ვაპირებ თქმას. ხომ არ ეტყვი? სულ 2 კვირით შემინახე საიდუმლო.

— შენ როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი, — მიპასუხა და თვალი ჩამიკრა.

ზურა და ირაკლი დილის 7 საათზე მორჩნენ ქეიფს. ორივე ისეთი მთვრალი იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა. ჩემს დიდ საწოლზე ერთად დავაწვინეთ, მე და ნინომ კი სუფრა ავალაგეთ და დივანზე მოვთავსდით. დღის 4 საათი იყო, როცა ირაკლის ხმამ გაგვაღვიძა. ბურტყუნ-ბურტყუნით დადიოდა, რა დრო გასულაო, — ამბობდა. წამოვიშალეთ. ძლივს გამოვფიზიზლდი. თვალების ფშვნეტით ავდექი და საერთო სალამი ვთქვი. ზურა უკვე სამზარეულოში ფუსფუსებდა და მაცივრის კარს ახმაურებდა. დანარჩენებმა მისი მიპატიჟება არ მივიღეთ და მარტომ ისადილა (თუ ისაუზმა). მერე ნინო და ირაკლი წავიდნენ, მე და ზურა კი, როგორც იქნა, მარტო დავრჩით.

— ნატალი, ამ საღამოს ჩემს მეგობართან ვარ მიწვეული. მინდა, რომ შენც წამოხვიდე. რას იტყვი?

— ვიცნობ?

— არა, ჯერ არა.

— აბა, მაშ, როგორ წამოვიდე? რას ეტყვი, ვინ არის ეს ქალიო?

— შენ მაგაზე ნუ იდარდებ, ეგ საქმე მე მომანდე.

— შენ თუ ფიქრობ, რომ უნდა წამოვიდე, მაშინ წამოვალ...

ძალზე ლამაზ და კარგ ოჯახში ვიყავით სტუმრად. იქ ცოლ-ქმარი და 2 ბავშვი დაგვხვდა. ცოლ-ქმრის ურთიერთობას რომ ვუყურებდი, ძალზე მომწონდა. ეტყობოდათ, რომ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ჩემს წარდგენაზე ბევრი არ უწვალია ზურას. — გაიცანით, ეს არის ნატალიო, — თქვა და მორჩა. უკან რომ ვბრუნდებოდით, დაინტერესდა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე მასპინძლებმა. რასაც ვფიქრობდი, გულახდილად ვუთხარი. კარგა ხანს ჩუმად იყო.

— მთელი ცხოვრება ასეთ თბილ და ტკბილ ოჯახზე ვოცნებობდი, — დაარღვია სიჩუმე ბოლოს. ხმა არ გავეცი. — შენ ხარ ის ადამიანი, ვინც შეძლებს, ოცნება ამიხდინოს, — გააგრძელა ცოტა ხნის შემდეგ.

— ზურა, მე აუცილებლად უნდა წავიდე სონასთან.

— ვიცი, ნატ, წადი... ისიც ვიცი, რომ აუცილებლად დაბრუნდები. ჩემთან დაბრუნდები და ჩვენი ცხოვრების გზები მერე საბოლოოდ შეიყრება. ვიცი, რომ ძალზე ჯიუტი ხარ. ჩემთან ურთიერთობისას კი ამას არ ამჟღავნებ. რატომ? რატომ არ მეჯიუტები? — შეცვალა საუბრის თემა.

— იმიტომ, რომ მიყვარხარ და მინდა, ყველაფერი ისე იყოს, როგორც შენ იტყვი.

— რატომ არაფერს მთხოვ? ხომ იცი, რომ ბევრი რამ შემიძლია?

— რა უნდა გთხოვო ისეთი, რასაც თვითონ ვერ გავუკეთებ საკუთარ თავს?

— საიდან გაქვს ის თანხა, რითიც ამერიკაში აპირებ წასვლას? — მკითხა და თან, თავზე ხელი გადამისვა.

— საჭეს მიხედე, ორ საქმეს ერთდროულად ვერ გააკეთებ... — მოვიშორე მისი ხელი. — ფული სონამ გამომიგზავნა.

— გასაგებია, — თქვა და სახლამდე ხმა აღარ ამოუღია.

— ამაღამ ჩემთან დარჩები? — მის გაოცებულ სახეს რომ შევხედე, მივხვდი, ეს არ უნდა მეკითხა.

— უკვე გადამეჩვიე, არა? რა თქმა უნდა, დავრჩები და საერთოდ, არსადაც აღარ წავალ.

ის იყო, მანქანიდან გადმოვედი, სადარბაზოში შევდიოდი, რომ დამიძახა: მოიცადე, მობრუნდიო. — ისევ მანქანაში ჩამსვა და ეზოდან სწრაფად გავიდა.

— სად მივდივართ? — ვკითხე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. მანქანა საბურთალოზე, ერთი ძველი, ლამაზი კორპუსის ეზოში შეიყვანა და გადავიდა.

— გადმოდი, რაღაც უნდა გაჩვენო, — მითხრა და ამ კორპუსის მესამე სართულზე ამიყვანა. კარი თავისი გასაღებით გააღო და ბინაში შემიღვა. ეს უზარმაზარი სახლი იყო. ოთახებში სამშენებლო მასალები ეყარა. ყველაფერი ცემენტით იყო დასვრილი. აქა-იქ საღებავის კოლოფები ეწყო.

— ეს რა არის? — ვიკითხე გაოცებულმა.

— ეს ის სახლია, სადაც მე და შენ ვიცხოვრებთ.

— კი, მაგრამ როდის შეიძინე? — ვკითხე კიდევ უფრო გაოცებულმა.

— 2 თვის წინ. ახლა ძირფესვიანად ვარემონტებ. შავი სამუშაო უკვე თითქმის დამთავრდა. ახლა ის დროა, როცა კედლების ფერი უნდა შევარჩიო. ამას უკვე შენი გემოვნებით გავაკეთებ. მითხარი — სად, რა, როგორ გინდა და ისე იქნება, როგორც შენ იტყვი.

— კი, მაგრამ ბინას რომ ყიდულობდი, მაშინ რატომ არ მკითხე? იქნებ, უარს გეუბნებოდი ცოლობაზე?

— ნატალი, მე ვიცი, როგორ გიყვარვარ. თუ შენ ჩემთვის უარის თქმას გადაწყვეტ, მაშინ არ გყვარებივარ. სიყვარული ბრმაა. დედას შვილებს დაატოვებინებს. იქ, სადაც გონება წყვეტს საქმეს, სიყვარული არ არსებობს. ამიტომ ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, შენ მაინც თანახმა იქნები ჩემთან ცხოვრებაზე.

— ეს რა არის? — მივუთითე ჭერში გაკეთებულ ოთხკუთხედ ჭრილზე.

— იქ, ზევით, ჩვენი საძინებელია. აქ გაკეთდება კიბე, — მიმითითა იატაკის იმ ადგილზე, სადაც თვითონ იდგა. ზედა სართულზე ასასვლელი აქედან იქნება.

— კი, მაგრამ 2 ადამიანს ამხელა სახლი რაში გვჭირდება? — თავი გავაქნიე მე.

— ორნი ახლა ვართ... იმედია, ერთ ან ორ პატარა ნატალის გააჩენ და მერე, ბევრნი ვიქნებით. ჩემს გოგონას რომ დედამისი გამომატანდეს, მასაც აქ მოვიყვანდი და ერთად გავზრდიდით. ნეტავ, ხათუნა ისეთ კაცზე გათხოვდეს, რომელსაც მისი შვილი არ ენდომება. მაშინ კიდევ უფრო ბევრნი ვიქნებით. ხომ მიიღებ ჩემს გოგონას?

— ნუ სულელობ... დედამისს ჩასჩურჩულე ეგ ამბავი და რა დღეში ჩაგაგდებს, მერე ნახავ. ხათუნა ის გოგო არ არის, რომ კაცის და გათხოვების გულისთვის შვილი დათმოს.

— ჰო, მართალი ხარ, მაგრამ მაინც, ხომ შეიძლება, რომ ასე მოხდეს?

— არა, არ შეიძლება, ზურა... წავიდეთ ახლა, ძალიან დავიღალე. — უცებ დამთანხმდა და კიბეზე ხელგადახვეული ჩამომიყვანა.

იმ ღამით თითქმის არ მეძინა. მთელი ღამე ვფიქრობდი იმ მოვლენებზე, რომლებიც ბოლო 10 დღის მანძილზე მოხდა. ერთადერთი, რაც გარკვეული იყო, ის გახლდათ, რომ მე 2 კვირაში აუცილებლად წავიდოდი ამერიკაში და იქიდან დავბრუნდებოდი... როდის? მაშინ, როცა ზურა ძალიან მომენატრებოდა. რომ ჩამოვალ, მერე? რა იქნება მერე? მზად არ ვიყავი ასეთი ცვლილებებისთვის... ბაჩო რომ გამოჩნდეს, მერე, რა ვქნა? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

მეორე დღეს ბედობა იყო და ზურა მთელი დღე შინიდან არ გასულა. გვერდიდან არ მომშორებია, ერთად ყოფნა დაგვებედებაო... დანარჩენი დღეებიც უცებ გავიდა. ჩემს წასვლამდე 3 დღე რჩებოდა, როდესაც საღამოს ჩემი და მესტუმრა. წინასწარ არ გავუფრთხილებივარ, ისე მოვიდა. ზურა მის დანახვაზე უხერხულად შეიშმუშნა. ქეთინოც დაიბნა. როგორც ჩანს, არ ელოდა, რომ ზურა აქ დახვდებოდა. უხერხულობამ ცოტა ხანს გასტანა. ნახევარი საათის შემდეგ, ზურა და ქეთინო ისე გულითადად საუბრობდნენ და ხუმრობდნენ, რომ გეგონებოდათ, დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. მივხვდი, რომ ერთმანეთი მოეწონათ, რამაც ძალიან გამახარა. ქეთინო მე და ზურამ წავიყვანეთ შინ. მერე, ცოტა ხნით ქალაქში გავისეირნეთ და ბინაში დავბრუნდით. გზაში ზურამ ყვავილები მიყიდა. მანქანის წინა კარი გააღო და თაიგული კალთაზე დამიდო. ძალზე ლამაზი თაიგული იყო. ყვავილებს დავყნოსე თუ არა, მაშინვე გულისრევის შეგრძნება დამეუფლა. ყვავილები უკანა სავარძელზე დავდე, მაგრამ მანქანის სალონში დატრიალებული გეორგინების მწარე სუნი ცხვირში მაინც მიღიტინებდა. ძლივს მივაღწიე სახლამდე და სადარბაზოში შურდულივით შევქანდი. კიბე წამში ავირბინე. ზურა უნიტაზზე წახრილს წამომადგა თავზე.

— რა გჭირს, ნატალი? ხომ არ მოგწამლა რამემ? — ხელით ვანიშნე, რომ გარეთ გასულიყო. ძალიან მომერიდა მის წინ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ყოფნა. გავიდა და კარი მოხურა. თუმცა, მივხვდი, რომ იქვე იდგა, რადგან ნაბიჯების ხმა არ გამიგონია. სააბაზანოდან გამოსულს ზურა კართან დამხვდა. ხელი კედელს მიაბჯინა და გზა გადამიკეტა. მკლავის ქვეშ გავუძვერი და საძინებელში გავედი, რადგან უკვე ღამის 2 საათი გამხდარიყო და ძილის დრო იყო. ზურაც შემომყვა. უცებ ჩავიცვი პიჟამა და საბნის ქვეშ შეეძვერი. ვიცოდი, რომ ახლა ზურასთან ამ საკითხზე საუბარი გარდაუვალი იყო.

— აბა, პატარავ, ახლა მითხარი, რა ხდება შენს თავს? — მკითხა, როდესაც მკლავი თავქვეშ ამომიდო და მიმიხუტა.

— არაფერი.

— როცა არაფერი ხდება, მაშინ ქალებს გული არ ერევათ. ცუდად იმ შემთხვევაში ხდებიან, როცა ან მოიწამლებიან, ან დათვრებიან, ან ნაღველი აწუხებთ, ან...

— ან... რა? — ვკითხე, რადგან ბოლო „ან“-ის მერე დიდი პაუზა გააკეთა...

— ან როცა ორსულად არიან, — დაასრულა ფრაზა. — შენ რომელი „ან“ გჭირს?

— ბოლო, — ისე ჩუმად ვთქვი, რომ ჩემი ხმა თვითონაც ძლივს გავიგონე. ხმა არ ამოუღია. მხოლოდ, უფრო მეტად მიმიკრა გულზე და თავზე მაკოცა. ნეტავ, ახლა თვალები დახუჭული აქვს-მეთქი? — გავიფიქრე. მან ცოტა ხანში საბანი გადამაძრო და მუცელზე დამხედა, რამდენჯერმე მაკოცა, ლოყით მომეხუტა.

— როდინდელი ამბავია? — მკითხა მერე.

— ამ დღეებში ექიმთან მივედი და მან მითხრა, რომ 7 კვირის ორსულობაა.

— მაშ, ბაკურიანამდე მომხდარა ეგ ამბავი... იქ რომ მივდიოდით, იცოდი?

— არა, არ ვიცოდი.

— აბა, როდის გაიგე?

— ხათუნა რომ იყო აქ, მაშინ. იმ დღეს გავიგე.

— იმიტომ იყავი ასე „გზააბნეული“? რას ამბობდი არ გაგეგებოდა... — გამეცინა. — და მე რომ შენთან არ დავბრუნებულიყავი, არ აპირებდი თქმას?

— შენ თუ ჩემთან არ დაბრუნდებოდი, მე ამერიკიდან აღარ ჩამოვიდოდი. რამ გადაგაწყვეტინა დაბრუნება?

— იცი, მე ვიფიქრე, რომ თუ ბაჩო გამოჩნდებოდა, მე ზედმეტი ვიქნებოდი. თავისუფალი არჩევანის საშუალება მოგეცი. მერე დავფიქრდი. მივხვდი, რომ თუ ბაჩო გამოჩნდებოდა, შენ ორივეს დაგვტოვებდი და ცხოვრებას მარტო გაგრძელებდი. მე კი არავისთვის მემეტები და მიმაჩნია, რომ ღმერთმა შენი თავი ჩემთვის იმიტომ გაიმეტა, რომ მე ამას ვიმსახურებ და შენს სიყვარულში ვერანაირი ბაჩო ვერ შემეცილება. ნატა, ახლა გაცილებით მეტად ვარ შენი წასვლის წინააღმდეგი. შენი ასე წანწალი არ შეიძლება. ახლა, 2 ადამიანი ერთად მომენატრებით. იქნებ, მართლა ჯობდა, რომ არაფერი მცოდნოდა შენს ჩამოსვლამდე.

მთელი ღამე საუბარში გავათენეთ. ის მიმტკიცებდა, რომ არ უნდა წავსულიყავი, მე ვუმტკიცებდი, რომ ჩემი წასვლა აუცილებელი იყო. ბოლოს, მაინც ჩემი გავიტანე და დავითანხმე იმ პირობით, რომ მხოლოდ ერთი თვით წავიდოდი. მეორე დღეს ბარგის ჩალაგება დავიწყე. ზურა ვითომ მეხმარებოდა, მაგრამ მხოლოდ ხელს მიშლიდა. მთელი დღე მეგობრებთან ჩამოვლას მოვუნდი. ყველას დავემშვიდობე. გვიან ღამით სახლში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი ჩემს გასაცილებლად. ნინო და ირაკლი, ქეთინო (ოჯახის მთლიანი შემადგენლობით), ზურას მეგობარი, გოჩა, ელენე... ხმაურობდნენ, იცინოდნენ და აეროპორტში წამოსასვლელად ემზადებოდნენ, მაგრამ ზურამ ყველას გამოუცხადა, რომ მხოლოდ მე და ის წავიდოდით. დაუჯერეს. ყველას გამოვემშვიდობე და ზურას მანქანაში ჩავბარგდი.

— ნატა, თავს მიხედე, ნატა, კარგად... — მომძახოდნენ გულშემატკივრები. რამდენიმე წუთის შემდეგ აეროპორტში მიმავალ გზას დავადექით.

— ნატა, ყოველდღე დაგირეკავ. ახლა ინტერნეტით ურთიერთობა უნდა გავიხსენოთ, — მთელი გზა ენას არ აჩერებდა ზურა. მე მხოლოდ თავს ვუქნევდი და ძალიან ვნანობდი, რომ მივდიოდი. ჩემმა ტელეფონმა დარეკა. სონა იყო.

— მომეცი, მე ვუპასუხებ, — გამომგლიჯა ტელეფონი ხელიდან. — ალო... — ჩასძახა მერე. — ჰო, მე ვარ... ხომ მაინც მიგყავს? მაჯობე? სონა, იცოდე, რომ გამიცნობ, მერე აღარ მეტყვი მაგას. კარგი, კარგი, არ გეჩხუბები, უბრალოდ, ვხუმრობ. ახლა აეროპორტში მიმყავს და მალე გამოვუშვებ შენთან. სონა! იცოდე, ჩემს სიცოცხლეს გაბარებ და თვალისჩინივით გაუფრთხილდი. კარგი, — თქვა ბოლოს და ტელეფონი გათიშა.

— რატომ არ დამალაპარაკე?

— რამდენიმე საათში იქ იქნები და მერე რამდენიც გინდა, ელაპარაკე, — მითხრა ზურამ და ხელი მომხვია.

გაფრენამდე ნახევარი საათი რჩებოდა. ერთმანეთს ისეთი თვალებით ვუყურებდით, ღამის მართლა გადავიფიქრე. ჩავეხუტე და გასასვლელში გავედი. თვითმფრინავის სალონში კი იცოცხლე, ავბღავლდი. მერე დავწყნარდი. — ახლა თუ არ წავედი, მერე ბავშვი მეყოლება და სულ ვეღარ მოვახერხებ. დავბრუნდები და სულ ზურასთან ერთად არ ვიქნები? — ვიმშვიდებდი თავს, მაგრამ გული მაინც დამძიმებული მქონდა...

სონას დანახვამ ყველაფერი დამავიწყა. როგორ მომნატრებია ამ 3 წლის განმავლობაში... გვერდით რობა ედგა. ჯერ სონას ჩავეხუტე, მერე რობას მივესალმე და მათი სახლისკენ გავემართეთ. მანქანის ფანჯრიდან ვუყურებდი უზარმაზარ ქალაქს და ინტერესით ვაკვირდებოდი ყველაფერს. სონა კი გაუთავებლად ლაპარაკობდა. ათას რამეს მეკითხებოდა. გაუაზრებლად ვცემდი პასუხს და თვალებდაჭყეტილი ვიყურებოდი აქეთ-იქით. როგორც იქნა, სახლამდე მივაღწიეთ. რობა ჩვენს ქართულ ლაპარაკს ვერ იგებდა და მხოლოდ იღიმებოდა.

— შენ არ გეგონოს, რომ ნატალი სასტუმროში იცხოვრებს. ვიდრე აქ იქნება, ჩვენთან უნდა იყოს, — უთხრა სონამ. რობამ ორივე ხელი ასწია და „ნო პრობლემო“ — გაიძახოდა კარგა ხანს... მე და სონა მთელი დღე, მთელი ღამე ვლაპარაკობდით... სონას პირველს ჩაეძინა. ჩემ გვერდით კნუტივით მოკეცილი იწვა და მშვიდად ფშვინავდა. მე კი ამდენი შთაბეჭდილებით დაღლილს, არ მეძინებოდა. ათას რამეზე ვფიქრობდი და თან, დაძინებას ვცდილობდი. ვფიქრობდი: უკვე ჩემს სონასთან ვარ... აქ ერთი თვე დავრჩები... მერე, ზურასთან დავბრუნდები... და ახალ სახლში ერთად ვიცხოვრებთ მე, ზურა და... ნეტავ, ბავშვს რა უნდა დავარქვათ? თუ ბიჭი იქნება, მინდა, რომ ზურას ჰგავდეს... ისე, სონა ამხელა ქალაქში ცხოვრებას ნეტავ, როგორ ეგუება? რობა მართლაც კარგი ტიპი ყოფილა... როგორი ყურადღებიანია... აშკარად ეტყობა, რომ სონა ძალიან უყვარს. სონა ისეთია, რომ შეუძლებელია, არ გიყვარდეს... ნეტავ, სიყვარულის გაზომვა რომ შეიძლებოდეს, რამხელა იქნებოდა ზურას სიყვარული? ჩემი? ბაჩოსი? ისევ ბაჩო... ბაჩო წარსულს ჩაჰბარდა... ახლა არსებობს მხოლოდ ზურა და ჩვენი შვილი... სონა და სონას შვილი... რობა... ზურას შვილი... ეს ჩემი ოჯახია... ჩემი საყვარელი ადამიანები... მგონი, მომავალი თანდათან გამოიკვეთა...

დასასრული

■

დამადემის დღე, შეცვლილი იმიჯი და ორი ახალი კლიპი ანუ ვისი მრალია ეს ყველათერი

ვინ თქვა, ჩვენში შოუბიზნესი მოკვდაო?!. ვისაც მუშაობის სურვილი აქვს და ამასთანავე, მატერიალური საშუალებაც, — მუშაობს: კლიპს კლიპზე „აცხობს“, ალბომს — ალბომზე უშვებს და რადიოარხებსაც თავის ახალ ნამუშევარს სთავაზობს. თუ ორი კვირის წინ მომღერალმა, ან უკვე ფინანსისტმა თუ ბიზნესმენმა ჯაბა ქარსელაძემ საკუთარი ახალი კლიპის გრანდიოზული პრეზენტაცია მოაწყო, 25 თებერვალს, თამთა გოგუაძემ (თავის დაბადების დღეს დაამთხვია) ახალი ალბომის, 2 ახალი კლიპისა და საერთოდ, საკუთარი კლიპების DVD-ვერსიის პრეზენტაცია გამართა. მოქმედება, რა თქმა უნდა, თბილისში განვითარდა, ამას იმიტომ ვამბობ, რომ მისი წინა კლიპის „დაჭაშნიკება“ შარშან, 20 აგვისტოს მცხეთაში შედგა.

25 თებერვალს „7 ქლაბში“ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. საღამო თათია გიორგობიანმა და ნუგზარ კვაშალმა გახსნეს და მას ბოლომდეც გაუძღვნენ. წარმოგვიდგინეს თამთას ახალი კლიპები: ერთ-ერთის რეჟისორი — ლევან ტორონჯაძე გახლავთ, ნამუშევარი ჭაბუკა ამირანაშვილის სიმღერაზე — „რაც იყო, იყო“ — შეიქმნა; მეორე კლიპი პაატა ჭელიძეს ეკუთვნის, რომელიც ცნობილ ინგლისურ კომპოზიციაზე „ლავ სთორი“ გადაიღეს. სტუმრებმა კლიპების ნახვის შემდეგ აპლოდისმენტები არ დაიშურეს. მომღერლის დაბადების დღის აღსანიშნავად კი, უზარმაზარი, სანთლებიანი ტორტიც გაიჭრა.



— თამთა, გილოცავ დღევანდელ დღეს!

— დიდი მადლობა!

— მახსოვს, რამდენიმე წლის წინაც მქონდა შენს გრანდიოზულ დაბადების დღეზე ყოფნის საშუალება. მაშინაც ახალი კლიპის პრეზენტაცია დაამთხვიე.

— კი, ასე იყო. მაგრამ იმის მერე, 3 წლის მანძილზე არაფერი გამიკეთებია, რადგან გავთხოვდი და ბავშვი გავაჩინე.

— ბოლო პერიოდში ისეთი ნაყოფიერი ხარ, რომ მგონია, ქართულ შოუბიზნესს მხოლოდ შენ აცოცხლებ...

— (*იცინის*) ვცდილობ, საკუთარი თავიც ავამუშაო და გარშემო მყოფებსაც სიამოვნება მივანიჭო. უკვე ჩემი მეხუთე ალბომი გამოვეცი, ხოლო DVD-ში 14 კლიპია შესული, რომლებიც წლების განმავლობაში შეიქმნა.

— თამთა, სიმღერა — „შენი ბრალია“, რომელიც ასევე ჭაბუკა ამირანაშვილს ეკუთვნის და რადიოს ჰიტ-ათეულებში პოპულარობით სარგებლობს, მგონია, შენს პირად განცდებზე შეიქმნა, რადგან ქმარს გაეყარე, ასეა?

— სხვათა შორის, ამას ბევრი მეუბნება, მაგრამ ასე არ არის. ტექსტი მანანა გურგენიძეს ეკუთვნის. როცა მანანამ ეს ტექსტი დაწერა, ახალი გარდაცვლილი ჰყავდა მეუღლე... ცოტა მძიმე ტექსტი კია, მაგრამ დუდუკებს მოუხდა... არ ვფიქრობ იმაზე, ვინ რას იტყვის. მე მომწონს. საერთოდ, ჩემი სტილი არ არის, ვიღაცას სიმღერით ვუთხრა სათქმელი, თუ რაიმე მინდა, პირადად ვეტყვი. „შენი ბრალია“ მსმენელს მივუძღვენი — მსმენელს, ვისი „ბრალიც“ მართლაც არის ის, რომ მე დღესაც სცენაზე ვარ. ვისზეც მეკითხები, ღირსი რომ ყოფილიყო, მისთვის სიმღერა მიმეძღვნა, დღეს მასთან ერთად ვიქნებოდი.

— რა მოგიტანა ამ სიმღერამ?

— წარმატება. ეთერში გასვლიდანვე, ჰიტი გახდა. მადლიერი ვარ ჩემი ვოკალის პედაგოგის, მაკა დავითაიასი, ხოლო სიმღერის არანჟირება გიგა კუხიანიძემ გაუკეთა. „შენი ბრალია“ იმიტომ გაჰიტდა, რომ ცხოვრებისეული ტექსტია: ალბათ, არ არსებობს ადამიანი, ვისაც საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული განცდა არ ჰქონია. ამიტომ, ვინც მას ისმენს, საკუთარი წარსული უდგება თვალწინ.

— სამწლიანი პაუზის შემდეგ, ასეთი ენერგიით დაუბრუნდი სცენას. პაუზამ მოგცა ეს ენერგია?

— შეიძლება ითქვას, უეცრად მომინდა მუშაობა, სიმღერების ჩაწერა, კლიპების გადაღება. ვოკალის პედაგოგთან მივედი, სერიოზული მუშაობა დავიწყე.

— ახლა რა ეტაპია შენს შემოქმედებაში და მანამდე რა ერქვა იმას, რასაც აკეთებდი?

— თავიდან ხალხმა, რუსა მორჩილაძის სიმღერით — „ერთი პატარა ამბავი“ — გამიცნო. მერე იყო ჭაბუკა ამირანაშვილის „ლექსი მითქვია“. ბოლოს, რაც სიმღერამ — „შენი ბრალია“ — გააკეთა, ასეთი ჯერ არ ყოფილა. ჩემს შემოქმედებაში ჯერჯერობით სამი საეტაპო სიმღერის დასახელება შემიძლია.

— დღევანდელი შენი საქმიანობით კმაყოფილი ხარ?

— კი. უფრო ჩამოვყალიბდი. ადრეულ წლებში, თითქოს ბავშვი ვიყავი, პრეტენზიები არ მქონდა. ახლა გამიჩნდა, რომ კარგად ვიმღერო.

— გიყურებ და ვხედავ, რომ იმიჯიც შეცვლილი გაქვს.

— კი, თმაც გავიზარდე, ფერი და ვარცხნილობაც შევიცვალე. ხომ ვამბობ — ყველანაირად გავიზარდე... ისე, მომავალ წელს, 25

თებერვალს უფრო საინტერესოდ აღვნიშნავ, რადგან „ოქროს დაბადების დღეც“ მექნება.

მიშა გასიტაშვილი, *თამთას იმიჯმეიკერი*:

— თამთა, იმისგან განსხვავებით, რაც იყო, რადიკალურად შეცვლილია. აქ ვგულისხმობ მის ვოკალსაც და გარეგნობასაც. უფრო თავდაჯერებული ქალია. მე რომ მკითხოთ, შემდეგ ეტაპზე, ვურჩევდი, ძალები როკშიც მოსინჯოს, ახალი რეპერტუარის შექმნისას, ამ ჟანრსაც მიმართოს... კლიპებიც უფრო აქტიური და ცოცხალი გადაუღონ.

— თამთა, თავად რას იტყვი შენი იმიჯმეიკერის რჩევებზე?

— ისე, ცუდი არ იქნება, რომ სხვადასხვა ჟანრში მოვსინჯო ძალები. ამ ახალ ალბომში შესულია: ლაზური სიმღერა, ინგლისური, ქართული ნამუშევრები, რომლებიც აქამდე მიმღერია, თუმცა, სიახლეები მაინც წინ არის.

— ვინ არის ადამიანი, რომელიც შენი იდეების მატერიალურად ხორცშესხმაში გეხმარება?

— პროექტების განხორციელებაში ჩემი ოჯახი, კონკრეტულად კი, მამა მეხმარება. სულ მხარში მიდგას.

— ის შენი პროდიუსერია?

— ასე გამოდის. თუმცა, ის არის ჩვეულებრივი ქართველი მამა, რომელიც შვილს ახარებს ხოლმე, სურვილებს უსრულებს.

— სულ ბოლოს, რას იტყვი დღევანდელ ქართულ შოუბიზნესზე?

— ის მიძინებულია, თუმცა, ვისაც უნდა, აღვიძებს. ჩემთვის შოუბიზნესი მკვდარი და მძინარე არასდროს ყოფილა. როგორც შემეძლო, ვმუშაობდი და ახლაც ვმუშაობ. მე ვერაფერს დაველოდები. როცა მინდა, ვმღერი. შენს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს. ეს შენ უნდა შეძლო და მეც ამიტომ არ ვჩერდები. ■

„ძირს მეფე!“ – ირაკლი ჩარკვიანის ახალი ალბომი აეფორის წლისთავზე ქეთათომ წარმოადგინა

მისი ცხოვრება საინტერესო შემოქმედებით ეტაპზე შეწყდა. თუმცა, სათქმელი მკაფიოდ და გარკვევით, წლების წინ თქვა. პოეზია, მწერლობა, მუსიკა, სიმღერა — ის სფეროებია, რომლებშიც ირაკლი ჩარკვიანი — იგივე მეფე — თავს ლაღად გრძნობდა... გასული წლის 24 თებერვალს ის უეცრად გარდაიცვალა. ეს დღე, შეიძლება ითქვას — წლისთავი მისმა მეუღლემ ლამაზი ღონისძიებით აღნიშნა: მან ირაკლის უამრავი თაყვანისმცემელი, მეგობარი შეკრიბა „თი-ბი-სი ბანკის“ შენობაში, სადაც ღონისძიებას თავადვე გაუძღვა...

დარბაზში, კედლებზე ფოტოგრაფების — ზურაბ კუპრაძისა და გურამ წიბახაშვილის ფოტოები იყო გამოფენილი, რომლებზეც ირაკლი ხან მარტო, ხანაც, ქეთათოსთან ერთად იყო აღბეჭდილი. ულერდა მეფის სიმღერები.

ხალხიც ნელ-ნელა შეიკრიბა. შემდეგ, სცენაზე ასულმა ქეთათომ საზოგადოებას აუწყა, რომ ყველანი მეფის ახალი ალბომის — „ძირს მეფე!“ — პრეზენტაციაზე იყვნენ მიწვეულები, რომელშიც 12 სიმღერა შევიდა, აქედან 7 — სრულიად ახალი, რომელსაც მსმენელი ჯერ არ იცნობს, რადგან ირაკლიმ მისი ჩაწერა სიცოცხლეში ვერ მოასწრო... შემდგომ გვიჩვენეს გიორგი ებრალიძის მიერ ირაკლისთვის გადაღებული პირველი კლიპი — „ხის მაიმუნი“. ამას მის ცნობილ სიმღერაზე — „შენ აფრენ“ გადაღებული ვიდეორგოლიც მოჰყვა. ქეთათომ იმ დღეს მეფის სპეციალური სიგელებით ის ადამიანები დააჯილდოვა, ვისაც ირაკლის შემოქმედებით ცხოვრებაში სერიოზული როლი ეკუთვნის: კოტე ყუბანეიშვილი, მამუკა ღლონტი, გურამ წიბახაშვილი, სტუდია „ქართული ჩანაწერები“... სულ 7 სამახსოვრო ჯილდო გადასცა. სცენაზე ასულმა კოტე ყუბანეიშვილმა, რომელმაც თავის დროზე, ირაკლისთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა რეაქტიულ პოეზიას, წარსული და ირაკლისთან გატარებული წლები გაიხსენა.



მამუკა ღლონტი

მამუკა ღლონტი:

— ირაკლი მართალი კაცი იყო. მთელი თავისი ცხოვრებით სიმართლეს ემსახურებოდა — ანუ იმას, რისიც სჯეროდა. მისი შემოქმედება უკვდავია. ძალიან ბევრ ადამიანს არ ჰბეზრდება მისი ნამუშევრების მოსმენა. ის ღმერთისგან ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ.

— თქვენ ერთად არაერთი პროექტი განგიხორციელებიათ. როგორი თანამშრომელი იყო?

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ის კარგ პროდიუსერად მიმიჩნევდა. არასდროს მეწინააღმდეგებოდა, ყოველთვის იზიარებდა ჩემს აზრს. ჩვენ შორის მცირე კამათიც კი არ ყოფილა...

ზაზა ხუციშვილი:

— დღეს ალბათ, ყველაზე კარგი ის იქნებოდა, რომ საზოგადოებისთვის თავისი ნამუშევარი, ახალი ალბომი თვითონ წარედგინა, მაგრამ სამწუხაროდ, ის ჩვენ გვერდით აღარ არის. მიმაჩნია, რომ ქართულ ესტრადას მისი სახით, გამორჩეული კაცი დააკლდა. მან მიაღწია იმას, რომ თავისი სახასიათო სახე და ხელწერა შეექმნა და დაეტოვებინა. სწორედ ეს არის მასში დასაფასებელი. მისი ყოველი გამოსვლა საზოგადოების წინაშე, სავსე იყო არტისტიზმით, ყოველთვის ლაღად და თავისუფლად ლაპარაკობდა. მის საუბარს სიამოვნებით ვუსმენდი, ყოველთვის და ყველგან. რომ ყოფილიყო პროფესიით მოქანდაკე, მხატვარი, მსახიობი, ისეთივე წარმატებული იქნებოდა, როგორიც მუსიკოსი იყო... ■

ყველაზე სწრაფი სედანი

კალიფორნიულმა კომპანიამ — Currency Motors — სედან BMW M5-ის ახალი ვერსია წარმოადგინა. ავტომობილის ძრავის სიმძლავრე სტანდარტული 507 ცხ.ძ-ს ნაცვლად, 810 ცხ. ძალამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მანქანის სალონში საჭესა და სავარძლებს ნიანგის მუქი ტყავი აქვს გადაკრული. ეს მასალა Bugatti-ს სპორტულ ავტომობილებზე გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოიყენებოდა. Currency Motors-ის მიერ შექმნილი BMW M5-ის მაქსიმალური სიჩქარე 385 კმ/სთ-ია. სიახლის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ იგი მსოფლიოში ყველაზე მძლავრი და სწრაფი სედანია. მისი ღირებულება 350 ათასი დოლარია. სულ კომპანიას 10 ასეთი ავტომობილის გამოშვება აქვს დაგეგმილი. ყველა აშშ-ში გაიყიდება.

Kia-ს კონცეპტუალური კაბრიოლეტი

კორეულმა კომპანია Kia-მ ახალი კონცეპტუალური კაბრიოლეტის — Ex-cee'd — ფოტოები გამოაქვეყნა. იგი ჟენევის ავტოშოუზე იქნება წარმოდგენილი, რომელიც ცოტა ხანში გაიმართება. კაბრიოლეტის შექმნის საფუძვლად იქცა სპეციალურად ევროპული ბაზრისთვის შემუშავებული Kia Cee'd-ის Golf-კლასის ავტომობილი, რომელსაც კომპანია სლოვაკიაში მდებარე ქარხანაში აწყობს. გარეგნულად მანქანაზე კორეული კონცერნის ახალი შეფდიზაინერი, პეტერ შრეიერი მუშაობდა. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ Ex-cee'd იმ სადიზაინერო სიახლეებს აერთიანებს, რომლებიც მომავალში სერიული მოდელების წარმოებისას დაინერგება. შრეიერის თქმით, კაბრიოლეტებს ძირითადად, რომანტიკული მოგზაურობის მოყვარულები ყიდულობენ. ამიტომ მან ახალ მანქანას, ლითონისგან დამზადებული დასაკეცი სახურავის ნაცვლად, ტყავის სახურავი გაუკეთა. დიზაინერი დარწმუნებულია, რომ მომავალში ტყავისსახურავიანი კაბრიოლეტები კიდევ უფრო პოპულარული გახდება. კონცეპტ Ex-cee'd-ის გარდა, „კია“ ჟენევაში Cee'd-ის ოჯახის უნივერსალსაც წარმოადგენს, რომელიც სერიულად გამოვა. აგრეთვე მოსალოდნელია Kia Rio-ს დებიუტი ჰიბრიდული აგრეგატით, რომელიც ბენზინის 1,4 ლ მოცულობის მოტორსა და 160 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ელექტროძრავას გააერთიანებს. ■

Vauxhall-ის სპორტული სედანი



კონცერნ General Motors-ის ბრიტანული ქვედანაყოფი — მარკა Vauxhall მიმდინარე წლის ივლისიდან სპორტული სედანის გაყიდვას აპირებს, რომელიც ავსტრალიაში გამოშვებული მოდელის — Holden HSV Clubsport R8-ის ბაზაზეა აწყობილი. მისგან Vauxhall VXR8 მხოლოდ ძარათი და მასზე გაკეთებული ემბლემით იქნება განსხვავებული. თუმცა, სიახლესაც ექვსლიტრიანი, 420 ცხ.ძ. სიმძლავრის, V8 ტიპის ძრავა ექნება. მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე მძლავრი სედანი 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,9 წმ-ში განავითარებს, რაც მხოლოდ 0,2 წმ-ით მეტია, ვიდრე ამას 500 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე BMW M5 ანდომებს. ავტომატურ გადაცემათა კოლოფით აღჭურვილი მანქანა, რომელსაც VXR8-ის მომხმარებელს დამატებითი თანხის გადახდის შემთხვევაში შესთავაზებენ, 100 კმ/სთ-ს 5,4 წმ-ში განავითარებს. როგორც კონსტრუქტორები აცხადებენ, 100 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი VXR8 უფრო სწრაფად ჩერდება, ვიდრე BMW M5 ან Lamborghini Gallardo. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ავსტრალიაში დამზადებული ახალი მოდელისთვის გათვალისწინებულია თანამგზავრული ნავიგაცია და ბორბლების მოდური — 20-დუიმიანი დისკები. ■

მოამზადა ალექსი
რეხვიაშვილმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(22 – 28 თებერვალი)

ვერძი 21.03-20.04

ამ კვირას მთელი თქვენი ყურადღება ინტიმური ურთიერთობებისკენ იქნება მიმართული, ძალზე მგრძნობიარე გახდებით. თანაგრძნობის უნარი, კეთილგანწყობილება და მიმზიდველობა ახალი სასიყვარულო და საქმიანი კავშირების დამყარებაში დაგეხმარებათ.

კრავი 21.04-20.05

ერთნაირად კეთილგანწყობილი იქნებით ყველა ადამიანის მიმართ, მისი ხასიათისა თუ მონაცემების მიუხედავად, გაგიჩნდებათ სურვილი, გაჭირვებულებს დაეხმაროთ. ამ დღეებში ახალი საქმეების წამოწყება არ ღირს. უმჯობესია, ბუნების წიაღში დაისვენოთ.

ტყუპი 21.05-21.06

ამ დღეებში თქვენ გარშემო უამრავი თაყვანისმცემელი მოიყრის თავს. შეიძლება, ზოგიერთი ძველი მეგობარი სასიყვარულო პარტნიორადაც იქცეს. უქმე დღეები აქტიურ დასვენებას დაუთმეთ, მაგრამ თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს.

კიბო 22.06-22.07

თქვენ დაინტერესდებით რელიგიითა და ფილოსოფიით, შორეული ქვეყნებითა და მივიწყებული ცივილიზაციებით. დიდ სიხარულს მოგგვრით ყველა ის ჯილდო თუ საჩუქარი, რომელსაც საჯაროდ გადმოგცემენ. ეს კვირა უდავოდ წარმატებული იქნება.

ლომი 23.07-23.08

მართალია, საფრთხე მაგნიტივით მიგიზიდავთ, მაგრამ შეეცადეთ, გვერდი აუაროთ სახიფათო ადგილებს. თავი შეიკავეთ მგზავრობისგან, განსაკუთრებით არასასურველია თვითმფრინავით მგზავრობა. აგრეთვე, ნუ გამოიტანთ ბანკიდან კრედიტს და ნუ ჩაებმებით ფინანსურ ოპერაციებში.

ქალწული 24.08-23.09

შეეცდებით, კავშირი დაამყაროთ საინტერესო და უჩვეულო ადამიანებთან. შეიძლება, მონაწილეობა მიიღოთ პრეზენტაციებში, სარეკლამო აქციებსა და საქმიან შეხვედრებში. თქვენი ენთუზიაზმით ადვილად შეძლებთ ადამიანების შთაგონებას და მათ ჩართვას საერთო საქმეში.

სასწორი 24.09-23.10

მოულოდნელ დაბრკოლებებს წააწყდებით, რის გამოც, საჭიროა დიდი ყურადღებით მოეკიდოთ თქვენს ჯანმრთელობას, აგრეთვე პირნათლად შეასრულოთ თქვენი სამსახურებრივი ვალდებულება. ამ კვირას იყავით დამთმობი, ნუ ჩაერევით სხვის საქმეებში.

მორიელი 24.10-22.11

ბევრ დროს დაუთმობთ თქვენს გარეგნობასა და ჩაცმულობას, შეეცდებით არც ერთი წვრილმანი არ გამოგეპაროთ, მაგრამ გირჩევთ, მნიშვნელოვანი ნივთების შეძენა მომავლისთვის გადადოთ, რადგან მათ შეიძლება, ხარვეზები აღმოაჩნდეთ.

მშვილდოსანი 23.11-21.12

ამ კვირას მეტწილად საოჯახო საქმეებითა და ოჯახის წევრებთან ურთიერთობების გარკვევით დაკავდებით, რაც თქვენი ემოციურობით იქნება გამოწვეული. შეეცადეთ, დიდსულოვნება გამოიჩინოთ და ახლობლებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ.

თხის რქა 22.12-20.01

ამ დღეებში ძალზე აქტიური და კომუნიკაბელური იქნებით. ამიტომაც, თქვენ ირგვლივ მყოფებს მოწყენის საშუალებას არ მისცემთ. დაიმახსოვრეთ, ბოლომდე ნუ დაიხარჯებით, თორემ მომავალ კვირას, „გამოწურულ ლიმონს“ დაემსგავსებით.

მერწყული 21.01-19.02

თქვენი ქცევა ახლობლებს ძალზე წინააღმდეგობრივი და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული მოეჩვენებათ. თუ რაიმე შემოქმედებითი საქმიანობით ხართ დაკავებული, ეს პერიოდი ძალზე ნაყოფიერი იქნება. პრობლემებს შეგიქმნით მხოლოდ თქვენი არამდგრადი ემოციური ხასიათი.

თევზები 20.02-20.03

ამ დღეებში თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებული იქნება თქვენს განწყობილებაზე. მრავალი ახალი იდეა გაგიჩნდებათ, თუმცა, მათი განხორციელება სასურველია რამდენიმე კვირით გადადოთ. დაღლილობას ყველაზე უკეთ მუსიკისა და მხატვრული ნაწარმოებების დახმარებით გაუმკლავდებით.

მალე! მარტის ნომერი



თქვენ ხელ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ამ კვირაში საკმაოდ სასიამოვნო ამბავი შევიტყვე. დაახლოებით 2 კვირის წინ ვინმე ზურამ დამირეკა და მითხრა: 35 წლის ვარ, ცოლს გაცილებული, ერთი შვილი მყავს და ოჯახის შექმნა მინდაო. მერე, ერთი ქალბატონის ნომერი გამომართვა. რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ შემეხმიანა და მადლობა გადამიხადა — მშვენიერი ქალბატონი გავიცანი და მალე ოჯახის შექმნასაც ვაპირებთო... სამშაბათს საღამოს კი, დაახლოებით პირველი საათი იქნებოდა, როცა მან კიდევ ერთხელ დამირეკა, თავი შემახსენა, გაღვიძებისთვის ბოდიში მომიხადა და მითხრა: საიმისო მიზეზი მაქვს, რომ შეგაწუხოთ, მე და ჩემი მეუღლე ახლა თქვენს სადღეგრძელოს ვსვამთო. მათ ეს ამბავი მივულოცე და ახალდაქორწინებულები შემპირდნენ — ჩვენს ქორწილშიც დაგპატიჟებთ და ინტერვიუსაც მოგცემთო. მოკლედ, ამ წყვილის ამბავს უახლოეს მომავალში შეიტყობთ. მე კი ჩემი და ყველა მესიჯომანის სახელით მათ ბედნიერებას, ულევ სიხარულსა და სიყვარულს ვუსურვებ.

იმისათვის, რომ „მესიჯომანიაში“ თქვენი მესიჯი მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA, გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოაგზავნოთ.

qalebi

1. ვარ 21 წლის ქართველი გოგონა. მიყვარს საქართველო და ქართული ტრადიციები. მაინტერესებს, კიდევ არსებობენ თუ არა ქართველი ვაჟკაცები. ასეთს სიამოვნებით გავიცნობდი. „თოჯინა“.

2. მარი, „პრივეტ“, როგორ ხარ? მეექვსე ნომერში, 122-ე მესიჯის ავტორის, ფოთელი ბიჭის ნომერი მომეცი, გთხოვ. გიო ჰქვია. ნანა.

3. ვარ ძალიან ლამაზი და ნიჭიერი გოგონა. მიყვარს სერიოზული ბიჭები. მე მქვია მაკა და ვარ 19 წლის. სერიოზულო ბიჭებო, დამიმესიჯეთ: 8.55.27.04.71.

4. მარი, პირველად გიმესიჯებ. გთხოვ, დამიბეჭდო. ვარ გასათხოვარი, ქერა, მაღალი, ცისფერთვალება გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე თბილისელ, სიმპათიურ, განათლებულ მამაკაცს.

5. ვნახოთ, იქნებ, მეც გამიღიმოს ბედმა. საკმაოდ კარგი გარეგნობის ვარ, 172 სმ სიმაღლის, 29 წლის. კაცები ბუზებივით მეხვევიან, მაგრამ მეგობარი მინდა. გოგონა მყავს და ქმარს არ ვეძებ.

6. „სტიქიას“ გაცნობა ძალიან მინდა. ეჰ, იმედიც არ მაქვს, რომ გამომეხმაურება. „სტიქია“, გაიხარე! კაკუ.

7. მარიიიი, მაპოვნინე, რა „ცისფერი“ ბიჭი, გეხვეწებიიიი! ჰო, მართლა, 55-ე მესიჯის ავტორო, „ცისფერი“ ხარ? თუ ჰო, ძალიან გამიხარდება, თუ არა და — კარგად იყავი....

8. ვარ მხიარული და ზედმეტად კეთილი გოგო. სადაქალოდ გავიცნობდი კარგ გოგოს. მ-16-ტ.

9. ვარ 31 წლის, მყავს წლინახევრის ულამაზესი გოგონა. ქმართან გაყრილი ვარ. გახლავართ კარგი მეოჯახე და გარეგნულად სიმპათიური. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს, 35 წელს ზევით.

10. ვარ 43 წლის, სიმპათიური, საკმაოდ მომხიბვლელი პატიოსანი ქალი. სამეგობროდ გავიცნობ 48 წლამდე ასაკის სიმპათიურ მამაკაცს. ჩემი ნომერი მარისთანაა. ზიკი.

11. გავიცნობ 16-17 წლის ბიჭს, სამეგობროდ. მარი, გამომიქვეყნე. ნომრისთვის მიმართეთ მარის. თათულა. ჯიგარი გოგო გელით.

12. 25/176, ყველაფრით უზრუნველყოფილ, ხალისიან და საინტერესო გოგონას ახალი მეგობარი სჭირდება! 26-30 წლამდე ასაკის, მაღალი კაცი და არა, ქალაჩუნა. საკუთარი ცხოვრების მქონე და არა ქალის იმედად დარჩენილი. რომანტიკული და მოაზროვნე. რაც მთავარია, მეტიჩარა ლილიპუტები ნუ შეწუხდებით. „ემილი“.

13. ვარ ცისფერთვალება, ქერა, 17 წლის გოგონა. SMS-მეგობრობის მიზნით გავიცნობდი 17-25 წლის მამაკაცს. დამიმესიჯეთ. ნომერი მარის ექნება. მადლობა, მარი.

14. ვარ 31 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სერიოზულ, 31-40 წლის მამაკაცს. ლომი-31.

15. ვარ 30 წლის გოგო. გავიცნობ ვინმეს SMS-მეგობრობის მიზნით. მადამ ჩეჩენი.

16. ვარ ლამაზი გოგო. მაქვს კვახის ფორმის თავი და ვეძებ ბიჭს, რომელსაც საზამთროს ფორმის თავი ექნება. თამუნა.

17. ვეძებ განათლებულ და შეძლებულ სასიძოს. მყავს ექიმი და, 30 წლის. ორ კვირაში მოსკოვიდან ჩამოვა. გამომეხმაუროს მატერიალურად უზრუნველყოფილი სასიძო. „გიშერა“.

18. SMS — 38, „გზა“ — 8. გამომეხმაურე! ნომერი არ გამოაქვეყნოთ! მიეცით მხოლოდ ამ კაცს! გმადლობთ!

19. გამარჯობა, მარი. ვარ 178 სმ სიმაღლის, საკმაოდ სიმპათიური გოგო და ვეხმაურები მე-8 მესიჯის ავტორს, 26 წლის, 190 სმ სიმაღლის ბიჭს. მარი, გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი.

20. გამარჯობა, მარი. მე-7 მესიჯის ავტორის, 28 წლის დათოს ნომერი მომეცით.

21. ვეხმაურები 42-ე მესიჯის ავტორს, „მერწყული-28“-ს. ახლა იშვიათად ნახავ ასეთ გოგოს. მე ადამიანში ხასიათსა და ერთგულებას ვაფასებ და არა მის სიმდიდრეს. თამო.

22. მინდა, გამოვეხმაურო მე-18 მესიჯის ავტორს. ჩემო კახა, მეც ანალოგიურ სიტუაციაში გახლავარ — ვარ 33 წლის და დაოჯახებული, მაგრამ სიყვარული არ გამომიცდია.

23. „ჰელლო, ბეიბი“, როგორ ხართ? არავის სურს, გაიცნოს თბილი და ხალისიანი გოგო? უმჯობესია, „ბალის“ აბონენტები გამომეხმაურონ.

24. მარი, მაგარი ხარ, მესიჯი რომ დამიბეჭდე. მე ნათია მქვია და ნათუშკებით ჩამწერე. დიდი სიამოვნებით გავიცნობ 18 წლის ბიჭუნას, ოღონდ — ლამაზს. ნათუშკები.

25. ვეხმაურები „გზა“ №7, მე-14 მესიჯის ავტორს, ემზარს. ვარ 26 წლის, ვსწავლობ სტომატოლოგიურზე. თუ ჩემი გაცნობის სურვილი გექნება, ნომერს მარი მოგცემს. ნია.

26. „პრივეტ“, მარი. ვეხმაურები „გზა“ №8, 65-ე მესიჯის ავტორს, მიშას. ვარ სერიოზული და ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი. თუ ჩემი გაცნობის სურვილი გაგიჩნდება, ნომერი მარის გამოართვი.

27. მარი, გენაცვალე, ძალიან „საკალელი“ ხარ. ვეხმაურები „ბოხოს“. მაინტერესებს, სადაური ხარ? ერთ „ბოხოს“ ვიცნობ და თუ ის ხააარ??? „თოჯინა“.

28. გამარჯობა, მარი. ვეხმაურები „გზა“ №8, მე-8 მესიჯის ავტორს. ვარ 18/57/175, სიმპათიური გოგონა. თუ ჩემმა მონაცემებმა დაგაკმაყოფილა, ნომერი მარის გამოართვი.

29. „პრივეტ“, მარი. ვეხმაურები 65-ე გზავნილის ავტორს, მიშას. ვარ 18/174/58, ქერათმიანი, სიმპათიური, სერიოზული გოგონა. თუ ჩემი გაცნობის სურვილი გაგიჩნდება, ნომერი მარის გამოართვი.

30. მარი, შენი დახმარებით ბევრმა იპოვა საყვარელი ადამიანი და მინდა, მეც ვცადო ბედი. ვარ 34 წლის. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის მამაკაცს. „ევა“.

31. ვეხმაურები 42-ე მესიჯის ავტორს („მერწყული-28“). მისი გაცნობის სურვილი გამიჩნდა. არ ვარ მატყუარა. თუ სურვილი გექნება, ჩემი ნომერი მარისთანაა. ელენიკო.

32. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, სამეგობროდ პატიმარი გავიცნო. ვარ 17 წლის, ძალიან ლამაზი და საყვარელი გოგო. „დედა ტერეზა“.

33. მარი. „გზა“ №8-ში, მე-8 მესიჯი რომ არის, იმის ავტორის ნომერი დამიმესიჯე. ნინი.

34. ვარ 30 წლის, სიმპათიური გოგონა. თუ გინდათ, იგრძნოთ ნამდვილი ქალის გემო, დამიკავშირდით.

35. გავიცნობ 27-35 წლის მამაკაცს, მხიარულს და საქმიანს. ნომერი მარისთან იკითხეთ. ნიცა.

36. მარიკუნა, მეც დამეხმარე და 35 წელს გადაცილებული ნაღდი ქართველი მამაკაცი მაპოვნინე.

37. მარი, „ქალებში“ მომახვედრე, გთხოვ. ის კაცი გამომეხმაუროს, რეალურში უბედობას რომ უჩივის და ნატალისნაირ ქალს ნატრობს. მე ზურასნაირ ადამიანს ვისურვებდი. ანი-38.

38. გავიცნობ ინტელექტუალურ, იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ, მომხიბვლელ, 35 წლის, სიმაღლით 180 სმ-ზე მაღალ, შავგვრემან, თბილისელ იმპოტენტს! ფინტიკოზა.

39. გამარჯობა. პირველად გწერთ. მიმიღებთ „მესიჯომანიის“ „სასტავში“? ვარ 19 წლის. გავიცნობ ისეთ ბიჭს, ვისაც მეგობარი უნდა და არა საყვარელი. ანა.

40. ვეხმაურები ემზარი-36-ს, მე-14 მესიჯის ავტორს. დამიკონკრეტე, რა პროფესიას ეუფლები? კარგი მანდილოსანი. ინტელექტუალი გოგო.

41. მყავს 34 წლის, ლამაზი, ტანადი, ძალიან მოსიყვარულე და კეთილი, განათხოვარი, შვილიანი მეგობარი. რაც მეუღლეს დაშორდა, მარტოა. ზედმეტად პატიოსანია. გამოეხმაუროს ნორმალური მამაკაცი.

42. მარი, გამომიქვეყნე ნომერი. ვეხმაურები „გზა“ №8, 56-ე მესიჯის ავტორს. თუ გინდა ჩემთან მეგობრობა, დამიმესიჯე ნომერზე: 8.55.63.01.31. ანიტა.

43. მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის შექმნის

მიზნით მსურს გავიცნო სერიოზული და საქმიანი, თბილისელი მამაკაცი. ნომერს მარი მოგცემთ.

44. ვეძებ კარგ ბიძას, ჩემი დეიდისთვის. არის 37 წლის, გასათხოვარი, ლამაზი გოგო. გამომეხმაურონ 40 წლამდე ასაკის მამაკაცები. დამეხმარეთ დეიდის გათხოვებაში.

45. ვარ 23 წლის, საკმაოდ მომხიბვლელი გოგონა. სამეგობროდ გავიცნობ 25-28 წლის, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცს.

46. ვარ 15 წლის, სიმპათიური და სრულიად თავისუფალი გოგო. ვისაც ჩემი გაცნობა სურს, დამიმესიჯოს.

47. ვინც მომეწონა, ყველანი ჩემმა ნათესავებმა დამიფრთხეს. თუ ვინმეს შეგეცოდეთ, ნომერი მარის გამოართვით და დამიმესიჯეთ. სიყვრულის პოვნა მინდა. ელენიკო-16.

48. მარი, მინდა „გზის“ მე-7 ნომრიდან პირველი მამაკაცი გამომეხმაუროს. იკა, მეც შენსავით ვფიქრობ. ვარ 25 წლის.

49. მე „ფულე“ ვარ და კეთილი იყოს ჩემი მობრძანება „გზის“ ფურცლებზე. გიგილო შემეხმიანოს, მგონი, ვიცნობ. თუ არ ვცდები, ჩემი ყოფილი გუდუნაა.

50. მინდა, გავიცნო 16-19 წლის ბიჭი. 306.975.969.131. კუსა.

51. მე მარი ვარ, 16 წლის. ეს ცხოვრება მაგრად მომბეზრდა. მინდა, ამ ჟურნალის მეშვეობით კარგი მეგობარი შევიძინო. მნიშვნელობა არ აქვს, გოგო იქნება თუ ბიჭი. მთავარია, კარგი გულის ადამიანი იყოს.

52. ვეხმაურები „გზა“ №6-ში, „მისტერ-X“-ს. მე ნარკომანი ბიჭი მიყვარს და მისი გულისთვის სიცოცხლეს დავთმობ. მჯერა, რომ ნარკომანიის განკურნება შეიძლება და მე მას დავეხმარები. თუ ვინმე გიყვარს, მასზე გადაიტანე ყურადღება და მისთვის იბრძოლე. მე მჯერა, რომ შენ ამას შეძლებ. ქერა.

53. ვარ 20 წლის, ქერა, ცისფერთვალება, გაუთხოვარი გოგო. ვეხმაურები ოცნების მამაკაცს. სოფო. 306.994.596.619.

54. ვარ ერთი თბილისელი გოგო. გავიცნობდი სულიერ მეგობარს. თუ ვინმეს ჩემი გაცნობის სურვილი ექნება, შეუძლია დამიმესიჯოს.

mamakacebi

1. მინდა, გავიცნო ლამაზი გოგო. მე ვარ ცისფერთვალება, ქერა, სერიოზული, ფეხბურთელი, 17/185/77. ეს ისე, ცნობისთვის. გიო.ს. ქუთაისი. ვისაც ვახსოვარ, გაუმარჯოს!

2. გამარჯობა, მარი. პირველად გწერთ მესიჯს. ძალიან მომწონს თქვენი რუბრიკა. ვარ 167/50/22. სამეგობროდ გავიცნობ კარგი ხასიათის გოგოს. მარტოსული ვარ. „ლეო“.

3. გამარჯობა. მე ვარ გიო, 15 წლის. გავიცნობ ჩემი ასაკის გოგოს. ვარ ქერა, ფეხბურთელი. მარი, გთხოვ, ჩემი ნომერი გამოაქვეყნე: 8.55.45.60.12.

4. „მარტოხელავ“, თუ წაიკითხავ, გთხოვ, დამირეკე. ბოდიშს გიხდი, რომ ვერ შეგეხდი. შენი ნომერი წამეშალა. იმედია, მიხვდები, ვინც ვარ. შენ გუშინ დამირეკე.

5. ვარ 32/176, ნორმალური გარეგნობის მამაკაცი. ოჯახი მყავს, მაგრამ დავიღალე ყოველდღიური ერთფეროვნებით. სამეგობროდ გავიცნობ ნორმალური გარეგნობის მანდილოსანს.

6. ვეხმაურები „გზა“ №7-ში გამოქვეყნებულ, მე-10 მესიჯის ავტორს, 31 წლის, მეუღლესთან გაშორებულ ქალბატონს. ნომერი მომეცით, რაა...

7. სიამოვნებით გავიცნობდი ლამაზ გოგონას, სამეგობროდ. მე ვერაფრით დამიწუნებთ. „ტიპა“.

8. ვარ 26/178/78, სიმპათიური, სექსუალური ბიჭი. გავიცნობ 22-30 წლის გოგოს, ინტიმური შეხვედრებისთვის. ვისაც კაცში მხოლოდ ფული არ აინტერესებს, გამომეხმაუროს. ნომერი მარისთანაა.

9. მარი, გთხოვ, გამომიგზავნო „გზა“ №8-ში გამოქვეყნებული მე-15 მესიჯის ავტორი ქალბატონის ტელეფონის ნომერი. წინასწარ მადლობას გიხდი.

10. მეგრელ „კანიბალკას“ ვეხმაურები. ასეთი ლამაზი და მშვენიერი ცხოვრებაში არავინ მყავს ნანახი. ბედნიერი ვარ იმით, რომ თუნდაც, ჟურნალიდან მოგკარი თვალი. გალაკტიონი.

11. გამარჯობა. ვარ 20 წლის, მწვანეთვალება, სიმპათიური ბიჭი. ძალიან ვგავარ ბრეტ პიტს. გავიცნობ გამხდარ, ლამაზ გოგონას. ამ ნომერზე „დამიმობილეთ“: 8.98.53.22.69.

12. სამეგობროდ გავიცნობ მანდილოსანს, რომელიც იქნება მატერიალურად და ბინით უზრუნველყოფილი. ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. გამომეხმაურეთ! ნომერი მარისთანაა. ლომი-2.

13. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №8, მე-5 მესიჯის ავტორის, ლეკას ნომერი.

14. გავიცნობ SMS-მეგობარს, 19-24 წლის გოგონას. მარი, გთხოვ, დაბეჭდე. წინასწარ გიხდით მადლობას. გიო, დასავლეთიდან.

15. სიცოცხლე გრძელდება... ვარ 29 წლის. მინდა, გვერდით მყავდეს ლამაზი, თბილი და სიყვარულით სავსე მანდილოსანი. ლამაზი ცხოვრება მინდა! გკოცნი. კურო.

16. ვარ 42 წლის ხელოვანი, შავგვრემანი, 182/89, ცოლგანაშვები. მყავს 14 წლის გოგონა, რომელიც იზრდება დედასთან. ვცხოვრობ მარტო. მაქვს ნორმალური სამსახური, კერძო სახლი (რაიონში), ავტომობილი. გავიცნობ 30-40 წლის სერიოზულ ქალბატონს, რომელსაც გააზრებულად უნდა მყარი ოჯახი და ქმარ-შვილი. ამასთან, აქვს ნორმალური მატერიალური მდგომარეობა, რადგან ახალი ცხოვრების ცალსახად, შიშველ ენთუზიაზმზე დაწყება დღევანდელ პირობებში ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. „9“.

17. მარი, ჩემი ნომერი მიეცი ბოლნისელ 60 წლის ქეთევანს. გაიხარე, გმადლობთ.

18. ბათუმელ, მაღალ, ლამაზ, ჭკვიან, დასაქმებულ ქალიშვილს 25 წლამდე! 30 წლის, მაღალი, სიმპათიური, დასაქმებული მერაბისგან! ვიბედნიეროთ, სიხა, გელოდები. ჩემი ნომერია: 8.55.19.50.04.

19. ვარ 33 წლის, კავკასიელი მამაკაცი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის, სულიერად ლამაზ მანდილოსანს. დამიმესიჯოს მარტო თბილისელმა ქალბატონმა.

20. მარი, სამეგობროდ მინდა გავიცნო 38 წლამდე ასაკის მანდილოსანი. წინა ნომრიდან ვინც დამირეკა, იმათმა თვითონაც არ იცოდნენ, რა უნდოდათ და სერიალებს მიყვებოდნენ. რა სჭირთ? უცოლო გია.

21. ვეხმაურები „გზა“ №7-ში, 45-ე მესიჯის ავტორს, ეკუშას. გამომეხმაურე, ჩემი ნომერი მარის გამოართვი.

22. ვარ თბილისელი, მატერიალურად უზრუნველყოფილი. გავიცნობ 26 წლამდე ასაკის, ტრადიციების ერთგულ, არამწეველ გოგონას, წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან. ნუ გაგიკვირდებათ, ყველაზე მეტად იქაურ ხალხს ვენდობი. მიზეზებს მერე აგიხსნით. დამიმესიჯეთ: 8.98.14.47.90. გოჩა.

23. ვარ 17 წლის. სამეგობროდ გავიცნობდი კარგი ხასიათის გოგონას. ნიკა.

24. ვარ 178/78/26, სამსახურით უზრუნველყოფილი. მინდა, გავიცნო თბილისში მცხოვრები სექსუალური გოგო, ინტიმური შეხვედრებისთვის. გელით. ნომერი მარის აქვს. „ჯიაზ-27“.

25. მინდა, სექსუალური და თავისუფალი გოგოს გაცნობა. „პაკო-32“.

26. მარი, ვეხმაურები „სოფო-18“-ს. ვარ 22 წლის, სერიოზული და კეთილი. გავიცნოთ ერთმანეთი. გავიგებ, როგორი „სტერვა“ ხარ. თუ დაინტერესდი, მარის ჩემი ნომერი გამოართვი.

27. ვარ სოფლელი, გაუნათლებელი, ტლუ ბიჭი და ვცხოვრობ ნაქირავებ ბინაში. იმედია, ჩემი მსგავსი გოგო მოიძებნება ამხელა ქალაქში და გამომეხმაურება. ნომერი მიეცი, მარი.

28. მინდა, გავიცნო სექსუალური გოგო.

29. ვეხმაურები „გზა“ №8-ში პირველი მესიჯის ავტორს. ვარ 32 წლის, თბილისელი მამაკაცი. თუ გსურს, დამიმესიჯე. ნომერს მარი მოგცემს.

30. გინდა ეურთიერთო გალანტურ ინტელექტუალს? თუ ჰო, მაშინ წავედიიით! ვარ 26/190/90. ცოტნე.

31. გავიცნობ უკომპლექსო და დამოუკიდებელ გოგოს. უნდა იყოს კარგი გარეგნობის. მომწონს ჩემზე ასაკით უფროსი გოგონები. ვარ 20 წლის, ვმუშაობ და ვსწავლობ. ლაშა.

32. გამარჯობა, მარი. სახელი არაა საჭირო, ზალიკოს დავირქმევ (ასე აჯობებს). ვარ 27 წლის, დაოჯახებული. ძალიან მინდა გავიცნო ისეთი ქალბატონი, რომელთანაც ვიმეგობრებ.

33. ვეხმაურები 48-ე მესიჯის ავტორს, ჯკ-ის. თუ მართლა ფსიქოლოგია გიტაცებს, უკვე რაღაც საერთო გვაქვს. „პრომეთე“.

34. გამარჯობა, ყველას! ვარ 31 წლის, თბილისელი ბიჭი. წესიერი, ერთგული და დასაქმებული. მინდა, გავიცნო შესაფერისი მანდილოსანი, სერიოზული ურთიერთობის მიზნით.

35. მარი, თელაველი სალოს ნომერი მაინტერესებს. გიო.

36. გამარჯობა. ვარ 31 წლის, დასაქმებული, ჩამოყალიბებული, ერთგული, თბილისელი ბიჭი. მინდა, გავიცნო სერიოზული, ჩამოყალიბებული, დასაქმებული, პატიოსანი გოგო. ინკოგნიტო.

37. ვეხმაურები მე-11 მესიჯის ავტორს, სალოს (თელავიდან). ვარ 21 წლის, დასაქმებული ბიჭი. სიამოვნებით გაგეცნობი. ბექა.

38. სამეგობროდ გამომეხმაუროს ნორმალური ხასიათის, ნორმალური შესახედაობის, 35 წლამდე ასაკის მანდილოსანი. ირაკლი-30.

39. მინდა, გავიცნო 25 წლამდე ასაკის, წესიერი, პატიოსანი ქართველი გოგონა. ვცხოვრობ სალონიკში.

40. ვარ 30 წლის, სიმპათიური და სექსუალური მამაკაცი. მოვემსახურები ქალბატონებს და დავუკმაყოფილებ სექსუალურ სურვილებს. ჯარჯი.

41. 35 წლის, ყოფილი სპორტსმენი ეძებს ბინით უზრუნველყოფილ ქალიშვილს. ბინის გარდა ყველაფერი მაქვს — სამსახური, მანქანა და პატარა ბიზნესიც. რაჭველი-133.

42. სიამოვნებით გვიცნობდი ვარკეთილელ ლამაზმან გოგონებს, „დაქალუშკებს“ — ლამროს, ხათოს და ეკას. კარგი გოგონები ხართ. „ზადნიცებს“ გაუფრთხილდით, რაა! თქვენი კურო. როგორ მინდა, ეს მესიჯი დაიბეჭდოს! კატ-კატ.

43. ვეძებ და ვერ ვპოულობ გამგებ გოგონას. 21 წლის ბიჭი ვარ. „ესემესა“.

44. ვარ ფეხბურთელი, ხუჭუჭა, 175 სმ სიმაღლის ბიჭი. მინდა, კარგი გოგოს გაცნობა. დამიჯერეთ, თუ გამეცნობით, არ ინანებთ. ლუკა. 8.55.29.86.08.

45. ვეხმაურები კეტრინ ზეტა ჯონსს. მისი გაცნობა მინდა. დარწმუნებული ვარ, მაგარი გოგოა. პრინცი და მხოლოდ პრინცი. მე უბრალოდ, მინდა ვიყო პრინცი და ვარ კიდეც. მპუები ყველას.

46. ვარ 40 წლის, მეუღლესთან გაშორებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი ქვრივ ან განათხოვარ, კარგი წარსულის მქონე მანდილოსანს. „ურაგანი“.

47. მარი, მეცი პატივი და დამიბეჭდე ეს მესიჯი, თორემ შვილი უცოლოდ დამრჩება. მე ათენიდან გწერთ. სულით და გულით მინდა რძლად სვანი გოგო. ჩემი შვილი ცოტა ჯიუტია. არც ქურდია და არც მორფინისტი. იქნებ, სვანმა ცოლმა მოუხერხოს რამე? თუ ვიცოცხლებ, მათთვის ვიქნები. მხოლოდ, გამიგოს. თუ ვინმე გამოჩნდება, ჩემი ნომერი მიეცი.

48. გავიცნობ „მანაშკას“, რადგან დავიღალე ჭკვიან გოგონებთან ურთიერთობით. ზაზა ვარ და ნომერიც დაბეჭდეთ: 8.99.18.17.02.

„usqeso"

• ვეხმაურები 28-ე მესიჯის ავტორს. მინდა, გაგიცნო. ვარ 26 წლის, მაქვს კარგი სამსახური. გ.

• ინტელექტი, გარეგნობა, იუმორი, ბიჭი, 22 წელი, გაცნობა, გოგო, ლამაზი, ქუთაისი.

• ვეხმაურები 35-ე მესიჯის ავტორს. მარი, გთხოვ, დამაკავშირე.

sxvadasxva

• იცით, რა დამემართა? ნიკი არასწორად მოგწერეთ და ჩემი და ამბობდა, სანტოშს (ანუ — მე) უნდა გამოვეხმაუროო. აუ, რამდენი ვიცინე... რომ გაიგო, სიბრაზისგან სულ მთლად გაწითლდა. ისე, უკვე ყველა კარგი ნიკები სხვებმა დაითრიეს და მე აღარაფერი დამრჩა. ამიტომ, ნიკად ავირჩევ „უნიკო"-ს. ვეხმაურები მის ელენეს. 1 ნომერი „ჩავაგდე", რადგან ანგარიშზე არ მქონდა. ვაპირებ ბიზნესის წამოწყებას: ლექსების რვეულიდან გადაწერა — 1 ლარი, საკონტროლოს ამოხსნა — 3 ლარი. „უნიკო".

• მაპატიე, რომ გაწყენინე, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა არ შეიძლებოდა. გული მწყდება, მაგრამ ორივესთვის ასე ჯობია. მარი, შენი წყალობით კარგი ადამიანი გავიცანი. „სევდია".

• ჰიიიი! მე გიო ვარ, დავალიანებული, „ჯეოსელიდან" :) მარი, „სმაილიკებს" ნუ მიჭამ, ნუ! :) იცი, რატომაც. ჰოოდა, იმის თქმა მინდოდა, კაკუ, ძალიან საყვარელი ტიპი ხარ! კაკუ! კაკუ! „ცელუიუ".

• განრისხებულ ზ-ს: რა ბრალი მედო ასეთი, წამს საუკუნოდ გავდიე, სულში სიცოცხლე, გულში — შენ, თვალებში ცა ვერ ჩავტიე. ქუთაისელი.

• ქალბატონო, არა, رااااا... ქალიშვილი ვარ! მე თიკო არ ვარ! თემო კი, როგორც მე ვიცი, ქობულეთში ცხოვრობს. რა არის, رووو? ...და ორმაგ თამაშსაც არ ვთამაშობ. რატომ მეკითხები? კაკუ.

• მოდით, შევქმნათ „ოპოზიცია", ეს თქვა ღამურამ/ ნეტავი, ბიჭო, გამაგებინა, თუ ვინ გაგმურა,/ დაფრინავ ღამე შენს ოცნებებში, ჰოდა, იფრინე,/ მარის შეეშვი, „გზავნილებიდან" ხომ დაგიფრინეთ. თათა.

• მარი, ვეხმიანები „სხვადასხვაში" ერთ-ერთი მესიჯის ავტორს. მე მგონი, მართლა ვერ გაგექეცი,/ მახე დამიგე და ვერ დავეცი,/ შენს მახეში კი გავები, მაგრამ გეტყვი:/ შენც არ მიცნობ?/ ჩემ გარეშე შენ რომ ფიქრობ/ და მე მინდა, ერთი გკითხო...

• ნეტავ, საყვარელ ადამიანს როდის ვიპოვი, რომ „გულუკა" მოვპარო? ანა.

• ადამიანი, როგორც ასეთი,/ თვით სილამაზით არა ფასდება,/ მაგრამ თუ არის სულით ლამაზი,/ ცხოვრება ამით დაუფასდება. ჩემი ნომერი ჯერ არავის მისცეთ. მოდელა.

• 2000 წლის 19 მაისს ჩემი ცხოვრება საფიცარ ადამიანს დავუკავშირე. ეს ჩემი მეუღლე, ზაზა მურთაზის ძე გერგაიაა. ფოთი.

• მოკითხვა ლალას, ტინკი-ვინკის და პოს. გოგონებო, ძალიან მაკლიხართ. დაჩაგრული დიფსი.

• ნინო, კაპელოს გარდა დანარჩენებზე გეთანხმები, მაგრამ კაპელოს ვერ ვიტან, უაზრო მწვრთნელია. მე „რეალის" ფანი ვარ და უკვე წაგებაზე „ვბალელშიკობ".

• ძალიან ცუდად ვარ და იცით, რატომ? დღეს ჩემს სიცოცხლეს, ილო ალადაშვილს სახლში რომ დავურეკე, მამამისმა მითხრა, სასიდედროს დაბადების დღეზეა წასულიო. მეგონა, მეხუმრა, მაგრამ მოულოდნელობისგან გული წამივიდა და დედაჩემი მაგრად შევაშინე. რა ვქნა? ახლა გავიგე, რომ უკვე 3 წელია, საცოლე ჰყოლია. რას არ დავთმობდი, იმ გოგოს ადგილზე რომ ვყოფილიყავი. ილووو! იცი, როგორ მომენატრე და როგორ მიყვარხარ? შენს ტუჩებს ვერავინ დამავიწყებს. ფრთხილად იარე, ხომლელზე არსად გადაგეყარო, ჩემო ქათამო. სალო.

• ზამთრის დღეები ითვლიან წუთებს,/ მთვლემარე კვირტებში მარტი ბურჯღალობს,/ ქუჩის ბოლოში ყიდიან იებს,/ ვიყიდი, მაგრამ ვის მივუტანო?

• ძალიან დიდი მადლობა, მარი, რომ დამიბეჭდე მესიჯები და მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგო, ზუგდიდელი „კანიბალკა" გამაცანი. ჩემს ნაცნობ გოგონებში ყველაზე ლამაზია. დიტო.

• გული არავინ გაიტეხოთ, მეც მასე მეგონა, რომ არავის ვუყვარდი. არადა, თურმე რამდენს ვყვარებივარ, იცით? ხანდახან მინდა, რომ არავის ვუყვარდე. არ იდარდოთ, ყველაფერი კარგად იქნება. კაკუ.

• ღამის მყუდროება, წვიმის წვეთები, გაწუწული თმა და განცდებისგან მოცახცახე ორი ბაგე ვერ წყდებოდა ერთმანეთს. ისინი აღარ შეხვდებოდნენ, კარგად იცოდნენ. პატარა გოგო.

• აუ, რა გამახარეთ, გულითზე რო დაწერეთ. გაიხარეეეთ! ისე, არ გამაცნობთ ალექსი რეხვიაშვილს? მგონი, გავუგებთ ერთმანეთს და ერთად უფრო მაგარ სტატიებს დავწერთ :-) ნინო-მილანი.

• ჯერ ხომ მომენატრე და მერე, ხომ მომენატრე... მერე, კიდევ ხომ მომენატრე და იცი, რომ მომენატრე? ჰო, კიდევ, იცი, რა? — მომენატრე! უი, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რომ... მომენატრე!

• მე ვინატრებდი მხოლოდ ერთ რამეს,/ მხოლოდ ერთ დღეს, მხოლოდ ერთ ღამეს,/ მხოლოდ შენს მოსვლას, მხოლოდ შენს კოცნას,/ გულში ჩაკვრას და სულ ასე ყოფნას. კაკუ.

• „საღოლ", მარი, ამდენ უბედურს როგორ უძლებ? ამ ხალხს ცირკთან დადგომა ეზარება და აქ ამესიჯებენ? ხატულია.

• რა მინდოდა? არაფერი! შემოხედვა მხოლოდ,/ რად გეძახდი? სულ უბრალოდ, მომენატრე მხოლოდ./ რად ავტირდი? იმიტომ, რომ ვერ გამიგე ბოლოს! კაკუ.

• ტაძარში, ხატის წინ სანთელი დნებოდა,/ ბიჭი კი სიყვარულს ღმერთს ევედრებოდა,/ წმინდაო მარიამ, მარტო ნუ დამტოვებ,/ ჩემს ლამაზ სიყვარულს აცალე, ადროვე.

• ეჰ, რა იქნება... თუმცა, იმედიც არ მაქვს, რომ „სტიქია" გამეცნობა. გამომეხმაუროს მაინც... ეჰ, ტყუილად ვნატრობ, რა აზრი აქვს? :(კაკუ.

• აუ, მარი, მიდი, რა „უსქესოებში" ჩამიწერე ეს გზავნილი. გთხოვ, რა, გოგო კი ვარ, მაგრამ მანდაც „გამჩითე", რა, გთხოვ, კაკუ.

• აუ, მარიიი, ჩემი სახელი რატომ არ მიაწერე მესიჯს? „აკრედიტირებულ" ცისარტყელაზე რომ მაინტერესებდა, ის ვარ. ახლა მაინც არ დაგავიწყდეს, რა. მიკა.

• კომპლექსი არის ის ძალა, რომელიც ადამიანის სურვილებს აფერხებს. მათ შორის, სექსსაც! გააკეთე ის, რასაც შენი თავი გიკარნახებს და ბედნიერი იქნები. ბიჭი-18.

• რუსთაველ ლელას, ჩემს ლამაზ გოგონას მინდა ვუთხრა, რომ ერთი სული მაქვს, შეეხვდე და გავიცნო.

• თამუნია, ნეტავ, მე შენთვის თვალიც არ მომეკრა და შენი ხმა არ მომესმინა. ღვთაება ხარ, მომაკვდავთა შორის და ისეთი ლამაზი, როგორც არავინ. ვინ იქნება ის ბედნიერი, ვინც შენ შეგიყვარდება? მარი, მე განადგურებული ვარ. იმედია, გადმოგცემენ ამ სიტყვებს, ლამაზო! ჩემი ნომერი არ გასცეთ.

• გიორგი, შენი მესიჯი რომ წავიკითხე, შუა ქალაქში გიჟივით დავიწყე ტირილი. გეფიცები, ამდენი ჩემი სიყვარულის დაკარგვის გამო არ მიტირია. შენი დახმარება რომ შემეძლოს, თუნდაც, სიცოცხლის ფასად მიჯდებოდეს, მამის სულს ვფიცავ, არ დავფიქრდები, ისე დაგეხმარები. მაინც ბედნიერი ხარ, ასეთი ძლიერი სიყვარული რომ შეგიძლია. ღმერთი გფარავდეს. „პრინცესა".

• მე არც შეყვარებული მყავს, არც „პაკლონიკი" და არც ვინმეს გაცნობა მსურს. გაიხარე, მარი. ძალიან მიყვარს „გზა". ერთი სული მაქვს, ხუთშაბათი როდის მოვა. კიკი.

• სიყვარულს გაუმარჯოს, ჩუმსა და აუხსნელს,/ ბიჭი რომ გაიფიქრებს და გოგო რომ გაუგებს! როკერებო, გაიხარეეეეთ! კაკუ.

• მარი, მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ თქვენი ჟურნალის საშუალებით ჩემი ცხოვრების თანამგზავრს შეეხვდი და უზომოდ ბედნიერი ვარ.

• მარი, მინდა, „ნინო-მილანას" გამოვეხმაურო. ნინო, მეც ძალიან მიყვარს „მილანი". იმედია, „სელტიკს" განმეორებით მატჩში აუცილებლად დავამარცხებთ. „მილანი" მაგარია. „სნუპი".

• მინდა იცოდე, რადგან შორსა ხარ.../ იმას არ ნიშნავს, რომ არ მიყვარხარ,/ გულში სიყვარულს კვლავაც ვინახავ,/ თუნდაც შორიდან, მაინც მიყვარხარ. მენატრები, სიხარულო, კიკი.

• თუ შესაძლებელია, შეიტანეთ მცირე შესწორება მესიჯში, ნიკით — „9". სიტყვებს: „ვცხოვრობ მარტო", უნდა დაემატოს სიტყვა — „თბილისში". შესაბამისად, სრული წინადადება იქნება: „ვცხოვრობ მარტო, თბილისში". გმადლობთ.

• საქმე იმაში გახლავთ, რომ მე თვითონ არ ვიცი, რა და ვინ მინდა. ალბათ ის, ვინც მომარჯულებს. საინტერესო და ერთგული „უმართავი გოგო".

• გაუმარჯოს, „გზაელებო",/ სხვას ვერ ნახავთ ჟურნალს ასეთს,/ კარგადაა თქვენი საქმე,/ თუკი „კუკლას" დაევასეთ :)) „კუკლა". მარი, ჩემი ნომერი არავის მისცე, ოკ? :)

• სანთლის სინათლეზე ხატად მელანდები,/ ჩემო სიცოცხლევ, უზომოდ მენატრები. კაკუ.

• ცაზე მთვარეა და შენ კი გძინავს,/ მოჩანს ღრუბლებში ნისლი, ფარული./ მე კი არ მძინავს, შვებას არ მაძლევს,/ შენზე ოცნება და სიყვარული. კაკუ.

• ვაიმე, აქ რა ხდებაა? მარი, შენ წინაშე ქედს ვიხრი... ინდოელი მაჭანკალივით რამდენი საქმე გაქვს, ჩემო კარგო... მაინტერესებს, მაღალი ბიჭი არსებობს საქართველოში?

• იცით, რა მაინტერესებს, გოგონებო? რომ წერთ, სამეგობროდ გავიცნობ ასეთი და ასეთი თვალებისა და სიმაღლის ლამაზ ბიჭსო, შეგიძლიათ კი ბიჭთან მეგობრობა? თუ მეგობრობა მხოლოდ მიზეზია ადამიანთან ურთიერთობის დასაწყებად? განა, არ იცით, რომ მეგობრობით იწყება ეს ოხერი სიყვარული? რაღას მალავთ, თქვე დალოცვილებო? „ჩორტიოზნაეტი".

• მე ვარ ერთი ციდა/ და მე თქვენთან მინდა./ როგორ ხართ? რა გინდათ „სტიქიასგან"? ძაან „საკალელი" ვინმეა. ისე, „საშლელიც" კარგი ტიპია. ჩემს ნიკზე არ გალექსავთ? „მის სიო".

• მარი, ვიღაცამ ჩემი ნიკი გამოიყენა და მინდა ვუთხრა, რომ სხვისი ნიკის მითვისება კარგი არ არის. „პუპსიკა".

• რამდენი ქალი შეეწირა იდუმალ ფიქრებს/ — „დარეკოს იქნებ", ანდა — „ისევ მოვიდეს იქნებ"./ ხელუხლებელი, გაუსაძლის ნატვრად ქცეული,/ ქვეყნად რამდენი დარდად არის გადაქცეული...

• მინდა! მინდა! მინდა! მინდა „სტიქიას" გაცნობა მმმმაااგრااااد! მაგრამ მე რომ მინდა, ასე სადაა, ხომ? ეჰ, „ლა საწკალი ვალ"... :-(კაკუ.

• გამარჯობა ყველას. მე თამო ვარ, 14 წლის. მყავდა შეყვარებული, რომელიც გარდაიცვალა და ძალიან ცუდად ვარ. გთხოვთ, გამომეხმაუროთ.

• დიდხანს გეძებდი, არც კი ვიცოდი/ ან ვინ იყავი, ან სად იყავი,/ მაგრამ გიპოვე, ბედნიერი ვარ/ და ძალიან გთხოვ, ჩემთან იყავი.

• მწვანე თვალები შემზიზღდა თქვენი წყალობით. მგონი დროა, რომ შავი ლინზები ვატარო. რა ყველა ულამაზესი ყოფილა! ამდენი მშვენიერი ერთად როგორ შეკრიბე, მარი? ლელე.

• მე მინდა, გისურვო ოცნების ახდენა,/ რასაც გისურვებ, უთუოდ ახდება,/ არ გაიკვირვო, საიდან? რა ხდება?/ ლამაზი ოცნება ყოველთვის ახდება. მარი, ძალიან კარგი გოგო ხარ. სალო.

• „პრივეტ“, ყველას! მიყვარხარ ძლიერ, ამას შენცა გრძნობ,/ შენი თვალები ჩემთვის ხატია,/ მინდა, ეს გითხრა, მაგრამ ვერ ვბედავ/ და ეს სიტყვები გულში მარხია. თუსა.

• დიდი ხანია, თვალყურს გადევნებთ. ყველანი ძალიან საყვარლები ხართ. დღეიდან მეც შემოგიერთდებით :) ათენა.

• მინდა მეგობრობა, მინდა სიყვარული, მინდა სიხარული, მინდა ბედნიერება, მინდა მიზანი, მინდა სიცილი, არ მინდა ტირილი... მინდა თავისუფლება, მინდა... და უკვე სახლში ვარ! :) ეს ისე, უბრალოდ. მარი, ჩემს ნომერს ტაბუ დაადე. ისე, სისულელეა აქ სიყვარულის ძებნა! :) აბა, კარგააად! „კვინტილა-19“.

• მე „ფულე“ ვარ და კეთილი იყოს ჩემი ფეხი „გზის“ ფურცლებზე... გიგილო შემეხმიანოს. მგონი, ჩემი ყოფილი გუდუნაა...

• მოვედი, მოვედი, მოვედიიიიიიი! გარეთ ისეთი ქარიაააა. ჰოდა, მეც პატარა სიო გამოვეპარე ქარს. აი, ასეეე! „მის სიო“.

• აუ, რა არის, თვეში რამდენჯერ უნდა გავცივდე? უფ... რა საძაგლობააااა... კაკუ.

• თვალები სველი,/ სხეული ცხელი,/ ხელები თბილი,/ ტუჩები ტკბილი,/ სხვა ვინ ვინატრო,/ მე შენზე თბილი?/ მომწმინდე ცრემლი,/ მაკოცე ერთი,/ ორივეს ერთად/ გვფარავდეს ღმერთი.

• რა გინდა, ნენე, რას მერჩი?/ რა გადაიხსენ ვენები,/ „სტიქიას“ შენ ვერ აჯობებ,/ უნიჭო „ვაი მწერელი“. „სტიქია“.

• შენ შენი თვალი გასწავლის,/ თუ როგორ უნდა ცქერაო,/ ჩემს ინტელექტს რომ ეხები,/ საკუთარი გაქვს, წერაო! „სტიქია“.

• ღამის წყვდიადში ვარსკვლავთა ცის ქვეშ,/ შენი კოცნისთვის სიცოცხლეს მივცემ. მარი, იცი, როგორ მენატრება ნორიოელი გია თაყაშვილი? გმადლობთ, მარი. თეა.

• დრომ შეიძლება შენი თავი წამართვას კიდეც,/ მაგრამ ჩემს გულში საუკუნეს დარჩები კიდევ!/ თუმცა, ჩემი არც ყოფილხარ, არასდროს. ვუძღვნი მარტყოფელ ალექსას. „ლიკუნები“.

• მოგესალმებით ყველა „მესიჯომანს“ და „ბარსას“ ყველა ფანს. „ბარსელონას“ გაუმარ... დანარჩენი თქვენ დაასრულეთ. „ფორცა-ბარსა“. რონი.

• საგარეჯოში ერთი ლამაზი ბიჭია, მაგრამ ისეთი ამაყიიი, გაგიჟდები, რა! ვერაფერი გავუგე, ხან კარგია, ხან — ცუდი. მეც ხან მიყვარს, ხან — არა! ცანკაშვილო, აზრზე მოდი! „თოჯინა“.

• ეძებ სიყვარულს, რადგან იგი გგონია შვება,/ „გზის“ ფურცლებს ანდობ ციცქნა გულში დალექილ სევდას,/ გჯეროდეს, მალე გაგიმართლებს, სძლევ სიმარტოვეს...

• არსებობსო, წმინდა და უანგარო სიყვარული, მეგობრობა და ძმაკაცობაო? — ერთმა მკითხველმა იკითხა. კი, როგორ არ არსებობს, ოღონდ ბევრმა არ იცის, რა არის ძმადნაფიცობა და მეგობრობა. ნელ-ნელა ვივიწყებთ ნამდვილ მეგობრობას. ამიტომაა ამდენი გულგატეხილი ახალგაზრდა.

• ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ საშიში „კანიბალკა“ თუ ასეთი მშვენიერი და სიფრიფანა გოგონა იქნებოდა, ვერაფრით ვიფიქრებდი. უკვე სერიოზულად ვარ შეყვარებული. ზურა.

• და მერე, უცებ, შენს ცრემლიანს ჩავხედავ თვალებს,/ გულში შემოვალ და შიგნიდან ჩავკეტავ კარებს!/ სცადეთ და გამომაგდეთ, მერე... აი ასე... „მის სიო“.

• ნომინაციაში „საუკეთესო მეგობარი“ წარდგენილი ხარ შენ, ხოლო დაჯილდოებული ვარ მე, რადგან მყავხარ შენ! კაკუ.

• ეჰ, მარი, ალბათ, ერთი-ორს შემომიკურთხავ, რამ გააღვიძა ეს პატარა გოგო დილის 7 საათზეო. ნაღდად არ ვიცი, გამეღვიძა და... აუ, როდის მოვა ხუთშაბათი? კაკუ.

• ვაი, დამაგვიანდა სკოლაში! ჯანდაბა! გავიქეცი!!!!!!! კაკუ.

• ახალი ამბავი იცი? საავადმყოფოში გამსინჯეს, ფილტვებში წყალი აღმომაჩნდა, თირკმელში — კენჭი, სისხლში — შაქარი და გულში შენ, „ბომბორა“! ეძღვნება ჩემს ქმარს.

• მარი, გამარჯობა. მაინტერესებს 64-ე მესიჯის ავტორი, თამაზი, 37 წლის კაცი სირცხვილით როგორ წერს, გამომეხმაურონ 17 წლის გოგონებიო? „კრისტი-17“.

• მარი, ძალიან მაგარი და ჯიგარი გოგო ხარ! მპუა, კაკუ.

• ქათმის ხორცზე კბილის გაკვრა,/ ჰყვარება ცუღლუტ მელას!/ ჰოდა, ასე შეუჭამა,/ მან ქათმები ცუგრუმელას! „სტიქია“.

• ეს ბიჭი მგონი, შარზეა,/ ხომ არ უბერავ, როიდი?/ თუ საქმე გამოგელია,/ იყიდე „პოლაროიდი“./ სჯობს გადაიღო ჭადრები,/ გექნება კარგი კადრები. „სტიქია“.

• ჩემთვის უსვრია „ავრორას“,/ რადგან მაშველი მაქსია,/ მთვრალი ვარ, მიწას ვაგდივარ,/ გამომიძახოს ტაქსია! „სტიქია“.

• თხებთან ერთად გადაგრეკე,/ დაგავიწყდა ალბათ, ნენე,/ თუ დამგესლე, მაგ სიტყვებით,/ გულით გირჩევ, დააყენე! „სტიქია“.

• მწარე ხუმრობა მეც მიყვარს,/ და ეს ნენესგან არც მიკვირს,/ მისგან ისევე არა მწყინს,/ როგორც ვირიდან წიხლის კვრის. „სტიქია“.

• მე შენ არასოდეს მინახავხარ,/ სადღაც ოცნებებში გხატავდი,/ ჩვენში გამარჯვებაც არ თქმულა/ და არც არასოდეს — ნახვამდის,/ მე შენ არასოდეს მინახავხარ,/ თვალებს დავხუჭავდი, გხედავდი./ ლამაზ ფრესკებიდან ჩამომყავდი/ და ჩემს ანგელოზად გძერწავდი./ მე შენ არასოდეს მინახავხარ,/ არც შენ გინახავვარ, ალბათ,/ იქნებ, ამიტომაც შემიყვარდი,/ რომ არ არსებობდი არსად. „ცისი“.

• აჭარაში მცხოვრებს ვეხმიანები. არც არასოდეს მიძებნიხარ, მხოლოდ ერთს გეტყვი, რომ უჭმობა თავს შეგახსენებს და დაველოდები, სანამ შეძლებ დუმილს. მალუს, მალუსგან.

• მინდა, გიორგის ვუთხრა, რომ ცხოვრება გრძელდება. სისულელე არ ჩაიდინო. ამით საყვარელ ადამიანებს გულს ატკენ. შენი მესიჯი რომ წავიკითხე, ტირილი დავიწყე.

• „გზავნილების“ ფანი ვიყავი. ახლა კი ზურასა და ნატალისაც ვგულშემატკივრობ. ყოველთვის დიდი ამბით ველოდები ხუთშაბათის მოსვლას. თავიდან დედაჩემმა გიპოვათ. თუ ადრე ხან სად ეგდო ყდამოხეული და დაგლეჯილი „გზა“ და ხან — სად, ახლა მისი კოლექციიდან ჩაწყობით ნათხოვრდება.

• ერთი თხოვნა მაქვს. მას ყველა ვერ შემისრულებს. სასწრაფოდ მჭირდება 3 ათასი ლარი. მასესხეთ და რამდენიმე თვეში დაგიბრუნებთ. მიშველეთ, რااა...

• „სტიქია“ მისთვის მიქია,/ რომ მისცემოდეს ჟინია,/ ეწეროს კარგი ლექსია,/ ეგზავნოს „გზავნილებშია“./ ვანსკი. მგონი, ერთადერთი ვანელი ვამესიჯებ თქვენთან.

• ჩემი ბიოლოგიის მასწავლებელს, რომელსაც ლენა ჰქვია, მაგრამ „ბაშკატას“ ვეძახით, ძალიან ხშირად ვაბრაზებთ ხოლმე. ისიც ხშირად გვიშლის ნერვებს. „ბაშკატ“, მოდი, ჩვენ გაგვიმარჯოს. კასპი.

• ვეხმაურები გიორგის, რომელიც თაკო ძნელაძეს სწერს, რომ ძალიან უყვარს. მე თაკოს მული ვარ. სურვილიც არ გვაქვს, რომ ჩვენი მომავალი პატარა მისი საფიცარი იყოს და კიდევ ერთს ვეტყვი: ნამდვილ მამაკაცს არ შეჰფერის გლოვა. მით უმეტეს, ჟურნალ-გზეთებში ამის შესახებ წერა. სიყვარული ვის არ დაუკარგავს? ადამიანი ყველაფერს უძლებს.

• ღამე დადგება ჩუმი და წყნარი,/ კვლავ შენზე ფიქრში გაივლის წამი,/ მე კი ვლოცულობ, რომ ვიყოთ ერთად,/ აქ თუ ვერ შევძლებთ, დაგიცდი ღმერთთან. გოგიტა, მენატრები, პატარავ. ელენე, რუსთავი.

• კასრო, ჩემი ცოდვა არ მოგასვენებს. შენ არც ჩემი ქმარი იქნები და არც სხვასთან იქნები ბედნიერი. დღეიდან დაიწყება შენი ნევროზი. აქამდე, რა გიჭირდა? მეზიზღები! მინდა გაიგო, რომ უკვე სხვა მიყვარს. ირლანდიისკენ გზა დამილოცნია, მაგრამ იქამდე, მაინც ვერ ჩააღწევ.

• მინდა, დათოს ვკითხო, რატომ მართმევს იმ გულს, რომელიც თვითონ მაპოვნინა? ახლა ყველაზე მეტად მჭირდება მისი სიყვარული და ვთხოვ, ხელს ნუ მკრავს. ალბათ, ამ მესიჯს წაიკითხავ, მაგრამ როგორც ყოველთვის, ვერაფერს მიხვდები. ძალიან მჭირდები! შენი სულელი გოგო.

• მინდა, პატიება ვთხოვო ერთ ადამიანს, რომელიც წლების წინ შემთხვევით გავიცანი, ტელეფონით. გიორგი, ვერ დაგივიწყე. შენ მართალი იყავი, მე კი ვტყუივარ შენთან. ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. იყავი ბედნიერი და მაპატიე, რომ ვარსებობ. ნატალი, ქუთაისი.

• ვარ 20 წლის ბიჭი. სიგიჟემდე შემიყვარდა გათხოვილი, შვილებიანი, 25 წლის გოგო. მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ვიცი, რომ ეს სიყვარული გულს გვატკენს. გთხოვთ, თუ ვინმე ჩემს ტკივილს გულთან ახლოს მიიტანს, შემეხმიანოს. ლევანა, ქუთაისი.

• ქალი? ქალს ნუ მიენდობი,/ ქალი — ქალია, ქალი — ქარია,/ ქალი — მარტია, ქალი — წვიმაა, ცვალებადია./ ქალი — მზეა და მთვარეა,/ ციური ვარსკვლავია, ღრუბელი, ნისლია, უცხო პლანეტაა,/ ქალი — აპრილია, პირველი აპრილია,/ ქალის ნათქვამში ბევრი ტყუილია,/ ქალი — გიშერია, ძოწია, ალმასია,/ იგი მაცდურია, მაგრამ ღამაზია./ ქალი — ღვინოა, თავბრუდამხვევია,/ კაცის წყურვილია, გონების ამრევია,/ ქალი რა არის? ბედის ირონია,/ ფანტასტიკურია, ეგზოტიკურია,/ ამოუცნობია, ნახატი რითმია, ქალი — ქმნილებაა!

• ნურასოდეს დავკარგავთ ერთმანეთს, მონატრება რეალობად ვაქციოთ და როდესაც შენ ჯარიდან ჩამოხვალ, მონატრების სადღეგრძელო დავლიოთ. ეძღვნება გიალოს, რომელიც მარტში ჯარში მიდის.

• მარიკო, შენი მესიჯომანების გამკვირვებია. უფრო სწორად, ერთი მათგანის. წერს, არ ვსვამ, არ ვეწევი, ვვარჯიშობ, ვმუშაობ და ძალიან რომანტიკული ვარო. ალბათ, არც იპარავს, არა? გაოცებული ვარ, ასეთმა ტკბილმა და მურაბა კაცმა ოცნების ქალი როგორ ვერ იპოვა? ნუუუ... გაგიჟდები, რა! გიჟი გოგო.

• ძალიან გახარებული ვარ. სულ ნახევარი საათის წინ ჩემი შვილიშვილი და მოსახელე დაიბადა, თინიკო გველესიანი. მე კი, ბებია, ათენში ვარ.

• „სტიქიას“ მოკითხვა. მეც მინდა, რაიმე ორიგინალური ნიკი. ვერ დამეხმარები? თუმცა, ჯერ რაც მაქვს, იქნებ, ის გამირითმო. რა თქმა უნდა, თუ მარიმ სადმე „ჩამაკვეხა“. „ანგელოზი“.

• რაც კარგები ვართ, სვანები ვართ. გკოცნით და წარმატებებს გისურვებთ მე, მამიდა სვეტა და ნანა მარგიანები.

• ქალბატონო ნელი, სოფო და მარიკა, თუ რომელიმე ამ მესიჯს წაიკითხავთ, გთხოვთ, გამაგებინეთ შაკოს ტელეფონის ნომერი. მე ის სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. გთხოვთ, ნუ დამტოვებთ გაურკვევლობაში. შაკოს ძალიან გაუჭირდა მაგ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ასე ამჯობინა. მინდა, მისი ნომერი და გპირდებით, დავეხმარები. იმედია, მიცნობთ. მარიკა, შენ მაინც იცი ყველაფერი. გთხოვთ, გამაგებინეთ მისი ნომერი.

• დედიკო და მამიკო, ძალიან მენატრებით. წლები მალე გავა და მეც თქვენთან ვიქნები. მიყვარხართ. გფარავდეთ ღმერთი. ნანა.

• „ქანთარეეეე", ჩემი გამწარება გეყოს, გაიგე? გეყოს! იცოდე, ჩემი „დაკიდება" არ გაბედო! „ანარქია".

• სიყვარულის უფლება ყველას აქვს. მერე, რა, თუ ნაკლი გაქვს, შაკო! ეს ცხოვრებამ მოიტანა ასე. ვიცი, ჩემს მესიჯებს შენ ვერ ნახავ, რადგან საქართველოში უკვე აღარ ხარ, მაგრამ იქნებ, ვინმემ შეგატყობინოს?

• მე ამოვიყვან ცეცხლოვან მზეს/ და მე დაგიწვავ ლამაზ სახეს!/ მე გაგიშტერებ თვალებს,/ და შევაჩერებ წამებს!/ მე შეგეხები ხელზე/ შენ კი მაკოცებ მკერდზე,/ მე გავიშლი თმას,/ და დაგავიწყებ სხვას!/ მე არაფერი არ მინდა,/ მე გაჩვენებ ჩემს სახეს,/ და ნუ დამინგრევ სასახლეს.

• ვეხმაურები გიორგის, რომელიც სიყვარულს ისე გაუბოროტებია, რომ ცხოვრებისკენ შემობრუნება უჭირს. ვთხოვ მის ახლობლებს, რომ ყოველი ღონე იხმარონ მის გადასარჩენად. მე, როგორც მშობელი, შემძრა მისმა სიტყვებმა. ვთხოვ, დაფიქრდეს. ღირდა კი ის გოგონა ამოდენა მსხვერპლად? წამლის დიდი დოზა გიხსნის, შვილო?

• ვიპოვე სიყვარული, რომელიც ალბათ გამაგიჟებს, რადგან ჯერ მე დავტოვე, მერე თვითონ მიმატოვა. ამის მიზეზი ჰქონდა, მაგრამ მე ის მიყვარს და გამიგეთ, მისიანებო! მარი...ი.

• „იყო და არა იყო რა..." ასე დაიწყო ჩვენი სიყვარული. ძალიან მიყვარს და დაველოდები, სადამდეც გავძლებ. მე მჯერა მისი. გაუგეთ ნარკომანებს გოგონებო და ზურგს ნუ აქცევთ.

• თვალებში ისე არავის ჩავხედავ,/ რომ შიგ შენი სახე არ დავინახო./ ყურადღებას ისე არავის მივაპყრობ,/ რომ შენი ჩრდილი არ დავინახო. იკა.

• მიყვარხარ ძლიერ, ჩუ, ჩუ, არ თქვა,/ გულში დამალე და არსად გამთქვა./ მიყვარხარ ძლიერ, ჩურჩულით გეტყვი/ და ამ სიყვარულზე უარს ნუ მეტყვი. ლონდა.

• მამაკაცებს შორის სუფრასთან ასეთი დიალოგი მიდის: — ბიჭებო, ამ სასმისით ჭეშმარიტ ქალს გაუმარჯოს. — მერედა, როგორია ჭეშმარიტი ქალი? — ის, ვისაც ქმარიც ჰყავს და საყვარელიც... — ეგ ხომ განზე მოსიარულე ქალია? — არა, განზე მოსიარულეა ის, რომელსაც ქმარი არა, მაგრამ 3 საყვარელი ჰყავს. — მე თუ მკითხავთ, ასეთი ქალი სცოდავია. თანაც, წყალწაღებული. — არა, წყალწაღებული ის არის, ვისაც არც ქმარი ჰყავს და არც საყვარელი. — აუ, ეგ ხომ შინაბერაა, ტო! — ქალი შინაბერაა მხოლოდ ქმრის შემყურე!.. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვერ დაადგინეს, როგორია ჭეშმარიტი ქალი. სამაგიეროდ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მამაკაცის გარეშე ქალი ქალი არ არის. მე კი მიმაჩნია, რომ მხოლოდ ყოველი მეათე მამაკაცია ჭეშმარიტი ქალის დამფასებელი. ჰოდა, ქალებო, ყოველ მეათე მამაკაცს გაუმარჯოს!

• მანაველი ვარ, ახალი თქვენში, მოლექსედ მოსული... მსურს, თქვენ გაგიყოთ სიცოცხლე,/ პატარა სული და გული./ მეგობრობა მსურს, მე თქვენთან,/ არ გეჯიბრებით არავის,/ ჩამოდით, ჩამოიარეთ,/ „მწვანე" დალიეთ, მანავის,/ კახურ შოთებსაც მოგართმევთ,/ ყველიც გუდიდან გვიმზერის,/ ჭერი ავხადოთ სახლებსა,/ ჩვენი ცეკვით და სიმღერით. მანაველი.

miyvarxar

• ოცნებას გეტყვი, ვერვინ წამართმევს,/ რადგან ოცნება მარტო ჩემია,/ ოცნებით მაინც იქნები ჩემი,/ ოცნების მეტი, რა დამრჩენია. ნათიას, გორში, გიორგისგან. მიყვარხარ.

• მინდა, ამ გზაჯნილით ჩემს სიცოცხლეს, რომელიც არის პატიმარი, ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს.

• ეშმაკს შეუსვამს ჩემი სადღეგრძელო,/ ქაჯებს მოუპარავთ ღვთისთვის ჩემი ბედი,/ ველარ მოვიშორე შავი კაუშანი,/ ყველგან გვიან იყო, სადაც კი მივედი. მიყვარხარ, ზვიო.

• ლაშა კომახიძე, ჩემი დიდი სიყვარული ხარ და ძალიან მიყვარხარ. გმადლობთ, რომ ასეთი სიყვარული მასწავლე. ჩემი ცხოვრებუკა ხარ :) შენი „ცოლული", ნათია ჩიგოშვილი.

• სულში შრიალებს შენი სახელი,/ შენ გზას მინათებ, როგორც სანთელი./ მე ცოტა ხანში შენთან გავჩნდები/ და სიკვდილამდე შენთან დავრჩები./ მომენატრები, როგორც არავინ/ და ტკივილს გულში მომიტანს სევდა./ მომენატრები კარგო უზომოდ/ და მონატრება მომიყვანს შენთან. შორენა, მიყვარხარ და მენატრები. რონი.

• მარი, ჩემს „სკუნსუნას" მინდა ვუთხრა, რომ მაგრად, მაგრად მიყვარს და მოუთმენლად ველოდებით მე და პატარა „სკუნსიკო". გთხოვ, დამიბეჭდე. ათენა.

• ათენა, ძალიან მიყვარხარ! მენატრები. თითქოს მართლა ჩემი იყო და უფლება მქონდეს შენი მონატრების. შენი „აგრაფინა".

• ნატუკი, მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ!

• დათო მორბელაძე, მინდა იცოდე, უსაზღვროდ გაღმერთებ. შენი ტუტუცი გოგო, მარი.

• გულს ენატრები, შენს ნახვას მთხოვს,/ მე რომ ვერ გხედავ, ჩემს გულში თოვს./ სადა ხარ, ნეტავ?/ რატომ ხარ შორს?/ შენზე ლოდინით ნუ მომკლავ, გთხოვ! მიყვარხარ! ქურდალას ჩიჩილაკი.

• ეჰ... რატომ ვწერ აქ? უბრალოდ, მაკუშა პავლიაშვილმა მინდა შეიგნოს, რომ უზომოდ მიყვარს! ოზურგეთი. როგორც შენ ამბობდი, უკვე ჩემი ტკივილია, მაგრამ... :(((გიორგი.

• ბაღდათელო ზაზა გუმბერიძე, ხომ იცი, რომ მიყვარხარ და რატომ მტკენ გულს? მინდა, ისეთივე იყო, როგორიც 2 წლის წინ გაგიცანი. ნათკა.

• შენზე ფიქრმა ჩემი გული დალია,/ შემიყვარდი და რა ჩემი ბრალია,/ ჩემმა გულმა სევდის წყალი დალია,/ უშენობით ჩემი გული მკვდრია. ეჰ, გიო, როგორ მიყვარხარ, როგორ...

• მე თუ ავტირდი, ამატირებს უშენოდ ყოფნა... ეძღვნება ქიზიყში, ჩემს კნუტს. მიყვარხარ!

• თენგო, სიგიჟემდე მიყვარხარ! შენმა სიყვარულმა ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია. ამ ტანჯვას ისე შევეჩვიე, რომ მის გარეშე ვერ ვიარსებებ. ყოველ ღამით ღმერთს შევთხოვ, რომ შენი სიყვარული მომიტევოს. ეს ხომ დიდი ცოდვაა... ნანა.

• როცა მეგონა, რომ გიპოვე, სწორედ მაშინ დაგკარგე. ახლა შენ აქვე ხარ, სენაკში, სულ ახლოს, მაგრამ ერთმანეთისთვის აღარ ვარსებობთ. ცხინვალში გიპოვე და სენაკში დაგკარგე. რიჩ, მიყვარხარ და მენატრები.

milocva

• ნატო მამისაშვილს ვულოცავ 26 თებერვალს, დაბადების დღეს. ნატუკი, გისურვებ ბედნიერებასა და დიდ სიყვარულს. შენ ამას იმსახურებ. მიყვარხარ, მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ.

• ნატუნია, გილოცავ დაბადების დღეს, 26 თებერვალს. შენი ღრუტუნია.

• ყველა მამაკაცს გილოცავთ მამაკაცების დღეს. გაიხარეთ, მრავალს დაესწარით! კაკუ.

• ინგა გენგაშვილო, მსოფლიოში ყველაზე კარგი დედიკო ხარ. გილოცავ 3 მარტს, დედის დღეს. ძალიან მიყვარხარ. ნანა ფოცხვერაშვილი.

• თაკო ქუმსიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. დადუ, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს, შენს მშობლებთან ერთად. მიყვარხარ და მენატრები. სალო.

• ჩემო დიდო სიყვარულო, დათუჩი, გილოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ... დიდხანს იცოცხლე. გაუმარჯოს 27 თებერვალს. შენი სიყვარული.

• თინათინ ჩავლეშვილს! დედის დღეს გილოცავთ. ყოვლად წმინდა მარიამი გფარავდეს მთელი ცხოვრება. თამუნა, თეა და თემური.

• მარი, გთხოვ, გული არ მატკინო. მინდა, ყველას მოგილოცოთ გაზაფხულის მოსვლა. განსაკუთრებით, ჩემს ქუთაისში, ჩემს „ზაოდელ", 6 ნომრელ, პირველი „პადიეზდის" მეზობლებს. რომანტიკოსი.

• საყვარელო გოგონებო, ნინო და ნონა, გილოცავთ დაბადების მე-19 წლისთავს. იხარეთ და იბედნიერეთ. გკოცნით. ასმათი დეიდა.

• ხაშურში ჩემს საყვარელ დედამთილს, გულიკოს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. ღმერთი გფარავდეს. ძალიან მიყვარხარ. ლელა პაქსაშვილი.

• ხაშურში, ჩემს საყვარელ დედიკოს, გულიკოს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას და ღმერთის მფარველობას. დედა, ძალიან მენატრები და მიყვარხარ. ქოსოვიჩი.

• დედის დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ დედიკოს და დაიკოს — ნანას. ყოველთვის ბედნიერები ყოფილიყავით, თქვენს შვილებთან ერთად. ნინო ცირეკიძე. რუსთავი.

• რა მინდა? მინდა, მზეს და ალიონს ერთად ვხვდებოდეთ/ მსურს დამეწაფო და მთლად დავლიო სიყვარულით სავსე ზედაშე. ჩემს მეუღლეს ვულოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად.

• ნათი, გილოცავ დაბადების დღეს. მართალია, ჯერ ვერ ამოვიცანი, როგორი ხასიათის ანგელოზი ხარ, მაგრამ მაინც, მიყვარხარ.

• მინდა, დედის დღე მივულოცო სალომეს, შორენას, ელისოს და ჩემს საყვარელ დედას. ქეთი, ფოთიდან.

• გაბედნიერებას ვულოცავ ია არსიანს. ვუსურვებ ბედნიერებას, მეუღლესთან ერთად. ქეთი ლაშქარავა.

• დაბადების დღეს ვულოცავ გოჩა ლაშქარავას. ვუსურვებ ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს. ქეთი, ფოთიდან. იმედია, მიცანი.

• ეკა ყალანდრიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს, ლამაზ სიყვარულს და ბედნიერ წმთა სიმრავლეს. გკოცნი. ფისო.

• მიშიკო შოშიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. თინიკო დეიდა.

• დედის დღეს ვულოცავ ნატო ქართველიშვილს. ვუსურვებ ბედნიერებასა და ულევ სიყვარულს, ოჯახთან ერთად. ქეთი და თეონა, ფოთიდან.

• 4 მარტს ჩემს ლამაზ მამიდა, სვეტ მარგიანს დაბადების დღე აქვს და ვულოცავ. მამიდა, დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. ნანა.

• 3 და 8 მარტს ვულოცავ ჩემს ჯიგარ და ქურდ „ბეიბის", დალი გიორგაძეს (გია ანდრეევის რისხვას). ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ბევრ შვილთაშვილს. ჭრიჭინ• ა.

• ჩემს დედიკოს, მზია შალანბერიძეს ვულოცავ დედის დღეს, 3 მარტს. დედა, მიყვარხარ! ირაკლი.

• ჩემს დედიკოს ვულოცავ 3 მარტს. დედიკო, მიყვარხარ. ლონდა.

• დედიკო, ჩემო ტკბილო და უსაყვარლესო, დაბადებს დღეს გილოცავ. გისურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას. მაგრად მიყვარხარ, დეეე.. ფიქრია.

• მინდა, ჩემს დედიკო დადუს 3 მარტი ანუ დედის დღე მივულოცო. ასევე, ყველა ქართველ დედას ვულოცავ ამ დღეს. განსაკუთრებით მათ, ვისაც თავისი შვილები უზომოდ ენატრებათ. მის 13.07.

• ზურიკო ხომასურიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს და დიდ სიყვარულს. ზური, მიყვარხარ და მენატრები. ლონდა.

• მონატრებულ შვილს, გოგა ბუიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 2 მარტს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, გაგასთან ერთად. გკოცნით, იზო დედიკო.

• ჩემს შვილს, ეკას ვულოცავ დაბადების დღეს, 4 მარტს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ლამაზ სიყვარულს. შენი დედა.

• ჩემს დაიკო ხათოს და დედიკოს — დინას ვულოცავ დედების დღეს. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. მიყვარხართ. მაკა.

გაგრძელება იხ. გვ. 80

ნათელმხილველი, რომელმაც ოჯახის დანგრევისა თუ სიკვდილისგან მრავალი ადამიანი გადაარჩინა

ნათელმხილველმა ლია ხუციშვილმა ეს ნიჭი შთამომავლობით მიიღო. მისი ბებია, ასევე ცნობილი ნათელმხილველი ყოფილა. ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც საკუთარი მომავლის წინასწარ განჭვრეტა არ სურდეს. თუმცა, ბევრ მათგანს არ სჯერა მკითხაობის, მისნობის, ნათელმხილველობის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონ ლიას ბევრი ადამიანი ემადლიერება. ის ხსნის ჯადოს, ავ თვალს, ჩაკეტილ ბედს, ამზადებს დამცავ თილისმებს და ხშირად, მოსალოდნელ სიკვდილსაც აშორებს ადამიანს. მან, თავისი ნიჭის წყალობით და შელოცვებით, არაერთი ოჯახი გადაარჩინა დანგრევას. ქალბატონ ლიას უამრავი ადამიანი ემადლიერება — პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და შოუბიზნესის წარმომადგენლები მასთან რჩევის საკითხავად მიდიან. მას ზოგიერთი მათგანი პარაფსიქოლოგს, ზოგი კი, დედა მარიას ეძახის.

— დაახლოებით 25 წლის წინ, ძალიან ცუდად გავხდი, შიშები მქონდა, თავს ვერაფერს ვუხერხებდი. თურმე, ეშმაკი მებრძოდა. ერთ დღეს, ეკლესიაში ვიყავი, უკან სასაფლაო იყო. ვიღაც ქალი მომიახლოვდა და მხარზე ხელი დამადო. ვკითხე: ვინ ხარ-მეთქი? მიპასუხა: წმინდა ბარბარე ვარო. ხელი თავზე დამადო, გამამხნევა: ნუ გეშინია, შენც ბარბარე ხარ; ხვალ ეკლესიაში ისევ მოდი, ამა და ამ ადგილას ხატი დაგხვდება და წაიღეო. მართლაც, მეორე დღეს, იმავე ეკლესიაში მივედი და ხატიც ვნახე. მას დღემდე ვინახავ... ამ ამბის შემდეგ, კარგად გავხდი, დავმშვიდდი და თან ვიგრძენი, რომ ადამიანების დახმარება შემეძლო — ხილვები დამეწყო.

— შეგიძლიათ, პირველი ხილვა გაიხსენოთ?

— რა თქმა უნდა. მყავდა მეზობელი, რომელსაც ოჯახში ძალიან დიდი პრობლემა ჰქონდა. მერე, ჩემი მინიშნებით, ნემსებისგან გაკეთებული ჯადოც იპოვა, მაგრამ ეჭვი ჩემზე აუღია, რადგან მკითხავის სახელი გამივარდა... რამდენიმე დღეში ძალიან ცუდად გავხდი: არაფერი მტკიოდა, მაგრამ მაღალი სიცხე მქონდა, ზეზეურად ვიწვოდი, ფეხზე ვერ ვდგებოდი. ერთ საღამოს, წმინდა მამა ნიკოლოზი (სურვილების ამსრულებელი) გამომეცხადა და მითხრა: ახლავე ადექი, რა დროს წოლაა, ხალხს სჭირდებიო. თან დაუმატა — ამა და ამ ადგილას მიწა ამოთხარე, იქ იპოვი შენს წამალსო. საავადმყოფოდან წამოვედი, მითითებულ ადგილას მიწა ამოვთხარე და ნემსები ვიპოვე. თურმე, ჩემს მეზობლებს ის ჩემს ეზოში დაუმარხავთ... რამდენიმე ხნის შემდეგ ის ოჯახი დარწმუნდა, რომ ჯადო მე კი არა, ნათესავმა ქალმა გაუკეთა.

— ქალბატონო ლია, ხალხი ძირითადად, რა პრობლემებით მოდის თქვენთან?

— მოდიან ათასი პრობლემის გამო — ზოგს ჯადო აქვს გაკეთებული, ზოგს ბედი — ჩაკეტილი და ა.შ. მაგრამ ამ ბოლო დროს, მოდიან ადამიანები, რომლებსაც ნევროზი აქვთ. ისინი ძირითადად ახალგაზრდები არიან და მინდა გითხრა, რომ მათ ლოცვების გარდა ვერაფერი უშველის, იმიტომ, რომ ამ ახალგაზრდებზე ეშმაკი ბატონობს. ამას წინათ, ქუთაისიდან ჩამოვიდა გოგონა, რომელმაც დახმარება მთხოვა — მას სრულიად უმიზეზოდ თავის მოკვლა სურდა და ლოცვებით ის ამ მდგომარეობიდან რამდენიმე კვირაში გამოვიყვანე.

— ჯადოს და ჩაკეტილ ბედსაც ლოცვებით ხსნით?

— რა თქმა უნდა. ეს არის ქრისტიანული ლოცვა, რომელიც წმინდა ბარბარეს გამოცხადების შემდეგ ვისწავლე. ხშირად, ახალგაზრდებს 3-4 წლის განმავლობაში ჰყავთ შეყვარებულები, მაგრამ მათ ქორწინებას ხელს რაღაც უშლის, ბედი აქვთ ჩაკეტილი.

— ასეთ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდებს როგორ ეხმარებით?

— მათთვის ვლოცულობ და შედეგიც არ იგვიანებს. ამას წინათ, ჩემთან მოვიდა გოგონა, რომელსაც 9 წლის განმავლობაში შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ რატომღაც, საქმე ჭიანურდებოდა. იმ გოგოს ვუთხარი: შენს შეყვარებულს ვიღაც ქალმა ჯადო გაუკეთა, მოდი, ბედი გავუხსნათ-მეთქი. თავიდან უარობდა — ასეთი რაღაცების მეშინიაო, მაგრამ ბოლოს დამთანხმდა და ცოტა ხანში, ეს წყვილი დაოჯახდა კიდეც... ზოგი ძალიან ლამაზი გოგონაა, მაგრამ არჩევანს ვერ აკეთებს, რწმენა აქვს დაკარგული. ამას წინათ, გოგონა მოვიდა, რომელსაც ვუთხარი: აქედან რომ გახვალ, ვიღაცას გაიცნობ და ცოტა ხანში ცოლადაც გაჰყვები-მეთქი. მან ჩემი ნათქვამი ირწმუნა და ისე წავიდა. რამდენიმე დღის წინ, ისევ მოვიდა და მითხრა: მართალი იყავით, აქედან რომ გავედი, ვიღაც ტიპი ამეკიდა და დღეს მისი ცოლი ვარო...

— როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ჯადო გვაქვს გაკეთებული?

— ამ დროს, ადამიანი სახლიდან უმიზეზოდ გარბის, ჩხუბობს, ოჯახის წევრები ეზიზღება და ა.შ. ამასთან ერთად, ის ხშირად ავადმყოფობს — აქვს გულისრევის შეგრძნება, ეწყება თავის ტკივილი და ა.შ. ასეთ ადამიანებს ვაძლევ თილისმას, რომელშიც სიზმარში ნასწავლი საიდუმლო ლოცვა წერია და ის პრობლემის მოგვარებაში ყველას ეხმარება... ხშირ შემთხვევაში, ჯადო ჩვენზე წინაპრებიდან გადმოდის. ერთხელ ჩემთან ახალგაზრდა კაცი მოვიდა, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობდა. მას ვთხოვე — სახლში რომ მიხვალ, დიდი ხის ქვეშ მიწა ამოთხარე, იქ ჯადოს იპოვი; იცოდე, ამას თუ არ გააკეთებ, ის ვიღაცას აუცილებლად შეინირავს-მეთქი. მას ეტყობა, რუსეთში წასვლა ეჩქარებოდა და არ დამიჯერა. რამდენიმე კვირის შემდეგ მომადგა და მითხრა: რატომ არ დაგიჯერეთ, მამაჩემი გარდაიცვალა და რომ ჩამოვედი, იმ ხის ძირას მართლაც ვიპოვეთ რაღაცებიო.

— გათვალვა უფრო ძლიერია თუ ჯადო?

— რა თქმა უნდა, ჯადო, მაგრამ გათვალვაც საშიშია. დაიმახსოვრეთ, როცა მეზობელი შემოდის თქვენთან და წუწუნებს, ის თავის აურას გიტოვებთ, რაც თქვენზე ცუდად აისახება — მთელი დღე დათარსული იქნებით. ასევე, 6 საათის შემდეგ, პური არავის უნდა მისცეთ; ცუდია, თუ მარილს ან ზეთს გასცემთ, რადგან ამით ოჯახის ბარაქა ნახევრდება.

— თქვენთან ცნობილი ადამიანებიც დადიან?

— დადიან პოლიტიკოსები, ექიმები, ბიზნესმენები, შოუბიზნესის წარმომადგენლები, რომლებსაც სხვადასხვა პრობლემა აქვთ. ისინი პროგნოზების გაკეთებას მთხოვენ და რჩევებს იღებენ... ამ ბოლო დროს, ხალხი ძალიან გაბოროტდა, თითქოს, ყველას ერთად დაეუფლა ეშმაკი. გოგოები ცოლშვილიან მამაკაცებზე „ნადირობენ“, იმას კი არ ფიქრობენ, რომ ასეთი საქციელის გამო დაისჯებიან. სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერება ყოველთვის ხანმოკლეა და ამისთვის სინდისის დამძიმება ნამდვილად არ ღირს.

— პოლიტიკურ პროგნოზებსაც აკეთებთ?

— საკაშვილის პრეზიდენტობა პირველმა ვიწინასწარმეტყველე. დღეს ხალხი მის გადადგომაზე ოცნებობს, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ახალგაზრდა კაცი, საქართველოს აყვავებას შეძლებს. ის ჰოროსკოპით მშვილდოსანია და მას ყველაფერში გაუმართლებს, უფალი ნებისმიერ საქმეში ეხმარება... ღვთისმშობელი მარიამის შვილები ვართ ყველანი და ის არასდროს მიგვატოვებს, მაგრამ მთავარია, ყველამ თავისი ცოდვა მოინანიოს.

მის: დ. გურამიშვილის №48 (მ. „ღრმაღელესთან“), II სად, VII სართ. ბ №40, ტელ: 69-60,-00; 61-87-21; 8(93) 21-52-33. ელ-ფოსტა: vaniko04@hotmail.com (ჩაწერა წინასწარ).

რამდენად გამბედავი ადამიანი ბრძანდებით?

ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან გაუბედავი ქმედება, ხშირ შემთხვევაში, თავად ამ ადამიანს საკმაოდ სერიოზულ პრობლემას უქმნის. პასუხების შემოთავაზებული ვარიანტებიდან — „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ — შეარჩიეთ ერთ-ერთი.

1. თქვენი აზრით, ცხოვრებაში რა არის ადამიანის უმთავრესი მამოძრავებელი?

ა) ცნობისმოყვარეობა;

ბ) წარმატების მიღწევის სურვილი;

გ) აუცილებლობა.

2. როგორ ფიქრობთ, რატომ იცვლიან ადამიანები სამუშაო ადგილს?

დ) მათ ათავისუფლებენ სამსახურიდან;

ე) უფრო მაღალანაზღაურებად სამუშაოს პოულობენ;

ვ) იმიტომ, რომ მათ მოსწონთ იმ საქმის კეთება, რასაც ახალ სამსახურში სთავაზობენ.

3. როდესაც უსიამოვნებები გხვდებათ, თქვენ:

ა) მათ გადაწყვეტას უკანასკნელ წუთამდე გადადებთ ხოლმე;

ბ) გაქვთ მოთხოვნილება, დეტალურად გააანალიზოთ, თავად რამდენად ხართ დამნაშავე, შექმნილ სიტუაციაში;

გ) რაც მოხდა, იმაზე ფიქრიც კი არ გინდათ.

4. საქმის გაკეთება დროულად ვერ მოასწარით, თქვენ:

დ) გულის კანკალით დაელოდებით მომენტს, როცა ყველაფერი გამჟღავნდება;

ე) საფუძვლიანად მოემზადებით ახსნა-განმარტებების მისაცემად;

ვ) მანამდე აღიარებთ საკუთარ მარცხს, ვიდრე ეს ამბავი ყველასთვის ცნობილი გახდება.

5. როგორ ხვდებით ცნობას დასახული მიზნის მიღწევის თაობაზე?

ა) გააჩნია მიზანს — სხვადასხვა დროს განსხვავებული რეაქცია გაქვთ, მაგრამ არცთუ ისე მძაფრი;

ბ) სიხარულს საოცრად ემოციურად გამოხატავთ;

გ) ბოლოს და ბოლოს, თავისუფლად ამოისუნთქავთ.

6. რას ურჩევდით მეტსმეტად მორცხვ ადამიანს?

დ) შეძლებისდაგვარად, თავიდან აიცილოს სარისკო სიტუაციებში მოხვედრა;

ე) იმეგობროს მისგან განსხვავებულ ანუ თამამ ადამიანებთან;

ვ) სიმორცხვის დასაძლევად, დასახმარებლად ფსიქოლოგს მიმართოს.

7. როგორ იქცევით კონფლიქტურ სიტუაციაში?

ა) სიტუაციის განმუხტვას წერილის მეშვეობით შევეცდები;

ბ) სიტუაციის გარკვევას მასთან დალაპარაკებით შევეცდები;

გ) საქმეს შუამავალს მივანდობ.

8) შეცდომის დაშვებისას რისი შიში გეუფლებათ?

დ) სასჯელის მოლოდინის შიში გიჰყრობთ;

ე) შიშობთ, რომ ჩვეული სულიერი სიმყუდროვე არ დაგერღვეთ;

ვ) პრესტიჟის დაკარგვის შიში გეუფლებათ.

9. როდესაც ვინმეს ელაპარაკებით, თქვენ:

ა) დროდადრო თვალს არიდებთ თანამოსაუბრეს;

ბ) პირდაპირ თვალებში უყურებთ მას;

გ) მზერას მაშინაც კი არიდებთ, როცა პირადად თქვენ მოგმართავთ.

10. რაიმე სერიოზულ საკითხზე მსჯელობისას, თქვენ:

დ) რამდენჯერმე იმეორებთ სათქმელს, ღელავთ და ხმაც არაბუნებრივად გითრთით;

ე) მსჯელობისას, ხშირად იშველიებთ არაფრის მთქმელ სიტყვებსა და გამოთქმებს;

ვ) მშვიდ ტონს ინარჩუნებთ.

ტესტის შედეგები:

თუკი თითქმის ყველა თქვენი პასუხი „ა“ და „ე“ ვარიანტებისგან შედგება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ არცთუ ისე გაბედული ადამიანი ბრძანდებით. თითქმის არასდროს მოქმედებთ აქტიურად და სწრაფად. მართალია, მოგწონთ გამბედავი პიროვნებები, მაგრამ ხშირად გაუბედავი ადამიანების საქციელსაც ამართლებთ, რადგან მიგაჩნიათ, რომ მათი ქმედება წინდახედულობითა და სიფრთხილითაა გამოწვეული.

თუკი თქვენს პასუხებში ძირითადად „ბ“ და „ვ“ ვარიანტები ჭარბობს, იცოდეთ, **რომ ფრიად გამბედავი ადამიანი ბრძანდებით. თუკი გამბედაობასთან ერთად, პასუხისმგებლობის გრძნობითაც ხართ დაჯილდოებული, სავარაუდოა, რომ ხშირად დაგავალებენ რთული ამოცანის გადაჭრას; გირჩევთ, რთულ სიტუაციებში სათანადოდ გააანალიზოთ მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება.**

თუკი პასუხებში უპირატესობა ძირითადად „გ“ და „დ“ ვარიანტებს მიანიჭეთ, ეს მეტყველებს იმაზე, **რომ თქვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას სასურველსა და სტაბილურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ხშირად, ამა თუ იმ ქმედების შემდეგ, თქვენ ახლობლებისგან კრიტიკულ შენიშვნებს უფრო ელით, ვიდრე საქებარ სიტყვებს.**

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

4	5	2	3	1	6	9	8	7
7	1	3	2	9	8	4	5	6
6	9	8	7	4	5	1	3	2
2	8	4	1	5	9	6	7	3
5	3	9	6	2	7	8	1	4
1	6	7	8	3	4	5	2	9
9	2	6	5	7	1	3	4	8
8	7	1	4	6	3	2	9	5
3	4	5	9	8	2	7	6	1

5	9	2	3	4	1	6	7	8
8	1	7	2	6	9	4	5	3
3	6	4	5	8	7	2	9	1
6	7	5	8	1	2	3	4	9
9	2	1	4	7	3	8	6	5
4	8	3	9	5	6	7	1	2
7	5	8	1	2	4	9	3	6
1	3	6	7	9	8	5	2	4
2	4	9	6	3	5	1	8	7

5	9	4	6	8	7	1	3	2
6	1	7	5	2	3	4	8	9
2	8	3	4	1	9	5	6	7
8	4	6	7	3	1	2	9	5
7	3	9	2	6	5	8	1	4
1	2	5	9	4	8	3	7	6
3	5	2	1	7	6	9	4	8
4	7	1	8	9	2	6	5	3
9	6	8	3	5	4	7	2	1

* მარტივი

2				3			4	9
	4	8			2	7		
		7	4		9			8
	9			6		1		
3		6	7		4	8		2
		5		2			3	
5			3		1	2		
		4	2			3	9	
1	2			7				5

** საშუალო

4					3			9
	2		9				6	
			7				3	
	9		8		1			3
		6		3		9		
7					6		1	
	7				8			
	6				9		7	
5			4					1

*** რთული

1					7			
	5				1		4	
	2							9
7				2		5		
4					6			1
		8						3
2							9	
	9		3				6	
			5					4

1 დანიელი მეზღაპრე
2 ცხენების შეჯიბრება ჭენებაში
3 მარადმწვანე წიწვოვანი ხე
4 ერთგვარი ქუდი
5 ისტ. მხარე აღმ. საქართველოში
6 სტალინის ნამდვილი გვარი
7 მუზეუმი მადრიდში
8 სამაგიერო თამაში
9 ცხარე საწებელი
10 რისამე სულ მცირე ნარჩენი
11 ქალის პირბადე
12 სევანის კალმახი
13 ხელოვნური თმა
14 უშფოთველი ცხოვრება
15 მთავრეული
16 მწნილი
17 კურკოვანი ხილი
18 ბრაზილიელი მწერალი
19 თუთიყუშის სახეობა
20 ტურგენევის მოთხრობა
21 უგონო მდგომარეობა
22 საქონლის გულ-ღვიძლი
23 ... პაჩინო
24 ... დი კაპრიო
25 დანაშაულის ხელმეორედ ჩადენა
26 თურქეთის დედაქალაქი
27 შოტ-ლანდიური ნაგაზი
28 აფრიკული ქვეყანა
29 სამხრეთ კორეის დედაქალაქი
30 არაპირდაპირი გადასახადი ზოგიერთ პროდუქტზე
31 კვამლი
32 უგოსლავიის დედაქალაქი
33 პოპმუსიკის დედოფალი
34 ნაკლი, ხარვეზი
35 შესახედაობა გვერდიდან
36 ტატუირება
37 ველური ვარდი
38 სგანგებო მდგომარეობა

ფინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ჯავახეთი; 2. გვარდია; 3. ივრითი; 4. ოტავა; 5. რიყე; 6. სირინოზი; 7. ნოხი; 8. ნომი; 9. ბრაილი; 10. ბრა; 11. სკანდალი; 12. გამბიტი; 13. გაზეთი; 14. ნიგოზი; 15. ალერსი; 16. საგა; 17. ნევადა; 18. ტანგო; 19. კანა; 20. ფოლგა; 21. ტაეპი; 22. ბრასი; 23. ფინტი; 24. დრეკი; 25. ატამი; 26. შხარა; 27. კინტო; 28. დუელი; 29. მაიორი; 30. მესტია; 31. მადრიდი; 32. დრამი; 33. ანოა; 34. სატევარი; 35. დოგი; 36. აუდი; 37. დანაე; 38. პილოტი; 39. მიტენი; 40. ტუში; 41. კურო; 42. ფიზიკა; 43. იენი; 44. არგო.

სურათზე: ჯასტინ ტიმბერლეიკი; კაილი მინოუგი.

ექიმებმა კუს საკეისრო კვეთა ჩაუტარეს

ჩინელმა ექიმებმა ჩენდუს (სიჩუანის პროვინცია) ზოოპარკის ბინადარ კუს საკეისრო კვეთა ჩაუტარეს. მშობიარე თავს კარგად გრძნობს და პატარების გამოჩეკას ელოდება. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ზოოპარკის თანამშრომლებმა მოულოდნელად შეამ-

ჩნიეს, დაბაო მოთენთილი, აპათიური იყო და რეპტილიას საავადმყოფოში რენგტენული გამოკვლევა ჩაუტარეს. „გამოკვლევის შედეგით გაოცებულნი დავრჩით. აღმოჩნდა, რომ კუს მუცელში 14 კვერცხი ჰქონდა. როგორც ჩანს, კვერცხები ისე იყო განლაგებული, რომ დაბაომ მათი დადება ვერ შეძლო“, — ამბობს ზოოპარკის ადმინისტრატორი, ბატონი ვუ. კუს გადასარჩენად საკეისრო კვეთის ჩატარება გადაწყდა. ექიმებს მსგავსი ოპერაციის ჩატარების არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ. ისინი იძულებული იყვნენ იმპროვიზაციისთვის მიემართათ და ოპერაციის დროს, „ადამიანური“ ტექნოლოგია გამოეყენებინათ. ანესთეზიოლოგებსაც დიდი ჯაფა დაადგათ. ისინი დიდხანს ელოდნენ, თუ როდის ინებებდა დაბაო ბაკნიდან თავის გამოყოფას. როდესაც კუს თავი გამოჩნდა, ანესთეზიოლოგებმა პრეპარატები ელვის სისწრაფით გაუკეთეს და მალე ბაკნის გახსნის დროც დადგა. „ჯავშნის გახსნის პროცესში აღმოჩნდა, რომ ეს საქმე ადამიანის თავის ქალის ტრეპანაციაზე ძნელი ყოფილა“, — ჰყვებოდა მოგვიანებით საავადმყოფოს დირექტორი ლიუ ვეი. კუს ბაკნის გაკვეთის, კვერცხების ამოღებისა და შემდგომ, ჯავშნის ეპოქსიდური ფისით შეწებების პროცესს, 2 საათზე მეტი დასჭირდა. ზოოპარკის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ამჟამად დაბაო თავს კარგად გრძნობს და სილაში ჩაფლული კვერცხებიდან შვილების გამოჩეკას მოუთმენლად ელის. ■

ყველაზე მსუქანი ქალები

The baily Mail უკანასკნელი გამოკვლევის შედეგებს აქვეყნებს, რომლის თანახმად, ევროპელთა შორის ყველაზე მსუქნები დიდი ბრიტანეთის მცხოვრებნი აღმოჩნდნენ. ამ ქვეყანაში ყოველ მეოთხე ქალს და ყოველ მეხუთე მამაკაცს ზედმეტი წონის პრობლემა აქვს, რაც მათ ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სიმსუქნის პრობლემა ბრიტანელ ქალთა 23%-ს და მამაკაცთა 22,3%-ს აწუხებს. გამოკვლევას საფუძვლად დაედო სხეულის მასის ინდექსის დადგენა, რომელიც ადამიანის წონისა და სიმაღლის მიხედვით გამოითვლება. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა მხოლოდ ზრდასრულ მოსახლეობას ეხება, თუმცაღა ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ბრიტანელ მოზარდებსაც იგივე პრობლემა აწუხებთ. ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის თანამშრომლები ფიქრობენ, რომ ბრიტანელთა სიმსუქნე, შენელებული მოქმედების ნალმია, რომელიც მთელი ერის ჯანმრთელობას ემუქრება. ექსპერტთა აზრით, თუკი ხელისუფლება გადამჭრელ ზომებს არ მიმართავს, სწრაფ კვებაზე („ფასტ-ფუდ“) დამოკიდებულების ზრდა მთელ თაობას შეუქმნის საფრთხეს, რადგან ზედმეტი წონა გულ-სისხლძარღვთა დაავადების, დიაბეტისა და სხვა სნეულებათა წინა პირობაა.

ბოლო 25 წლის განმავლობაში, ბრიტანელთა წონამ 4-ჯერ იმატა. მსოფლიოში მათზე სწრაფად მხოლოდ ამერიკელები სუქდებიან. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ხელისუფლებამ მწარმოებლებთან უნდა ითანამშრომლოს და იმგვარი საკვები პროდუქტის შექმნაზე იზრუნოს, რომლის შემადგენლობაში ნაკლები ცხიმი, შაქარი და მარილი იქნება. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ ადამიანებმა ავტომობილით მგზავრობა ველოსიპედით და ფეხით სიარულით ჩაანაცვლონ. ევროკავშირის წევრ 27 სახელმწიფოში სიმსუქნის მხრივ მეორე და მესამე ადგილი გერმანიასა და მალტას უკავია. ყველაზე მოხდენილი ქალბატონები კი, იტალიაში ცხოვრობენ. ზედმეტი წონის პრობლემა იტალიელ ქალთა მხოლოდ 8%-ს აწუხებს. ყველაზე გამხდარი მამაკაცები კი — რუმინელები არიან. ■

მესიჯმანია

დასაწყისი იხ. გვ. 72

veZeb

• ვეძებ ამირან ჩხეტიანს. თუ მის შესახებ ინფორმაციას ფლობთ, გამომეხმაურეთ, გთხოვთ. მ.ბ.

• ვეძებ 84-ე სკოლის 1987-88 წლის გამოშვებას. მათი კლასის დამრიგებელს, მარო კილანავას. ყველას, ვინც წაიკითხავს: დაამესიჯეთ და შეეკრიბოთ. ნანა ვოლგაჩოვა.

• ვეძებ ნანა ჭელიძეს, რომელმაც 1984 წელში ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ცხოვრობდა ქუთაისში. თუ ვინმემ იცით მისი კოორდინატები, გთხოვთ, გამაგებინეთ.

• ვეძებ ბესიკ ჯავახიშვილს. ბესოს ნახვაც ძალზე გამიხარდება, მაგრამ მაინტერესებს მისი მამიდის, გულოს ამბავი. სამწუხაროდ, გვარი არ ვიცი. გულო ჩემი მეზობელი იყო და მშობელი დედასავით მყავდა. ბესო კი, სტუდენტი გახლდათ. თუ სურვილი აქვს, დამიკავშირდეს.

• ვეძებ ახალგაზრდობაში შეძენილ მეგობარს, ნანო ნიქაბაძეს. ის წარმოშობით ტყიბულელია და თბილისში ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობდა. ნანო 15 წელი მაინც იქნება, რაც არ მინახავს. ჩვენ ქობულეთში დავმეგობრდით. ძალიან გამიხარდება, თუ ვინმე მის მოძებნაში დამეხმარება. მადონა, ქუთაისიდან.

• ვეძებ მეგობარს, დათო ჯონიოს, რომელიც ზესტაფონში, სოფელ კვალითში ცხოვრობს. იქნებ, „გზის“ საშუალებით მოვახერხო მასთან დაკავშირება?

• ვეძებ რუსიკო ბერიშვილს. ის ამჟამად სახლვარგარეთაა. იქნებ, მისი რომელიმე ნათესავი შემეხმიანოს? დიანა ან ჯანო ჯანელიძე. თუთუნა ბერიშვილი.

• ვეძებ ხათუნა თხილაიშვილს, ქობულეთიდან. თუ ვინმე გამოგეხმაურებათ, ჩემი ნომერი მიეცით. მეგობარი.

• ვეძებ ნატო და თემო ცხვარიაშვილებს. თუ ვინმემ იცის მათი კოორდინატები, გთხოვთ, გამაგებინოთ. წინასწარ დიდ მადლობას გიხდით.

• ვეძებ ჩემს ძმას, არსენ წიკლაურს, რომელიც ჩემივე დაუდევრობით დავკარგე. გთხოვ, მაპატიე, არსენ... ჩემს ნომერს მარი მოგცემს. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, „აკვა“.

ახლა კი 2 ამბავი, რომელიც მესიჯომანიის არსებობის მოკლე ხნის მანძილზე მოხდა.

„იღბალი მაშინ გვაძლევს შანსს, როცა ის გვჭირდება. ქმარმა მიღალატა. 13 წლის თანაცხოვრების შემდეგ ალბათ, უბრალოდ ცოლი გავხდი და იმიტომ. ძალიან ცუდად ვიყავი. ვისაც ღალატი გამოუცდია, ის კარგად გამიგებს. ავდექი და „მესიჯომანიაში“ დავამესიჯე. მაშინ ვიფიქრე — უბრალოდ, გავერთობი-მეთქი. მესიჯი გამოქვეყნდა. რამდენიმე მამაკაცმა დამირეკა. ერთ-ერთმა მითხრა — სიმპათიური, კარგი ტიპი ვარ, მეცნიერიო. არ დავუჯერე. სასაცილოდ არ მეყო, მაგრამ მესიჯების წერას მაინც ვაგრძელებდი. ერთი კვირა ვმესიჯობდით და ვგრძნობდი, რომ როცა არ მწერდა, ძალიან მაკლდა. გამოვცოცხლდი. ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს. ერთადერთი, რაც მაშინებდა, ის იყო, რომ ის ცოლიანი იყო. მერე, სამჯერ შევხვდი, ვიყავით რესტორანში... დავლიეთ წითელი ღვინო... და შემომთავაზა, რომ მასთან დავრჩენილიყავი მთელი ღამით... ბანალურია? ალბათ... მაგრამ ეს არის ცხოვრება! მორალის კითხვას ნუ დამიწყებთ, მე ეს მინდოდა და მორჩა!“

„ჩემი ამბავი ალბათ ერთი, ჩვეულებრივი თავგადასავალია და მეტი არაფერი. ასეთი ამბები ალბათ ყველა თქვენგანს გადაგხდენიათ თავს. „მესიჯომანიაში“ დავამესიჯე და ერთი კაცი გამომეხმაურა. დამიმესიჯა: „გამარჯობა, მე ძალიან მომწონს შავგვრემანი ქალები“. მერე კიდევ რამდენიმე მესიჯი გამომიგზავნა და სტუმრად დამპატიჟა. მაგრამ მერე რატომღაც გაქრა, მისი მობილური სულ გამორთული იყო. 2 კვირის შემდეგ, ჟურნალში ვნახე განცხადება და რატომღაც, მის მონაცემებს მივამსგავსე. მარის გამოვართვი ნომერი და დავუმესიჯე. სწორად ამოვიცანი. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა. მერე შევხვდით კიდეც. ძალიან მომეწონა. გარეგნობით ისეთი იყო, როგორიც მე მომწონს. არ გეგონოთ, რომ სუპერმამაკაცია. უბრალოდ, კარგი ტიპია, მაგრამ მასთან ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს. პირველ შეხვედრას მეორე მოჰყვა... მერე მესამე... იქნებ, კიდეც გაგრძელდეს? ვნახოთ! რეზო, ძალიან კარგი ადამიანი ხარ და მიყვარხარ! ბუნჩო“.

სასურველი ნომრის გასაგებად უნდა დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 და მითხრათ იმ მესიჯს რიგითი ნომერი, რომლის ავტორის კოორდინატებიც გაინტერესებთ. ასევე, შეგიძლიათ გამოგზავნოთ „მესიჯომანიის“ წყალობით თავს გადახდენილი ამბები და მსურველებმა — ფოტოებიც. ნახვამდის. გისურვებთ წარმატებებს! ■

მოამზადა მარი ჯაფარიძემ

ფოტოკუჩიოზები

ჯეოსელის და მაგთის აბონენტებისთვის!